იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

მაკა ბულისკერია

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის

დისერტაცია
წარმოდგენილია

ისტორიის დოქტორის (1004) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ელგუჯა მამუკელაშვილი
ისტორიის მეცნიერება თადოქტორი, პროფესორი

თელავი
2016

შესავალი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით, საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში ამ ომისადმი ინტერესი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი თვალნათლივ წარმოაჩენს XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკას და მეთოდებს, რომლის იმპერიული შინაარსი დღემდე არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ სახელწოდება - რუსეთ-საქართველოს ომი, იმთავითვე სადავო გახდა. საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფოთა ლიდერები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ომს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, როგორიცაა: „აგვისტოს მოვლენები“, „საქართველოსა და ე. წ. სამხრეთ-ოსეთის ომი“, „აგვისტოს სამხედრო კონფლიქტი”, „რუსეთ-საქართველოს ომი“, „რუსული აგრესია“ და სხვა. სამხრეთ კავკასიაში მიძინებულმა, ანუ „გაყინულმა კონფლიქტმა“, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ზევრ პოლიტიკოსს ცივი ომის განახლების და მრავალი სხვა, დიდი ხნის მივიწყებული და წარსულში დარჩენილი პრობლემის დაბრუნების, ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების განცდა გაუჩინა. საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ შეეცადა ომის შედეგების იურიდიულად გაფორმებას. რუსეთის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა ომის შემდეგ გამოცემული ბრძანებულებები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო „გაერო“-ს წესდებასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ „გაერო“-ს 1970 წლის დეკლარაციასთან და „ეუთო“-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - მ. ზ.) 1975 წლის დასკვნით აქტთან **(სარალიძე, 2009:145-160).** ცნობილია, რომ სწორედ, ამ საერთაშორისო - სამართლებრივ აქტებშია მოცემული საერთაშორისო სამართლის ათი ძირითადი პრინციპი, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი საწყისებია, მისი შინაგანი საფუძველია, საყოველთაოდ აღიარებულია, უნივერსალურია და ყველა სახელმწიფო ვალდებულია, მკაცრად დაიცვას მათი მოთხოვნები **(ალექსიძე, 2010:33).** რეალურად კი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მთავრობის

მიერ გამოცემული ყველა ბრძანებულება სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპებს, რადგან ის თვალნათლივ ხელჰყოფს საქართველოს სუვერენობას. ისტორიულად და სამართლებრივად, აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიების ჩათვლით.

საქართველომ, XX საუკუნის დასაწყისში (1921 წ.), რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად, დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რეფერენდუმის საფუძველზე აღიდგინა, რომელიც, 1991 წლის 31 მარტს, ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქში. საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუჭირა. ამის შედეგად, საქართველო „გაერო“-ს წევრად მიიღეს იმ საზღვრებში, იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე.ი. აფხაზეთისა და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის, რუსეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სამშობლოდან იძულებით დევნილი და ემიგრაციაში მოღვაწე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, პარიზის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი - მიხეილ ხუნდაძე (1898-1983 წწ.) საქართველოს უფლებრივ საკითხთან დაკავშირებით წერს: „საქართველოს არ უთქვამს ჯერ უკანასკნელი სიტყვა საერთაშორისო სამართლის სფეროში. საქართველოს კითხვა დღევანდელი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არ არის და ვერც იქნება მოხსნილი. რაც უფრო გაღრმავდება დღევანდელი საერთაშორისო უფლების ნორმები ხალხთა იურიდიულ შემეცნებაში, მით უფრო მტკიცეა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი. მართალია,

უფლებას არ აქვს ჯერ სრული ძლევამოსილება, ძალა სჭარბობს უფლებას, მაგრამ მოასწავებს მორალური ფაქტორების გაძლიერებას, რომელნიც მომავალში დასძლევენ ფიზიკურ ძალას, ძალმომრეობას. ამ ფაქტორებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამართლის იდეას, რომელსაც ემყარება ყოველგვარი უფლებრივი ნორმა. ამიტომ არის, რომ ყველა, ძლიერი თუ სუსტი, ეძებს უფლებას, რომლითაც ის ფიქრობს თავისი მოთხოვნილება დაამტკიცოს. სწორედ, ამიტომ ჩვენც, ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოტრფიალენი, დღეს სუსტნი და დაჩაგრულნი, უფლებას ვემყარებით, უფლებას ვიცავთ, უფლების აღდგენას ვითხოვთ" **(ხუნდაძე, 1929; შარაძე, 2003:404-405)** XX საუკუნის დასაწყისში ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რადგან რუსეთის ხელისუფლება XXI საუკუნეშიც კი იგივე ძალისმიერი მეთოდებით აგრძელებს თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას და ცდილობს დაამკვიდროს სამართალი „რუსულად". რუს ხელისუფალთა ეს მეთოდები კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოჩინდა მოგვიანებით უკრაინაში, სადაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება, ათასგვარი ბინძური მეთოდებით ცდილობს ფეხის მოკიდებას და უკრაინისთვის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წაგლეჯას. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა, რუსეთის ხელისუფლება არ ასრულებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და დღემდე უკანონოდ აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის 20%. რუსეთის ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. 2008 წლის პირველ სექტემბერს, ევროკავშირმა, რომელიც რეგიონში კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთ ძალად რჩება, საქართველოს შესახებ მიიღო ოფიციალური დოკუმენტი, რომლის თანახმად, დაგმო რუსეთის ერთპიროვნული გადაწყვეტილება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა, რათა არ ეცნოთ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა. ამასთანავე, ევროკავშირის წარმომადგენლობა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა იყოს დაფუძნებული საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, არაერთი დოკუმენტი იქნა მიღებული. „ეუთო“-ს ბუდაპეშტის (1994 წ.), ლისაბონის (1996 წ.) და სტამბოლის (1999 წ.) დასკვნით დოკუმენტებში დადასტურებლია, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რომლის შედეგად, აფხაზეთში მოკლულია 10 ათასამდე სამოქალაქო პირი, ხოლო 250 ათასამდე ეთნიკური ქართველი განდევნილია თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები მიღებულია რუსეთის მონაწილეობითა და თანხმობით, ე.ი. მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად, აფხაზეთში სეპარატისტული ძალების მიერ ჩადენილი, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტები, რუსეთის ხელისუფლებამაც დაადასტურა. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთშიც“, სადაც სეპარატისტებმა 1990 წელს მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების უზურპაცია, ბოლშევიკების მიერ 1922 წელს ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი გამოაცხადეს დამოუკიდებელ „საბჭოთა რესპუბლიკად“ და საქართველოსგან ამ რეგიონის ჩამოცილების მიზნით, ეთნიკური კონფლიქტი გააჩაღეს, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის შედეგადაც დაიღუპა უამრავი ოსი და ქართველი ეროვნების ადამიანი, ეთნიკური წმენდის შედეგად კი, ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილი გახდა. 2008 წლის აგვისტოს ომი, სწორედ, ამ პროცესების გაგრძელებაა. რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ განლაგებული სამხედრო ძალები, სამშვიდობო მისიის ნაცვლად, სეპარატისტული რეჟიმების აქტიურ მხარდამჭერ ძალად გადაიქცნენ და ფაქტობრივად, ამ რეგიონების სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებდნენ. ამ მხარდაჭერის იმედით, სეპარატისტული რეჟიმები თავს არიდებენ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და უარს აცხადებენ დევნილი ქართული მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე.

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა, რუსეთის ხელისუფლება დღემდე არ ასრულებს საერთაშორისო სამართლის

ნორმებს. თუმცა, წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული არაერთი რეზოლუცია, ქართული მხარისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების გზაზე, ერთადერთ იმედად რჩება.

საკვლევი თემის აქტუალობა. საქართველოში არსებული კონფლიქტების საერთაშორისო თვალსაზრისით შესწავლა, მისი ისტორიული პროცესის, სამართლებრივი და კონცეპტუალურ-დოქტრინული საფუძვლების გაანალიზება, ასევე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკური ფაქტორების, სამხედრო კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების მეცნიერული ანალიზი, ძალზედ მნიშვნელოვანია. თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ: **ა)** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის მძიმე შედეგების გამო, საქართველოს მომავალი, მისი ადგილი და როლი მსოფლიოში, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება. **ბ)** აფხაზეთის და ცხინვალის კონფლიქტური რეგიონების საკითხი, ორგანულადაა დაკავშირებული ტერიტორიების და გავლენის ახალ გადანაწილებასთან, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, აქტიურად მიმდინარეობს. აფხაზეთში, ცარისტული და ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების დივერსიული და ეთნოფაბრიკაციის პოლიტიკის შედეგად, სიტყვა „აფხაზი“-ს ისტორიული შინაარსი გაყალბებული იქნა და ქართველთა სამხარეო სადაურობის აღმნიშვნელი ეს სახელი, ოფიციალურ ეროვნებად დაუდგინდა, ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე, საქართველოს ტერიტორიაზე, ჩრდილო კავკასიიდან იმიგრირებულ მოსახლეობას, რომელიც თავის თავს „აფსუა“-ს უწოდებს **(სონღულაშვილი, 2007:10).** ბოლშევიკების მიერ, 1922 წელს, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით, ხელოვნურად შექმნილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, რუს ხელისუფალთა წაქეზებით, ოსმა სეპარატისტებმა, 1990 წლის 20 სექტემბერს, სსრკ-ის სუვერენულ სუბიექტად, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადეს და საქართველოსგან ამ რეგიონის ჩამოცილების მიზნით, ეთნიკური კონფლიქტი გააჩაღეს, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის შედეგადაც დაიღუპა უამრავი

ოსი და ქართველი ეროვნების ადამიანი, ეთნიკური წმენდის შედეგად კი, ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილი გახდა. 2008 წლის აგვისტოს ომი, სწორედ, ამ პროცესების გაგრძელებაა; **გ)** კვლავ აქტუალური რჩება, თუ რა ინტერესები გააჩნიათ მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ქვეყნებს კავკასიის რეგიონში. რუსეთის ხელისუფლების მიზანია, რეგიონში ჰეგემონიის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ გაფართოება და საკუთარ მიზნებზე მორგებული პოლიტიკის გატარება, საქართველოს მოქცევა საკუთარი საზღვრების ზონაში და რუსეთზე საბოლოო მიჯაჭვა. **დ)** საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეთნოკონფლიქტები, კვლავ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების შემაფერხებელ მუხრუჭად რჩება. **ე)** „გაყინული“ კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება, საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური ორიენტაცია და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ცალკეული ფაქტორების ანალიზი, კვლავ აქტუალურია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის საგანია. რუსული აგრესია დღემდე გრძელდება. თემის აქტუალობას განაპირობებს იმ ფაქტების ხაზგასმა, თუ როგორ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქვეყნის პოლიტიკა საერთაშორისო ნორმების დაცვით წარმართოს და ქვეყნის საგარეო კურსი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზით გადაწყვიტოს. თემის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ მართალია, მსოფლიო მასშტაბით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერები არც ისე დიდია, თუმცა თავისი მასშტაბით ამ „პატარა“ კონფლიქტებშიც ნათლად ჩანს უახლოესი დროის მსოფლიო პოლიტიკური პროცესების მაჯისცემა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მისწრაფება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების საქმეში.

ნაშრომის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1991-2008 წლებს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ კვლავ აამოქმედა თავისი მძლავრი იმპერიული მანქანა, ასევე, თავის დროზე, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ჩადებული ნაღმები, რამაც გამოძახილი ჰპოვა XXI საუკუნეშიც - 2008 წლის აგვისტოს

ხუთდღიანი ომის სახით, რომლის შედეგები, ასევე, მძიმე აღმოჩნდა ქართული სახელმწოფსთვის. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ისტორიული წარსულის ანალიზის საფუძველზე, იმის შესწავლა თუ კონფლიქტის ისტორიული ფესვებიდან გამომდინარე, რამდენად სამართლებრივი იყო, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. ჩვენ მიზნად დავისახეთ, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურის, ისტორიული წყაროების და საარქივო დოკუმენტური მასალების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შევისწავლოთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში, კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, გავაანალიზოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტების ისტორიულ-სამართლებრივი საფუძვლები და მათი დარეგულირების პრობლემები.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი. ომის შედეგების გაანალიზებას, თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციისა და პოლარიზაციის პროცესებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ის პერიოდია, როცა XX საუკუნის დასაწყისში, დაინგრა ყველა დროის ყველაზე დიდი იმპერია - საბჭოთა კავშირი და ფაქტობრივად, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ხდება. ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლქსური გამოყენება. ძირითადი პრინციპებია: ყოველმხრივობა, სისტემატურობა, ობიექტურობა, ისტორიული, ლოგიკური და დიალექტიკური განვითარების ერთიანობა. კვლევის ძირითადი მეთოდებია: ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ისტორიული ფაქტების ანალიზისა და წყაროთა პრიორიტეტულობის დადგენის ხერხები.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის, მისი ისტორიულ-სამართლებრივი შეფასების შესახებ, არა ერთი სამეცნიერო სტატია დაიწერა, მონოგრაფიული ნაშრომი, სადაც ერთად

თავმოყრილია, საქართველოში არსებულ რეგიონულ კონფლიქტებთან, ასევე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საერთაშორისო მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორც ქართველ, ასევე, უცხოელ ავტორთა მიერ შექმნილი ნაშრომები და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგების საერთაშორისო შეფასება, აქამდე არ დაწერილა. ამ მხრივ, სადისერტაციო ნაშრომი პირველ მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს, სადაც: **ა)** სამეცნიერო ლიტერატურის და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებასთან დაკავშირებით მიღებული უამრავი რეზოლუციის და დადგენილების შეფასების შედეგად, ნაჩვენებია 2008 წლის აგვისტოს ომის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრებაში; **ბ)** ნაშრომში მეცნიერულადაა განხილული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ისტორიული ფესვები, **გ)** 2008 წლის აგვისტოს ომის ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, **დ)** მოცემულია იმ ფაქტების ანალიზი, რომელიც ომს წინ უძღოდა, **ე)** გამოთქმულია მოსაზრებები კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, **ვ)** ნაშრომში ნაჩვენებია, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ყოველთვის განიხილავდა და დღესაც განიხილავს, როგორც კავკასიაში გეოგრაფიულად ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე მდებარე, თუმცა იმავდროულად, ჯერ კიდევ ყველაზე სუსტ რგოლს. სწორედ, ამ რგოლის გაწყვეტით ცდილობს კრემლის დღევანდელი ხელისუფლება, დასავლეთს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის არსებული გეოსტრატეგიული სივრცის გარღვევას. ხაზგასმულია, რომ რუსეთის მთავრობა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას, დღესაც სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. **ზ)** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორიის გააზრების ფონზე, ნაჩვენებია რუსეთის საფრთხის მნიშვნელობა, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, თანამედროვე მსოფლიოსთვის, რომელიც ღრმა ანალიზსა და ადეკვატური ქმედებების დაგეგმვას მოითხოვს.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების საერთაშორისო შეფასების ანალიზი, კონფლიქტის ისტორიული ფესვების შესწავლა,

ომის შემდეგ შექმნილი რეალური სიტუაციის მეცნიერული ანალიზი. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, რუსული სამხედრო ქალაქების მშენებლობა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფის საფუძველზე, დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შევიმუშავათ რეკომენდაციები, რომელთა ძირითადი არსი ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოკუპანტი სახელმწიფოა, რუსეთის მთავრობასთან დიალოგს და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ალტერნატივა არა აქვს, რაშიც ბუნებრივია, აქტიურად უნდა იყოს ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების, ასევე, რუსული აგრესიის შემაჩერებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, კვლავ, ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები რჩებიან, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ქვეყნის „ნატო“-ში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება განიხილება.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს, როგორც საკითხის ისტორიით დაინტერესებულ პირებს, ასევე, კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დიპლომატებს, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების საელჩოებს, ფონდებს და საზოგადოებრივი კვლევის ცენტრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, თავიანთი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას, ასევე, სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს, სამეცნიერო წრეებს, მომავალ თაობას, ყველა მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია საკითხის ისტორიული ფესვებით, კონფლიქტის წარმოშობის პირობებითა და განვითარებით წარსულში, თუ თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისი სალექციო კურსის წაკითხვის დროს.

თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან არც ისე დიდი დროა გასული, აღნიშნული საკითხი, როგორც ქართული, ასევე, დასავლური ისტორიოგრაფიის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოვლენიდან 8 წლის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომზე, როგორც ქართულ, ასევე, სხვადასხვა ენებზე, ათეულობით მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია დაიწერა. საკითხის შესახებ არსებული ისტორიოგრაფიის გაცნობა საშუალებას გვძლევს, უფრო ღრმად გავიაზროთ რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზები, დეტალურად გავაანალიზოთ ომის შესახებ არსებული ფაქტები და მოვლენები, რაც საბოლოო ჯამში სწორი ანალიტიკური დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის საკითხებზე არაერთი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა. ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიური ოლქის შექმნის რეალური ისტორია არის გადმოცემული ცალკეულ გამოკვლევებსა და სამეცნიერო სტატიებში. ასეთია: ლევან თოიძის ,,როგორ შეიქმნა ,,სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიური ოლქი“, მისივე `25 თებერვლის შემდეგ“ **(თოიძე, 1990),** მისივე `საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები)~ **(თოიძე, 1999)**, ავთანდილ სონღულაშვილის `ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე~ **(სონღულაშვილი, 1993: 35-41),** მისივე `ეთნოკონფლიქტები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში~ **(სონღულაშვილი, 2009:28-32)**, როლანდ თოფჩიშვილის `საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები~ **(თოფჩიშვილი, 1997)**, მისივე `ოსთა საქართველოში განსახლებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემები~, (**თოფჩიშვილი, 2009“5-12),** იგორ კვესელავას სადოქტორო დისერტაცია `საქართველო XX საუკუნის 70-80-იან წლებში~ **(კვესელავა, 1999),** რომელშიც ცალკე თავად არის განხილული ოსური სეპარატიზმი, უ. ბლუაშვილის `ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?~ **(ბლუაშვილი, 2005),** მალხაზ თორიას `იდენტობის

მიების და ეთნიკური მობილიზაციის როლი XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაციაში~ **(თორია, 2009:113-125).**

შიდა ქართლის სოციალური და ეკონომიკური პრობლემებია განხილული დ. პავლიაშვილის ნაშრომში „შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა“ **(პავლიაშვილი, 1998).** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის რეალური ისტორია ასახულია, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნაში: `ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან~ **(1991),** 1922 წლის 20 აპრილს, რუსეთის ხელისუფლებისა და ქართველი კომუნისტების მიერ, ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიის შექმნის ხელოვნურობაზე, სათანადო ეთნოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ბახვა გამყრელიძე თავის სამეცნიერო სტატიაში, `ოსთა მიგრაციული და ეთნოსოციალური პროცესები კავკასიაში~ **(გამყრელიძე, 1997:25-31).** დასავლეთ საქართველოს სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში: კუდაროში, ზემო იმერეთში და ზემო რაჭაში, ოსების ჩამოსახლების ისტორიაზე საუბრობს **გულდამ ჩიქოვანი** სამეცნიერო სტატიაში: `დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის~ **(ჩიქოვანი, 1998:17-22),** ავტორი აღნიშნავს, რომ რაჭისა და იმერეთის ტერიტორიაზე მდებარე ოსებით დასახლებული სოფლები, საბჭოური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ხელოვნურად შეყვანილი იყო ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიურ ოლქში (ჯავის რაიონში). სტატიაში აღნიშნულია, რომ საბჭოური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, მდინარე ყვირილას ზემოწელისა და მისი შენაკადების მონაკვეთი რაჭის ქედიდან ვიდრე სოფელ პერევამდე, როგორც იტყვიან, ეს სისხლხორცეული ქართული ტერიტორია _ შუაზე გახლეჩილი _ ორ რაიონს, ე. წ. ჯავისა და იმერეთის, საჩხერის რაიონებს იყო მიკუთვნებული. ამის მიზეზად კი ის ქცეულა, რომ სწორედ, აქ მოსახლეობენ ოსები, მაგრამ არა განკერძოებულად, არამედ _ ქართველებთან ერთად. ქართულიცა და ოსური სოფლებიც რაჭის ქედიდან სოფელ პერევამდე, ჯავის რაიონის სინაგურის სასოფლო საბჭოში ერთიანდებოდნენ, პერევს ქვემოთ კი საჩხერის რაიონის ჭალის სასოფლო საბჭოში.

1990 წლის 11 დეკემბერს, ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიური ოლქის გაუქმების სამართლიანობას ეხება ვახტანგ ითონიშვილი წიგნში: „ქართულ-ოსურ

ურთიერთობა ისტორიიდან“ **(ითონიშვილი, 1995).** ნაშრომის II თავში, `სამხრეთ ოსეთი _ ცენტრალურ საქართველოში?~, ავტორი ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიური ოლქის შექმნას ცნობილი იმპერიული ფორმულის: `დაყავი და იბატონე~, სრულმასშტაბიან რეალიზაციად მიიჩნევს, რომლის პოლიგონად `ერთმორწმუნე რუსეთმა~ მაინცდამაინც `ერთმორწმუნე საქართველო~ შეარჩია. ავტორის აზრით, ამაზე ნათლად მეტყველებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის (1921წ.) შემდეგ, ახლად შეკოწიწებულ საქართველოს სსრ-ის ერთ ციცქნა ტერიტორიაზე (69,7 ათასი კვ. კმ.) ერთბაშად სამი ავტონომიური ერთეული შეიქმნა: აფხაზეთის ასსრ-ს, აჭარის ასსრ-ის და ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ავტონომიური ოლქის სახით, მაშინ როდესაც რსფსრ-ის ვეება სივრცეებზე, სულ 31 ანალოგიური ავტონომიური ერთეული (16 ასსრ, 5 ავტონომიური მხარე, 10 ავტონომიური ოლქი) ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც რსფსრ-ს ტერიტორია 244-ჯერ აღემატებოდა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიას. ავტორი შეცდომად მიიჩნევს ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ ტერიტორიისთვის სამაჩაბლოს დარქმევას. ამ რიგის ნომინაციასთან დაკავშირებით, ავტორი აუცილებლად მიიჩნევს განიმარტოს, რომ `სამაჩაბლო~ ერთ-ერთი სათავადოს აღმნიშვნელი ტერმინია, იდენტური შინაარსის ცნებების _ `საბარათიანოს~, `საამილახვროს~, `საწერეთლოს~ და სხვათა გვერდით. ის მომდინარეობს დიდი ლიახვის ხეობაში ლოკალიზებულ აჩაბეთში (ან აჩაბეთის ხევში) აღზევებული ფეოდალური სახლის ტოპონიმური წარმომავლობის გვარ-სახელიდან - მაჩაბელი (აჩაბეთი-მაჩაბელი-სამაჩაბლო). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში ე. წ. `სამხრეთ ოსეთის~ არსებობის დაშვება, უბრალოდ არასერიოზულია.

საქართველოში მცხოვრები ოსების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება მკვლევარ ზამირა ქირიას ნაშრომი: „ოსთა საკითხი და ქართული სინამდვილე 1921-1940“ **(ქირია, 2005).** ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ოსი ხალხი ებრძოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფებელ მოძრაობას. ოლქის სეპარატისტული და ექსტრემისტული ძალები კი განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ (1924

წლის 17 ივლისი) (**ქირია, 2005:40**). ავტორი შენიშნავს, რომ ოსებს დაპირისპირება ჰქონდათ ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობასთანაც. დაძაბული მდგომარეობა არსებობდა ოსებსა და ებრაელებს შორის. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართველთა და ოსთა შორის დაღვრილი სისხლით, სპეკულაციას ეწეოდა `მესამე ძალა~ - რუსეთის სახით.

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში განვითარებულ კონფლიქტებს ეხება ფრანგი ავტორების: ი. ბროლთის, პ. ჟოლიკერის, ჟ. ლევესკის ნაშრომი (**Breault, Jolicoeur, Levesque, 2003**). ნაშრომის VII თავში: „საქართველო: რუსეთზე დამოკიდებულებისა და მასთან დაპირისპირების პერიოდებში“, („Georgie: entre dependance et confrontation avec la Russie“) ავტორები საუბრობენ „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში კონფლიქტის განვითარებაზე, ზ. გამსახურდიადან დაწყებული, ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდამდე (**Breault, Jolicoeur, Levesque, 2003:179**).

ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე, ასევე, საქართველოში რუსეთის პოლიტიკურ მიზნებზე, საუბრობს ფრანგი მკვლევარი - ფრანსუა ტუალი თავის წიგნში: „კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი, საქართველო, ჩეჩნეთი“ (**Thual, 2001**). იგი აღნიშნავს: `XVIII საუკუნის ბოლოდან კავკასია წარმოადგენდა, რუსეთის ცარიზმის იმპერიის თაიგულს, იგი ოცნებობდა კავკასიის საშუალებით გასულიყო ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე. ეს ოცნებები პირველად ინგლისმა დააფრთხო, შემდეგ იყო რუსეთის რევოლუცია, რასაც მოჰყვა ტოტალიტარული რეჟიმი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, რკინის ფარდა აღიმართა საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და ევროპას შორის. კავკასიის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, იზოლირებული იქნა გარე სამყაროსაგან. ევროპამ, ფაქტიურად დაივიწყა მათი არსებობა. მხოლოდ 1992 წელს, რუსეთის იმპერიისაგან განცალკევების შემდეგ, სიტყვა კავკასიამ კვლავ დაიმკვიდრა თავისი ადგილი საერთაშორისო საზოგადოების ცხოვრებაში“ **(Thual, 2001: 75).**

ცხინვალის რეგიონის ისტორიას, 1988-1992 წლებში, საკმაოდ გაყალბებულად ასახავს ცხინვალში, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ოსი ავტორების - ა. ჩოჩიევის და მ. ჯიოევის მიერ გამოცემული წიგნი: „Южная Осетия, хроника событий грузинской агрессии 1988-1992“ **(Чочиев, Джиоев, 1996).** სათაურიდან გამომდინარე, მასში

საქართველო და ქართველი ხალხი წარმოდგენილია, როგორც ოსი ხალხის დამპყრობელი. ავტორები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში (1989-1992 წ.წ), ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რესპუბლიკა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ნაშრომი მეტად ტენდენციურია და მხოლოდ უაროფით როლს ასრულებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების საქმეში.

საქართველოს და ქართველი ხალხის დისკრედიტაციას და ისტორიული პროცესების შეგნებულ გაყალბებას ისახავს მიზნად ცხინვალში გამოცემული წიგნი: „На юге Осетии и снег горел“ („ოსეთის სამხრეთში თოვლიც კი იწვოდა“) **(2006)**, რომელიც სხვადასხვა დროის პერიოდული პრესის მასალების ოთხტომეულს წარმოადგენს. წიგნის შემდგენელია ედუარდ სპირიდონის ძე ვალიევი. სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ 1991 წელს, ასევე 2004 წელს, საქართველო ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ოსებს. ავტორთა აზრით, ზოგისთვის ეს კონფლიქტია, ხოლო ოსებისთვის ეს იყო სამამულო ომი მშობლიური მხარის დასაცავად, როცა 117 სოფელი გადაიწვა, რომელთა 30.000 მცხოვრები იძულებული გახდა ჩრდილო ოსეთში ან სხვა რეგიონში გაქცეულიყო, 1000 კაცი იქნა მოკლული და 5000-ზე მეტი დაჭრილი. ეს მონაცემები გაზეთ „სამხრეთ ალანიის“, 1996 წლის 11 მარტის, ნომრიდან არის მოყვანილი. ნაშრომის პირველი თავი, რომლის სათაურია: „Осетины издревне живут на своей земле“, იწყება გაზეთ „Советская Осетия“-ში მ. ჯიოევის მიერ, 1989 წლის 10 ოქტომბერს, გამოქვეყნებული წერილით: „Гости“ ли мы на земле, на которой живем?“, სადაც ავტორი ისტორიული ფაქტების გაყალბების საფუძველზე ამტკიცებს, რომ თითქოს არქეოლოგიური მასალების მონაცემების მიხედვით, ოსები ცენტრალურ კავკასიაში, კერძოდ, მთიან „სამხრეთ ოსეთში“ პალეოლითის ეპოქიდან ცხოვრობენ.

აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, ისტორიულ დოკუმენტებზე და უცხოეთში გამოცემულ რუკებზე დაყრდნობით, ობიექტურად არის შესწავლილი ავტორთა კოლექტივის ნაშრომში: „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“, ავტორები: ჯემალ გამახარია (პროექტის ხელმძღვანელი), ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, თამაზ ბერაძე, ლია ბითაძე, ირაკლი გელენავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა,

გურანდა ფხაკაძე, რეზო ხვისტანი, ბეჟან ხორავა, დაზმირ ჯოჯუა **(2009).** ნაშრომი წარმოადგენს განმაზოგადებელ მეცნიერულ კვლევას აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე -უძველესი დროიდან დღემდე. მასში გადმოცემულია ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების შეხედულებები სადავო საკითხებზე, აფხაზეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში (1917 თებერვალი-1918 წლის მაისი), აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შენადგენლობაში (1921-1937 წწ.), აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990-1992 წწ.), 1992-1993 წწ., ომი აფხაზეთში. წიგნს დართული აქვს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების ამსახველი რუკები. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ომმა უაღრესად ნეგატიური ფონი შექმნა ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დაირღვა აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმები და მეგობრულ-ნათესაური კავშირები, რომელთა აღდგენას, მომავალში გარკვეული დრო დასჭირდება. ამასთანავე, სერიოზული ზიანი მიადგა იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას და ერთიანი კავკასიის იდეას.

რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ეხება დოდო ჭუმბურიძე სტატიაში: „რუსული კოლონიზაცია აფხაზეთში და დასახლება პარნაუთი“ **(ჭუმბურიძე, 2010:49-63).** ასევე, საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ა. სონღულაშვილის წიგნში; „აფხაზი თუ აფსუა?“ **(სონღულაშვილი, 2007).**

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის და ეთნოლოგიური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სვეტლანა ჩერვონნაიამ დაწერა წიგნი: „Абхазия-1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917 1992)“ **(Червонная, 1993),** რომელიც XX საუკუნის საქართველოს უმძიმეს პერიოდს მიუძღვნა. როგორც ავტორი წერს, იგი წინასწარ განწყობილი იყო იმისთვის, რომ პატარა, თავისუფლებისთვის მებრძოლი ეთნოსი - აფხაზები დაეცვა. სვეტლანა ჩერვონნაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (1996) და ყარაჩაევო-ჩერქეზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2003) საპატიო დოქტორია, იგი რუსეთის ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსია (2002). წიგნში ავტორი მოკლედ

მიმოიხილავს აფხაზი ხალხის ისტორიას და მის კავშირს საქართველოსთან. ავტორი იზიარებს აზრს, რომ ამ მიწაზე უძველესი დროიდან ორი ავტოქტონური ხალხი, აფხაზები და ქართველები ცხოვრობდნენ. იგი მიუღებლად მიიჩნევს იმ პოზიციას, რომლის მიხედვით, აფხაზები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ XVII საუკუნეში ჩამოსახლდნენ. იმავდროულად, ის კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ქართველებს ყველაზე მეტი უფლება აქვთ იცხოვრონ აფხაზებთან ერთად ერთ ტერიტორიაზე. ს. ჩერვონნაია უდავოდ და უალტერნატივოდ მიიჩნევს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ავტორის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან ღიად, დაუფარავად აჩვენა, რომ აფხაზეთის ომი – ეს რუსული რეაქციის დიდი ხნის ოცნების განხორციელება იყო, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს დასჯის მიზნით განახორციელა, რადგან „ურჩმა“ რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირში ყოფნა არ ისურვა, რისთვისაც მისთვის უნდა „ჩამოეჭრათ“ აფხაზეთი და სხვა ეთნიკურად ჭრელი რეგიონები. ამ კონტექსტში განიხილავს ის, როგორც თვით აფხაზი ნაციონალისტ-სეპარატისტების (არძინბას მეთაურობით) მოღვაწეობას, ასევე, რუსეთის და ე. წ. „მთის ხალხთა კონფედერაციის“ მოქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ. იგი წერს: „აფხაზური „ნაციონალური კადრები“, პუტჩის პროექტის რეალიზაციისთვის აშკარად არასაკმარისი იყო, თუმცა ყველა, ვისი ჩართვაც ამგვარ საქმიანობაში შეიძლებოდა: მოსკოვში (ტარას შამბა), სოხუმში („მეორე როლზე“ არძინბას გვერდით, სწრაფად დაწინაურებული, იურისტი ზურაბ აჩბა, რომელმაც ალექსანდრე ანქვაბის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა; ასევე, ადგილებზე „ადმინისტრაციის მეთაურთა“ როლებში გადანაწილებული ისეთი „სამხედრო პირები“ (როგორიც მაგალითად ახალ ათონში თემურ ახბა იყო და ა. შ.). მთავარი დატვირთვა „აფხაზური მოვლენების“ მომზადებაში, რუსეთის აგენტებზე იქნა გადატანილი (ყოფილი სუკ-ის შტატიანი და უშტატო თანამშრომლები), ისინი მოქმედებდნენ, როგორც იდეოლოგები, სამხედრო ინსტრუქტორები, კომერსანტები, მმართველები და ა. შ. თითქმის ყველა მათგანმა აფხაზეთში დანიშვნა მიიღო „ნეიტრალური“ დაწესებულებების საფარქვეშ, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მათ ნამდვილ საქმიანობასთან“ **(Червонная, 1993:95).** აღნიშნულ აზრს ს. ჩერვონნაია, მთელ ნაშრომში ფაქტებით და დოკუმენტებით ასაბუთებს.

იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჩერვონნაია, ე. შევარდნაძის აპოლოგეტთა ბანაკშია. მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ის არის დემოკრატიის ლიდერი და საქართველოს გადამრჩენი. ზ. გამსახურდიას მომხრეებს კი იგი რეაქციონერებად და „ნეოფაშისტებად“ ნათლავს (**Червонная, 1993:54-100).** ავტორი მიიჩნევს, რომ ვ. არძინბამ, სწორედ, ზ. გამსახურდიასთან გამონახა საერთო ენა და არა სხვა ძალებთან. მაგალითად, მას მოჰყავს აფხაზეთის ე. წ. ანტიზვიადისტური ძალების (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება, ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფი), ცხუმ-აფხაზეთის მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის განყოფილება, „მხედრიონის“ აფხაზეთის განყოფილება და ა. შ. დეკლარაცია, რომლის ძალითაც „მათ მკვეთრად დაგმეს გამსახურდიას რეჟიმი“ (**Червонная, 1993:101).** სამწუხაროა, რომ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილის აშკარა გავლენით, ს. ჩერვონნაიას ნაშრომი ვერ ასცდა უხეშ შეცდომებს და შეფასებებს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზ. გამსახურდიას შესახებ, იგი წერს: „ეს შემდგომში აღმოჩნდება, რომ ყველაზე დიდი ნაციონალ-პატრიოტი, ზვიად გამსახურდია, რომელიც „ერთიანი“ საქართველოს ტერიტორიაზე „სხვანაირი“ სახელმწიფოს და თანაბარუფლებიანი ეთნოსების არსებობის შესაძლებლობას გონებაშიც კი არ უშვებდა და რომელმაც სისხლით მორწყა (?) საკუთარი ქვეყანა და ყველაზე დიდი ნაციონალ-სეპარატისტი, ვლადიმერ არძინბა, რომელსაც საკუთარი თავი, ლეონ III-დ წარმოედგინა და პირადი პატივმოყვარული გეგმების გამო, საკუთარი სამშობლო სამოქალაქო ომის სამსხვერპლო საკურთხეველზე დადო - ყველაზე ახლო „თანამოაზრეები“ არიან, რომლებიც საკუთარი ხალხების წინააღმდეგ, ომის გეგმებს, ქართული სასახლეების სტუმართმოყვარულ სიმშვიდესა და სიგრილეში განიხილავდნენ“ (**Червонная, 1993:54-55).** იმავე წიგნში ავტორი წერს: „თუ გამსახურდია ინიცირებდა კანონს „სამხრეთ-ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის შესახებ, თუ ის აკურთხებდა ომს „სამხრეთ ოსეთში“ ბოლო ოსამდე, ...მაშინ შევარდნაძის სახელთან, მის კონკრეტულ ნაბიჯებთან და ინიციატივებთან დაკავშირებული იყო სრულიად სხვა კურსი - ღირსეული დამოკიდებულება ავტონომიებთან საქართველოს შემადგენლობაში...“ (**Червонная, 1993:120).** წიგნში ს. ჩერვონნაია აღნიშნავს, რომ 1992

წლის აგვისტოში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „ფართე კაბინეტებში“, მას შეხვედრები ჰქონდა ადამიანებთან, რომლებიც, ძირითადად, „მოსკოვური ან სამხრეთ რუსული კაზაკური კილოკავით“ საუბრობდნენ. იგი შენიშნავს, რომ მის „მასპინძლებში“, აფხაზები უმცირესობას შეადგენდნენ. ს. ჩერვონნაიას წიგნი ითარგმნა ევროპულ ენებზე და გაავრცელა „გაერო“-მ. მიუხედავად, გარკვეული ხარვეზებისა და უზუსტობებისა, წიგნმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აფხაზეთის გარშემო ატეხილი, რუსული პროპაგანდის შეძლებისდაგვარად განეიტრალებაში.

ჯ. გამახარია წიგნში: „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.)“ **(გამახარია, 1991),** აღნიშნულია, რომ საქართველოში რუსეთის იმპერიული ცენტრის მიერ აფხაზეთში, ეთნოკონფლიქტის ინსპირირების რეალური ბერკეტების ფლობის გამო, ზ. გამსახურდიამ კომპრომისული ტაქტიკა განაგრძო მას შემდეგაც, რაც 1991 წლის 31 მარტის, დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა, იმავე წლის 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციამ და 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებმა, სერიოზული დარტყმა მიაყენეს სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში. ამაზე ნათლად მეტყველებს რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური სტატისტიკაც. მიუხედავად „აიდგილარა“-ს და სხვა სეპარატისტული ორგანიზაციების, თვით ვ. არძინბას რეჟიმის მხრიდან ბოიკოტის გამოცხადებისა, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61,27%-მა. საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 60%-მა. თითქმის იგივე მაჩვენებელი განმეორდა საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

სოხუმში რუსულ ენაზე გამოიცა ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას წიგნი: „აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე“ **(Бгажба, Лакоба, 2006).** წიგნი დამტკიცებულია X-XI კლასების სახელმძღვანელოდ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების განათლების სამინისტროს მიერ. მოგვიანებით, 2007 წელს, აღნიშნული წიგნის უკვე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის განკუთვნილი ვარიანტი გამოვიდა, რომლის ტექსტი პრაქტიკულად წინა წიგნის იდენტურია. სამეცნიერო წრეებში ორივე ავტორი კარგად არის ცნობილი. ოლეგ ბღაჟბა -

არქეოლოგია, იკვლევს აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიას. სტანისლავ ლაკობა, აფხაზეთის XIX-XX საუკუნეების ისტორიის მკვლევარია, ის 1991 წელს, სოხუმში გამოცემული „აფხაზეთის ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოს სულისჩამდგმელი და რედაქტორი იყო (აღნიშნული წიგნის ავტორთა შორისაა ო. ბღაჟბაც). ს. ლაკობა აქტიურად მოღვაწეობდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ეკავა. თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორთა მცდელობა იქითკენ არის მიმართული, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ჩამოაცილონ აფხაზეთი და აფხაზობა საერთო ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ სამყაროს და რეგიონის ისტორიული წარსული საერთო-ქართული ისტორიისგან სრულიად მოწყვეტით წარმოაჩინონ. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმძღვანელოში, მთლიანად გატარებულია ე. წ. „აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის“ სეპარატისტული ხედვა, რაც აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში მთლიანად ქართული მხარის დამნაშავედ გამოყვანას გულისხმობს. სახელმძღვანელოში ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი თავი სახელწოდებით: „Отечественная война народа Абхазии 1992-1993 годов“, („აფხაზი ხალხის სამამულო ომი 1992-1993 წლებში“) **(Бгажба, Лакоба, 2006:370-376).** ბუნებრივია, ყველანაირი აგრესიული ქმედება ქართულ მხარეს ბრალდება. ავტორები იმეორებენ მითს იმის შესახებ, თითქოს, 1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების გადაადგილება, საქართველოს სახელმწიფოს (რომლის დამოუკიდებლობა, აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ - მ. ბ.) შიგნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყო ინტერვენცია. სინამდვილეში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დანაშაული მოხდა მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის კოლონას ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან ე. წ. „აფხაზური გვარდიის“ (ანუ უკანონო სამხედრო ფორმირების) „ბოევიკებმა“ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს. აღსანიშნავია, რომ „აფხაზური გვარდიის“ მხრიდან, შეიარაღებული

წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც კონფლიქტის ინსპირირება მოჰყვა, მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე, სამხედრო კონტიგენტის გადაადგილების საკითხი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას წინასწარ პირადად ვ. არძინბასთან ჰქონდა შეთანხმებული. მართალია, სიტყვიერი, მაგრამ შეთანხმება, თბილისსა და სოხუმს შორის, სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, ნამდვილად არსებობდა. ეს ოფიციალურად დაადასტურა ალექსანდრე ანქვაბმა - დღევანდელი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ოფიციალურმა პირმა, იმჟამად, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა. სახელმძღვანელოს ავტორები, ყველანაირად ცდილობენ მკითხველი იმაში დაარწმუნონ, რომ ე. წ. „სამამულო ომი“ აფხაზმა ხალხმა მოიგო, მოძმე ჩრდილო-კავკასიელი და კაზაკი მოხალისეების დახმარებით“. რეალურად კი მთავარ დამრტყმელ ძალას, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შეიარაღებული დაპირისპირების შედეგებზე, ოფიციალური რუსული სამხედრო მანქანა იყო, თავისი არტილერიით, ავიაციით და სამხედრო ფლოტით. სამხედრო ოპერაციებს უშუალოდ წარმართავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს შეაძულოს აფხაზ ბავშვებს ქართველები და ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოგვარების გახანგრძლივებას.

ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის რეალური ისტორიის შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანია რუსულ და ქართულ ენებზე გამოცემული, დოკუმენტების კრებული: „აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული“, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორია თამაზ დიასამიძე **(დიასამიძე, 2004).** ეს არის ქრესტომათიული გამოცემა, რომელშიც დოკუმენტების ერთი ნაწილი პირველად ქვეყნდება მათი მიმდინარე პერიოდში პუბლიკაციიდან ათეული წლების შემდეგ, მეორე ნაწილი კი წინათ მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის თუ იყო ცნობილი. კრებულში, რომლის ელექტრონული ვერსიაც, ასევე, განთავსებულია ინტერნეტში, გადმოცემულია 1917-1988 წლებში აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რეგიონების სტატუსის ამსახველი 198 უმთავრესი პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტი, კერძოდ: 1.ავტონომიური

რეგიონების სტატუსი და კონსტიტუციები; 2.სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი და შიდარესპუბლიკური შეთანხმებები ავტონომიური რეგიონების სტატუსთან დაკავშირებით; 3.ავტონომიური რეგიონების, საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა გაერთიანებების, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის და სსრ კავშირის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული აქტები, აღნიშნული რეგიონების სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით; 4.საქართველოს და სსრ კავშირის კონსტიტუციები და კანონები ავტონომიური რეგიონების სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით; 5. სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. კრებულში ბევრი დოკუმენტი მოცემულია შემოკლებით, ამონაკრების სახით, ისე რომ დოკუმენტის ძირითადი შინაარსი დარღვეული არ არის.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - მერი გაბედავას წიგნი: „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი“ **(გაბედავა, 2009).** ნაშრომში განხილულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზები, საუბარია კონფლიქტის სამართლებრივ-პოლიტიკურ ასპექტებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე საქართველოში განხორციელებულ რუსეთის ღია აგრესიაზე. წიგნში გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული და დახატულია ის ისტორიული სურათი, რამაც ორი ქვეყანა 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიიყვანა. ავტორი ხაზს უსვამს საკუთარ პოზიციას დასავლეთის პოლიტიკოსების მიმართ, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით და იმედს იტოვებს, რომ ევროკავშირის საგამომძიებლო კომისია ომის მოვლენებს ობიექტურ შეფასებას მისცემს. ავტორს მოჰყავს უინსტონ ჩერჩილის ცნობილი აზრი: „რწმენა იმისა, რომ უსაფრთხოება შეიძლება მოიპოვო მგლების ხროვისათვის მცირე სახელმწიფოს გადაგდებით, საბედისწერო შეცდომაა“ **(გაბედავა, 2009:4).**

2008 წლის აგვისტოს ომს ეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების - ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას წიგნი: „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“ **(გამისონია, პერტაია, 2009).** ნაშრომში საუბარია დასავლეთის სახელმწიფოების როლზე საქართველოში

არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში (**გამისონია, პერტაია, 2009: 248**). ხაზგასმულია პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პოზიცია 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში, შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ავტორები საუბრობენ მსოფლიოში ენერგეტიკის, ასევე, სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგოდერეფნის მნიშვნელობაზე. 2002 წლის 16 დეკემბერს, ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომელსაც „ბერლინ პლუსის შეთანხმებები" ეწოდება და რომლითაც „ნატო"-სგან ევროკავშირს მიეცა მთელი რიგი სამხედრო ბერკეტები, იმ კონფლიქტების მოსაგვარებლად, რომელშიც „ნატო" უშუალოდ ვერ ახერხებდა მონაწილეობას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

2009 წელს გამოიცა წიგნი: „აგვისტოს ნანგრევებში" (**2009**). ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ. ნაშრომის შექმნაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", ადამიანის უფლებათა ცენტრი „21-ე საუკუნე", კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი. ეს არის 200 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც უხვი ფოტო და ვიდეომასალითაა გამაგრებული და 1000-ზე მეტი დევნილი ოჯახის ჩვენებას ეფუძნება. ანგარიშის სამუშაო ვერსია ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაეგზავნა. წიგნი კონფლიქტის მსხვერპლთა პირად ინტერვიუებზეა დაფუძნებული და დიდძალ ფაქტობრივ მასალას შეიცავს.

დოდო პერტაიას ავტორობით გამოვიდა წიგნი: „აგვისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი" გლობალურ პოლიტიკაში" (**პერტაია, 2011**). ავტორი ხაზს უსვამს „ნატოს" ორმაგ პოლიტიკას. მისი აზრით, მიუხედავად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პოზიციისა, რომელიც კატეგორიულად მოუწოდებდა რუსეთს 12 აგვისტოს სამშვიდობო გეგმის შესრულებისკენ, რაც 6 აგვისტომდელ პოზიციებზე დაბრუნებას ითვალისწინებს, „ნატო" აღმოჩნდა ის ორგანიზაცია, რომელმაც უკან დაიხია და რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობები ისევ აღადგინა იმ მოტივით, რომ „რუსეთი

მნიშვნელოვანი მოთამაშეა, გლობალური მოთამაშეა - ეს კი ნიშნავს, რომ მასთან საუბარს ალტერნატივა არა აქვს“ **(პერტაია, 2011:145-146).**

გენერალი გიორგი ყარყარაშვილი, წიგნში: „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“ **(ყარყარაშვილი, 2009),** გადმოგვცემს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო სურათს. ავტორი, საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას ღიად სდებს ბრალს და ადანაშაულებს, რადგან რუსულ პროვოკაციას წამოეგო. გ. ყარყარაშვილი აღნიშნავს, რომ 6 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულ თათბირს, სამხედრო პირებთან ერთად, პოლიტიკური პირები (შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის მერი და ა. შ.) ესწრებოდნენ **(ყარყარაშვილი, 2009:9).** სწორედ, მათ უარყვეს ვიცე-პოლკოვნიკ ბალახაძის წარმოდგენილი გეგმა, რის მიხედვითაც, ქართულ ნაწილებს ცხინვალისათვის საერთოდ არ უნდა შეეტიათ, არამედ შეტევა უნდა მომხდარიყო ცხინვალის მარცხნივ - ავნევი-ხეთაგუროვი-ძარის, ხოლო მარჯვნივ - ჩრდილო-დასავლეთით ერედვი-თლიაყანის მიმართულებით. ყარყარაშვილის თქმით: „ცხინვალზე შეტევის დავალება შსს-მ იკისრა. აქედანაც ჩანს, რომ ცხინვალთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არ იყო სამხედროების აზრი“ **(ყარყარაშვილი, 2009:11).** ავტორის აზრით, სამხედრო საქმე უნდა დაგეგმოს სამხედრო და არა პოლიტიკურმა პირმა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს ბოლომდე; სამხედრო საქმის წარმართვა, ბუნებრივია, პროფესიონალთა საქმეა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი ტერიტორიის დასაცავად ამ ნაბიჯის გადადგმის უფლება ჰქონდა, განსხვავებით რუსეთის ხელისუფლებისგან, რომელიც მშვიდობისმყოფელის მანტიით, ფაქტობრივად, მხარედ გვევლინება 2008 წლის ომში. საქართველოს მხარე ჩაერთვებოდა თუ არა ომში, რუსეთის მთავრობა საკუთარ გეგმებს მაინც განახორციელებდა, ისტორიულად რუსეთის ხელისუფლება, სეპარატისტებთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტომდეც, აწარმოებდა ომს საქართველოს წინააღმდეგ და რუსეთის ხელისუფლებას თავის განზრახვაზე უარს ვერავინ ათქმევინებდა. რუს ხელისუფალთა ერთადერთი შემაკავებელი ბერკეტი ძლიერი საერთაშორისო ზეწოლა იყო, რასაც 2008 წელს ადგილი არ ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება, ფაქტობრივად, მარტო დარჩა აგრესორის პირისპირ და სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ლეგიტიმური სამხედრო წინააღმდეგობა

გაეწია მტრისთვის, არ დარჩა. შეიძლება არასწორი იყო ის ხერხი, მეთოდები, ასევე, სამხედრო მოქმედების გეგმა, რომლითაც საქართველო ჩათრეული აღმოჩნდა ამ ომში, თუმცა საქართველოს ხელისუფლების მოქმედების შეფასება ცალსახად არასწორია და საჭიროებს ისტორიული წარსულის გათვალისწინებას. ავტორი ბრალს სდებს საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას იმაში, რომ ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლებიდან მოსახლეობის დროული ოკუპაცია არ მოხდა, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგემ ეს პროცესი, საკუთარი მოსახლეობის მიმართ, ჯერ კიდევ 3 აგვისტოს დაიწყო. ავტორი ბრალს სდებს, ასევე, საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, რადგან მან უშიშროების საბჭო არ მოიწვია და თუკი მართლა იყო დაგეგმილი ქართული სამხედრო ნაწილების მოქმედებაზე გადასვლა, საამისოდ არც სამხედრო-სტრატეგიული გათვლები შემუშავებულა **(ყარყარაშვილი, 2009:23).**

წიგნში ქრონოლოგიურად არის გადმოცემული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო ოპერაციები, ხაზგასმულია იმდროინდელი ხელისუფლების სამხედრო-სტრატეგიული შეცდომები, რასაც წინ კარგად დაგეგმილი რუსული სამხედრო პროვოკაცია უძღოდა. საყურადღებოა ისიც, რომ თვით რუსეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი - ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ხელისუფლების პროვოკაციას „გეგმას" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს გეგმა გაცილებით ადრე, 2006 წლის ბოლოსა და 2007 წლის დასაწყისში დამტკიცდა. წიგნის ბოლოს ავტორი აღწერს იმ დამამცირებელ ქმედებებს, რასაც რუსი სამხედროები ქალაქ გორიდან გასვლისას ჩადიოდნენ. გენერალ გიორგი ყარყარაშვილის წიგნი, საინტერესო წყაროა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო ასპექტებით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. წიგნში, საკმაოდ კრიტიკულად არის შეფასებული საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ სამხედრო-სტრატეგიული კუთხით გადადგმული ნაბიჯები, რომლის გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება ხელისუფლებაში მყოფ პირებს, რათა მომავალში თავიდან აიცილონ შეცდომები.

აღსანიშნავია დაზმირ ჯოჯუას წიგნი: „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები" **(ჯოჯუა, 2010).** ნაშრომში ფართოდ არის მიმოხილული არა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის

გამომწვევი მიზეზები, არამედ ზოგადად საუბარია რუსულ-ქართული კონფლიქტის საფუძვლებზე, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს „ირიბი“ დაპყრობის გეგმაზე, რომლის საილუსტრაციოდ მოყვანილია „სიტინის გეგმა“, რომელიც „რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გიორგი ჩიჩერინს, 1921 წლის 26 აპრილს, შიდაუწყებრივი მემორანდუმის სახით, გაუგზავნა საქართველოში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშემ - გენერალმა პ. სიტინმა“ **(ჯოჯუა, 2010:55).** მასში დეტალურადაა აღწერილი ის ნაბიჯები, რომელთა შესრულებასაც, რუსეთის ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევდა, რათა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი პოზიციები განემტკიცებინა. ავტორი ხაზს უსვამს მაშინდელი რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების სურვილს - მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია. ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მნიშვნელობა რუსეთისათვის. ავტორი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბარს, ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზის ფონზე ახორციელებს. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს პოლიტიკურ სიტუაციას შევარდნაძის მოღვაწეობის დასასრულიდან (2003 წ.), 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე. ავტორი ხაზს უსვამს, რომ გარდა ცხინვალის რეგიონისა, კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების გეგმა შეიქმნა, ასევე, აფხაზეთის მიმართაც. ავტორი ვრცლად საუბრობს რუსულ პროვოკაციულ ქმედებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, ჯერ კიდევ 2008 წლამდე. დ. ჯოჯუა ნაშრომში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდსაც, ეხება. დ. ჯოჯუას წიგნი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, საინტერესო ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს. რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე მსჯელობისას, ავტორი წარმოაჩენს ყველა იმ პრობლემურ საკითხს, რაც საინტერესოა აღნიშნული თემით დაინტერესებული მკითხველისთვის.

„ომი სამართალი მშვიდობა“, ეს არის ორგანიზაცია - „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ (ორგანიზაცია - „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა 2007

წლის 5 აპრილს. ორგანიზაცია იღწვის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე - მ. ბ.), მიერ გამოცემული ნაშრომი, რომლის რედაქტორია ნ. ციხისთავი. ნაშრომი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებს ეხება და განიხილავს მოვლენის იურიდიულ მხარეებს, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით **(ციხისთავი, 2010).** წიგნი ძირითადად აგებულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით, განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ანგარიშებსა და სხდომათა სტენოგრამებზე. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზემოაღნიშნული კომისიის მიერ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კითხვა-პასუხის რეჟიმს, რომელიც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომში მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, წიგნში მოცემულია ცხინვალის რეგიონში, სამშვიდობო ქართული ძალების სარდლის მამუკა ყურაშვილის, უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლომაიას და ასევე, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პასუხები კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა კონფლიქტური რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა თუნდაც 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, როდესაც ორმხრივი სროლები უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა?! კითხვაზე: არსებობდა თუ არა ევაკუაციის გეგმა?, მამუკა ყურაშვილის პასუხი ასეთი იყო: „ა, როგორ არა, არსებობდა, კი. უბრალოდ თვითონ, უშუალოდ, როგორც ასეთი, რომ რაღაცა კატასტროფული დაცლა მოხდებოდა, ეგ ეხლა ძნელი ისე იყო, წარმოსადგენი, რომ ჩვენ ამხელა ძალა დაგვიპირისპირდებოდა და ისე, ხახადაღებულ რუსეთს შევხედავდით ჩვენ პირდაპირ, იგივე, ავნევის და სარბუკის საგუშაგოდან არავის არ ეგონა“ **(ციხისთავი, 2010:83).** ყურაშვილი, ასევე, ხაზგასმით აცხადებს, რომ: „საომარი მოქმედება, როგორც ასეთი, არ იგეგმებოდა არასოდეს...“ **(ციხისთავი, 2010:84).** ავტორის დასკვნით, მაქსიმალური ობიექტურობის შემთხვევაშიც კი, როგორც ვხედავთ, ძნელია, მამუკა ყურაშვილს შევუქოთ სიტყვათა ლოგიკური წყობა ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, თუმცა ამ წყობის

მიღმა ჩვენ შესანიშნავად ვხედავთ იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომელიც, ყურაშვილის განცხადებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ნამდვილად არ ელოდა, რომ რუსეთი იმ მასშტაბის ძალების მობილიზაციას მოახდენდა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც მოახდინა. საინტერესოა ალექსანდრე ლომაიას პასუხი, იმავე კითხვაზე, მოსახლეობის ევაკუაციის გეგმის შესახებ: „როგორც გითხარით, სრულმასშტაბიანი აგრესია და სრულმასშტაბიანი ოკუპაცია ნამდვილად არ განიხილებოდა არც ჩვენ და არც ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ, როგორც რეალისტური სცენარი“ (ციხისთავი, 2010:85). გაცილებით ვრცელი და უფრო მწყობრია საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის პასუხი იმავე კითხვაზე ევაკუაციის საკითხის შესახებ, რაზეც იგი ვრცლად პასუხობს და იხსენებს 1 აგვისტომდე, იტალიაში დასასვენებლად ყოფნისას მერაბიშვილთან განხორციელებულ სატელეფონო ზარებს, რომლებშიც, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, იგი მერაბიშვილს ეუბნებოდა, რომ არ მოსწონს ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაცია, მერაბიშვილი კი პასუხობდა, რომ პრინციპში ადგილზე განსაკუთრებული არაფერი ხდება (ციხისთავი, 2010:86). საქართველოს პრეზიდენტი ამბობდა, რომ მოწინააღმდეგემ აგვისტოს დასაწყისიდან მოახდინა სოფლებიდან საკუთარი მოსახლეობის ევაკუაცია და „დაიწყო სამხედრო ტექნიკის შემოსვლა. როგორც კი წავიდა მოსახლეობა, იმ წუთშივე სადღაც 5-ში, 6-ში დაიწყო სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამატება“ (ციხისთავი, 2010:87-88). დასასრულს, მიხეილ სააკაშვილმა დასმულ კითხვაზე საბოლოო პასუხი შემდეგნაირად გასცა: „რა თქმა უნდა, თქვენ დამისვით კითხვა, რომ რატომ უფრო ადრე არ გავაკეთეთ. ალბათ, ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან. რატომ? იმიტომ, რომ ეს ესკალაცია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმდენად ქრონიკულ ხასიათს ატარებდა მთელი ამ წლების და თვეების განმავლობაში, რომ ის მომენტი, ის დაჭერა, რომ აი, ეხლა უნდა გამოვიყვანოთ მოსახლეობა ეს ჩვენი, ჩვენი ხეობის მოსახლეობა, იქ იყო გმირული მოსახლება“ (ციხისთავი, 2010:90). როგორც ვხედავთ, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი საბოლოოდ ადასტურებს იმ მოულოდნელობის ეფექტს, რომელიც რუსეთმა თავისთვის ასე წარმატებულად გამოიყენა 2008 წელს. ძნელია არ დავეთანხმოთ სააკაშვილს, რომ მართლაც რთული

იყო იმ მომენტის დაჭერა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაეწყო საკუთარი მოსახლეობის ევაკუაცია. აქ თავს იჩენს კიდევ ერთი რთული და სათუთი მომენტი, რომელსაც ისევ რუსულ ვერაგობამდე მივყავართ - მოსახლეობის ევაკუაციის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი როგორ შეფერილობას მისცემდა საქართველოს ხელისუფლების აღნიშნულ ღონისძიებას? განა ჩვენი ხელისუფლების ეს ქმედება იმავე წამს ომის დაწყებად არ მოინათლებოდა? თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი არ უნდა გამოვიყენოთ, ამ შემთხვევაში სააკაშვილის ხელისუფლების გასამართლებლად, რადგან მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს, ზოგადად ვერასოდეს ვერაფერი ამართლებს და თქმა იმისა, რომ „ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან" არავითარ არგუმენტს არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში, რადგან ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლების მიმართ ხალხი ნდობას გამოხატავს იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება „ელოდოს" ყველაფერს და გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ესა თუ ის მომენტი „ხელიდან არ გაუშვას". თუმცა ნათელია საკითხის მეორე მხარეც - ევაკუაციის განხორციელების შემთხვევაში თავად ქვეყნის შიგნით, მოსახლეობასა თუ მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებში, დაიწყებოდა პანიკა და ხელისუფლების კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ხელისუფლება ტერიტორიებს ნებაყოფლობით თმობს და ა. შ. მიუხედავად ამისა, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის თავიდან არ აცილება ძნელია გავამართლოთ ნებისმიერი არგუმენტით. წიგნში მოცემულია ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირად ქცეული რამდენიმე ადამიანის მაგალითი, რომელთა დაკმაყოფილებაც ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეძლო, თუმცა ამგვარი მაგალითების მიმოხილვა შორს წაგვიყვანს. ნაშრომი, იურიდიული კუთხით, საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, იმავე იურიდიული კუთხით შესრულებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია, ასევე, განათლებით იურისტ გელა გელაშვილის წიგნი: „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება" **(გელაშვილი, 2011).** წიგნი წარმოადგენს საკითხის იურიდიული მხარის საკმაოდ მოკლე მიმოხილვას. ნაშრომში ხაზგასმულია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მომენტები.

საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რუსეთის მიღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მართალია, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ოფიციალურად 2012 წლის 22 აგვისტოს მიიღეს, მაგრამ ამ ფაქტს წინ უძღოდა 19 წლიანი მოლაპარაკების პროცესი, რაც ნაშრომში სათანადოდ არის მიმოხილული. ავტორი, ასევე, ხაზს უსვამს რუსეთისთვის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების სარგებლიანობას და დაასკვნის: „მსო"-ში გაწევრიანება იქნება ახალი საფეხური რუსეთის უფრო აქტიური მონაწილეობისა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და დიდი რვიანი" **(გელაშვილი, 2011:38-39).** წიგნში, ასევე, ხაზგასმულია ევროპის ქვეყნების პოზიცია, რომელთაც, ცხადია, თანხმობა განაცხადეს რუსეთის „მსო"-ში გაწევრიანებაზე, ისევე როგორც საქართველომ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 2000 წლის 14 ივნისიდან), რადგან აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ყველა ქვეყნის თანხმობის საფუძველზე. მართალია, დღეისათვის არსებული ვითარება მსოფლიოში უკვე განსხვავებულია, მეტწილად უკრაინის კრიზისის გამო, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. ავტორის აზრით, რუსეთის „მსო"-ში მიღებით კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ ევროპის ქვეყნებს გარკვეული, სოლიდური ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს რუსეთთან, რომელსაც საქართველოსა თუ სხვა რომელიმე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის არაწევრი ქვეყნების „დახმარებაში" ნამდვილად არ გაცვლის" **(გელაშვილი, 2011: 40).** წიგნში მიმოხილულია „გაერო"-ს საერთაშორისო სასამართლოს მიერ, საქართველო-რუსეთის საქმის განხილვის შედეგები, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთი, საკუთარი პროვოკაციული ქმედებებით, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება 2011 წელს გამოცემული ნაშრომი: „კონფლიქტების ანატომია", რომლის ავტორია შოთა მალაშხია (იმდროინდელი საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და პარლამენტის დროებითი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე - მ. ბ.) (**მალაშხია, 2011**). ავტორი განიხილავს ევრაზიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან კონფლიქტს და მათ მიმართებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილ ვითარებასა და

პოლიტიკურ-ისტორიულ თუ ეთნიკურ წანამძღვრებთან. საკუთრივ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, ავტორი ნაშრომის დასაწყისშივე საუბრობს და რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში ომის დაწყების მიზეზებზე მსჯელობისას, ხაზს უსვამს ორ მეტად მნიშვნელოვან მომენტს, რომელმაც ავტორის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ რუსეთ-საქართველოს ომი სწორედ, 2008 წლის ზაფხულში, აგვისტოს თვეში მოხდა. **პირველი** - 2007 წლის 15 ოქტომბერს „გაერო"-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია #1781, „რომელშიც ცალსახად არის აღიარებული, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შინ დაბრუნების უფლება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას დევნილის ინდივიდუალური საკუთრების უფლებაზე" (**მალაშხია, 2011:11-12)**. ავტორი, ასევე, ეხება „გაერო"-ს, 2008 წლის 15 აპრილის, რეზოლუციას, რის მიხედვითაც უმოკლეს ვადებში უნდა დასრულებულიყო მუშაობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ და კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარიყო დევნილების დაბრუნება (**მალაშხია, 2011:12)**. „როგორც ცნობილია, სექტემბიდან იგეგმებოდა აქტიური მუშაობის დაწყება „გაერო"-ს ზემოხსენებულ რეზოლუციათა შესრულების მიმართულებით... ამიტომ რუსეთის არმიას სექტემბრამდე უნდა დაემთავრებინა ყველაფერი" (**მალაშხია, 2011:13)**. ავტორი, ასევე, ეხება იმ სახარბიელო ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც 2008 წლის ზაფხულში იყო მსოფლიოში, როდესაც „ივლისში ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს - 147 დოლარს მიაღწია" (**მალაშხია, 2011:14)**. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის ეკონომიკაზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითად აისახა. რუსეთ-საქართველოს ომის, 2008 წლის აგვისტოში, დაწყების მეორე მიზეზად ავტორი მიიჩნევს „ნაბუქო"-ს გაზსადენის პროექტს, რომელსაც როგორც გვახსოვს, კასპიის აუზში არსებული ბუნებრივი აირის საქართველოს გავლით ევროპისაკენ ტრანსპორტირება უნდა უზრუნველეყო. ავტორი წერს: „დასავლური მედია აღნიშნავდა, რომ „ნაბუკო"-ს იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით შემოდგომაზე იგეგმებოდა მნიშვნელოვანი შეხვედრები... კრემლი ამ პროექტს შიშით უყურებდა, რადგან „ნაბუკო"-ს მეშვეობით ევროპას, რუსეთის გვერდის ავლით, აიროვანი ენერგორესურსის მიღების მნიშვნელოვანი, ალტერნატიული წყარო გაუჩნდება" (**მალაშხია, 2011:14)**.

აღნიშნული ორი ფაქტის ხაზგასმით, ავტორი გამოკვეთს რუსეთის მიერ საქართველოში, კონკრეტულ ვადებში, ომის დაწყებისა და სასურველი შედეგის მიღწევის პოლიტიკას. ავტორის აზრით, ყოველი ნაბიჯი, რუსეთის მხრიდან იმდენად ზუსტად იყო დაგეგმილი, რომ „სააკაშვილს ისღა დარჩენოდა ან სამუდამოდ დაეკარგა სეპარატისტული რეგიონები, ან იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საკუთარი სამშვიდობო კონტიგენტის დასაცავად, იმთავითვე უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულიყო...“ (**მალაშხია, 2011:14).** ნაშრომი საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში მოცემულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა კონფლიქტის შინაარსი და ისტორია, რაც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

ქართულ ენაზე თარგმნილია, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიში: „არ შეუძლია? თუ არ უნდა? არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე“, ოგე ბორჩგრევნიკი და გუნარ მ. ეკელოვე-სლიდალის რედაქტორობით. სათაურიდან გამომდინარე ცხადია, რომ აღნიშნული კომიტეტის ანგარიში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ჩადენილ სამხედრო დანაშაულების გამოკვლევას ეხება. ანგარიშის დასაწყისში აღნიშნულია: „ქართველი გამომძიებლები ვერ შედიან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც ყველა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. ამის გამო, საქართველოს არა აქვს საშუალება, იქ და რუსეთში, სადაც სავარაუდოდ მთავარი დამნაშავეები იმყოფებიან, თუნდაც სურვილის შემთხვევაში, ეფექტურად გამოიძიოს ზოგიერთი სერიოზული ბრალდება, რომლებიც 2008 წლის ომის დროს წარმოიშვა“ **(ბორჩგრევნიკი, ეკელოვე-სლიდალი, 2011:4).** აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას უწოდებს „უუნაროს“ აღნიშნული დანაშაულის გამოძიების საქმეში და აუცილებლად მიიჩნევს მსგავსი ტიპის დანაშაულების განხილვას კონფლიქტის ყველა მხარის მიერ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც აუცილებელია გამომჟღავნდეს ყოველგვარი სამხედრო დანაშაული, რომელიც 2008 წლის ომის დროს ჩადენილა, როგორც საქართველოს, ასევე, რუსეთის მხრიდან, აუცილებლად უნდა გამოვლინდნენ და შესაბამისად დაისაჯონ დამნაშავენი კონფლიქტის მონაწილე

ორივე მხრიდან. ნაშრომი საინტერესოა 2008 წლის აგვისტოს ომის სამართლებრივი კუთხით შესასწავლად.

პროფესორ დიმიტრი შველიძის წიგნი: „გზა დასავლეთისკენ (პუბლიკაციების კრებული)“ **(შველიძე, 2012),** ეძღვნება XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, კერძოდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდიდან, საქართველოს დასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსის შესახებ, ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების, სტატიების, სამეცნიერო და პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციების მიმოხილვას და ანალიზს. მართალია, ნაშრომი უშუალოდ 2008 წლის რუსულ აგრესიას არ შეისწავლის, მაგრამ ამ კონფლიქტისათვის ავტორს ნაშრომში ცალკე რამდენიმე თავი აქვს დათმობილი, სადაც იგი საინტერესოდ მიმოიხილავს პრობლემის შესახებ არსებულ მასალებს და მკითხველს საკუთარ შეფასებას და შეხედულებას სთავაზობს. სანამ უშუალოდ 2008 წელს საქართველოში მომხდარ მოვლენებს შეეხება, ავტორი მიმოიხილავს, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებულ ცვლილებებს, რომელიც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციაში მოხდა. საუბარია 1994 წელს ამერიკის პრეზიდენტის - ბილ კლინტონის ინიციატივით შექმნილ პროგრამაზე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელშიც გაერთიანდა ათეულობით ქვეყანა: „პარტნიორ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ „ნატო“-ს სამშვიდობო ოპერაციებში და საქმიანობის სხვა სფეროებში: სამხედრო სწავლებები, სემინარები, სასწავლო კურსები და ა. შ.“ **(შველიძე, 2012:447).** „ნატო“-ში ახალი წევრების მიღების საკითხზე საუბრისას, ავტორი ეხება 2002 წლის „ნატო“-ს პრაღის სამიტს, რომელზეც 7 ქვეყნის მიღება გადაწყდა ალიანსის შემადგენლობაში. ეს ქვეყნებია: რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია და სლოვაკეთი. აღნიშნულ სამიტთან დაკავშირებით ავტორი წერს: „მაშინ მჭერმეტყველურად აღნიშნავდნენ: როცა „ნატო“-ს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა სამიტის მონაწილეებს „ნატო“-ს ახალი მიწვეული სახელმწიფოების სია გააცნო, მაგიდაზე ვაცლავ ჰაველის ნაჩუქარი ჩაქუჩი დაარტყა და ამით უკანასკნელი ლურსმანი ჩაარჭო იალტის კონფერენციის კუბოშიო. მართლაც, 1945 წლის თებერვალში, დიდმა სამეულმა, ერთის მხრივ რუზველტისა და ჩერჩილის, მეორეს მხრივ, სტალინის

მოლაპარაკებების შედეგად, მომავალი ევროპა ორად გაჰყო“ **(შველიძე, 2012:446).** ავტორი დასძენს, ამ შემთხვევაში, პრაღის სამიტზე „ნატო“-ში გაწევრიანებული ქვეყნების ბედი, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოტივებთან ერთად, გეოგრაფიულმა ფაქტორმაც განსაზღვრა - ეს ქვეყნები ახლოს იყვნენ ცენტრალურ ევროპასთან და ამავე დროს, რუსეთის ინტერესებისაგან მოწყვლად სახელმწიფო ერთეულებს წარმოადგენდნენ. ნატო-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვას, ავტორი 1994 წლიდან იწყებს, როდესაც საქართველო მონაწილეობას იღებდა, აშშ-ს პრეზიდენტის მიერ ზემოაღნიშნულ პროექტში: „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ავტორი წერს: „1998 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ ორგანიზებულ ან მის მხარდაჭერილ აქციებში. 2001-2002 წლებში ქვეყანამ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით 242 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, კოსოვოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში და სხვა“ **(შველიძე, 2012:450).** „ნატო“-საქართველოს თანამშრომლობაზე საუბრისას, ავტორი შენიშნავს იმ პრობლემებსაც, რომელიც წინ ეღობება საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და რომელთაგან საქართველოსთვის ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს „ნატო“-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის #17 პუნქტი. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, გადაჭრას ეს პრობლემები მშვიდობიანი გზებით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“ **(შველიძე, 2012:451).** საქართველო-„ნატო“-ს ურთიერთობების მიმოხილვის შემდეგ, წიგნში საუბარია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ქრონიკაზე, რომელსაც წინ უძღვის ავტორის მიერ კონფლიქტის მოკლე ისტორიული ექსკურსი, სადაც იგი სამართლიანად ხაზს უსვამს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მნიშვნელობას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. ავტორი საინტერესო დასკვნას აკეთებს, რადგან კონკრეტულად საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მაგალითზე, 2008 წელს რუსული იურიდიული არგუმენტაცია საკუთარი მოსახლეობის დაცვისა, მართლაც, ყველასათვის ცხადი და ბლეფი გახდა. თუმცა ამის მიუხედავად,

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენიათ და რუსეთთან თანამშრომლობის პოლიტიკას კვლავ აქტიურად განიხილავენ და ახორციელებენ, რაც, მათივე პოზიციებიდან გამომდინარე პრაგმატულია და საკუთარი არგუმენტაციაც გააჩნია. ავტორი ასახელებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სამომავლო განვითარების ხუთ სავარაუდო სცენარს, რომელიც მან ასე ჩამოაყალიბა: „პირველი სცენარი - ორივე სეპარატისტულ რეგიონზე აღდგება საქართველოს იურისდიქცია და ქვეყანა ერთიანდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში“ (**შველიძე, 2012:480**). ეს მოვლენათა განვითარების ყველაზე სასურველი და ყველაზე ნაკლებ სავარაუდო სცენარია, რადგან რუსეთს სანამ სახელმწიფო ჰქვია იმ სახითა და იმ რესურსით, როგორითაც ის დღეისათვის არსებობს, საქართველო „ნატო“-ში უბრალოდ ვერ შევა, ხოლო „ნატო“-ში შესვლას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებასთან ერთად კი საერთოდ ვერ მოახერხებს, რადგან სწორედ, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკან სწრაფი სვლისა და კონფლიქტურ რეგიონებში დაძაბულობის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობის გამო, 2008 წელს რუსეთმა არა თუ საქართველოს სამხედრო გზით „დასჯა“ არამედ ქვეყნის ხელისუფლების შეცვლა მოინდომა. „მეორე სცენარი - საქართველო იბრუნებს აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს და ცხინვალის რეგიონს და შედის „ნატო“-ში. მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დიპლომატიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სანქციების შედეგად, რუსეთმა შესაძლოა, დათმოს ცხინვალის რეგიონი და გარკვეული მისთვის მისაღები სტატუსის სახით სცნოს მასზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება. ამავე დროს, მან შესაძლოა დათმოს აფზახეთის ტერიტორიის ქართველებით დასახლებული რეგიონები და დაიტოვოს დანარჩენი აფხაზეთი მისი დამპყრობლური ამბიციის უმთავრესი მოტივის - ზღვაზე გასასვლელის სახით“ (**შველიძე, 2012:481**). ამ სცენარს უტოპიური ფესვები აქვს, რადგან კრემლის პოლიტიკა საკმაოდ „თანმიმდევრულია“ საიმისოდ, რომ ამხელა დათმობაზე წავიდეს საქართველოს წინაშე. „მესამე სცენარი - ქვეყანა ვერ ინარჩუნებს სეპარატისტულ რეგიონებს და ისე შედის ალიანსში“ (**შველიძე, 2012:481**). ამ სცენარზე შეიძლება ითქვას, რომ იგი, უფრო მეტად განხორციელებადია, ვიდრე პირველი სცენარი, რადგან რუსეთი საკუთარი

გავლენის ქვეშ იტოვებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, მაგრამ მაინც ნაკლებ სავარაუდოა დღევანდელმა რუსეთმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შენარჩუნების ფასად, საქართველოს „ნატო"-ში შესვლის საშუალება მისცეს. სხვა საკითხია, თუკი ეს მოხდება მაშინ, როდესაც რუსეთი არ იარსებებს იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს და გარკვეული სისუსტეები გამოუჩნდება. „მეოთხე სცენარი - საქართველო არ ან ვერ შედის „ნატო"-ში. მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გარანტი აშშ და მისი ანტირუსული მოკავშირეებია" **(შველიძე, 2012:485).** აღნიშნული სცენარის მიხედვით, საქართველო მეტად მძიმე და უმწეო ვითარებაში ჩავარდება, რადგან საკუთარი სახელმწიფოებრიობის გარანტად მოუწევს დასავლეთის ქვეყნების ხილვა. მეხუთე სცენარი - „საქართველო ინარჩუნებს სეპარატისტულ რეგიონებს და უარს ამბობს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსზე. იგი აცხადებს ნეიტრალიტეტს, რაც ფაქტობრივად დასავლეთისა და რუსეთის ორმაგი გავლენის დამყარების ტოლფასია" **(შველიძე, 2012:486**). ამ შემთხვევაში, ავტორის თქმით, მოხდება 1555 წლის ამასიის ზავის შედეგად, საქართველოში არსებული მდგომარეობის განმეორება, რაც ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე უარყოფითად აისახება **(შველიძე, 2012: 487).** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სცენარი მეტად ორიგინალური და განსხვავებულია, უნდა ითქვას, რომ მისი განხორციელებაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან რუსეთის მიზანს წარმოადგენს საქართველოს „არ დათმობა" დასავლეთის ქვეყნებისათვის. ამის განხორციელების გზა კი კრემლისათვის საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებზე გადის. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის სასარგებლო ნამდვილად არ უნდა იყოს ქვეყნის გაყოფა გავლენის სფეროებად. ასეთია, პროფესორ დიმიტრი შველიძის წიგნის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ 2008 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და მომავლის ხედვებს ეხება. ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა, საქართველოს უახლესი ისტორიის გასაანალიზებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „მეგობრობის ხიდი - ქართლოსი" გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი - **„ომის სხვა სახე" (2012).** წიგნში შესულია ორი ქართველი და ორი ოსი ჟურნალისტის მიერ ოთხი თვის მანძილზე შეგროვებული 100 რეალური

ისტორიიდან 40 ისტორია. ამ ისტორიების მოქმედი პირები რეალური ადამიანები არიან, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ომის ტრაგედია და უამრავ საშინელებასთან ერთად, მოწინააღმდეგის მხრიდან დიდი ჰუმანურობაც დაინახეს. სწორედ, ამ ჰუმანურ ასპექტებზე და, მიუხედავად ჩახლართული პოლიტიკური ვითარებისა, ერთმანეთის ბოლომდე არ თუ ვერ შეძულებაზე საუბრობენ აღნიშნულ წიგნში თავმოყრილი ისტორიების მონაწილენი. წიგნის გვერდებზე საუბარია ქართველ დედაზე, რომელმაც დაჭრილი რუსი ჯარისკაცი შეიფარა და უმკურნალა ომის დღეებში, სამაგიეროდ რუსი ჯარისკაცისგან მადლობის სიტყვები მიიღო. კონფლიქტის ზონიდან თბილისში გადმობარგებული ერთ-ერთი ქალბატონი ყვება, თუ როგორ გადაარჩინა სიკვდილს ოსმა ექიმმა გასამრჯელოს გარეშე **(ომის სხვა სახე, 2012:5)**. გადმოცემულია ოსი მადინას და ქართველი თამაზის სიყვარულის ისტორია, რომელსაც ვერც 90-იანი წლების ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ და ვერც 2008 წლის ომმა დააკლო ვერაფერი **(ომის სხვა სახე, 2012:34-37)**. წიგნიდან ვიგებთ, ასევე, რომ „2008 წლის ომის დროს, სოფელ კარალეთის მკვიდრი, ოსი ბიძინა ფარქაშვილი ქართველების გადარჩენას ცდილობდა, რის გამოც, თურმე იგი ქართველების წინააღმდეგ მებრძოლ ოს მარადიორებს სიკვდილით დაუსჯიათ. 2008 წლის ომიდან სამი წლის შემდეგ კი, გორის საქალაქო სასამართლოს, ბიძინა ომში დაღუპულად გამოუცხადებია" **(ომის სხვა სახე, 2012:55**). წიგნში მოტანილია ემოციურად დატვირთული მასალა. წიგნი ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. წიგნის ელექტრონული ვარიანტი სამივე ენაზე თავად არასამთავრობო ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი - ქართლოსის" ვებ გვერდზეა შესაძლებელი.

2008 წლის ომთან დაკავშირებით, აღსანიშნავია პეტრე მამრაძის წიგნი: „ავანტიურა 08.08.08" **(მამრაძე, 2012)**. ავტორი, როგორც ყოფილი პოლიტიკოსი, მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს იმ გზის შესახებ, რაც საქართველომ განვლო 2008 წლამდე. ნაშრომში მას გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი მასალა იმ მოვლენების შესახებ, რომელთა მომსწრეც თავად იყო. აღსანიშნავია, რომ პ. მამრაძის წიგნი მკვეთრად ოპოზიციური ხასიათისაა და ქვეყნის მაშინდელ ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, ფაქტობრივად ყოველ ნაბიჯზე აკრიტიკებს. 1992 წლის დეკემბერში, მისი გადმოცემის თანახმად, ავტორი, მაშინდელი ოპოზიციის

წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრია, ცნობილი ამერიკელი სამხედრო მოღვაწის, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ძმას - ოთარ შალიკაშვილს, რომელსაც მეტად საინტერესო და პრაგმატული ტექსტით მიუმართავს შეკრებილი საზოგადოებისათვის: „ქართველებს უნდა გვესმოდეს, რომ მსოფლიოში ყოველთვის არსებობს უხილავი საზღვრები, ასე ვთქვათ უხილავი წითელი ხაზები. მოვიყვან მაგალითს - გერმანიის გაერთიანების შედეგად რუსეთის ვეებერთელა ჯარმა დატოვა გერმანია. რუსეთის ელიტა და ხალხის დიდი ნაწილი მწარედ განიცდის ამას, როგორც თავის დამარცხებას და დამცირებას. წარმოვიდგინოთ, რომ კრემლის „არწივებმა“ მოინდომონ ჯარების ისევ უკან შეყვანა რაიმე საბაბით. რა მოხდება? მოხდება შემდეგი - მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაერთიანებიდან სულ სამი წელიწადია გასული, ჩვენ, მთელი დასავლეთი, ვიომებთ. მთელი დასავლეთის ცნობიერებაში დღესდღეობით ბერლინი და აღმოსავლეთი გერმანია დასავლეთის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორიც საფრანგეთი, ინგლისი და ა. შ. ამიტომ ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვექნება და ვიომებთ მთელი ძალით, ყველა იმ იარაღითა და რესურსით, რომლის გამოყენება აუცილებელი იქნება რუსეთის დასამარცხებლად. რუსეთის ელიტამ ეს შესანიშნავად იცის, ისიც იცის, რომ ასეთ ომს, მთელი დასავლეთის წინააღმდეგ ვერ მოიგებს და სწორედ ამიტომ, როგორი გამწარებულიც უნდა იყოს, გერმანიაში ჯარს არავითარ შემთხვევაში არ შეიყვანს. ახლა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, საბჭოური ბლოკის, ანუ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილ მონაწილეებზე ვილაპარაკოთ. რა მოხდება, კრემლის „არწივებმა“ რომ აიწყვიტონ და რაიმე საბაბით ამ ქვეყნებში ჯარები შეიყვანონ? დღესდღეობით აღმოსავლეთ გერმანიის საკითხისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დასავლთის განწყობა ნაკლებად მტკიცეა. რა თქმა უნდა, გაავრცელებენ ძლიერ განცხადებებს, რუსეთის წინააღმდეგ მიიღებენ მტკიცე რეზოლუციებს და მას სანქციებს დაუწესებენ. რუსეთი უეჭველად მკაცრ იზოლაციაში აღმოჩნდება და ეს ყველაფერი ძვირი დაუჯდება. მაგრამ ძნელი სათქმელია, დასავლეთი ერთსულოვნად გადაწყვეტს თუ არა, რომ თერმობირთვული იარაღითა და საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი რუსეთის წინააღმდეგ იომოს იმ ტერიტორიების გამო, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ამ ქვეყნის უშუალო

სფეროდ განიხილებოდა... რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე, რომლებიც სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები არიან? მათ გამო დასავლეთი დღეს ნამდვილად არ იომებს და რუსეთის ელიტას ეს მშვენივრად ესმის. ამიტომ, ისინი გაცილებით დიდი საფრთხის წინაშე დგანან, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. მათ სიფრთხილე მართებთ, რათა გაიარონ ეს გარდამავალი პერიოდი, გავიდნენ ფონს და გახდნენ დასავლეთის განუყოფელი ნაწილი. რაც შეეხება საქართველოს, უნდა გვესმოდეს, რომ დასავლეთის მზადყოფნა, დაიცვას საქართველო რუსეთის იმპერიული რევანშიზმისგან, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ბალტიისპირეთის მიმართ. დასავლეთი არ დაგეხმარებათ არც სამხედრო ტექნიკით, არც ინსტრუქტორებით. ჰუმანიტარულ დახმარებასაც საქართველო ძირითადად შევარდნაძის ფაქტორის გამო იღებს. თქვენ გრჩებათ გზა - თავად უნდა მოაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან, აფხაზებთან და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან. თუ ამას ვერ შეძლებთ, რუსეთთან პირისპირ დარჩებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკარგება საქართველოსთვის და თვით საქართველოს დამოუკიდებლობაც დიდი საფრთხის ქვეშ დადგება“ **(მამრაძე, 2012:11-12).** ოთარ შალიკაშვილის რჩევა მეტად პრაგმატულია, მაგრამ იგი რთულად განსახორციელებელია საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, რუსეთის ხელისუფალთა არაპროგნოზირებადი პოლიტიკის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ო. შალიკაშვილის ამ სიტყვებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ, ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ დასავლეთის პოზიცია შეიცვალა და ისინი „ნატო“-ს წევრები გახდნენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დასავლეთის სახელმწიფოების დამოკიდებულების შეცვლას, რათა, მსოფლიოში შექმნილი ვითარების ცვლილებასთან ერთად, ქვეყანა, ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად, „ნატო“-ს წევრი გამხდარიყო და ამით დაეღწია თავი რუსეთის გავლენისგან. პეტრე მამრაძის წიგნში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კრიტიკას. ყოფილ თავდაცვის მინისტრზე ირაკლი ოქრუაშვილზე ავტორი წერს: „პირველ მაისს თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ თუ საქართველო 2007 წლის პირველ იანვრამდე ვერ აღადგენდა კონტროლს

თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთზე, ის თანამდებობას დატოვებდა“ **(მამრაძე, 2012:46).** ავტორი, რა თქმა უნდა, მართებულად აკრიტიკებს ოქრუაშვილის ამ განცხადებას, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც იმ დროისთვის, საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, არათუ ნათქვამის პრაქტიკაში შესრულების, არამედ განცხადებულ ვადაში მოქმედების, ალბათ, რაციონალური გეგმაც კი არ არსებობდა. 2008 წლამდე, საქართველოს ხელისუფლების მიერ განვლილი გზის მიმოხილვისას, პეტრე მამრაძე, ასევე, ეხება იმდროინდელი ხელისუფლების მიერ, 2007 წელს, წამოწყებულ კამპანიას, ცხინვალის რეგიონში ადმინისტრაციული ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით, რომელსაც სათავეში დიმიტრი სანაკოევი უნდა ჩადგომოდა. ამ თემაზე, აღნიშნულ წიგნში საუბარია იმ კამპანიაზე, რომელიც მაშინ კოკოითის წინააღმდეგ აგორდა და სახელად „კოკოთი ფანდარასტ“ ერქვა. ავტორი აღნიშნავს, რომ: „ოსურ ენაში არ არის რუსული Ф-ს შესაბამისი ბგერა და კოკოითიმ რუსულად წარმთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ თბილისში სხედან „პედერალები“, რომლებიც სთავაზობენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას „პედერაციაში“ შესვლას... „ფანდარასტის“ „პედერასტთან“ ასონანსურ ასოციაციას თბილისში მაქსიმალურად უწევდნენ ექსპლუატაციას, სიტყვა „ფანდარასტს“ ძირითადად „პედერასტის“ მნიშვნელობით იყენებდნენ... ედუარდ კოკოითის ეს ყველაფერი აშკარად არ ანაღვლებდა. 8 აგვისტოს „კოკოითი ფანდარასტ“ კამპანიაზე საუბრისას, მან განუცხადა ჟურნალისტებს: „მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე გადავიტან როგორმე ამ კამპანიას“ **(მამრაძე, 2012:100-101).** ავტორის მკვეთრი, ოპოზიციური გადმოსახედიდან გამომდინარე, რთულია იმის მტკიცება, რანდენად იყო დაგეგმილი ოსური სიტყვა „ფანდარასტ“-ის, რაც ნიშნავს „წადი“, „პედერასტ“-თან ასოცირება და ამ კონტექსტით კოკოითის აბუჩად აგდება, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობაში ყოველდღიურ იუმორისტულ დონეზე მსგავსი ასოციაცია ნამდვილად არსებობდა. აღნიშნული კამპანია არასწორი იყო, რადგან იგი შეიცავდა „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პირველი პირის დამცირების ელემენტებს, ეს მომენტი კი ისედაც დაძაბულ ვითარებას უკეთესობისაკენ ნამდვილად ვერ შეცვლიდა. ავტორი იხსენებს კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას უკავშირდება: „4 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა: „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირეების ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს“ **(მამრაძე, 2012:118).** ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტი იყო ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი, შესაბამისად ძნელია მისი განცხადების სისწორეზე მსჯელობა. წიგნის ბოლოს ავტორი საუბრობს ოთხ პუნქტზე, რომელიც მისი აზრით, საქართველოს უნდა განეხორციელებინა 2008 წელს. ესენია: „1. უპირველეს ყოვლისა საქართველოს ხელისუფლებას საჯაროდ და საზეიმოდ უნდა განეცხადებინა, რომ არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა ძალას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად... 2. საჭირო იყო გამოცხადება, რომ ქართველი ხალხისა და ხელისუფლებისათვის მთავარია აფხაზებისა და ოსების ნდობის, მეგობრობისა და სიყვარულის მოპოვება; რომ ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ ხალხის საქმეა; რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ნდობა, მეგობრობა და სიყვარული იმ დონეზეა აღდგენილი, რომ ყოველი მხრიდან ადამიანები თვითონ ითხოვენ ამას და სახელმწიფო, როგორც თავისუფალი თანაცხოვრების, კეთილდღეობისა და განვითარების საუკეთესო საშუალება ადამიანების გულში უკვე გამთლიანებულია; რომ მანამდე სიტყვა „სტატუსის“ ხსენებაც კი კონტრპროდუქტიულია, ისევე, როგორც რაიმე ვადების დასახელება; რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს აფხაზებისა და ოსების ნდობის, მეგობრობის, სიყვარულის მოსაპოვებლად, მაგრამ არასოდეს მოახდენს არათუ ძალისმიერ, არამედ არც არავითარ პოლიტიკურ ზეწოლას ამ პროცესის დასაჩქარებლად... 3.უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან და სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელებთან ერთად, შემდეგ კი რუსეთთან შეთანხმებით, ევროკავშირისა და აშშ-ის ჩართვით უნდა დაგვეწყო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროექტების განხორციელება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. ასეთ ინიციატივას ძალზე დადებითად მიიღებდა რუსეთიც და დასავლეთიც... 4. „ნატო“-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით

დასავლეთთან და რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უნდა გამოგვეცხადებინა, რომ ჩვენი მიზანია, საქართველოსა და შესაბამისად, ჩვენი ყველა რეგიონის მცხოვრების უსაფრთხოება. ალიანსში შესვლას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ეს ასეთ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს... ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ამავდროულად რუსეთი ინტენსიურად თანამშრომლობს ალიანსთან და მიგვაჩნია, რომ ალიანსში გაწევრიანებას მაშინ ექნება აზრი, როდესაც „ნატო" და რუსეთი სრულ თანხმობას მიაღწევენ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ყველასათვის მისაღებია და როდესაც აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობა ამის წინააღმდეგი არ იქნება" **(მამრაძე, 2012:269-271).** ავტორი ზედმეტად კრიტიკულია საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ მხარეს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმა ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ, რაც კონფლიქტურ რეგიონებში ვითარება დაიძაბა და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი გაჩნდა, ხელისუფლება იძულებული გახდა ადექვატური ზომები მიეღო. საბოლოო ჯამში, პეტრე მამრაძის ნაშრომს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. ავტორი დიდ დროს უთმობს სახელისუფლებო გუნდის კრიტიკას. იგი კიდევ უფრო შორს მიდის და სააკაშვილისა და ე. შევარდნაძის მოღვაწეობის შეფასებისას, ე. შევარდნაძის პიროვნების განდიდებას არ ერიდა, რაც არარეალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაშრომი უმეტესად სუბიექტური პოლიტიკური მუხტის მატარებელია, რაც მის სამეცნიერო ღირებულებას აკნინებს.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს ეხება პროფესორ ელგუჯა მამუკელაშვილის ავტორობით გამოცემულ ორი ტომი. პირველ ტომში: „ცივი აგვისტო. წიგნი პირველი - აფხაზეთი (1992-1993)", **(მამუკელაშვილი, 2013),** საუბარია აფხაზეთის კონფლიქტური რეგიონის პრობლემებზე, ხოლო მეორე ტომში: „ცივი აგვისტო. (ასი უპასუხო კითხვა). წიგნი 2 - ცხინვალი (2008წ.)" **(მამუკელაშვილი, 2013)** - ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე და ამ პრობლემების პოლიტიკურ-ისტორიულ ასპექტებზე. პირველ ტომში, ავტორი 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს. ავტორი შემოიფარგლება აღნიშნულ საკითხზე არსებული ისტორიოგრაფიის მიმოხილვით. ამავდროულად, გვთავაზობს საკუთარ შეხედულებებს, საქართველოს მოქმედი მთავრობის სასურველი სამოქმედო გეგმის

შესახებ. ავტორი წერს: „მიგვაჩნია, ახალი ხელისუფლება საქართველოში დგას ახალი, სრულიად განსხვავებული ამოცანა-არჩევანის წინაშე. მან უნდა შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ახლო და შორეულ ქვეყნებთან. გამოიმუშაოს საგარეო პოლკიტიკის - დიპლომატიის მეცნიერულად გათვლილი კონცეფცია, განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის საერთაშორისო დანიშნულება, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში...“ **(მამუკელაშვილი, 2013, ცივი აგვისტო (წიგნი პირველი - აფხაზეთი (1992-1993 წწ.): 39)**. ავტორი მკითხველს პრობლემის საკუთარ ხედვას სთავაზობს, რაც ნაკლები სიახლის შემცველია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. იგივე ავტორის წიგნის მეორე ნაწილი: „ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა), წიგნი მეორე - ცხინვალი (2008)“, ავტორი 2008 წლის მოვლენებზე საუბრისას საგაზეთო პუბლიკაციებს ეყრდნონა. ნაშრომის პირველ გვერდებზე, ავტორს დასავლური გამოცემების ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტები მოჰყავს. მას მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის - კონდოლიზა რაისის მიერ საკუთარ მემუარებში მოყვანილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შეფასება **(მამუკელაშვილი, 2013:14-17)**, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში: „ქართული ოცნება“ 2012 წლის აგვისტოში. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ხელმისაწვდომი წყაროების მიმოხილვა და ანალიზი. ავტორი საკუთარ დასკვნას აკეთებს და სვამს შემდეგ კითხვას; „დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფო რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გაება. მთავარი საკითხია- გააკეთა თუ არა ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი, რათა ქვეყანა მახეში არ გაბმულიყო“ (ე. მამუკელაშვილი, წიგნი მეორე, **(მამუკელაშვილი, 2013:124)**. ე. მამუკელაშვილის ნაშრომები საინტერესოა ფაქტობრივი მასალის თვალსაზრისით.

2008 წლის ომს ეხება, პროფესორ - ალექსანდრე დაუშვილის წიგნი: „ფიცი მწამს - ბოლო მაკვირვებს!... რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბილისი, 2010, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) გამოცემის გამო“ **(დაუშვილი, 2013)**. ნაშრომი, როგორც სათაურიდან ჩანს, რ. ასამუსის წიგნის კრიტიკას ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ა. დაუშვილის წიგნი სუბიექტური მუხტის მატარებელია. ავტორი საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მაკრიტიკებელ პიროვნებად წარმოგვიდგება და ერთ-

ერთ ძირითადი „ბრალდება“, რასაც იგი რ. ასმუსს უყენებს, არის ის, რომ ამერიკელი დიპლომატი, საკუთარ წიგნში, სწორედ, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მიწოდებული წყაროებით სარგებლობს და არ იყენებს ქართულ სივრცეში ხელმისაწვდომ სხვა ქართულენოვან წყაროებს **(დაუშვილი, 2013:21).** კრიტიკა მისაღებია, რადგან არა მარტო რ. ასმუსს, არამედ ზოგადად დასავლეთის სხვა მკვლევარებსაც აქვთ ქართულენოვან წყაროებზე წვდომის პრობლემა, რაც მათი მიერ ქართულ პრობლემატიკაზე შესრულებული ნაშრომების სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს. რონალდ ასმუსის წიგნი ეძღვნება საქართველოს, ავტორის მცდელობაა ეჩვენებინა დასავლეთისათვის, რომ ტრადიციული „დასავლური პოლიტიკა“ რუსეთის მიმართ უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთისა და დასავლეთის თანამედროვე ურთიერთობები დაემსგავსება ცივი ომის პერიოდის სსრკ-სა და და დასავლეთის ურთიერთობებს. ამის თავიდან აცილება კი კავკასიის რეგიონში დასავლეთის ქვეყნების უფრო მეტი პოლიტიკური ჩართულობით იქნება შესაძლებელი. ამ აზრის საწინააღმდეგოდ, ალექსანდრე დაუშვილი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ 2008 წლის 17 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს ომის გაჩაღებაში იმ სახით, როგორაც ის გაჩაღდა. მოჰყავს რა არგუმენტად ის ფაქტორი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას საქართველოს გარდა დედამიწის არც ერთ კუთხეში, არც ერთი სეპარატისტული მოძრაობა არ გაუღვიძებია, ავტორი დაასკვნის, რომ „კოსოვოში კი არა, „ძაღლის თავი“ ქართულ-რუსულ ურთიერთობაშია ჩამარხული“ **(დაუშვილი, 2013:10).** რა თქმა უნდა, ავტორი მართალია იმაში, როდესაც ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე და რუსეთის გავლენაზეა საუბარი, მაგრამ იმ დიდი რაოდენობით ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშინ როდესაც რუსეთი საქართველოში, დასავლეთზე ორიენტირებული სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, ომის დაგეგმვას იწყებდა და ჯერ კიდევ 2004 წლიდან „უთითებდა“ საქართველოს პრეზიდენტს, თუ ვინ უნდა დაეტოვებინა საქართველოს ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე და ვინ არა, უბრალოდ სახელმწიფოს თავმოყვარეობის საკითხს წარმოადგენდა, ჩრდილოელი მეზობლის

მიმართ მტკიცე პოზიციის დაჭერა და ამით ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, ასევე, ყველასათვის ჩვენება იმისა, თუ რა ხერხებით ცდილობს რუსეთი საქართველოში კონფლიქტების პროვოცირებას. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, ფაქტობრივად დააჩქარა რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც ალბათ, რუსეთის გეგმით, შესაძლოა, უფრო გვიან მომხდარიყო. ამის დადგენა შეუძლებელია. საქართველო, დღესდღეობით, ისევე როგორც ისტორიულ წარსულში, მსოფლიოში დაპირისპირებული ორი ბანაკის ბრძოლის ველად რჩება. ავტორი დაასკვნის: „დასავლეთი მოიქცა და მუდამ მოიქცევა ისე, როგორც ევროპის, მთლიანად დასავლეთის პოლიტიკური, გეოსტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვენ" (**დაუშვილი, 2013:27**. ბუნებრივია, 2008 წელს დასავლეთის ქვეყნებს რომ საკუთარი „ჩვეული" სცენარით არ ეთამაშათ და ეჩვენებინათ რუსეთისთვის, რომ XXI საუკუნეში XIX საუკუნის პოლიტიკური მეთოდებით მოქმედება დაუშვებელია, შესაძლოა, თავიდან აცილებულიყო როგორც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ისე 2013 წელს უკრაინაში დაწყებული კრიზისი, მაგრამ როგორც დავინახეთ, დასავლეთი მოიქცა ისე, როგორც მუდამ იქცეოდა - საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. რონალდ ასმუსის წიგნის სათაურის ხაზგასმისას, ჩვენი აზრით, დასავლეთის სახელმწიფოთა ინერტულობაზე, ა. დაუშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „არა ხართ მართალი, ბატონო ავტორო, არ „შეძრა მსოფლიო". ასე არ იქცევიან წამყვანი ქვეყნები, როცა „შეიძრა მსოფლიო". „შეძრა მსოფლიო" - ჰიტლერის აგრესიამ, „შეძრა მსოფლიო"- სადამ ჰუსეინის მოქმედებამ; „შეძრა მსოფლიო" - ბაშარ ასადის უზნეობამ... მართლაც, მიიღეთ ზომები, არაფერი შეარჩინეს აგრესორებს, წავიდნენ მატერიალურ და ადამიანურ მსხვერპლზე და გაიმარჯვეს. ეს ასე ხდება, როცა აგრესიამ „შეძრა მსოფლიო" (**დაუშვილი, 2013:27**). ავტორის აზრით, საქართველოს შემთხვევაში, დასავლეთის ქვეყნები, მხოლოდ, გაფრთხილებით შემოიფარგლნენ, ისევე, როგორც დღესდღეობით უკრაინის შემთხვევაში, სადაც რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების ყველაზე მკაცრ ზომად ეკონომიკური სანქციები მოგვევლინა, რომელმაც საბოლოოდ რუსეთს ხელი არ ააღებინა საკუთარ განზრახვასა და მოქმედებებზე. აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის -

დიმიტრი შაშკინის განცხადება, რომელიც მან 2015 წლის აგვისტოში გააკეთა და რომლის მიხედვით, ტყუილია და სიცრუეა ის ფაქტი, რომ აშშ და დასავლეთი ქმედითად არ დაგვხმარებია 2008 წელს, რადგან, შაშკინის თქმით, თბილისი დაბომბვას, სწორედ, ამერიკულმა საჰაერო სისტემებმა და იმ თვითმფრინავებმა გადაარჩინეს, რომლებიც იმ დღეებში თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე იყვნენ დისლოცირებულნი" **(შაშკინი, 2016).** ა. დაუშვილი 2004-2008 წლებში მ. სააკაშვილის გუნდის პოლიტიკის შეფასებისას ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მოქმედების „ძირითადი პოლიტიკური მეთოდი უნდა ყოფილიყო: „Тише воды –Ниже травы" („წყალზე უფრო უხმაუროდ - ბალახზე უფრო დაბლა" - მ. ბ.) **(დაუშვილი, 2013:86).** ავტორის აღნიშნული მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან რუსეთთან მსგავსი პოლიტიკა შედეგის მომტანი ვერ იქნება. ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას: „თუ მე ვცდები და ეს ჩემი შეფასება მცდარია, მაშინ მ. სააკაშვილის მთავრობა უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა ბელგიისა და ნიდერლანდების მთავრობა, მეორე მსოფლიო ომის დროს - უომრად უნდა დამორჩილებულიყო აგრესორს ბოლომდე. მთლიანად ოკუპირებული ქვეყნის განთავისუფლება მსოფლიოს თანამეგობრობისათვის უფრო იოლია, ვიდრე მიტაცებული 20 პროცენტის უკან დაბრუნება (გავიხსენოთ, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ იაპონიამ დღემდე ვერ დაიბრუნა ნანატრი კურილიის კუნძულები)" **(დაუშვილი, 2013:88).** ამ შემთხვევაში ავტორი ცდება, რადგან ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი ინტერესები, პოლიტიკური ნება, დამოუკიდებლად არსებობის უფლება, რომლის შელახვა თითოეული სუვერენული სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის შეურაცხყოფას წარმოადგენს და დაუშვებელია. მიუხედავად რიგი იმ შეცდომებისა, რომელიც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დაუშვა, მიუღებელია ამ შეცდომების საპირწონედ ავტორისეული „გამოსავლის" საბუთად მოყვანა, რაც სუვერენული ქვეყნის არსებობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. თვით უარესი სცენარის შემთხვევაში, მთელი საქართველო, მართლაც რომ დანებებულიყო რუსეთს, მსგავსი აზრის გამზიარებელი ავტორები პირველები დაგმობდნენ საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას და ბრალს საკუთარი ქვეყნის არ დაცვაში დასდებდნენ. ამრიგად, რონალდ ასმუსის წიგნი არის

დასავლელი დიპლომატის მიერ დასავლური თვალთახედვით დაწერილი წიგნი ქართულ პრობლემაზე, რომელიც, ასევე, მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. წიგნში რ. ასმუსი, გარკვეული, შუალედური დასკვნების გაკეთებას ცდილობს - აკრიტიკებს დასავლეთის უმოქმედობას, ამასთან ერთად, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებსაც. სწორედ, რ. ასმუსი გვევლინება საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მომხრედ, თუმცა ამის გაკეთებას რუსეთთან პირდაპირი და სრულმასშტაბიანი ომით, იგი სწორ გზად არ მიიჩნევს და სწორედ, ამგვარი შუალედური დასკვნების გამო მიგვაჩნია, რომ ავტორს არა აქვს საშუალება ან, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, არ ცდილობს ბოლომდე ჩაწვდეს საკითხის პრობლემატიკას და 2008 წლის ომი დაინახოს საქართველოს ხელისუფლების გადასახედიდან. რაც შეეხება ა. დაუშვილის წიგნს, იგი ძლიერ სუბიექტურ-პოლიტიკურ მუხტს ატარებს, რაც ნაშრომს სამეცნიერო-ისტორიულ მნიშვნელობას აკარგვინებს, თუმცა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საკითხის უკეთ გააზრების და ანალიზის საშუალებას იძლევა.

2008 წლის აგვისტოს ომს ეხება ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული ფუნდამენტური ნაშრომი: საქართველო რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი I – II, **(დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე, რედაქტორი დოდო ჭუმბურიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016).** წიგნის მეორე ნაწილში, საუბარია საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე XXI საუკუნეში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე და საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე კონფლიქტის დარეგულირებაში **(სარალიძე, 2016: 457-490).** ავტორი განიხილავს რა კონფლიქტის ისტორიულ ფესვებს დაასკვნის: „...ის სტრატეგიული დათმობა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ოსების მიმართ, რა თქმა უნდა, უსამართლოდ განახორციელა, როდესაც აქ ადმინისტრაციული ერთეული შექმნა „სამხრეთ ოსეთი“-ის სახელწოდებით, საბოლოოდ შეცდომა აღმოჩნდა და ხელი ვერ შეუშალა მთავარი მოწინააღმდეგის მიერ საქართველოს ძირძველი, ისტორიული ტერიტორიების მიტაცებას. 2008 წლის აგვისტოს რუსულმა აგრესიამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა,

რომ საქართველოში არ არსებობს მტრულად და სეპარატისტულად განწყობილი კონფლიქტური რეგიონები, რომ არსებობს ერთი სტრატეგიული და ტაქტიკური მოწინააღმდეგე რუსეთის სახით“ **(სარალიძე, 2016: 476).**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ჯარების მიერ უკანონოდ ოკუპირებული ახალგორის რაიონის ყოფა-ცხოვრებას გადმოგვცემს ავტორთა კოლექტივის მონოგრაფიული ნაშრომი: „ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა“ **(ჯალაბაძე, ჯანიაშვილი, მღებრიშვილი, ფირცხალავა, 2016)**, მასში ნაჩვენებია ის უმძიმესი სიტუაცია, რომელშიც ახალგორის მოსახლეობა აღმოჩნდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ასევე, ნაჩვენებია, ოკუპირებულ ახალგორში, რუსეთის ხელისუფლების უკანონო ქმედებები. ხაზგასმულია, რონ 2008 წლის აგვისტოს ომმა, მოსახლეობის დიდ ნაწილს სახლ-კარი და მამული დააკარგვინა და საკუთარ სახელმწიფოში დევნილად აქცია.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს და მათი დარეგულირების საკითხს ეძღვნება სულხან ალექსაიას სადისერტაციო ნაშრომი: „აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები“ **(ალექსაია, 2013).**

2008 წლის აგვისტოს ომს ეხება ახალგაზრდა მკვლევარის - კახაბერ ყალიჩავას წიგნი: რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში **(ყალიჩავა, 2016).** ნაშრომი 299 გვერდს მოცავს. მასში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ქართულენოვანი, ასევე, ინგლისურენოვანი ნაშრომები, პერიოდული პრესის მასალები, დოკუმენტები. ნაშრომში ხაზგასმულია ის სამართლებრივი ასპექტები, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომი გამოიწვია. კერძოდ, საუბარია რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებულ უკანონო საპასპორტო პოლიტიკაზე. ხაზგასმულია, რომ რუსეთის ხელისუფლების ეს ნაბიჯი წინააღმდეგობაში მოდიოდა, როგორც ქართულ, ასევე, 90-იან წლებში მიღებულ რუსულ კანონმდებლობასთან. ნაშრომში საუბარია იმ საერთაშორისო გამოხმაურებაზეც, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომს მოჰყვა.

ევროკავშირისა და აშშ-ის ფაქტორის მნიშვნელობას „გაყინული“ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით, ეხება გ. ხოჯევანიშვილის სადისერტაციო ნაშრომი: „გაყინული“ კონფლიქტები და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია“. **(ხოჯევანიშვილი, 2016).**

დასავლური ისტორიოგრაფია 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი ამ ორ ქვეყანას შორის დაპირისპირებას გასცდა. მას არა მარტო ლოკალური, არამედ გლობალური ხასიათის მასშტაბი ჰქონდა „ახალი ცივი ომის“ მონაწილე სახელმწიფოთა ზანაკისათვის. აღნიშნულ ომს საკმაოდ ფართო გამოხმაურება მოჰყვა, დასავლურ როგორც მედიაში, ასევე, სამეცნიერო წრეებშიც. უცხოელი ავტორების მიერ საკმაოდ ფართოდ არის განხილული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დასავლური თვალსაწიერიდან, სადაც არა ერთი ახალი და საინტერესო შეხედულება არის წარმოდგენილი. თუკი ქართველი მკვლევარები უმთავრესად, 2008 წლის აგვისტოს ომს ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ, უცხოელი ავტორები საკითხს უფრო გარედან აფასებენ და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე წარმოაჩენენ. 2

ერთ-ერთი პირველი სოლიდური ნაშრომი 2008 წლის აგვისტოს ომზე არის რონალდ ასმუსის წიგნი: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (Asmus, A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West, 2010), წიგნი შესავლისა და რვა თავისგან შედგება. რ. ასმუსის ნაშრომი მეტ-ნაკლებად ობიექტურად მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომლებმაც საქართველო, რუსეთი და დასავლეთი 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიიყვანა. ავტორის პოზიცია ჩვენთვის საინტერესო თემასთან მიმართებაში, შესავალშივე ჩანს, სადაც იგი მოკლედ მიმოიხილავს კავკასიის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წინაშე ფაქტობრივად არსებულ არჩევანს, რომლის წინაშეც საქართველო დადგა ქართველი ხალხისა და ხელისუფლების მკვეთრი დასავლური ორიენტაციის და ასევე, რუსეთის მხრიდან წაყენებული ულტიმატუმის გამო. ავტორი გამოკვეთს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირის - დასავლეთის ან რუსეთისაკენ - მნიშვნელობას, რაც, საბოლოო ჯამში, უნდა გამხდარიყო გადამწყვეტი ფაქტორი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში **(Asmus,**

2010:276). შესავალშივე ავტორი შეცდომას უწოდებს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მოქმედებებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გაჩაღებას. ასმუსი ხაზს უსვამს, იმდროინდელი პრეზიდენტის - მ. სააკაშვილის პოზიციას, რომლის მიხედვით, 2008 წელს განხორციელებული რუსული პროვოკაციების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო ეთნიკური წმენდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რეგიონში. აღნიშნული ვითარების ფონზე კი, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის აზრით - უმოქმედობა, მისი პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. რ. ასმუსი იქვე აღნიშნავს, რომ „თბილისი თითქოს, სწორედ, იმ გზით მიდიოდა ხოლმე, რასაც რიჩარდ ნიქსონმა ერთხელ „სიშლეგის თეორია" უწოდა ანუ საგარეო პოლიტიკაში ირაციონალური ქმედებებით დამუქრება - ყურადღების მისაპყრობად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველო რუსეთთან ომის დაწყებით იმუქრებოდა და სასოწარკვეთილი, ასე ცდილობდა ევროპის მხარდაჭერის უზრუნველყოფას" **(Asmus, 2010:12).** ამავე დროს, ავტორი აკრიტიკებს დასავლეთსაც და ამბობს, რომ სადამკვირვებლო მისიის გაგზავნას კონფლიქტურ რეგიონში აჯობებდა აღნიშნული მისია, ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე გაგზავნილიყო კონფლიქტურ რეგიონებში, რასაც შესაძლებელია შეეცვალა ისტორიის მსვლელობის გეზი **(Asmus, 2010:12).** ნაშრომის შესავლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორს, მართლაც, აქვს მცდელობა, ობიექტურად განიხილოს პრობლემა. რ. ასმუსი, რუსულ მხარესთან ერთად, არ ამართლებს არც ქართულ და არც დასავლურ მხარეებს, რასაც საკუთარი, ზემოხსენებული არგუმენტებით ხსნის. ასმუსის ამგვარი პოზიცია შეიძლება ითქვას რეალისტურია, რადგან არც ერთ ისტორიულ ფაქტს მხოლოდ ერთი მიზეზი არ განაპირობებს. ეს არის ნებისმიერი ომისა თუ სხვა რაიმე მოვლენის გამომწვევ მიზეზთა ერთობლიობა, რასაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. საბოლოოდ, რონალდ ასმუსი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მოწესრიგების გამოსავალს, დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მოწესრიგებაში ხედავს. მისი თქმით, რუსეთს მკაფიოდ უნდა განემარტოს, რომ „დასავლურ საზოგადოებაში არსებობს ადგილი რუსეთისათვის, რომელიც გაიზიარებს დასავლურ ღირებულებებს და მიიღებს თამაშის წესებს" **(Asmus, 2010:233)**. ავტორის ეს მოსაზრება გულუბრყვილოდ

გვეჩვენება, რადგან ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფალთა კეთილ ნებაზე და საჭიროებაზეა დამოკიდებული, რამდენად მისაღები იქნება მათთვის დასავლური თამაშის წესები.

2008 წლის ომს ეხება, ნიუ იორკში, სვანტე ე. კორნელისა და ს. ფრედერიკ სტარის რედაქციით, გამოცემული სტატიათა კრებული: „2008 წლის აგვისტოს ქვემეხები. რუსეთის ომი საქართველოში“ **(Cornell, Starr, The Guns of August 2008, 2009).** წიგნი სხვადასხვა ავტორთა 10 სტატიისგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ აგვისტოს მოვლენებს. კრებულში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ, პროკლამაცია, რომელიც რუს ჯარისკაცებს, 2008 წლის ივლისის შუა რიცხვებში დაწყებული სამხედრო წვრთნების - „კავკასია 2008“-ის პერიოდში დაურიგდათ. ნაშრომში მოტანილია დოკუმენტის ორიგინალი და მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე. რუსული პროკლამაციის სათაურია: „მეომარო, იცნობდე შენს სავარაუდო მტერს!“. პროკლამაციაში ხაზგასმულია საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების სწრაფვა „ნატო“-ში შესასვლელად, რაც რუს ხელისუფალთა ინტერესებს ეწინააღმდეგება. საუბარია საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზე 2008 წლისთვის (პროკლამაციის მიხედვით იგი 970 მილიონი დოლარია - მ. ზ.). პროკლამაციაში ნათქვამია, რომ 2008 წლის 26 იანვარს, საქართველომ უარი თქვა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებზე, ამერიკული წარმოების M-4 ტიპის ავტომატების სასარგებლოდ. ჩამოთვლილია საქართველოს სახმელეთო ჯარების ძლიერი მხარეები, რაც „ნატო“-ს ინსტრუქტორების მიერ მათი მომზადებით იყო განპირობებული. ქართული შეიარაღებული ძალების სუსტ მხარეებად მიჩნეულია სამხედრო დისციპლინის დაბალი დონე და სამხედრო მოსამსახურეთა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ხაზგასმულია დეზერტირობის შემთხვევები, ასევე, ლოთობა ქვეით ნაწილებში. პროკლამაცია დაბეჭდილია გაზეთ „დობლესტის“ ტიპოგრაფიაში. (**Cornell, Starr, 2009:11**). აღნიშნული დოკუმენტი ნათელს ჰფენს რუსული სამხედრო ნაწილების მზადყოფნაში მოყვანას საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე, პასუხს სცემს კითხვას, თუ ვინ იყო დაინტერესებული ომის გაჩაღებით. რუსულ მხარეს, როგორც პროკლამაციიდან ჩანს, საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული არც ერთი რეფორმა არ დარჩენია ყურადღების მიღმა, რაც ხაზს უსვამს რუსეთის მუდმივ ინტერესს საქართველოს მიმართ. სვანტე ე. კორნელისა და ფრედერიკ სტარის რედაქტორობით გამოცემული სტატიების კრებული მეტად მნიშვნელოვან მასალას აწვდის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით დაინტერესებულ მკითხველს. კრებულში მოცემული სტატიები აღადგენს კავშირს თავად ომისა და ომის წინა პერიოდის მოვლენების შესახებ.

აშშ-ში გამოიცა ჰოომან პეიმანის ნაშრომი: „კონფლიქტი და უსაფრთხოება ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში" (**Hooman Peimani, Conflict and Security in Central Asia and Caucasus, 2009).** ავტორი მიმოიხილავს დასახელებული რეგიონების ქვეყნების შიდაპოლიტიკურ და გარეპოლიტიკურ ვითარებას, ასევე, რეგიონების ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს. ნაშრომის მესამე თავში: „არჩევნები აზერბაიჯანსა და საქართველოში და მათი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე" - აზერბაიჯანისა და საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკის მიმოხილვისას, ჰოომან პეიმანი ცალკე ამონარიდების სახით, მოკლედ საუბრობს 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღებულ ომზე და ამ ომის გამომწვევ მიზეზებზე. ნაშრომის მეოთხე თავში - „ნავთობი და კავკასია: გრძელი და მოკლევადიანი პერსპექტივები - ავტორი მიმოიხილავს ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების დამაკავშირებელ ეკონომიკურ ინტერესებს, რომელიც მტკიცედ არის გადაჯაჭვული ამ რეგიონის პოლიტიკურ ყოფასთან. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მაგალითზე, ჰ. პეიმანი მიმოიხილავს საქართველოს მნიშვნელობას ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის ეკონომიკაში, რაც დიდწილად, რეგიონის გზაგასაყარზე, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებულია. ავტორი ხაზს უსვამს საქართველოში არსებულ, არასტაბილურ შიდა და საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მეტად დიდ ხელის შემშლელ ფაქტორად ევლინება დასავლელ საინვესტიციო კომპანიებს იმაში, რომ საქართველოს ეკონომიკური სარგებლიანობა სრულად გამოიყენოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად. ნაშრომი საინტერესოა ანალიტიკური თვალსაზრისით.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვას ეძღვნება ჯეიმს გრინისა და კრისტოფერ უოტერსის რედაქტორობით, გამოცემული კრებული: „კონფლიქტი კავკასიაში. გავლენა საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზე“ (**Green, Waters, Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order, 2010**). კრებულის სტატიათა ავტორები, ცდილობენ რა მიმოიხილონ რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი ასპექტები, განიცდიან დასავლური რიტორიკის გავლენას და 2008 წლის ომში დამნაშავედ რუსეთთან ერთად, მიიჩნევენ საქართველოსაც (**Green, Waters, 2010:70**). უნდა ითქვას ასევე, რომ რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკის საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებთან შეფარდებაზე საუბრისას, კრებულის მესამე სტატიაში (James A. Green, გვ. 54), ჯეიმს გრინი (**Green, 2010:54**) არ ეხება ამ პოლიტიკის ქართულ და თავად რუსულ კანონმდებლობასთან მიმართებას და დასძენს, რომ საერთაშორისო სამართალი ნებას რთავს ნებისმიერ სახელმწიფოს, თავად განსაზღვროს საკუთარი მოქალაქეობის გაცემის ნორმები. ავტორთა აზრით: „რუსეთის ხელისუფლებას ჰქონდა უფლება საკუთარი მოქალაქეობის, საკუთარი სურვილისამებრ გაცემისა“ (**Peimani, 2010: 82**), რაც არასწორია, რადგან რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული პასპორტიზაციის პოლიტიკა, პირველ რიგში, ქართული და რუსული კანონმდებლობის ჭრილში უნდა იყოს მიმოხილული და მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი რუსული საპასპორტო პოლიტიკის „შესაბამისობა“ ქართულ და რუსულ კანონებთან.

კრებულის ბოლო სტატიაში - „ბრძოლები ბრძოლის შემდეგ: საერთაშორისო სამართალი და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი“, კრისტოფ სტეფსი და ჯული ჯორჯი, (**Christoph H. Stefes, Julie A. George. The Battles after the Battle: Interna-tional Law and the Russia-Georgia Conflict,2010:153**), რუსეთ-საქართველოს სამართლებრივ ასპექტებს, ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ კი რუსული გადმოსახედიდან მიმოიხილავენ და აკეთებენ ასეთ დასკვნას: „სამხედრო კონფლიქტის მანძილზე ყველა მხარემ არაერთხელ მოახდინა საერთაშორისო წესებისა და ნორმების დარღვევა“ (**Stefes, George, 2010:170**). ავტორები ყურადღებას არ ამახვილებენ იმ მდგომარეობაზე, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე იყო შექმნილი. არ

ახდენენ ღრმა ანალიზს იმ ქმედებებისა, რაც რუსეთის ხელისუფლებამ, საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე განახორციელა, რამაც ქვეყანა რუსეთთან წინასწარ განწირულ სამხედრო კონფრონტაციამდე მიიყვანა. ამას დიდწილად განაპირობებს ავტორთა სუბიექტური პოზიცია, ასევე, ქართულ წყაროებზე არასაკმარისი წვდომის ფაქტორი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება მარსელ დე ჰაასის მიერ გამოცემული წიგნი: „რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა XXI საუკუნეში. პუტინი, მედვედევი და მათ მიღმა“ (**Marcel de Haas, Russia's Foreign Security Policy in the 21st Century. Putin, Medvedev and Beyond, 2010**). ჩვენთვის საინტერესო თემას ეძღვნება ნაშრომის მე-5 თავი: „2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომი“ (**Marcel de Haas, 2010:135**). აღნიშნულ თავში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან - 2008 წლის 26 აგვისტომდე, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. მოვლენათა ქრონოლოგიურად დალაგების მცდელობა სხვა ავტორებთანაც გვხვდება, თუმცა მარსელ დე ჰაასის წიგნის კონკრეტულ თავში მეტად საინტერესო სქემა გვხვდება 2008 წელს, რუსული და ქართული შეიარაღებული ნაწილების რიცხოვნობის შედარებისას (**Marcel de Haas, 2010:148**). ავტორს, ასევე, მოცემული აქვს სამხედრო მსხვერპლის რაოდენობა რუსული და ქართული მხრიდან, რომლის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოს ომში ქართული მხარის სამხედრო და სამოქალაქო დანაკარგს მოკლულთა სახით - 295, ხოლო დაჭრილთა სახით - 1500 მოქალაქე შეადგენდა, რუსული მხარის დანაკარგს კი - 71 მოკლული და 350 დაჭრილი (**Marcel de Haas, 2010:149**). ამრიგად, მარსელ დე ჰაასის ნაშრომში ვხვდებით მეტად საინტერესო მონაცემებს, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ძალთა ბალანსის შესახებ, უფრო მკვეთრი წარმოდგენის შექმნაში გვეხმარება. მეორე საკითხია აღნიშნული ციფრების რეალობასთან შეფარდების ნამდვილობა. თუმცა აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს კიდევ ერთ შეხედულებას და სტატისტიკას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

2008 წლის ომთან დაკავშირებით, საინტერესოა რონალდ ასმუსისა და რიჩარდ ჰოლბრუკის მიერ, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც უშუალოდ, რუსეთ-საქართველოს ომს ეხება (**Asmus, Holbrooke, 2009**). შეკითხვაზე: „რა შეგვიძლია გავაკეთოთ?“ - დასავლელი ავტორები ასე

პასუხობენ: „პირველი, საქართველო იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას და სოლიდარობას. (საქართველო გვეხმარებოდა ჩვენ. მათი ნაწილები 2 000 ჯარისკაცი, ერაყში სიდიდით მესამე კონტიგენტს წარმოადგენს). ჩვენ უნდა მოვახერხოთ ომის შეჩერება და უზრუნველვყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისსავე საერთაშორისო საზღვრებში. როგორც კი დაპირისპირება დასრულდება, უნდა მოხდეს ძლიერი, კოორდინირებული, ტრანსატლანტიკური თანადგომა, რომ დავეხმაროთ თბილისს წესრიგის აღდგენაში. მეორე, ჩვენ არ უნდა გვჯეროდეს იმის, რომ რუსეთი ნეიტრალური, მშვიდობისდამცველია კონფლიქტურ რეგიონებში. რუსეთი წარმოადგენს პრობლემის ნაწილს და არა პრობლემის გადაწყვეტას. მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა საერთაშორისო მანდატებს, საკუთარი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად. მესამე, ჩვენ უნდა დავუპირისპირდეთ რუსეთის ზეწოლას საკუთარ მეზობლებზე, განსაკუთრებით უკრაინაში, რომელიც, დიდი ალბათობით, მოსკოვის შემდგომი სამიზნე გახდება ჰეგემონიის ახალი სფეროს შექმნის მცდელობაში“ (**Asmus, Holbrooke, 2009**).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, საინტერესო დასკვნებს ვხვდებით, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მიერ, გამოცემულ ექსპერტ იუჯინ კოგანის სტატიაში: „რუსულ-ქართული ურთიერთობები და რეაქცია ევროკავშირიდან“ (**Kogan, E., Russian-Georgian Relation and the Reaction from the European Union, Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2013**), ნაშრომში მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, როდესაც 2012 წლის 1 ნოემბერს, ბიძინა ივანიშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას, რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალურ წარმომადგენლად, ზურაბ აბაშიძე დანიშნა. ავტორი შენიშნავს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ივანიშვილი რუსეთის ხელისუფლებისგან კეთილგანწყობილ რეაქციას ელოდა, თუმცა ნაცვლად ამისა, რუსმა დიპლომატმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა: „ჩვენ ველით კონკრეტულ, პრაქტიკულ ნაბიჯებს საქართველოს ახალი ხელისუფლებისაგან“ (**Kogan**, **2013:4**). კრემლის ამ განცხადებას მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის იმედგაცრუება, რის შესახებაც იუჯინ კოგანი წერს: „ივანიშვილის იმედგაცრუება მოსკოვის განცხადებით მიუთითებს მის მიერ პუტინის პოლიტიკის ვერ გაგებაზე საქართველოსა და ზოგადად კავკასიის

რეგიონთან მიმართებაში. შესაძლოა, ივანიშვილი კარგად იცნობდეს რუსული ბიზნეს ელიტების მენტალობასა და ხასიათს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ნაკლებად იცნობს რუსული პოლიტიკის ბუნებას“ (**Kogan**, **2013:14)**. ავტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ კრემლის ხელისუფლება, როგორც ედუარდ შევარდნაძის, ასევე, მიხეილ სააკაშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლებისგან ითხოვს მხოლოდ და მხოლოდ დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაციაზე უარის თქმას და რუსეთისაკენ „შემობრუნებას“ და არაფერს სხვას, ხოლო ამგვარი შემობრუნება, რომ სასიკეთოს არაფერს მოუტანს საქართველოს, ეს ცხადია. სამწუხაროდ, არანაირი ბალანსის მცდელობა საქართველოს მიერ რუსეთსა და დასავლეთს შორის, კრემლისთვის მისაღები არ არის.

2008 წლის ომს ეხება ბრიტანელი ჟურნალისტის თომას დე ვაალის წიგნი: „კავკასია. შესავალი“. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ავტორი, უშუალოდ, ნაშრომის ბოლო თავში: „თავიდან დაბადება, ვარდების რევოლუცია და კონფლიქტი“ ეხება. (**Thomas de Waal, 2010:188)**. თომას დე ვაალი მეტად საინტერესოდ მიმოიხილავს იმ გზას, რაც საქართველომ 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე გაიარა. ავტორი ხაზს უსვამს იმ ქმედებებს, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლისა და მათ მიერ კონფლიქტურ რეგიონებში დაგეგმილ მოქმედებებთან დაკავშირებით. დე ვაალი ხაზს უსვამს სააკაშვილის ხელისუფლების თავდაცის მინისტრის, - ირაკლი ოქრუაშვილის ხისტ დამოკიდებულებას კონფლიქტური რეგიონების მიმართ. ავტორს მოჰყავს ოქრუაშვილის მიერ 2006 წელს ნათქვამი სიტყვები, დაპირება, რომელიც თავდაცვის მინისტრმა საქართველოს მოსახლეობას მისცა, რომ თუკი 2007 წლის 1 იანვარს, ახალი წლის ცხინვალში შეხვედრა არ გამოვიდოდა, იგი თავდაცვის მინისტრის პოსტს დატოვებდა. დე ვაალი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მსგავსი დამოკიდებულება კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების დარეგულირების პოლიტიკის მიმართ, ნამდვილად საზიანო იყო, პირველ რიგში ქართული მხარის ინტერესებისთვის, რაშიც ავტორს შესაძლოა დაეთანხმო. დე ვაალი აღნიშნავს, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ „ერგნეთის ბაზრობის“ გაუქმება ერთგვარად ნეგატიურად აისახა ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე,

რადგან ამ ფაქტორმა თავად ხალხთა შორის კონტაქტების დამყარების პროცესი შეაფერხა (**Thomas de Waal, 2010:202).** ავტორი არ ითვალისწინებს, რომ ერგნეთის ბაზრობის არსებობა ქართულ სახელმწიფოს სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უქმნიდა. იგი, ასევე, ნეგატიურად აფასებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, ცხინვალში, „სანაკოევის რეჟიმის“ შექმნას (**Thomas de Waal, 2010:203**), რაც გარკვეულწილად სიმართლეს შეესაბამება. მ. სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, ავტორი ხაზს უსვამს, ასევე, იმ „ორმაგ პოლიტიკას“, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იმ დროს ატარებდა, რაც ზემოაღნიშნული ხისტი ქმედებების პარალელურად, იმ სამშვიდობო გეგმების შემუშავებაში გამოიხატებოდა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას არაერთხელ შეუთავაზებია კონფლიქტური რეგიონების დე ფაქტო მთავრობებისთვის, რომელთა პასუხიც აღნიშნულ გეგმებზე მუდამ უარყოფითი იყო. ავტორი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სამართლებრივ, ლეგიტიმურ ასპექტებს, რომლის მიხედვით, 2008 წლის ომში, ერთის მხრივ, საქართველოს, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლება მოქმედებდა.

2008 წლის ომთან დაკავშირებითმ მეტად საინტერესოა, 2005-2009 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის - კონდოლოზა რაისის წიგნი: „უდიდესი პატივი. ჩემ მიერ ვაშინგტონში გატარებული წლების მემუარები“ (**Rice, No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington, 2011**). ნაშრომის ერთ-ერთ თავში: „ომი იწყება საქართველოში“ (**War Breaks in Georgia),** კონდოლოზა რაისი, ქრონოლოგიურად მიჰყვება 2008 წელს განვითარებული მოვლენების მიმოხილვას და აღნიშნულ თავს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე საუბრით იწყებს. იგი წერს: „ევროპელებსა და ჩვენ არ გვქონდა გამოსავალი გარდა იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. ყველაფერმა ამან არეულობა შემოიტანა პროცესში. შეუძლებელი იყო საკითხის გატანა უშიშროების საბჭოს კენჭისყრაზე; რუსეთი, ჩინეთთან ერთად, აუცილებლად ვეტოს დაადებდა საკითხს, რადგან თავის მხრივ, ჩინეთსაც არ სურდა დაეშვა პრეცედენტი ტაივანისა და ტიბეტისთვის. ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობდა პრობლემის მშვიდობიანად, ძალისმიერი მეთოდის გარეშე მოგვარებაში, კოსოვოს

დამოუკიდებლობის ასაღიარებლად რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დარწმუნებაში“ **(Rice, 2011:426-427).** მეტად საინტერესოა. კ. რაისის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების არგუმენტაცია. მისი აზრით, ამ შემთხვევაში აშშ-მ და დასავლეთმა კოსოვო „განსაკუთრებულ“ მოვლენად შერაცხეს და დამოუკიდებლობა მიანიჭეს. ამით კი სანუკვარ და ნანატრ მშვიდობას „მიაღწიეს“ კოსოვოს საკითხის გარშემო და იმავე მოქმედებით, თავისდაუნებურად რუსეთს საკუთარ სამეზობლოში საკუთარ „იმპერიულ ჭკუაზე“ მოქმედების საბაბი მისცეს. კონდოლიზა რაისი იხსენებს, ასევე, მის შეხვედრას საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ - მ. სააკაშვილთან, თბილისში, 2008 წლის 10 ივლისს, სადაც მისთვის განუცხადებია, რომ იგი არაფრით არ უნდა აჰყოლოდა რუსულ პროვოკაციებს, რადგან ამ შემთხვევაში საქართველოს არავინ დაეხმარებოდა. ავტორის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა მას ისე შეხედა, თითქოს იმ წუთს უკანასკნელი მეგობარი დაეკარგოს (**Rice, 2011:428**). როგორც წიგნიდან ჩანს, 2008 წელს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შვებულება და საზაფხულო არდადეგები შეუწყვეტია საქართველოში რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღებული ომის გამო. როგორც კ. რაისი ამბობს, 2008 წელს დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ, მას საკუთარი თავისთვის პირობა მიუცია, რომ თუკი იგი როგორმე მშვიდობით მიაღწევდა 8 აგვისტომდე, დასავლეთ ვირჯინიაში, გრინბრიერში ითამაშებდა გოლფს და მოინახულებდა საკუთარ მეგობრებს, ხოლო ორი კვირის შემდეგ კი, გაემგზავრებოდა ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთში. მთავარი იყო, როგორმე 8 აგვისტომდე მისულიყო მშვიდობიანად (**Rice, 2011:428**). თუმცა რაისის გეგმებს, 8 აგვისტოსთან დაკავშირებით, 2008 წელს ასრულება არ ეწერა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი იხსენებს მის საუბარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან - სერგეი ლავროვთან 11 აგვისტოს, როცა ლავროვს საკუთარი „სამი მოთხოვნა“ გაუზიარებია რაისისთვის. კ. რაისი იგონებს: „რაში მდგომარეობს ეს მოთხოვნები? - ვკითხე მე. „პირველ ორ მოთხოვნას წარმოადგენს ქართველების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტზე ხელის მოწერა და საკუთარი ნაწილების ყაზარმებში დაბრუნება“ - მითხრა მან. „შესრულებულია“- ვუპასუხე მე. „...შემდეგი მოთხოვნა უნდა დარჩეს მხოლოდ ჩვენს შორის. მიშა სააკაშვილი უნდა წავიდეს“. მე ვერ დავუჯერე საკუთარ

ყურებს... „სერგეი, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს არ უნდა ჰქონდეს დიალოგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის წასვლაზე, ვუპასუხე მე. „მესამე მოთხოვნა ახლავე გახდება საჯარო, რადგან მე ვაპირებ დავრეკო ყველასთან, ვისთანაც შევძლებ და ვუთხრა მათ, რომ რუსეთი საქართველოს პრეზიდენტის გადაყენებას მოითხოვს“. „მე ვთქვი, რომ ეს ჩვენში უნდა დარჩეს“ - მითხრა მან. „არა, არ დარჩება ჩვენს შორის. ამას ყველა გაიგებს“. დიალოგი ამით დასრულდა **(Rice, 2011:429)**. ამის შემდეგ, როგორც ავტორი ამბობს, მას მართლაც დაურეკავს საფრანგეთის, ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და მოუხსენებია მათთვის ს. ლავროვთან სატელეფონო საუბრის შესახებ. კ. რაისი ასე იხსენებს მომდევნო დღეს ჩატარებულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომას, რომელზეც შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში - სტივ ჰედლიმ დასვა შემდეგი კითხვა: „მზად ვართ, რუსეთთან ომისათვის საქართველოს გამო?“ რაისის თქმით, ამ შეკითხვამ, ოთახში სიჩუმე ჩამოაგდო **(Rice, 2011:430)**. ამგვარად, რაისის მემუარების ამ ნაწილის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ, ისევე როგორც, ევროპის ქვეყნები, 2008 წელს (ისევე როგორც ყოველთვის) ატარებდნენ საკუთარი ინტერესების ადეკვატურ, პრაგმატულ პოლიტიკას. აშშ-ს ისევე, როგორც საფრანგეთს და სხვა ევროპულ ქვეყნებს, შეეძლოთ ჯეროვანი ყურადღება დაეთმოთ რუსეთ-საქართველოს ომის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ჯეროვანი დოკუმენტის გაფორმებისათვის. კონდოლიზა რაისი, „სარკოზის დოკუმენტზე“, მეტად საინტერესო და შეიძლება ითქვას, უცნაურ ცნობას გვაწვდის. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თქმით, საქართველოს მხარის მიერ აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარის თქმა განპირობებული იყო თავად ამ დოკუმენტში მოცემული ერთ-ერთი პუნქტით, რომლის მიხედვით რუსულ სამხედრო ნაწილებს ჰქონდათ უფლება განლაგებულიყვნენ გორიდან 15 კმ-ის პერიმეტრში **(Rice, 2011:430)**. ამის შემდგომ, რაისის მიხედვით, მომხდარა დოკუმენტისთვის სწორედ იმ სახის მინიჭება, რაც საბოლოოდ ექვსპუნქტიანი შეთანხმების სახელით არის ცნობილი. აღნიშნული შეთანხმების მეხუთე პუნქტი, რუსეთის ხელისუფლებას, საქართველოს ტერიტორიაზე ომის შემდგომ თარეშისა და ფაქტობრივად,

აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის გამოცხადების ბერკეტს აძლევდა. რაისის მემუარებში, საინტერესოდ არის მიმოხილული ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიღების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილისა და რაისის მიერ გამართული პრესკონფერენცია, რომელზეც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის გადმოცემით, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და მადლობის ნაცვლად, ევროპელები მიუნხენის კონფერენციის გამეორებაში დაადანაშაულა **(Rice, 2011:430)**. კ. რაისი ნაწყენი დარჩა მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც, თავის მხრივ, ნაწყენი იყო მთელ დასავლეთზე, იმის გამო, რომ საქართველოს რუსეთთან ომში ჯეროვანი ყურადღება არ დაეთმო. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედო ბერკეტების შემცირება აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ინტერესში ნამდვილად უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა „სარკოზის დოკუმენტის“ მეხუთე პუნქტით, რუსეთისათვის ასპარეზის მიცემა, რადგან რთული გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო ამ პუნქტის საბოლოო შედეგი და ის, თუ მომავალში რა საფრთხის მომასწავლებელი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთისათვის ამგვარი სამოქმედო ასპარეზის მინიჭება. მიხეილ სააკაშვილის მიერ ზემოაღნიშნულ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა კონდოლიზა რაისმა ასე შეაფასა; „ჩვენ ჩავატარეთ „ნატო“-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, ზემოაღნიშნული შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე დღეში. მე აღმოვაჩინე, რომ ნატო-ს წევრები საკვირველად თანაუგრძნობდნენ სააკაშვილს, თუმცა ზოგიერთმა მოკავშირემ აღნიშნა, რომ მან დემონსტრაციულად აჩვენა, თუ რატომ არ იყო კარგი იდეა საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება“ **(Rice, 2011:431)**. ამრიგად, მ. სააკაშვილი აშშ-ს იმდროინდელ სახელმწიფო მდივანს, ფაქტობრივად, გამოჰყავს ადამიანად, რომელმაც ვერ დააფასა აშშ-ს და დასავლეთის მიერ, რუსეთ-საქართველოს ომის მშვიდობიანად დასრულებაში შეტანილი წვლილი და მადლობის ნაცვლად, უხეში კონტექსტი არ დაიშურა მათ მიმართ. კ. რაისის მემუარები, 2008 წლის აგვისტოს ომზე საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ ალექსანდრ ასტროვის რედაქციით გამოცემული სტატიათა

კრებული: „დიდი ძალის არასწორი გამოყენება. რუსეთ-საქართველოს ომი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგისათვის“ (**Astrov, The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order, 2011**). კრებული ცხრა სტატიისგან შედგება, რომელთაგან პირველი და მეცხრე სტატიის ავტორია თავად ალექსანდრ ასტროვი, ხოლო დანარჩენ 7 სტატიას სხვადასხვა ავტორი ჰყავს. კრებულის პირველ სტატიაში: „დიდი ძალების მმართველობა დიდი ძალების გარეშე? რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი“ (**Astrov, 2011: 25**), ალექსანდრ ასტროვი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს, საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში განიხილავს. იწყებს რა საკუთარ სტატიას 2008 წელს ესტონეთის პრეზიდენტის ტომას ილვესის სიტყვებით: „...ჩვენ ვცხოვრობთ პოსტმოდერნისტულ 21-ე საუკუნის ევროპაში, მაგრამ საქმე გვაქვს რუსეთთან, რომელიც მე-19 საუკუნის წინა მოდერნისტულ სტილში მოქმედებს“ (**Astrov, 2011:97**).

2008 წლის ომთან დაკავშირებით, საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს აშშ-ს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიერ, არიელ კოენისა და რობერტ ე. ჰამილტონის ავტორობით გამოცემული მონოგრაფია: „რუსული სამხედრო საქმე და ომი საქართველოსთან: გაკვეთილები და მნიშვნელობა“ (**Cohen, A., Hamilton, R., The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications, 2011**). ნაშრომი, სამხედრო ასპექტებთან ერთად, რუსეთის მიერ 2008 წელს, საქართველოში ომის დაწყების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზებსაც მიმოიხილავს. ავტორთა თქმით: „თბილისი რუსეთის პასუხის სისასტიკით გაოცებული იყო, თუმცა ისინი არ უნდა გაოცებულიყვნენ, არ უნდა გაოცებულიყო ასევე ვაშინგტონი. წარწერა პირდაპირ კედელზე იყო განთავსებული, ვაშინგტონმა კი ვერ შეძლო მისი წაკითხვა...“ (**Cohen, Hamilton, 2011:5**). სწორედ, ამგვარ დასკვნას აკეთებენ არიელ კოენი და რობერტ ჰამილტონი, 2008 წლის მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მიმოხილვის შემდეგ. მათი აზრით, ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლება საქართველოში მოიმოქმედებდა იმას, რასაც 2008 წელს ჰქონდა ადგილი. მით უმეტეს, აშშ-ის ხელისუფლებას კარგად უნდა სცოდნოდა ეს ყველაფერი. რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო დეტალებზე საუბრისას,

ავტორები რუსეთის სამხედრო შემადგენლობის შესახებ, ციფრებს რუსი სამხედრო ანალიტიკოსის - პაველ ფელგენჰაუერის ინფორმაციის მიხედვით ასახელებენ. ავტორთა გადმოცემით, რუსეთის ავიაციის რაოდენობა მოიცავდა SU-24, SU-25, SU-27 და TU-22 ტიპის 300-მდე თვითმფრინავს, მაშინ როდესაც ქართულ მხარეს სულ 8 SU-25 ჰყავდა. ავტორთა აზრით, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ რუსეთმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად „ჩართო საქმეში“ შავი ზღვის სამხედრო ფლოტი (**Cohen**, **Hamilton, 2011:11).** ომში მონაწილე მხარეების შეიარაღების რაოდენობაზე ხაზგასმა, ავტორთა მხრიდან, მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ყველაფერი ეს, კიდევ ერთხელ, აშკარად მიუთითებს 2008 წელს რუსეთის განზრახვის სერიოზულობასა და მასშტაბურობაზე. რაც შეეხება ავტორთა მიერ მოყვანილ ციფრებს, ქართული და რუსული სამხედრო ნაწილების შემადგენლობის შესახებ, მათი მონაცემებით, საქართველოში ომისათვის მომზადებული, რუსული სამხედრო ნაწილების შემადგენლობა 2009 წელს - 35 000-40 000 კაცს შეადგენდა, ხოლო ქართული სამხედრო ნაწილების შემადგენლობა კი მხოლოდ და მხოლოდ 12 000-15 000 იყო (**Cohen**, **Hamilton, 2011:12).** აშშ-დან წარმოებული დაკვირვების მიხედვით, ავტორები, რუსულ სამხედრო ნაწილებთან შედარებით, ქართული სამხედრო ნაწილების უკეთესი ეკიპირების შესახებ, საუბრობენ. მათი აზრით: „...ქართველი ჯარისკაცები აღჭურვილნი იყვნენ თანამედროვე ჯავშნებითა და ჩაფხუტებით, რაც რუს ჯარისკაცებს არ ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როდესაც რუსი ჯარისკაცები, გარდაცვლილ ქართველ ჯარისკაცებს ხსნიდნენ ჩაფხუტებსა და ჯავშანს, საკუთარი თავდაცვის გასაუმჯობესებლად“ (**Cohen**, **Hamilton, 2011:33).** აღსანიშნავია, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მარადიორობა, რომელსაც რუსმა სამხედროებმა „ქონების დაცვა“ დაარქვეს, რადგან რთულად წარმოსადგენია სხვისი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვისი საკუთრების დაცვა როგორ შეიძლება მოხერხდეს, თუმცა დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 2009 წელს რუსმა სამხედროემა ეს ნამვილად „მოახერხეს“. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რუსული ძალების გამარჯვებით დასრულდა, რუსეთის ხელისუფლებისთვის, სამხედრო კუთხით, ომმა მთელი რიგი პრობლემები წამოსწია წინ. წიგნის ერთ-ერთი ავტორისთვის - არიელ კოენისათვის, რუსეთის თავდაცვის მინისტრის

მჩეველს უთქვამს: „ომმა დაამტკიცა, რომ რუსეთმა უფრო მეტი თანხა და ყურადღება უნდა დაუთმოს გაცილებით მცირე, მანევრირებადი და მობილური ჯარის შექმნას, საკუთარი საზღვრების დასაცავად და არა მსოფლიო ომში საბრძოლველად“ (**Cohen**, **Hamilton, 2011:50).** აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება კიდევ ერთი დეტალი - რუსეთი, როგორც ყოველთვის, ტრადიციულად სამხედრო საქმეში გათვლას აკეთებს არა საკუთარი ჯარების მობილურობაზე, არამედ რაოდენობაზე. სწორედ, რაოდენობით დაამარცხა 2008 წელს რუსულმა არმიამ საქართველოს ჯარი და არა მობილურობამ და სწრაფმა მანევრირებამ. და ეს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ქართული ნაწილები დაიკვეხნიდნენ დაგეგმარებითა და მობილურობით. არიელ კოენისა და რობერტ ჰამილტონის ნაშრომი, 2008 წლის ომთან დაკავშირებით, ინფორმაციულ ბაზას კიდევ უფრო ამდიდრებს.

2008 წლის ომს ეხება, რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური მკვლევარის - მარი მენდრას წიგნი: „რუსული პოლიტიკა. სუსტი სახელმწიფოს პარადოქსი“ **(Marie Mendras, Russian Politics: The Paradox of a weak State, 2012).** წიგნის მეცხრე თავის პირველ **ქვეთავში: „ომი საქართველოში. შემობრუნების წერტილი“ (Mendras, 2012:258),** ავტორი მოკლედ მიმოიხილავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს. ავტორის მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ იგი რუსული პოლიტიკის კრიტიკას არ ერიდება. მარი მენდრა წერს: „შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის შემთხვევით არ დაწყებულა. დენთის კასრი უკვე სავსე იყო, საჭირო იყო, მხოლოდ ნაპერწკალი“ **(Mendras, 2012:258)**. ავტორი, ასევე, მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს წინ უძღოდა და მას თანამედროვე რუსული პოლიტიკის ჭრილში წარმოაჩენს. ნაშრომი მეტად საინტერესოა თანამედროვე რუსეთის საგარეო ურთიერთობების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება, ტასმანიის უნივერსიტეტის პროფესორის - მეთიუ სასექსის რედაქტორობით, გამოცემული სტატიათა კრებული: „კონფლიქტი ყოფილ სსრკ-ში“ (**Matthew Sussex, Conflict in the Former USSR, 2012).** კრებულში მიმოხილულია კონფლიქტის ბუნება, პოსტ საბჭოთა სივრცეში და

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიზეზები. კრებულში სტატიები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დალაგებული, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში არსებული მდგომარეობის მიმოხილვიდან დღევანდელ რუსეთში არსებულ სიტუაციამდე. კრებულის მეორე **სტატიაში: „იმპერიული რუსეთის დაბრუნება“ (Sussex, 2012:15),** ავტორი როჯერ კანეტი საუბრობს პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსეთის „ძლიერების ხანის“ დადგომის შესახებ და ხაზს უსვამს ენერგორესურსების როლს, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს 2005-2006 წლების ზამთარში, უკრაინაში განვითარებული მოვლენები, როცა უკრაინის მიერ დასავლური პოზიციების გამოხატვა, რასაც ადგილი ჰქონდა 2005 წლის გაზაფხულიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ვიქტორ იუშჩენკო, პირდაპირ აისახა უკრაინაში რუსული გაზის მიწოდებაზე. რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება რამდენიმე დღით შეუწყვიტა 2006 წლის დასაწყისში და განუახლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითქმის გაასამმაგა საკუთარი ბუნებრივი აირის ფასი უკრაინისათვის **(Sussex, 2012:28).** ავტორის მონაცემებით, თუკი ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობის პერიოდში (1994-2005 წწ.), უკრაინა ერთ კუბურ მეტრ რუსულ ბუნებრივ აირში დაახლებით 50 აშშ დოლარს იხდიდა, 2005 წლისათვის ფასმა 160 დოლარს, ხოლო მოგვიანებით კი 230 დოლარსაც მიაღწია **(Sussex, 2012:31).**

რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე საუბრობს, კენტის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ საკვა კრებულის მეოთხე სტატიაში: „დიდი ძალები და მცირე ომები კავკასიაში“ **(Richard Sakwa, Great Powers and Small Wars in the Caucasus, In: Conflictin the Former USSR., 2012:64).** ავტორი მიმოიხილავს საქართველოს რეგიონალური კონფლიქტების საფუძვლებს. იგი დასკვნებს ოსი სეპარატისტი ავტორების ნაშრომეზე **(В. Д. Дзидзоев, К. Г. Дзугаев. Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений. Цхинвали, 2007)** დაყრდნობით აკეთებს **(Sakwa, 2012:65).** ავტორი ხაზს უსვამს სეპარატისტების პოზიციას იმის შესახებ, რომ „სამხრეთ ოსეთს“, მართლაც გააჩნია საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ამ გზით, საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ტრადიცია **(Sakwa, 2012:79).** იმავდროულად, სტატიის მომდევნო გვარდზე ავტორი ხაზს უსვამს ქართული

სეპარატისტული რეგიონების მოთხოვნათა არალეგიტიმურობაზე და 2008 წელს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ რუსულ „მშვიდობისმყოფელთა კონტიგენტს" - რუსეთის ნეოიმპერიულ იარაღს უწოდებს **(Sakwa, 2012:80),** რაც იმაზე მიუთითებს, რომ რიჩარდ საკვა, თავად ვერ არის ჩამოყალიბებული იმ საკვლევი პრობლემების გარშემო, რომლებზეც ის თავის სტატიაში საუბრობს. შეიძლება ითქვას, რომ მეთიუ სასექსის რედაქტორობით გამოცემული კრებული საკმაოდ სუბიექტური ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს, არ გამოირჩევა ლოგიკური დასკვნებით, რაც საბოლოო ჯამში, საკითხის კვლევას ახალს და საინტერესოს არაფერს სძენს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას და ანალიზს ეძღვნება, კორნელი კაკაჩიასა და მაიკლ სესირის რედაქტორობით, კონრად ადენაუერის ფონდის მიერ გამოცემული, სტატიათა კრებული: „საქართველოს საგარეო პოლიტიკა. მტკიცე უსაფრთხოების ძიებაში" **(Korneli Kakachia, Michael Cecire, Georgian Foreing Policy. The Quest for Sustainable Security, 2013),** კრებულს თან ახლავს საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის - ირაკლი ალასანიას წინასიტყვაობა. კრებულის არც ერთი სტატია კონკრეტულად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს არ ეხება, თუმცა სტივენ ჯონსის, მაიკლ სესირის, კორნელი კაკაჩიას, ნილ მაკფარლანისა და მამუკა წერეთლის სტატიებში, განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორები აშშ-სთან, სომხეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ასევე, საუბარია პარალელებზე საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოების პრობლემებს შორის. კრებულში თავმოყრილია საკმაოდ საინტერესო მასალა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიმართულების შესახებ, რაც დაინტერესებულ მკითხველს საკმაო ინფორმაციას აწვდის.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება ჯოზეფ ლოურენს ბლეკის, 2015 წელს გამოცემული ნაშრომი: „დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობა, 2008-12. მომდევნო ნაბიჯი წინ თუ უბრალოდ შესვენება?" **(Black, J., The Russian Presidency of Dimitry Medvedev, 2008-12. The Next Step Foeward or Merely a Time Out?, 2015).** ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავი, უშუალოდ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება. ავტორი მკვეთრად პრორუსულ პოზიციებს აფიქსირებს. 2008 წლის 7 აგვისტოს

განვითარებული მოვლენების მიმოხილვისას, იგი არ ახსენებს რუსული სამხედრო ნაწილების როკის გვირაბში განთავსების ფაქტს, ასევე, ცხინვალის რეგიონში რუსული შენაერთების როკის გვირაბში ორი კვირით ადრე განთავსებას. ავტორი მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ რუსულმა სამხედრო ნაწილებმა როკის გვირაბიდან გამოსვლა და სამხედრო მოქმედებებში ჩაბმა, ქართველების მიერ ცხინვალზე შეტევიდან 12 საათის შემდეგ დაიწყეს, **(Black, 2015:135).** ავტორი დასკვნებს, რუსულ ინფორმაციაზე დაყრდნობბით აკეთებს. სინამდვილეში, რუსული 58-ე არმია, ჯერ კიდევ 15 ივლისიდან მოყოლებული, სამხედრო წვრთნებს გადიოდა, ხოლო ივლისის ბოლოს, რუსული არმიის ეს ნაწილი, საქართველოში ინტერვენციისთვის სრულ მზადყოფნაში იყო. საბოლოო ჯამში, ავტორი ომის დაწყებას მ. სააკაშვილის „კვეხნა-ტრაბახს“ აბრალებს, რომ თითქოს იგი საქართველოს ნებისმიერ ფასად გააერთანებდა **(Black, 2015:135).** სხვა მიზეზები - მოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ომისთვის საგანგებო მზადება და სხვა, ავტორისთვის რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება, რაც ნაშრომის ტენდენციურობაზე მიუთითებს.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს ეხება, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის - ესმირა ჯაფაროვას წიგნი: „კონფლიქტის მოგვარება სამხრეთ კავკასიაში. საერთაშორისო ძალისხმევის გამოწვევები“ (**Esmira Jafarova, Conflict Resolution in South Caucasus. Challenges to international Efforts, 2015**). წიგნის მეორე თავის ერთ-ერთ ქვეთავში: „კონფლიქტები საქართველოში: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“ (**Jafarova, 2015:25),** ავტორი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებას, ისტორიულ და ეთნოპოლიტიკურ ჭრილში მიმოიხილავს. ე. ჯაფაროვა, საუბრობს იმ მოვლენებზე, რაც წინ უძღოდა 2008 წლის აგვისტოს ომს და ხაზს უსვამს აღნიშნული ომის გავლენას მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. ავტორი პესიმისტურად უყურებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, აფხაზეთსა და ცხინვალის რაგიონზე, მომავალში კონტროლის დამყარების საკითხს და მიიჩნევს, რომ 2008 წლია აგვისტოს ომმა მკვეთრად გააუარესა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები (**Jafarova, 2015:33).** ნაშრომი მიმოხილვით ხასიათს ატარებს და ტენდენციურობით არ გამოირჩევა, რაც ნაშრომს უდავოდ ღირსებას

მატებს. მართალია, ნაშრომი კონკრეტულად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს არ ეხება, თუმცა ავტორი აღნიშნულ ომს სამხრეთ კავკასიის ეთნო-პოლიტიკურ საკითხებთან კავშირში განიხილავს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წიგნს.

თავი II. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1992-2008 წლებში

$ 1. რუსეთის ინტერესები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში

კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესების არსებობის შესახებ, უამრავი პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი არსებობს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რუსეთის იმპერატორ, პეტრე პირველის მიერ, 1709 წელს, დატოვებული პოლიტიკური ანდერძი, სადაც ის კავკასიის რუსეთის გავლენაში მოქცევის მეთოდებზე საუბრობს. თითქმის 200 წლის შემდეგ, იგი რუსეთის პრეზიდენტის - დ. მედვედევის `თანამედროვე ანდერძმა~ ჩაანაცვლა. ამდენად, რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. სამწუხაროდ, დიდი ქვეყნების ასეთი მისწრაფებები თავის მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან იყო და დარჩება მუდმივ პრობლემად. არ იქნება სწორი თუ ვიტყვი, რომ რომელიმე სეპარატისტული რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა გარკვეული და გაცნობიერებული იყო გეოპოლიტიკურ სისტემაში და ამის მიხედვით მოქმედებდა. რა თქმა უნდა, მათი არჩევანი წმინდა პრაგმატულმა ფაქტორებმა განაპირობეს. გარშემო სახელმწიფოთაგან ოსებისა და აფხაზებისთვის მისაღები და მომგებიანი დიდ სახელმწიფოზე _ რუსეთზე ორიენტაცია აღმოჩნდა, რადგან მოსახლეობისთვის რუსეთის ბაზარი, უმძიმესი სოციალური კრიზისის დაძლევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1921 წელს, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთი მუდამ ერეოდა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში და საქართველოსგან ამ კუთხის მოწყვეტას ცდილობდა. აფხაზეთის ავტონომია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებში დაადასტურა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდეც, აფხაზეთი საკმაოდ ფართო ავტონომიით სარგებლობდა. 1918 წლის 9 თებერვალს, მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული დემოკრატიულ რესპუბლიკად, თბილისში აფხაზთა სახალხო საბჭოს და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება გაიმართა. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც აფხაზეთს საქართველოს შემადგენობაში ფართო ავტონომია

ენიჭებოდა (**Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов , 1990:11).**

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ამასთან ვალდებულება აიღო, აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღსადგენად, კერძოდ, აფხაზეთისთვის გაგრის ოლქის დასაბრუნებლად, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსეთმა, ადმინისტრაციული დაყოფის დროს, შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს დაუქვემდებარა. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აფხაზმა მოღვაწეებმა - ვარლამ შერვაშიძემ და არზაყან (დიმიტრი) ემუხვარმაც მოაწერეს ხელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს, აფხაზეთს ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა მიანიჭა, თუმცა რუსული აგრესიის გამო, კონსტიტუცია ვერ ამოქმედდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, 1920 წლის აპრილში, საერთაშორისო არენაზე სერიოზული ნაბიჯი გადადგა ქართველ და აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დასაბრუნებლად, რასაც ხელი საქართველოს გასაბჭოებამ შეუშალა. საბჭოთა რუსეთი ერთნაირად ებრძოდა ეროვნულ პოზიციაზე მყოფ როგორც ქართველ, ასევე, აფხაზ პატრიოტებს.

1918 წლის ივნისში, აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა, აფხაზეთში აფხაზთა სახალხო საბჭოს მიეკუთვნა **(გამახარია, 1991:55).** რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას, საქართველოს მომავალი მოწყობის საკუთარი გეგმები ჰქონდა. 1921 წლის 2 მარტს, ეფრემ ეშბა აფხაზეთის რევკომის სახელით, აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას და რსფსრ შემადგენლობაში შესვლას მოითხოვდა. ეს იყო რუსი ბოლშევიკების მიერ წაქეზებული, აფხაზი კომუნისტების მცდელობა, რათა აფხაზეთი საქართველოსგან ჩამოეშორებინათ. აფხაზეთის ოლქის ტერიტორიაზე, მაშინ 36000 აფხაზი ცხოვრობდა. ისინი ქართველებთან შედარებით უმცირესობას შეადგენდნენ. აფხაზეთის ოკუპაცია და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ, 1921 წლის 4 მარტს დაასრულა, როცა გაგრის მხრიდან შემოსულმა რუსეთის IX არმიის ნაწილებმა სოხუმი დაიკავეს. 6

მარტს, აფხაზეთის დროებითმა რევკომმა არსებობა შეწყვიტა და ძალაუფლება კავბიუროს მიერ ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობას და ნ. აქირთავას შემადგენლობით შექმნილ საოკუპაციო ორგანოს - რევკომს გადასცა. რუსეთის მთავრობის მითითებით შექმნილი, აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), თავიდანვე ინტენსიურად შეუდგა აფხაზეთის სტატუსის გარკვევას. 1921 წლის მარტში, ასევე, დასრულდა რუსეთის ჯარების მიერ, საქართველოს სრული ოკუპაცია.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, 1920 წლის 7 მაისს, დადებული ხელშეკრულებით, აფხაზეთი, ასევე, გაგრის ოლქი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ძალით, რუსეთის მაშინდელმა მთავრობამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრები აღიარა, საბჭოთა ხელისუფლება მაინც ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის დასანაწევრებლად. საქართველოში საბჭოთა რუსეთის ელჩის - სერგეი კიროვის მითითებით, სოხუმში საგანგებო კომისია შეიქმნა **(სონღულაშვილი, 2007:121),** რომელსაც რუსეთის საელჩოსთვის ჯაშუშური ცნობების მიწოდება ევალებოდა. რუსეთის ყოფილმა სამხედრო ატაშემ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პ. სიტინმა, რომელმაც თავისი ჯაშუშური საქმიანობა საბჭოთა საქართველოშიც გააგრძელა, რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გეგმა წარუდგინა. იგი, რუსეთის ჯარების განლაგებას, უპირატესად ოსმალეთის საზღვართან, სამეგრელოს ავტონომიზაციას, რუსული მოსახლეობის მხარდაჭერას და გააქტიურებას, ამიერკავკასიის რკინიგზის რუსეთისთვის გადაცემას, ასევე, რუსეთის ფედერაციის საზღვრის მდინარე ბზიფამდე გადატანას, აფხაზეთში პლებისციტის ჩატარებას და რუსეთთან მის მიერთებას ითვალისწინებდა **(გასვიანი, გ., გასვიანი, თ., 2005:301-302).** ასეთი იყო საქართველოს მიმართ, რუსეთის, ამჯერად ბოლშევიკური ხელისუფლების მზაკვრული გეგმა. 1921 წლის 21 მარტს, საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ. 1921 წლის 28-29 მარტს, ქ. ბათუმში რკპ (ბ)

ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს (კავკასიის ბიურო), საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და აფხაზეთის რევკომის წარმომადგენელთა თათბირი გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ შალვა ელიავა, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა **(თოიძე, 1999:68-69).** თათბირზე, **საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით, აფხაზეთი სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.** ამის შემდეგ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. აფხაზი სეპარატისტები და მათი წამქეზებელი რუსეთის საბჭოთა იმპერიის ხელისუფლება, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით არ კმაყოფილდებოდა და საქართველოსგან მის მოწყვეტას ცდილობდა.

1921 წლის 21 მაისს, საბჭოთა საქართველოს მარიონეტულმა მთავრობამ, ფილიპე მახარაძის მეთაურობით, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღიარა. ამის შემდეგ, მთელი 10 წლის განმავლობაში (1921 -1931 წწ.) აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელები ე. ეშბა და ნ. ლაკობა ხშირად უსვამდნენ ხაზს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა დროებით გამოცხადდა, რადგან აფხაზეთი რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არ ყოფილა. რეგიონის მმართველი პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების, მათი პირადი შემადგენლობის დამტკიცება ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, უშუალოდ თბილისში მოქმედი კავბიუროს გადაწყვეტილებით ხდებოდა.

რუსეთის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, 1921 წლის 5 ივლისს, მიიღო დადგენილება, რომლითაც პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა, გაეწიათ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ **აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო.** 1921 წლის 16 ნოემბერს, რუსეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის დამოუკიდებლობა მიზანშეუწონლად ჩათვალა; გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესვლა საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში. 1921 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის

ძალითაც **აფხაზეთს სახელშეკრულებო რესპუბლიკის სტატუსი დაუმკვიდრდა** და იგი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1922 წლის თებერვალში, აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ, აფხაზეთის და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ 1922 წლის მარტში, შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში, აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი. ეს ფაქტი რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობებმა დაადასტურეს. საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში, რომელიც საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, 1922 წლის 2 მარტს, მიიღო აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შევიდნენ: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას - ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე უკავშირდებოდა. რეალურად აფხაზეთს, ისეთივე სტატუსი ჰქონდა, როგორც ავტონომიურ ოლქს. 1930 წლის 17 აპრილს, აფხაზეთის ცაკ-ის III სესიამ აფხაზეთ-საქართველოს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი განიხილა. 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებთან. სესიამ კონსტიტუციიდან ამოიღო სახელწოდება **„სახელშეკრულებო რესპუბლიკა"** და იგი **„ავტონომიური რესპუბლიკით"** შეცვალა. 1931 წლის 11 თებერვალს, ეს ცვლილება აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ დაამტკიცა. 1931 წლის 14 თებერვალს, საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დაადასტურა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილება, რომლის ძალით აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულება, ძალადაკარგულად გამოცხადდა. 1931 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციასთან, **სადაც აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით არის მოხსენიებული.**

ამრიგად, 1921 წლის მარტში, აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება, დროებითი მოვლენა იყო. 1921-1931 წლებში აფხაზეთი საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობდა.

საქართველოს დანაწევრების „რუსული გეგმა" ეტაპობრივად იცვლებოდა, რაც დამოკიდებული იყო როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე, ასევე, იმპერიის პოლიტიკურ მესვეურთა ნებაზე. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის იდეამ აქტიური ხასიათი შეიძინა. რუსეთის საბჭოთა იმპერიის ზედა ეშელონებში, საქართველოს ტერიტორიული დაშლის მორიგი გეგმა, აქტიურად მუშავდებოდა. იგი საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილებას, აფხაზეთის და სოჭის ოლქის ერთ „საკურორტო რესპუბლიკად" გაერთიანებას და რუსეთისადმი მის პირდაპირ დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. საკურორტო რესპუბლიკის შექმნის იმპერიული იდეა პირველად, 1947-1982 წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა - მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვმა (1902-1982წწ.) გააჩმოვანა. მიხეილ სუსლოვი, როგორც კომუნისტური პარტიის იდეოლოგი, „რუხი კარდინალის" სახელით იყო ცნობილი. მას „საბჭოთა კავშირის პობედონოსცევს" შემთხვევით არ უწოდებდნენ. 1961 წელს, სკკპ ცკ-ის დახურულ თათბირზე, მან ე. წ. „სუსლოვის დოქტრინა" წარადგინა. იგი საქართველოს ტერიტორიულ დაშლას ითვალისწინებდა, არა მარტო ხელოვნურად შექმნილი ავტონომიების ჩამოცილებით, არამედ დასავლეთ საქართველოს გამოყოფას აღმოსავლეთისაგან, ასევე, საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში რუსული სამხედრო დასახლებების შექმნას. საკურორტო ოლქის შექმნის იდეა, საქართველოსგან ძირძველი კუთხის ჩამოშორებას, სერიოზული რისკის ქვეშ აყენებდა. აღნიშნული პროექტი არ განხორციელებულა. მიხეილ სუსლოვი თავის საიდუმლო მოხსენებაში წერდა: „კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამადე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება. შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო

ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ, მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად, ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“ **(სუსლოვის სული, 2003:13).**

1964 წელს, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა - ნიკიტა ხრუშჩოვმა (1894-1971 წწ.) საქართველოს დაშლის მორიგი გეგმა შეიმუშავა, რომელიც საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილებას და კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში მის გადასვლას გულისხმობდა. გეგმის რეალიზაცია ჩაიშალა, რადგან ნ. ხრუშჩოვი საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელი პოსტიდან გაათავისუფლეს.

იგივე მეთოდებით იბრძოდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ცხინვალის რეგიონშიც, როცა უკანონო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ჩამოყალბებას შეუწყო ხელი. ოსების სეპარატისტული გამოსვლები სათავეს იღებს, ჯერ კიდევ, 1905 წლიდან, როდესაც ოსურმა ინტელიგენციამ კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე, ოსური საჯარისო შენაერთების ფორმირების საკითხი, ოფიციალურად დააყენა. სეპარატისტულმა მოძრაობამ მკვეთრად გამოხატული ხასიათი 1917 წლიდან მიიღო და 1922 წლის 20 აპრილს, ავტონომიური ოლქის შექმნით დაგვირგვინდა. სახელწოდება - ,,სამხრეთ ოსეთი“ სრულიად არაბუნებრივია ისტორიული თვალსაზრისით და შესაბამისად მიუღებელია, რადგან აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრება ოსებით დასახლებული საქართველოს ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორია. ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი“ და ,,ჩრდილოეთ ოსეთი“, ოფიციალურად ფეხს იკიდებს 1830 წლიდან. გაზეთ

,,Тифлисские ведомости“-ში (1830წ. #72) დაბეჭდილი ანონიმი ავტორის პუბლიკაციაში, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთად“ სახელდებულია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და მეჯუდას ხეობების მთიანეთის ტერიტორია. იქვე ჩამოთვლილია ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ შვიდი მთავარი ხეობა: მაღრანდვალეთის, ქეშელთის, ჯავის, პატარა ლიახვის, მეჯუდის, ჭურთისა და ჟამურის **(ითონიშვილი, 1995:38).**

სახელწოდება - „სამხრეთ ოსეთი“, სავსებით უსამართლოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმების გვერდის ავლით, ეწოდა ქართულ მიწა-წყალს, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოსულმა ოსებმა თანდათანობით დაიკავეს. ოსების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების ფაქტს ადასტურებს არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი. ინგუში ისტორიკოსი სულთან ხამჩიევი წერს: ,,ოსი ხალხის მთელი ისტორია არის უწყვეტი და თანმიმდევრული მიტაცება მეზობელი ხალხების ტერიტორიებისა. კავკასიაში არ არის არც ერთი მეზობელი ხალხი, რომელთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ არ მიეთვისებინოთ. ესენია - ქართველები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები და ყაზახები. ამასთან, არ ერიდებიან რა ტყუილებსა და ისტორიული ფაქტების უხეშ გაყალბებას, მოსთქვამენ, რომ ამ ხალხებს მათთან ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნიათ, რომ ოსები თითქოს სამყაროს შექმნის მომენტიდან ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიებზე“ **(სარალიძე, 2010: 132-168).**

დამოუკიდებელი საქართველოს დამხობაში დიდი წვლილი შეიტანეს და საბჭოთა რუსეთს აქტიურად დაეხმარენ ოსი ბოლშევიკები. ამ „დამსახურებისთვის“ მათ საბჭოთა ხელისუფლებისგან ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოითხოვეს, ცენტრით ცხინვალში. იგი საქართველოს შემადგენლობაში, ფედერაციულ საწყისებზე, ნებაყოფლობით უნდა შესულიყო. შემუშავდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიც.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების მცდელობას, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი. პირველად საკითხი ოსების თვითგამორკვევის შესახებ, 1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის ოსთა ჯავის ყრილობაზე დაისვა, სადაც

კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით, ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობების შექმნა მოითხოვეს. 1918 წლის დასაწყისში, ოსები სამაზრო-საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მოთხოვნით გამოდიოდნენ. 1918 წლის 10 იანვარს ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ერობა **(ვადაჭკორია, 2009:106-133).**

ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" IV ეროვნულმა საბჭომ, პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობით, შეიმუშავა ავტონომიური ,,სამხრეთ ოსეთის" კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა, რომელიც, 1919 წლის 16 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიას წარუდგინა. დოკუმენტს ეწოდებოდა ,,სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი" და 5 თავისა და 47 მუხლისაგან შედგებოდა. პროექტის თანახმად, ,,სამხრეთ ოსეთის" კანტონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად ცხადდებოდა. კანტონს ეკრძალებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულიყო უცხო სახელმწიფოებთან. კანტონს ენიჭებოდა თავისი ტერიტორიის ფარგლებში ტყეების, საძოვრების, წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის განსაკუთრებული უფლება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ, სავსებით სამართლიანად უარყო ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი ,,სამხრეთ ოსეთის" კანტონის კონსტიტუციის პროექტი, რადგან იგი სავსებით უკანონოდ მოითხოვდა ავტონომიურ წარმონაქმნს არა მარტო შიდა ქართლის, არამედ საქართველოს სხვა მიწა-წყალზეც (დუშეთი, რაჭა, შორაპანი). 1920 წლის 6 მაისს, სოფელ როკში სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომა გაიმართა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება - საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა, შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს და ეცნობებინათ ეს, როგორც მოსკოვისთვის, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობისათვის. სხდომას ესწრებოდნენ: ნ. გადიევი, ა. ჯატიევი, გაიოზ დევდარიანი, გრამიტონ მოწონელიძე, ციცკა აბაევი, ვასჩე ჯატიევი, იმაილ გაბარაევი, თებროლ სარბიევი და სხვები **(ზახტაძე,1968:69-70).** 1920 წლის 8 მაისს, სოფელ როკში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს, ხოლო საბჭოთა ოსეთი რსფსრ შემადგენელ ნაწილად აღიარეს.

რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში თვალნათლივ გამოიკვეთა 1920 წლის 17 მაისის ნოტით, რომელიც რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გამოუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ნოტის შინაარსი ასეთი იყო: ,,...ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ ,,სამხრეთ ოსეთში", სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში" **(ზახტაძე, 1968:70).**

1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ძალით დაიპყრო, რის გამოც საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა. იმავე 25 თებერვალს, ქ. ვლადიკავკაზში, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" პარტიის საოლქო კომიტეტმა, ოსების თვითგამორკვევისა და იქ ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხები განიხილა. საოლქო კომიტეტმა მაშინ მიზანშეწონილად მიიჩნია ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთი" გამოყოფილიყო განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად, ავტონომიურ ოლქად, ცენტრით ქ. ცხინვალში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ოსების მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზარდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, ფორმალურად ქართული მთავრობით სათავეში. საბჭოთა საქართველო, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ცენტრალური კომიტეტის კონტროლის მეშვეობით გადიოდა. თავის მხრივ, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" რევკომმა, საქართველოს ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, საკუთარი ინიციატივით,

ოფიციალურად დააყენა საკითხი ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ თვითგამორკვევის შესახებ. 1921 წლის 6-8 სექტემბერს, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელმაც ,,სამხრეთ ოსეთის“ თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი განიხილა. სხდომამ დაადგინა საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შექმნილიყო, რომლის ცენტრი ცხინვალი იქნებოდა. სხდომამ დაამტკიცა, აგრეთვე, ,,სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“ და ,,სამხრეთ ოსეთის“ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების პროექტი“, რომელშიც სათითაოდ იყო ჩამოთვლილი ის სოფლები, რომლებიც ოსების აზრით, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკაში უნდა გაერთიანებულიყვნენ. მათ შორის იყო ბევრი ქართული სოფელი გორის, დუშეთის, რაჭის და შორაპნის მაზრებიდან. ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“ სულ 15 მუხლისაგან შედგებოდა, სადაც ჩამოთვლილი იყო სახალხო კომისარიატები, რომლებიც რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო, ასევე, განსაზღვრული იყო მათი კომპეტენციის სფეროები.

საქართველოს ძალით გასაბჭოების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში საბჭოთა მთავრობა საერთოდ არ იყენებდა ტერმინს - ,,სამხრეთ ოსეთი“, რასაც ადასტურებს, 1921 წლის 9 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, სადაც ნახსენებია, მხოლოდ გორის მაზრის ცხინვალის რაიონი. დადგენილებაში ვკითხულობთ: ,,ოცდახუთი სოფლის რევკომის წარმომადგენელთა ყრილობის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების მართვა-გამგეობის და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, დაადგინა: გორის მაზრის ცხინვალის რაიონში დაწესდეს ხუთი სათემო რევკომი შემდეგ ქვემოთ დასახელებულ სოფლებში: ა) ქვემო აჩაბეთში, ბ) ზემო აჩაბეთში, გ) დიცში, დ) ძარწემში, ე) ვანათში. ქვემო აჩაბეთის თემს შეადგენს სოფლები: დგვრისი, თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, კვერნეთი და მონასტერი. ზემო ნიქოზის თემს: ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, დვანი, ავნევი და ნული. დიცის თემს შეადგენს

სოფლები: კოდი, არბო, ერედვი, ბჟოლეთი, ტირძნისი, მეღვრეკისი და ერგნეთი. ძარწემის თემს-სოფლები: ქემერტი, ხეითი, სვერი. ვანათის თემს-სოფლები: საცხენეთი, ბელოთი და აწრის ხევი. ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს გორის მაზრის რევკომს და აგრეთვე, რესპუბლიკის მთავარ მილიციის სამმართველოს სათანადო განკარგულების მოსახდენად" დადგენილებას ხელს აწერდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია და ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგე გრ. გველესიანი **(დადგენილება #30, 1921:14).**

1921 წლის სექტემბერში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ცხინვალის რეგიონში ადგილზე უნდა შეესწავლა ვითარება, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ავტონომიური ოლქის შექმნა აღნიშნულ ტერიტორიაზე. კომისიას უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ მელქისედეკის ძე კვირკველია (1885-1937 წწ.) ხელმძღვანელობდა. მას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგის უნივერსიტეტში და პროფესიით იურისტი იყო. აღსანიშნავია, რომ ბესარიონ კვირკველიამ, რომელიც ბოლშევიკების აქტიურ მხარდამჭერად ითვლებოდა, თავის მოხსენებით ბარათში, უარყოფითი პოზიცია დაიკავა ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის", როგორც ცალკე ავტონომიური ერთეულის შექმნის საკითხში. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, საკითხის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ, შეუძლებლად მიიჩნია არა თუ ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნაც კი **(შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 10, ფურც. 121**). მოხსენებითი ბარათი დაიწერა იმ პერიოდში, როდესაც ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" რევკომი და პარტკომი, რუსების წაქეზებით, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხს აყენებდნენ.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთისთვის" ავტონომიის მინიჭების საკითხმა საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავიდანვე რთული ამოცანის წინაშე დააყენა, რაც ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. გასარკვევი იყო რომელ ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ ოსებისთვის, ის ხომ ოსებით დასახლებული ძირძველი ქართული მიწა იყო. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს

კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რევოლუციურ კომიტეტს, თავდაპირველად გაუჭირდათ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს, ქ. ცხინვალში ოსები შეადგენდნენ მოსახლეობის 13, 5 პროცენტს **(თოიძე, 1999:92).** 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია პირველი საკანონმდებლო აქტი იყო, რომლითაც ოფიციალურად იქნა აღიარებული და დადასტურებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ერთეულის შექმნა. ამასთანავე, საჭირო გახდა ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც უფრო ვრცლად განსაზღვრავდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში და დეტალურად დაამტკიცებდა ამ ახალი ერთეულის ტერიტორიულ საზღვრებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რევკომის მიერ, ჯერ კიდევ ადრე იქნა გამოყოფილი კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა პროექტი ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა მოწყობის შესახებ, თუმცა მაშინ კომისიის მუშაობა საზღვრების გაურკვევლობამ შეაფერხა. მას შემდეგ, როდესაც სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დადებითად გადაწყვიტა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხი და ამ ფაქტმა კონსტიტუციაშიც ჰპოვა ასახვა; აღნიშნულმა კომისიამ, 1922 წლის 28 მარტს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს წარუდგინა „პროექტი დეკრეტისა სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის დაარსების შესახებ“. პრეზიდიუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ: ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ს. ქავთარაძე, ს. გაგლოევი, ს. მამულია, მ. ორახელაშვილი და სხვები, მოიწონა წარმოდგენილი პროექტის პრინციპული ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს და დაამტკიცა იგი. სრულიად საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს დაევალა, რომ სასაზღვრო საკითხების მოგვარებისთანავე, მთლიანად გამოექვეყნებინა აღნიშნული პროექტი. 1922 წლის 9 აპრილს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცაკ-ისა და პარტიის საოლქო

კომიტეტის გაერთიანებული სხდომა მოიწვიეს, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი - ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით, დეკლარაციის გამოქვეყნების დაჩქარების თაობაზე.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1922 წლის 20 აპრილი **(მოამბე, 1922:81-84).** საბჭოთა საქართველოს მესვეურებმა, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების გვერდის ავლით, შექმნეს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი და მის შემადგენლობაში სრულიად უკანონოდ შეიყვანეს 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი, სადაც 20. 000-მდე ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ოსების რაოდენობა 1.100 სულს შეადგენდა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი, ს. გიორგაძე) შეადგინა იმ ქართული სოფლების სია და სოფელთა ეროვნული შემადგენლობა, რომლებიც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით (#2), ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს გადაეცა. ეს იყო შემდეგი ქართული სოფლები: 1. თამარაშენის საზოგადოების 12 ქართული სოფელი (ქართულ სოფლებად კომისიის წევრები მიიჩნევდნენ ისეთ სოფლებს, სადაც ოსები 50%-ზე ნაკლები იყო): ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, საბაწმინდა, ქემერტი, ხეითი, დგვრისა, ქურთა, კეხვი, სვერი, სადაც სულ 4650 სული ცხოვრობდა, აქედან 4119 ქართველი, 525 ოსი, 6 სხვა ეროვნების; 2. ცხინვალის საზოგადოების: ქალაქი ცხინვალი (სადაც სულ 3832 სული იყო, აქედან ქართველი 1185, ოსი- 0, სხვა ეროვნება- 2697), სოფელი გუჯაბაური (სულ 226 კაცი, აქედან ქართველი 186, ოსი- 40, სხვა ეროვნება - 0); 3. წუნარის საზოგადოების: სოფელი ნული (სულ 437 სული, აქედან 413 ქართველი, 24 ოსი, სხვა ეროვნება- 0); 4. დირბის საზოგადოების: სოფელი ძველთი (სულ 344 სული, აქედან ქართველი 324, ოსი- 10, სხვა ეროვნება- 10); 5. ავნევის საზოგადოების 11 სოფელი: ხუნდის უბანი, შინდარა, თიღვა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუფნისი, ნაბაკევი, ჯვრისისი, ბზისხევი (სულ 1860 სული, 1526 ქართველი, 334- ოსი, სხვა ეროვნება - 0); 6. მერეთის საზოგადოების 6 სოფელი: სნეკვი, ზარდიანთკარი, ქსუისი, ჭარები, კუბითი, დისევი (სულ 1655 სული, აქედან ქართველი- 1536, ოსი-119, სხვა ეროვნება-

0); 7. ორთევის საზოგადოების: სოფელი ვანათი (სულ 480 სული, აქედან 432 ქართველი, ოსი- 48, სხვა ეროვნება - 0); 8. ბელოთის საზოგადოების 7 სოფელი: აწვრისხევი (სულ 299 მცხოვრებიდან ყველა ქართველი), საცხენეთი (სულ 289 სული და ყველა ქართველი), ხაშურა (სულ 135 სული და ყველა ქართველი), სადურიანთკარი (სულ 22 სული, ყველა ქართველი, ბელოთი (სულ 220 სულიდან ყველა ქართველი), ზემო ავნევი (სულ 287 სული, ყველა ქართველი), ქვემო ავნევი (სულ 127 სული, ყველა ქართველი) **(თოიძე, 1999:88-90).**

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი, როგორც თვით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის წევრების მიერ შედგენილი აღწერიდანაც ჩანს, თავი რომ დავანებოთ იმ ქართულ მიწა-წყალს, სადაც ის ხელოვნურად შეაკოწიწეს, მრავალი ქართული სოფლის ხელოვნური გაერთიანებით შეიქმნა. ასე მივიღეთ „სამხრეთ ოსეთი"ცენტრალურ საქართველოში **(ითონიშვილი, 1995:17).** დეკრეტის გამოცემას, ბუნებრივია, ადგილობრივი ქართული, ასევე, ოსი მოსახლეობის, უკმაყოფილებაც მოჰყვა **(შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 48, ფურც. 12-13).**

1922 წლის აპრილში საქართველოში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" უკანონო ავტონომიური ოლქის შექმნამ, კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია. ქართული საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად შეხვდა ოლქის შექმნას, რადგან ეთნიკური განსხვევებულობა და საქართველოს მიწა-წყალზე ოსების კომპაქტური დასახლება, მათთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების არავითარ საფუძველს არ ქმნიდა. ტერიტორია, სადაც ოსები სახლობენ საქართველოს არ დაუპყრია და არც ამ ეროვნულ უმცირესობათა სამშობლოსათვის წაურთმევია. ეს მიწა-წყალი ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და დროთა განმავლობაში, გარკვეული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, ოსებმა დაიკავეს, როდესაც იქ ჩასახლდნენ. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი შეიქმნა არაკანონიერად, ხელოვნურად, ვინაიდან შიდა ქართლში (სამაჩაბლო, საფალავანდო, ქსნის საერისთავო) ოსებით დასახლებულ ტერიტორიას ავტონომიური ოლქი დაარქვეს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო.

$ 2. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში 1992-2008 წლებში

XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, საბჭოთა კავშირში მმართველობის შესუსტებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი ძალით იფეთქა. საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლები გააქტიურდა, რასაც საბჭოთა მმართველების მხრიდან, რეპრესიული ზეწოლა მოჰყვა. რუსეთის საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ებრძოდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ქვეყნის ეროვნული თავისუფლების აღდგენის და ადამიანის უფლებების დაცვისთვის აქტიურად იბრძოდა.

1975 წლის 1 აგვისტოს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, 35 სახელმწიფოს - ევროპის ქვეყნების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი. ჰელსინკის დეკლარაციას საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებდა. ჰელსინკის თათბირის ეპოქალურ დოკუმენტში ასახვა ჰპოვა თანამედროვე საზოგადოების ძირითადმა მოთხოვნებმა, როგორიცაა ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა **(სარალიძე, 2015:48-70)**. ეს ისტორიული აქტი, თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება. მისი ინიციატორები, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც მსგავსი დოკუმენტის შექმნის ინიციატივით, ჯერ კიდევ, 1965 წელს გამოვიდნენ. ჰელსინკის დეკლარაციით, მსოფლიომ ცნო ევროპის დაყოფა დასავლურ და საბჭოთა გავლენის სფეროებად. დოკუმენტის მიხედვით, ჰელსინკის დეკლარაციის ხელმომწერნი, ევროპას ისეთს ცნობდნენ, როგორიც ის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იყო, რაც ნიშნავდა საბჭოთა კავშირის კონტროლს - ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რესპუბლიკებზე. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯერალდ რუდოლფ ფორდმა (აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი 1974-1977 წ.წ. -

მ. ზ.), ჰელსინკის დოკუმენტზე ხელმოწერამდე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ცნობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიას.

დასავლეთის ქვეყნების მეთაურთა მიზანი, ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვა იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის ლიდერებს, საზღვრების განმტკიცების გარდა, ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდათ. დუბლინის ევროპის ინსტიტუტის დირექტორი, დენიელ ტომასი, რომელიც არის ავტორი წიგნისა ჰელსინკის დეკლარაციის ეფექტის შესახებ, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ლიდერი - ლეონიდ ბრეჟნევი, ჰელსინკის ხელშეკრულებით ბოლომდე კმაყოფილი არ ყოფილა **(Thomas, 2001:48).** ჰელსინკის დეკლარაციამ, საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთპარტიული მმართველობის დასრულებას შეუწყო ხელი. ჰელსინკის დოკუმენტით განსაზღვრული ურთიერთობის პრინციპები 10 პუნქტს მოიცავს, მათ შორისაა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. მეშვიდე პუნქტით განისაზღვრა ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიტყვის, სინდისის და გადაადგილების თავისუფლება. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, ადამიანის უფლებების მხრივ, არაფრის გამოსწორებას არ გეგმავდა. ჰელსინკის დეკლარაციის ხელმოწერას, საბჭოთა კავშირში, დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება მოჰყვა. დენიელ ტომასი, 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებასა და 15 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაცემას შორის პირდაპირ კაშირზე მიუთითებს, რაც საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ განაპირობა. საქართველოში არსებული ეროვნული ძალები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას, აქტიურად აგრძელებდნენ.

1974 წელს, საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჯგუფი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესწავლას და საქართველოში ადამიანის უფლებათა შესახებ, დეკლარაციის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მათ ადამიანის უფლებათა დარღვევის და დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტეს. ჯგუფის წევრები იყვნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვები. 1976 წელს საქართველოში, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას

თაოსნობით, „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა“. იმავე წელს, „ჰელსინკის ჯგუფი“ ოფიციალურად დაარსდა. იგი პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო საქართველოში. შემდგომში ჯგუფს „ჰელსინკის კავშირი ეწოდა“ **(მ. კოსტავა, 1990:4).**

XX საუკუნის 80-იან წლებში, ქართულ ეროვნულ მოძრაობასა და საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობას შორის, აშკარად გამოხატული იდეოლოგიური წინააღმდეგობა გამოიკვეთა, რომელიც თანდათან გაღრმავდა. ე. წ. „პერესტროიკის“ წლებში, საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი, საბჭოთა კავშირის მხოლოდ შელამაზება იყო და არა იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა გათავისუფლება (მაგალითად: სახაროვის ე. წ. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია) (**Сахаров, Конституция Союза Советских Республик Европы и Азии, (1989). Новое время, № 52:26-27.).** ქართული ეროვნული მოძრაობა, ცალსახად საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდა. აღნიშნული პერიოდის წინააღმდეგობები აისახა საჯარო დისკუსიაში: „ჯერ დემოკრატია, თუ ჯერ დამოუკიდებლობა“. საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები ამტკიცებდნენ, რომ არ ივარგებს დამოუკიდებლობის მიღწევა მანამადე, სანამ არ იქნება მიღწეული მთელი საბჭოთა სისტემის დემოკრატიულად გარდაქმნა. ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერები, სავსებით მართებულად ამტკიცებდნენ, რომ დამოუკიდებლობის გარეშე ვერავითარი დემოკრატია ვერ იარსებებს. 1989 წლის ივნისში, გამოქვეყნდა ანდრეი სახაროვის ინტერვიუ: „თავისუფლების ხარისხი“, სადაც მან საქართველო „მცირე იმპერიად“ მოიხსენია **(ინტერვიუ ა. სახაროვთან, 1989).** ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია რუსი დისიდენტების ლიდერის - ა. სახაროვის ცინიზმით აღსავსე ლოზუნგმა: „საქართველო მცირე იმპერიაა“. **აღნიშნული ლოზუნგი არსებითად პირდაპირი მოწოდება იყო აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის, რათა საქართველოს წინააღმდეგ აქტიური მოქმედებები დაეწყოთ.** ადამიანი, რომელიც, საბჭოთა ხელმძღვანელობისგან საქართველოს 9 აპრილის მოვლენების ობიექტურ გამოძიებას მოითხოვდა და ხალხთა უფლებებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, თვითონვე ჩავარდა წინააღმეგობაში. იგი ინტერვიუს გამოქვეყნებამდე, ქართველი

ხალხის მეგობრად ითვლებოდა, შემდეგ კი ქართველი ერის მტრად და რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგად შეირაცხა. ა. სახაროვის ლოზუნგი, საბჭოთა (რუსულ) დისიდენტურ მოძრაობასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის საბოლოო განხეთქილების მიზეზი გახდა.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა სრულიად ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა, გაითვალისწინეს რა, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში იძულებით წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის პოზიცია - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმით, აიძულეს მმართველი კომუნისტური რეჟიმი, თავისივე საბჭოთა კანონმდებლობის დაცვით, კომუნისტური მმართველობა ფაქტობრივად უკანონოდ გამოეცხადებია. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, კომუნისტური რეჟიმის დასუსტების, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის პირობებში, იძულებული გახდა, მიეღო დადგენილებები, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, ფაქტობრივად, უკანონოდ გამოაცხადდა.

პოლიტიკურ ძალთა მოთხოვნით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1989 წლის 20 ივნისს, კომისია შექმნა, რომელსაც პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქართველოსა და რუსეთს შორის, 1920 წლის 7 მაისს, დადებული ხელშეკრულების დარღვევისთვის. საქართველოს უზენაესი საბჭო ამით, იძულებული ხდებოდა დაედასტურებია ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წელს, გარეშე ძალის ჩარევით შეწყვიტა არსებობა და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით იყო ინკორპორირებული. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან, ამგვარი აღიარება მნიშვნელოვანი იყო **საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით,** რადგან იმჟამინდელი ხელისუფლება, 1921 წელს, რუსეთის წითელი არმიის აგრესიის და საქართველოს ოკუპაციის გზით მოსული ხელისუფლების, უშუალო სამართალმემკვიდრე იყო. კომისიის დასკვნით: 1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარის შემოყვანა და მთელი ტერიტორიის

დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქტობრივ ანექსიას. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ, 1989 წლის 18 ნოემბერს, კომისიის დასკვნა მოიწონა და გადაწყვიტა, აღნიშნული საკითხი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების მეორე ყრილობის წინაშე დაესვა. იმავე სესიაზე ცვილებები განიცადა საქართველოს კონსტიტუციამ. ახალი კონსტიტუციური ნორმებით განისაზღვრა, რომ საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება, წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების გაუქმების მომენტიდან, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველო გასულად ითვლება. ახლებურად განისაზღვრა საკავშირო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების წესი საქართველოს ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ ეს საკანონმდებლო აქტები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მაშინ მოქმედებენ, თუ ისინი რესპუბლიკის ინტერესებს შეესაბამებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო, რესპუბლიკაში მათ მოქმედებას შეაჩერებდა. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებების ტექსტში, ასევე, აღნიშნული იყო: „საქართველოს უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს; განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; ადგენს და ცვლის **ავტონომიური ოლქის საზღვრებსა** და რაიონულ დაყოფას; სახელს უცვლის რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს, ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას; ქმნის რესპუბლიკური დაქვემდებარების ახალ რაიონებსა და ქალაქებს; ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების სახელის დარქმევასა და გადარქმევას, აგრეთვე, სხვა დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევას...“ **(საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებისა და დამატებების შესახებ).** კანონს ხელს აწერენ: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე: გივი გუმბარიძე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი: ვალერი კვარაცხელია. 9 მარტს უზენაესი საბჭოს

რიგგარეშე სესიაზე, მიიღეს დადგენილება: „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლითაც აღიარებული იქნა, რომ 1921 წლის თებერვალში, საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარის შემოსვლა და მთელი ტერიტორიის დაკავება, **ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა ინტერვენციას და ოკუპაციას, არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით - ანექსიას (გ. მჭედლიძე, 1999:23).**

შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის მიწურულს, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცნობიერება მზად იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებისთვის. ეს გამოიხატა კიდევაც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებში. ყოველივე ეს, საქართველოში, ახალი, კანონიერი, მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად, იურიდიული საფუძველი გახდა. არჩევნებში, საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა ჯგუფმა, რითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ბზარი გაჩნდა, რაც მომავალი პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფრონტაციის წინაპირობა გახდა. სრულიად საქართველოს მოსახლეობამ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, ხმა მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანს, საარჩევნო ბლოკს: „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. 70 წლიანი კომუნისტური მმართველობის ისტორიაში, ქვეყნის სათავეში, კანონიერი, ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით, არჩეული ეროვნული ხელისუფლება მოვიდა.

1990 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია შეუდგა მუშაობას. პირველივე სხდომაზე მიიღეს კანონი - „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. ასევე, მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონები: 1. საქართველოს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის შესახებ, 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ; 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეუდგა მუშაობას, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის პერიოდში დანერგილი სისტემის აღმოსაფხვრელად. შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია (1990 წლის 15 ნოემბერი); საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება; მიიღეს დადგენილება „შინაგან ჯარებში – ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დროებითი ვალდებულების შესახებ“ (1991 წლის 29 იანვარი), კანონი „გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოს არჩევნების შესახებ“, კანონი „რეფერენდუმის შესახებ“ და სხვა. ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ, უწინარეს ყოვლისა, განახორციელა აუცილებელი ცვლილებები, საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა ემოქმედა. არსებული კონსტიტუცია მიჩნეული იყო დროებით ძირითად კანონად. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. გატარდა სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი. საქართველოს სასამართლოები საბჭოთა კავშირის მართლმსაჯულების სისტემიდან გამოიყვანეს. ჩატარდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, მიიღეს კანონები: პრესისა და მასობრივი ინფორმაციის, რეფერენდუმის, ეკონომიკური სისტემას საფუძვლების შესახებ. საფუძველი ჩაეყარა ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას და სხვა. ისმის კითხვა: უზენაესმა საბჭომ, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ეროვნული მოძრაობიდან მოსული დეპუტატები შეადგენდნენ, რატომ არ გამოაცხადა დაუყოვნებლივ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა? საქმე ის არის, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო საკავშირო მასშტაბით რეფერენდუმისთვის მზადება, საბჭოთა კავშირის, როგორც განახლებული ფედერაციის, შენარჩუნების საკითხზე. ამასთანავე, მთლიანად საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შედეგები უნდა განსაზღვრულიყო თითოეულ რესპუბლიკაში კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, რეფერენდუმის გზით, მიღებულ სახალხო გადაწყვეტილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს აქტს (დეკლარაციას, რეზოლუციას). საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის

სახელმწიფოს ისტორიაში, რეფერენდუმი პირველად ტარდებოდა. რეფერენდუმის ჩატარების თარიღად 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფომ გადაწყვიტა **დემოკრატიის ამ ინსტიტუტის გამოყენება, უშუალოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევა უკვე დაწყებული იყო და ხალხის ნების აპელირებით ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას.** ასეთ პირობებში, პოლიტიკურად და სამართლებრივად გამართლებული იყო საბჭოთა რეფერენდუმს, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება რეფერენდუმითვე დაპირისპირებოდა. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი თვით საქართველოს მოსახლეობას გადაეწყვიტა და არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, მაინც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობით იყო აღჭურვილი.

საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო. იმავე წლის 31 მარტს დაინიშნა რეფერენდუმი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. 1991 წლის 31 მარტს, ჩატარებული რეფერენდუმით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, 1918 წლის 26 მაისის, დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, დამატებითი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი გახდა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნება. ამდენად, რეფერენდუმით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მყარი სამართლებრივი გარანტია შეექმნა.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა არა საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, სწორედ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. იმპერია აგებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე, ძალადობასა და უსამართლობაზე. ამიტომ **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ისტორიული**

სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს, განსაკუთრებით იმ ერისთვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები აქვს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველი ერის ნებას ეფუძნება, რომელიც იურიდიულად, 1991 წლის 31 მარტს, ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებითა და 1991 წლის 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა. ამიტომ, ხელისუფლებაში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალების მონაცვლეობისას, იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს კომპეტენციას სცილდება და მხოლოდ ქართველი ერის ნებაზეა დამოკიდებული. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, მხოლოდ, რეფერენდუმით არის შესაძლებელი.

1989-1990 წლებში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი პროცესი იყო. სსრკ-ის მმართველობის შეუქცევადი შესუსტების პერიოდში, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იფეთქა. აქტიურად დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებები, მათ შორის საჯარო საპროტესტო გამოსვლები. ეროვნული ტალღის გააქტიურებამ, თავის მხრივ, საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობისა და ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, რეპრესიული ზეწოლა გამოიწვია, რაც გამოიხატა როგორც მშვიდობიანი მიტინგების დარბევითა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების დევნით, ისე **სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირების ხელშეწყობით.** ამ ხელოვნური პროცესის პოლიტიზებით იქმნებოდა და ღვივდებოდა შიდა დაპირისპირებები, რამაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთო მდგომარეობა გაამწვავა.

რუსეთის ხელისუფლებამ, მოიწადინა რაღაც ფორმით მაინც მომხდარიყო მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ძველ მდგომარეობაში შენარჩუნება და რამდენიმე მოკავშირე ქვეყანასთან ერთად, 1991 წელს, საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ), რომლის ამოსავალ წერტილს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში რუსეთის ჰეგემონობის დამყარება

წარმოადგენდა. 1991 წლის 8 დეკემბერს, ბელოვეჟის ტევრში (ბელორუსია), რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის და უკრაინის სახელმწიფო მეთაურთა მიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ, დოკუმენტს მოაწერეს ხელი, რომლითაც საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ: „საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს თავის არსებობას". შეთანხმების I მუხლში ნათქვამია: „შეთანხმების მხარეები ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას" (დსთ). 1991 წლის 12 დეკემბერს, რსფსრ-ს უმაღლესმა საბჭომ ბელოვეჟის შეთანხმებისა და მასთან ერთად ხელმოწერილი დოკუმენტების რატიფიკაცია მოახდინა. იმავდროულად, მოხდა 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების ბათილად ცნობა. შემდგომში სამოკავშირეო ხელშეკრულების დენონსაცია ანტიკონსტიტუციურ აქტად იქნა მიჩნეული, რომელიც ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის აზრით, რსფსრ კონსტიტუციის, იმდროინდელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. 1989 წელს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, 1990 წელს კი მოლდავეთმა და საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხოლო 1991 წლის 17 მარტს, სსრ კავშირის დანარჩენ 10 რესპუბლიკაში ჩატარდა რეფერენდუმი - საბჭოთა კავშირის შენარჩუნების შესახებ, რასაც რეფერენდუმში მონაწილეთა 76,4%-მა მხარი დაუჭირა. იურიდიულად რესპუბლიკების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტები, რეფერენდუმის შედეგებს ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ, რუსი პოლიტიკოსების აზრით, ისინი არაკანონიერი იყო. 1977 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, რსფსრ კონსტიტუციის IV მუხლის ძალით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედებდა 1993 წლის დეკემბრამდე, როდესაც მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, რომელმაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ რუსულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ატრიბუტები შესძინა. რსფსრ მოკავშირე რესპუბლიკა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო - რუსეთის ფედერაციია. 1996 წლის 15 მარტს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო დადგენილება: „საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე, 1991 წლის 17 მარტის, რეფერენდუმის შედეგების რუსეთის

ფედარაციის - რუსეთისათვის იურიდიული ძალის თაობაზე“, რომლის III პუნქტში ნათქვამია: „დადასტურდეს, რომ 1991 წლის 8 დეკემბრის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ნ. ელცინისა და რსფსრ სახელმწიფო მდივნის გ. ე. ბურბულისის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას, რომელიც არ იქნა დამტკიცებული რსფსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს - რსფსრ სახალხო დეპუტატათა ყრილობის მიერ, არ გააჩნია იურიდიული ძალა იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტის საკითხს შეეხება“.

კამათი ბელოვეჟის შეთანხმების შეფასების ირგვლივ შემდეგშიც გაგრძელდა. 1995 წლის 16 თებერვალს, ფედერალური საბჭოსადმი გაგზავნილ მიმართვაში, ბ. ელცინი აღიარებდა, რომ: „გამოყოფილი ტერიტორიების მოსახლეობის ნაწილის დაკარგვა სახელმწიფოსათვის ისეთივე ზარალია, როგორც, მაგალითად, ადამიანისათვის ხელების დაკარგვა. ამავე მიზეზის გამო, სახელმწიფო ტერიტორიების გამოყოფისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ“. მიხეილ გორბაჩოვი დაბეჯითებით ცდილობდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელების დათანხმებას. ხელშეკრულების წინააღმდეგი იყვნენ: საქართველო, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი. ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტი რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვისაც, კერძოდ, ბორის ელცინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელების - მიხეილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინის დაპირისპირება გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ - ზვიად გამსახურდიამ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ შეთანხმებას შეუერთდნენ: 1991 წლის 21 დეკემბერს - აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი. ამ ქვეყნებმა ალმა-ატა-ში, ბელორუსიას, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან ერთად, დსთ-ს მიზნებისა და პრინციპების შესახებ, დეკლარაციას მოაწერეს ხელი. სსრკ-ის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი მუქარის ძალით ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა

ურჩი რესპუბლიკები და ასე შეეჩერებინა მათი გასვლა კავშირიდან. მ. გორბაჩოვი საქართველოს ხელისუფლებისგან სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ პრობლემების შექმნით ემუქრებოდა. ძალიან დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთმა თავდაპირველად, ვერ მოახერხა **საქართველოს დსთ-ს სივრცეში მოქცევა, რის გამოც არ მოერიდა ისეთ მიუღებელ ნაბიჯებს, საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში, როგორიცაა სამხედრო გადატრიალების მოწყობა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დასამხობად და ეთნოკონფლიქტების გაღვივება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.** ამ ყველაფრისგან მიღებულმა უმძიმესმა შედეგებმა, 1993 წელს, დსთ-ში საქართველოს იძულებითი გაწევრიანება გამოიწვია. საქართველოს ხელისუფლებამ, დსთ-ს შექმნის შესახებ, შეთანხმების რატიფიკაცია, 1993 წლის 3 დეკემბერს, მოახდინა, ხოლო დსთ-ს წესდების რატიფიცირება - 1994 წლის 19 აპრილს. ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნის მიუხედავად, საქართველოს არ შეუწყვეტია ნაბიჯების გადადგმა ევროპული სტრუქტურებისკენ. დსთ-ში იძულებითი გაწევრიანების მიუხედავად, ცალსახად გამოვლინდა, რომ ეს არის მკვდრადშობილი ორგანიზაცია, ნულოვანი პერსპექტივებით.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, საქართველომ ყველაზე მოქნილი სამხედრო–პოლიტიკური ორგანიზაციის – „ნატო“-სკენ მიმავალ გზაზე მრავალი ეტაპი გაიარა, რითაც ხაზი გაუსვა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობას – საქართველოს დაბრუნებას დიდ ევროპულ ოჯახში. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესიის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს, მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, ხოლო 2008 ლის 14 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად (117 ხმით) მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან საქართველოს გამოსვლის პროცედურის დაწყების შესახებ. დსთ-ს წესდების თანახმად (1-ლი განყოფილების მუხლი-9) კავშირიდან გასვლის მსურველი ქვეყანა ვალდებულია განაცხადი ამის შესახებ 12 თვით ადრე გააკეთოს. **2009 წლის 18 აგვისტოდან, საქართველო დსთ-ს წევრი ოფიციალურად აღარ არის.**

გაღვივებული კონფლიქტის ფონზე, საკავშირო ცენტრის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო აქტები, რამაც ეთნიკურ დაპირისპირებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. 1990 წლის 3 აპრილს, მიიღეს სსრკ-ის კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებული წესის შესახებ“. კანონის III მუხლის თანახმად: „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები არიან, რეფერენდუმები ეწყობა ცალკ-ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება“. აღნიშნული კანონი, დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში, სეპარატისტთა იმედებს ზრდიდა. სიტუაციის ესკალაციის შემდეგი საფეხური 1990 წლის ზაფხული იყო. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ საარჩევნო კანონი მიიღო, რომელიც რეგიონალურ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უკრძალავდა. ოსური მხარის მიერ ეს ნაბიჯი შეფასდა, როგორც „ადამონ ნიხასის“ წინააღმდეგ მიმართული ქმედება. 1990 წლის 20 სექტემბერს, „სამხრეთ ოსეთი“ გამოაცხადეს სსრკ-ს სუვერენულ სუბიექტად - ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“. მეორე დღეს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული დადგენილება გაუქმებულად გამოაცხადა. 1990 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს, ოსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა, ოლქში ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი აღკვეთილიყო, 1990 წლის 9 დეკემბერს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მაინც ჩატარდა, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა რეალური საფრთხის ქვეშ დადგა.

1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, მიიღო კანონი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს იმავე 11 დეკემბრის დადგენილებით, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, 1990 წლის 9 დეკემბრის, არჩევნები და მისი შედეგები. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელიც 3,8 ათას კვ. კილომეტრ ფართობს მოიცავს, 1991 წლის 11 დეკემბერს, ოფიციალურად გაუქმდა. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონი, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, შეიცავდა იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც უნდა შეესრულებინა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას. საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეეძლო სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და სსრკ-ის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და საკუთარი საზღვრების ფარგლებში განახორციელებდა ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი). აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ გარდა, სადაც 65 000 ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა, საქართველოს სხვა რაიონებში 98 9000 ოსი ეროვნების ადამიანი იყო დასახლებული, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებით სარგებლობდნენ. აღნიშნული კანონით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებდა ეროვნებებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით. **იგი დაუშვებლად მიიჩნევდა ამ უფლების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ არაქართველებზე, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. თვით საერთაშორისო სამართალიც კი მათ, ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორუფლებიანობას ანიჭებდა.** მიუხედავად კანონიერებისა, ავტონომიური ოლქის გაუქმებას, ოსები უარყოფითად შეხვნენ, რასაც შემდგომში ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის სასტიკი შედეგები მოჰყვა, რომელიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა.

შიდა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა გამოიწვია სსრკ-ის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის, 1991 წლის 7 იანვრის, ბრძანებულებამ „საქართველოს

რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანას მოითხოვდა, გარდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა, რითაც საბჭოთა რუსეთს საშუალება ეძლეოდა თავისუფლად ემოქმედა საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობდა წაექეზებინა ოსი ექსტრემისტები და გამოეწვია დესტაბილიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე. ოსი სეპარატისტების წაქეზებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სსრკ-ის პრეზიდენტის, მ. გორბაჩოვის, ბრძანებულებამ - „ქართულ-ოსური კონფლიქტის სამართლებრივი შეფასებისა და მის საფუძველზე განვითარებული ძალოვანი დაპირისპირების შესახებ“. მ. გორბაჩოვი საბჭოთა კონსტიტუციასთან შეუთავსებლად მიიჩნევდა, როგორც თბილისის, ასევე, ცხინვალის ხელისუფალთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ავტონომიის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც გახდა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის გაუქმების საფუძველი. მ. გორბაჩოვს მიაჩნდა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის ცვლილების შესახებ, ნებისმიერ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ჰქონოდა, რაც მას სსრკ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო დაამტკიცებდა. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ არ დაიცვა საბჭოთა კანონებით განსაზღვრული, ავტონომიის სტატუსის შეცვლის პროცედურა. საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება, ასევე, უკანონოდ მიიჩნევდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას ცხინვალისა და ჯავის რაიონებში.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში, **1991 წლის 23 მარტს,** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა ყაზბეგში, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი. ხელი მოაწერეს „შეხვედრის და მოლაპარაკების ოქმს“. ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი 8 მუხლისაგან შედგება. ოქმის III და IV მუხლებში იხსენიება არა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, არამედ **„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ (დიასამიძე, 2005:68).**

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გაუქმებას კანონიერად მიიჩნევდა და არ სცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. მოლაპარაკების ოქმის IV მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს აყენებდა. თუკი ქართველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, ოსი სეპარატისტები მოკავშირისა და მფარველის გარეშე დარჩებოდნენ. მხარეები საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების თაობაზე შეთანხმდნენ, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო. 1991 წლის 23 მარტს, დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა „შეხვედრის და მოლაპარაკების ოქმი“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების და ქართული დიპლომატიის უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო.

საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონში, 1992 წლის 24 ივნისის, დაგომისის შეთანხმებით დასრულდა. სოჭში ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე ხელი მოეწერა „შეთანხმებას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს და რუსეთის ლიდერებმა - ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა. შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას კონფლიქტის ზონაში და შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორებას. შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩართული მხარეების მონაწილეობით. შერეული საკონტროლო კომისია თავდაპირველად სამმხრივი იყო - საქართველოს, რუსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობით. კომისიის მიზანი კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების რეჟიმის კონტროლი იყო. შეიქმნა შერეული სამშვიდობო ძალები. იგი რუსული, ქართული და ჩრდილო ოსური ბატალიონებისგან შედგებოდა. თითოეული 500 კაცის შემადგენლობით. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით, მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციები. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევისა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზით,

მიღებული უამრავი რეზოლუციისა და დადგენილებისა, დაპირისპირებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საქმე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე მივიდა.

1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვარში საქართველოში რუსეთის დახმარებით განხორციელებული სამხედრო პუტჩისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ვითარება, ასევე, აფხაზეთშიც დაიძაბა. აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს სამხედრო პუტჩის შემდეგ, საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომით, საქართველოს ახალი ხელისუფლების (სამხედრო საბჭო, სახელმწიფო საბჭო) სისუსტით და უუნარობით და საკუთარი გეგმების რეალიზებას შეუდგნენ. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ აშკარად დაუჭირა მხარი აფხაზ სეპარატისტებსა და მათ ლიდერს - ვლადისლავ არძინბას. 1992 წლკის 14 აგვისტოს, საქართველო დამღუპველ ომში აღმოჩნდა ჩათრეული.

აფხაზთა ერთმა ჯგუფმა, 1988 წლის 13 დეკემბრის, დამფუძნებელ ყრილობაზე, სოხუმში, სახალხო ფორუმი - „აიდგილარა“ („თანადგომა“) ჩამოაყალიბა. **ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს, რეგიონში კრემლის პოლიტიკის მხარდაჭერა და საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლა წარმოადგენდა.** აშკარა გახდა, რომ სეპარატისტების დახმარებით, რუსეთი საქართველოს თავის ფარგლებში შენარჩუნებას ცდილობდა. „აიდგილარა“, იმთავითვე, აფხაზეთის სუვერენიზაციას მოითხოვდა. 1989-1991 წლებში, ამ სტატუსის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად მას მიაჩნდა: „საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ოთხსაფეხურიანი სტრუქტურის გაუქმება და ფედერაციის მშენებლობა ჰორიზონტალური პრინციპით“ **(Единение „Айдгылара“,1989, # 1:3).**

საქართველოს შემთხვევაში, ფედერალური ჰორიზონტალიზმი, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიების სტატუსის, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის დონეზე გათანაბრებას და რუსეთისადმი უშუალო დაქვემდებარებას გულისხმობდა. 1992 წლიდან, „აიდგილარა“-ს სეპარატისტული საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა, ხოლო აფხაზეთის ომის შემდეგ, იგი სეპარატიზმის ინსტიტუციონალური ბირთვი გახდა.

1989 წლის 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, „აიდგილარა“-ს ორგანიზებით, ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი მოსახლეობის მრავალათასიანი

თავყრილობა გაიმართა, რომელმაც ე. წ. „ლიხნის დეკლარაცია" მიიღო. **ეს იყო მიმართვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი, საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლის შესახებ.** მიმართვას ხელს აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვანელი პირები, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა **(Конфликты в Абхазии и Южной Осетии, 2008:94-95).**

აფხაზი ისტორიკოსების ნაშრომებში, ლიხნის თავყრილობა მიჩნეულია „საერთო აფხაზურ პლებისციტად", ხოლო მის მიერ მიღებული მიმართვა, ცენტრალური საბჭოთა ინსტანციებისადმი კი „აფხაზი ხალხის ეროვნული მოძრაობის აქტად" **(Бгажба, Лакоба, 2006: 372-373).**

სამართლებრივად, ლიხნის მიმართვა არ წარმოადგენდა სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინებას და არც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის ნების გამომხატველი იყო. ლიხნის თავყრილობა, კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში აუცილებელი ფორმალურ-იურიდიული პროცედურების გვერდის ავლით, ორგანიზებული არაფორმალური შეკრება იყო. ყრილობის მიმართვა, ცხადია, ვერ ჩაითვლება სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინებად. თავისთავად კი აფხაზური ეთნიკური ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის ეს „დეკლარაცია" ანტიკონსტიტუციური, უკანონო და რადიკალურ-კონფრონტაციული იყო, რადგანაც მან სტიმული მისცა დაძაბულობის ესკალაციას, როგორც თბილისში, ისე საკუთრივ აფხაზეთშიც **(ჯოჯუა, 2007:340).**

„ლიხნის დეკლარაციამ" განსაკუთრებით გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში, სტიმული მისცა ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციას და საქართველოს ეროვნული მოძრაობის აფხაზეთის სექტორის გააქტიურებას. 1988 წლის 3 დეკემბერს, სოხუმში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ორგანიზებით, საპროტესტო გამოსვლა გაიმართა, რომელიც ქართველთა და აფხაზთა გათიშვის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან სოხუმში მერაბ კოსტავა გაემგზავრა, მაგრამ იგი ნატახტარის საგუშაგოსთან დააკავეს და თბილისის მილიციის სამმართველოში მიიყვანეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე, აფხაზეთის საკითხი, საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სისხლიანი პრობლემა გახდა. ამ მხრივ, **1989 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა, როდესაც აფხაზეთში ვითარების ესკალაცია დაიწყო. იგი ღია კონფლიქტის დაწყების წელი იყო,** რის გამოც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, ერთბაშად რამდენიმე ფრონტზე მოუწიათ ბრძოლა. აფხაზეთის პრობლემის გარდა, მას უნდა დაესახა ის სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიიყვანდა. ამ მიზნის მისაღწევად, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ რადიკალური მეთოდები აირჩია. 1989 წელს, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულმა საპროტესტო აქციებმა და მანიფესტაციებმა საქართველოში პერმანენტული ხასიათი მიიღო. აფხაზეთში დესტაბილიზაციის ცენტრად იქცა კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, კერძოდ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ქართული სექტორი, აფხაზეთში, ქართული კულტურის და განათლების, ასევე, ქართული ეროვნული მოძრაობის მთავარ კერას წარმოადგენდა. ლიხნის დესტრუქციული და სეპარატისტული „დეკლარაცია“, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მტკივნეულად აღიქვეს. მით უმეტეს, რომ დეკლარაციაზე ხელმომწერთა შორის, ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორი ა. გვარამია იყო, რომლის შიდა საუნივერსიტეტო პოლიტიკა, უნივერსიტეტის ქართული სექტორის დისკრიმინაციული შეზღუდვის თვალსაზრისით, ისედაც უკმაყოფილებას იწვევდა. ყოველივე ამას, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, 1989 წლის 14 მაისის, განკარგულების საფუძველზე, აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფა და მის ბაზაზე, თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ჩამოყალიბება მოჰყვა. ეს გახდა, 1989 წლის 15-16 ივლისს, სამოქალაქო მღელვარების შეიარაღებულ შეტაკებებში გადაზრდის საბაბი. აფხაზების შეიარაღებულმა ჯგუფმა, ქალაქ სოხუმის #1 საშუალო სკოლაში განთავსებული უნივერსიტეტის ფილიალის მიმღებ კომისიაზე და რუსთაველის პარკში შეკრებილ ქართულ საზოგადოებაზე, თავდასხმა განახორციელა. ეს იყო პირველი შეიარაღებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომლის დროსაც დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველი. დაღუპულთა შორის იყო აფხაზეთში ქართული

ეროვნული მოძრაობის ლიდერი, „სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა **(ჯოჯუა, 2007:341).**

1990 წლის 3 აპრილს, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულების დენონსაციისა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში, ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, მიეღოთ გადაწყვეტილება, დარჩენილიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ცენტრთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საფუძველზე. კანონს ხელს აწერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი - მ. გორბაჩოვი **(სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990:303-308).** კანონი საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მსურველი ეროვნული რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრცისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის იურიდიულ მექანიზმს ქმნიდა. აქედან გამომდინარე, მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, აღნიშნული მექანიზმის შესაძლო ამოქმედების შიშით, სრული დამოუკიდებლობის უარყოფის პოზიციაზე უნდა დამდგარიყვნენ, რადგან **მოკავშირე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა, ერთ სიბრტყეში იყო დაყენებული მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობიდან ავტონომიური რესპუბლიკების შესაძლო გასვლასთან.** ავტონომიური რესპუბლიკების სუვერენიზაციითა და მათი ეთნიკური ნომენკლატურის ლეგიტიმაციით, მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შეჩერება, რუსეთის საბჭოთა მთავრობის სტრატეგიული გათვლა იყო. 1990 წლის 3 აპრილის კანონმა, საქართველოს იმდროინდელ პარტიულ-სახელმწიფო ელიტასა და აფხაზურ ეთნოკრატიას შორის „კანონთა ომის“, ანუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი დისბალანსის ატმოსფერო შექმნა. 1990 წლის 28 ნოემბერს, აფხაზეთს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეწვია. პატრიარქმა მაშინდელი მიტროპოლიტის მეუფე დავით (ჭკადუა) და რესპუბლიკის სამოქალაქო წარმომადგენლების თანხლებით, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის,

გუდაუთის, გაგრის რაიონები მოილოცა, ასევე, იქ მიმდინარე ეკლესიების მშენებლობის მდგომარეობას გაეცნო. როცა გაგრიდან სოხუმში ბრუნდებოდნენ, ცენტრალურ მაგისტრალზე, გუდაუთის და სოფელ ლიხნის გზის გასაყარზე, მათ ადგილობრივი ბრბო დახვდა, რომელმაც სოხუმისკენ მიმავალი გზა გადაკეტა, რათა კორტეჟი იძულებული გამხდარიყო ლიხნისკენ გადაეხვია. მძღოლის მოხერხებულობისა და ღვთის წყალობით, პატრიარქის მანქანა სამშვიდობოს გავიდა. როგორც შემდეგში გაირკვა, მეამბოხეების გეგმაში შედიოდა სოფელ ლიხნში პატრიარქის თანმხლები სასულიერო და საერო პირების შეურაცხჰყოფა. აღნიშნული ფაქტი, მტკივნეულად განიცადა აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ. აფხაზი სეპარატისტები, რომ მესამე ძალის - რუსეთის მიერ იყვნენ მართულნი, ამას მაშინდელ რუსულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიც ადასტურებენ. 1990 წლის ნოემბერში, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა"-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ირონიული ტონით და დამახინჯებით იყო ინტერპრირებული პატრიარქის განცხადება, იმის შესახებ, რომ ყველა ვინც ქართველის წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, საქართველოს ეკლესიის შავ წიგნში ჩაიწერებოდა, რამაც შემდგომში სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების გაღიზიანება გამოიწვია. რუსული გაზეთი, ფაქტობრივად აფხაზი სეპარატისტების თავხედობას „არგუმენტირებულად" ამართლებდა. ცრუ ინფორმაციის გაბათილების მიზნით, გულრიფშის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „წმინდა ნინოს" წარმომადგენლებმა, რუსეთის მაშინდელ პატრიარქს – ალექსი II-ს წერილი გაუგზავნეს, სადაც მხილებული იყო სეპარატისტთა მოქმედება. წერილში განმარტებული იყო, რომ თავის მიმართვაში, საქართველოს პატრიარქი ქართველთა შორის შურის გამღვივებლებს და ძმათამკვლელ ქართველებს გულისხმობდა, რომლებიც მრავლად იყვნენ იმ პერიოდში **(ქარაია, 2013:3).**

აღნიშნული წერილის საპასუხოდ, 1991 წლის 5 თებერვალს, რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ, იმავე გაზეთში სტატია გამოაქვეყნა, სადაც წერს: „მივიღე წერილი აფხაზეთიდან, გულრიფშის რაიონის ქალთა საზოგადოება „წმინდა ნინო"-ს ქალებისგან და ვეთანხმები მათ სულისკვეთებას, რადგან პირადად ვიცნობ საქართველოს პატრიარქს, როგორც ბრძენკაცს და ქრისტიანული სიყვარულით

აღსავსე სულის პიროვნებას. მე მიმაჩნია, რომ პატრიარქის ეს განცხადება ჩაფიქრებული იყო, როგორც საშუალება სამოქალაქო ომის ჭაობში ჩაფლობის შესაჩერებლად. აკი, უკვე გასაგები იყო, რომ როგორც კი საქართველოში დაიღვრება სისხლი, იქ, შემოღებული იქნება სამხედრო მდგომარეობა, სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესში მყოფი რესპუბლიკისთვის, ძნელად გასათვალისწინებელი შედეგებით. იყო პერიოდი, როცა პატრიარქის ვალდებულება იყო მთავრობისათვის მწარე სიტყვების თქმა პირში. ახლა მეჩვენება, მოდის დროება, როცა კიდევ უფრო მწარე სიტყვები უნდა უთხრა პირში შენს ხალხს. პატივისცემით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II. მოსკოვი“ **(რუსეთის პატრიარქი ალექსი II, 1991).** აფხაზი სეპარატისტების შეჩერება, ვერც რუსეთის პატრიარქის წერილმა შეძლო და საბოლოოდ საქმე ომამდე მივიდა.

1991 წლის კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სტაბილური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციისა და მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, აფხაზი სეპარატისტები, ვ. არძინბას კლანის მეთაურობით, აშკარა სეპარატისტული პოლიტიკის წარმოებას ვერ ბედავდნენ. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა, მიუხედავად მათი ანტიქართული ორიენტაციისა, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ არსებული „თამაშის წესები“ და აქტიური სეპარატისტული აქციებისგან თავი შეეკავებინათ. თუ არ ჩავთვლით, 1991 წლის 17 მარტს, აფხაზეთის ტერიტორიაზე, სსრკ-ს შენარჩუნების თაობაზე, მასობრივი გაყალბებისა და კენჭისყრის პროცესიდან გალის რაიონის გამოთიშვის გზით, ჩატარებულ „რეფერენდუმს“, ასევე, 1991 წლის აპრილ-ივნისში, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის მიერ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად, „9+1“ ფორმატით, ინიცირებულ, ე. წ. „ნოვო ოგარიოვოს პროცესში“, ვ. არძინბას უკანონო მონაწილეობას. რუსეთის იმპერიული ხელისუფლების ხელში აფხაზეთში ეთნოკონფლიქტების ინსცენირების რეალური ბერკეტების არსებობის გამო, ზ. გამსახურდიამ კომპრომისული ტაქტიკის პოლიტიკა განაგრძო მას შემდეგაც, რაც 1991 წლის 31 მარტის, საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა, იმავე წლის 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციამ და 26 მაისის საპრეზიდენტო

არჩევნებმა, აფხაზურ სეპარატიზმს სერიოზული დარტყმა მიაყენეს. ამაზე ნათლად მეტყველებს, რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური სტატისტიკა. მიუხედავად „აიდგილარა"-ს და სხვა სეპარატისტული ორგანიზაციების, თვით ვ. არძინბას რეჟიმის მხრიდან, ბოიკოტის გამოცხადებისა, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175) 61,27%-მა. საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 60%მა. იგივე მაჩვენებელი განმეორდა საპრეზიდენტო არჩევნებშიც. თავის საინაუგურაციო გამოსვლაში, 1991 წლის 7 ივნისს, ზ. გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა დამოუკიდებელი საქართველოს ურყევი ნება - დაეცვა აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა პოლიტიკური ავტონომიის კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე **(გამახარია, 2004:7). კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტის საფუძველზე, პოლიტიკური ბალანსის სისტემის ფორმირების პროცესი, საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის, სახელმწიფო გადატრიალების გამო შეწყდა.**

1991 წლის 18-21 აგვისტოს, მოსკოვის პუტჩის დროს, ზ. გამსახურდიამ ნეიტრალიტეტის ტაქტიკა აირჩია, რაც შექმნილ პირობებში, ყველაზე ადეკვატურად პასუხობდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, მოსკოვის პუტჩმა სტიმული მისცა, საქართველოში, უაღრესად დესტრუქციული პროცესების განვითარებას. პუტჩის დროს, ზ. გამსახურდიას მიერ გატარებული პოზიტიური ნეიტრალიტეტის ტაქტიკამ, ბ. ელცინის და მისი ნომენკლატურის მხრიდან, საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოწვია. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრდა საქართველოს მიერ „დემოკრატიული" რუსეთის პატრონაჟის ქვეშ ფორმირებად ნეოიმპერიულ სტრუქტურაში – დსთ-ში ინტეგრირებაზე უარის თქმის ფონზე. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული, შედეგად მოჰყვა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა **(შველიძე 2008:98).**

აფხაზეთის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, ზუსტად იმ დღეს, 1992 წლის 6 იანვარს გაიხსნა, როდესაც საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა,

იძულებით დატოვა საქართველოს ტერიტორია. საქართველოს სამხედრო საბჭომ, **1992 წლის 2 იანვარს, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, ხოლო 21 თებერვალს ფორმალურად აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია.** თბილისში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ვ. არძინბას პოლიტიკური კლანი საბოლოოდ დაადგა საქართველოდან გამოყოფის სტრატეგიას. 1991 წლის 29 დეკემბერს, ვ. არძინბამ მიიღო დადგენილება: აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილებისა და საჯარისო დაწესებულებათა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ (**Надареишвили, 1998:54-55; დიასამიძე, 2005:95-96).** დადგენილების თანახმად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ე. წ. „დროებითი სამხედრო საბჭო" შეიქმნა, რომელიც თავისი სტრუქტურით და დანიშნულებით, სეპარატისტული რეჟიმის მომავალი სამხედრო სისტემის მაკოორდინებელ ორგანოს წარმოადგენდა.

1991 წლის 31 ივლისს, მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, მათ შორის რუსეთმაც, ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება სეპარატისტებს სხვადასხვა საშუალებით საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დასაწყებად აგულიანებდა.

1992 წლის 30 აპრილის დადგენილებით, ვ. არძინბამ, 1965-1974 წლებში დაბადებული მოქალაქეების სამხედრო სამსახურში გაწვევა გამოაცხადა (**აფხაზეთის ხმა, 1992).** საქართველოში, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, მოქმედმა სამხედრო საბჭომ, მიზანმიმართულად დაშალა აფხაზეთში ზ. გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული გვარდიის ოთხივე ბატალიონი - გაგრის, სოხუმის, გულრიფშის და გალის. თავის მხრივ, ვ. არძინბამ დაარღვია 1991 წლის კომპრომისული პაკეტი და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, თანამდებობებიდან გადააყენა ქართველი ეროვნების მინისტრები და რეგლამენტის დარღვევით, ისინი სეპარატისტული ორიენტაციის ეთნიკური აფხაზებით ჩაანაცვლა.

1992 წლის 24 ივნისს, შევარდნაძე-ელცინის დაგომისის შეხვედრაზე, გარდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპებისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საერთო კომპლექსი განიხილეს. მიღებულ „კომუნიკეში"

აღნიშნულია: „საქართველოს და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აღკვეთენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრად სამხედრო და თვითნებურად შექმნილი რაზმებისა და ჯგუფების მოღვაწეობას“ **(საქართველოს რესპუბლიკა, 1992).** დაგომისის შეხვედრაზე, ე. შევარდნაძემ, ბ. ელცინისგან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია მიიღო, როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წლის 18 ივლისს, სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე, ბორის ელცინის ვ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის სხვა წარმომადგენლებთან, არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა გაიმართა **(Лакоба, 2001:25).** ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ კონფიდენციალურ შეხვედრაზე, სეპარატისტებმა ომის ინიცირების სანქცია მიიღეს, ოღონდ რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით. იმავე პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ კომპრომისული ნაბიჯი გადადგა და ერთიანი ქართულ-აფხაზური ინტეგრირებული სამხედრო შენაერთის შექმნის წინადადება წამოაყენა. პროექტის თანახმად, რომელიც სოხუმში თავდაცვის მინისტრმა - თ. კიტოვანმა და მისმა პირველმა მოადგილემ - ლ. შარაშენიძემ ჩაიტანეს, აფხაზური გვარდიისა და შინაგანი ჯარის ქართული ბატალიონის ინტეგრაციის ბაზაზე, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმაგ დაქვემდებარებაში, ერთიანი ქვედანაყოფი უნდა შექმნილიყო. აღნიშნული პროექტი ჩააგდეს, სახელმწიფო საბჭოს მხარდამჭერი ქართული ორგანიზაციებისაგან შემდგარ „ეროვნული ერთიანობის საბჭოში“, რადგან იგი „სეპარატისტების წინაშე ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ კაპიტულაციად“ მიიჩნიეს **(პაპასქირი, 2007:25).**

1992 წლის 23 ივლისს, ვ. არძინბამ, ძალოვანი უწყებების აფხაზური ბირთვის შემადგენლობით თათბირი მოიწვია **(ლაცუზბაია, დ., ყოლბაია, ვ., გელანტია, რ., ჭახრაკია, თ., 2001:32),** სადაც გადაწყდა, რომ ადრე მიღებული აფხაზი ხალხის ეროვნულ უფლებათა, ვითომ დამრღვევი აქტებისა და დადგენილებების გაუქმების შემთხვევაში, შესაძლო ექსცესების თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: აფხაზური გვარდიის დაკანონება, სამხედრო და

მილიციას ნაწილების მზადყოფნაში მოყვანა, საკვანძო ობიექტების კონტროლის ქვეშ აყვანა და სხვა. ეს ომისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის პირდაპირი გზა იყო.

იმავე 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ, ყოველგვარი პროცესუალური ნორმების და რეგლამენტის აშკარა დარღვევით, მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე, 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. დადგენილებას ხელს აწერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა (**Республика Абхазия, 1992**). დადგენილება მიიღეს, 1991 წლის საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით და იგნორირებით. 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების უკანონოდ, ცალმხრივად შეჩერება, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, იმავე კონსტიტუციით გათვალისწინებული ავტონომიური სტატუსის იმავე წესით გაუქმებას და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თვითლიკვიდაციას ნიშნავდა. 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, ფაქტობრივად საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის დეკლარირებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი საბჭოს აფხაზურმა ნაწილმა, შექმნა სამუშაო ჯგუფი, ერთიანი ორსუბიექტიანი ქართულ-აფხაზური ფედერაციული სახელმწიფოს პროექტის შესამუშავებლად, 23 ივლისის აქტი, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ანტიკონსტიტუციური გზით გამოსვლის მცდელობას წარმოადგენდა. 1992 წლის 28-30 ივლისს, აფხაზეთის პარლამენტის ქართულმა ფრაქციამ - „დემოკრატიული აფხაზეთი“, კონტრსესია გამართა, სადაც 23 ივლისის უკანონო აქტი გააუქმა და მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზეთისთვის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ სტატუსის მინიჭების შესახებ.

აფხაზური სეპარატიზმის ლიდერი - ვლადისლავ არძინბა, ყველაფერს აკეთებდა არაკანონიერი ფორმირებების შესაიარაღებლად. 1992 წლის 4 აგვისტოს, თბილისში, საქართველოს „გაერო“-ში გაწევრიანებას ზეიმობდნენ. სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით, ამ დღეს „საყოველთაო შერიგების მანიფესტი“ გამოქვეყნდა, რის საფუძველზეც ედუარდ შევარდნაძემ ზეიმზე სტუმრად ვ. არძინბაც მიიწვია, თუმცა იგი თბილისში არ ჩავიდა.

1992 წლის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო მოძრაობა თითქმის შეწყდა. რკინიგზის მაგისტრალის აფხაზეთის მონაკვეთზე, სატვირთო მატარებლების ძარცვა კატასტროფულად გახშირდა. სარკინიგზო ხიდებისა და გზების აფეთქებამ (კელასური-დრანდის, ტამიში-ოჩამჩირის, დრანდა-აძიუჟბას, ცაცხვი-ინგირის, ინგირი-ზუგდიდის გადასარბენზე) მასიური ხასიათი მიიღო. საქართველოს მთავრობას მიაჩნდა, რომ აფეთქებებს თითქოს, საბოტაჟის მიზნით, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები აწყობდნენ. 1992 წლის ზაფხულში, განსაკუთრებით გახშირდა გამოსასყიდის აღების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მძევლად აყვანა და მათი აფხაზეთში გადაყვანა. სარკინიგზო მაგისტრალებზე ძარცვის აღსაკვეთად, მაშინდელი თავდაცვის მინისტრის - თენგიზ კიტოვანის დაჟინებული თხოვნით, საქართველოს ხელისუფლებამ, აფხაზეთის ტერიტორიაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების 300 კაციანი ჯგუფის გადაადგილების შესახებ, გადაწყვეტილება მიიღო. ვ. არძინბამ და მისმა რუსმა მრჩევლებმა ეს ფაქტი პროვოკაციისთვის, კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული შეტაკებისთვის გამოიყენეს. 1992 წლის 14 აგვისტოს, დილით, ვ. არძინბამ გალის რაიონის მაშინდელ გამგებელს - რუდიკ ცატავას სთხოვა ქართული შემადგენლობა ოჩამჩირის საზღვრამდე ჩამოეცილებინა, სადაც მათ ოჩამჩირის გამგებელი დახვდებოდათ. სინამდვილეში, გალი-ოჩამჩირის საზღვარზე, სარკინიგზო მაგისტრალის გასაკონტროლებლად გადაადგილებულ ქართული სახელმწიფო ჯარის ნაწილს, აფხაზური გვარდიის და პოლიციის ჩასაფრებული მებრძოლები მოულოდნელად დახვდნენ. მათ ატეხეს სროლა და სკანდალი, თითქოს ქართული ჯარი აფხაზეთის დასაპყრობად მიდიოდა.

1992 წლის 14 აგვისტო აფხაზეთის ომის დასაწყისი იყო. საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტიგენტის ჯავშანკოლონას, აფხაზი ბოევიკებისგან შემდგარმა ჯგუფმა ცეცხლი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან გაუხსნა, რასაც პირველი მსხვერპლი მოჰყვა. სერიოზული ბრძოლა გაიმართა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერასთან, სადაც ე. წ. აფხაზეთის შინაგანი ჯარის განსაკუთრებული პოლკის ბატალიონმა, ქართულ ჯარს გარკვეული წინააღმდეგობა

გაუწია და ერთი ჯავშანმანქანა ააფეთქა **(გასვიანი, გ., გასვიანი, თ., 2005:16).** აფხაზებმა ომის დაწყების საბაბად ქართული მხარე გამოიყვანეს, რადგან ვ. არძინბამ, აფხაზეთის მოსახლეობას და საკუთარ პარლამენტს, საქართველო-აფხაზეთის შეთანხმების პირობა - აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ჯარების გადაადგილების შესახებ, დაუმალა და ეს ფაქტი „სამამულო ომის" გამოცხადების საბაბად გამოიყენა. ამით აფხაზმა სეპარატისტებმა, ფაქტიურად ომი გამოუცხადა საქართველოს. რეალურად, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეზღუდული კონტიგენტის ჯარის შეყვანის შესახებ, იურიდიული თვალსაზრისით, საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის და იურისდიქციის სივრცის ფარგლებში ჯარის გადაადგილება იყო, რომელიც მიმართული იყო, აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის ხელმძღვანელობის ცალხმრივი უკანონო ქმედების საპასუხოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

თომას გოლცი, ამერიკელი ჟურნალისტი, აღმოსავლეთმცოდნე და კავკასიის სპეციალისტი, რომელიც საქართველოში დამკვირვებლად იყო მივლინებული და აფხაზეთში ბოლომდე, სოხუმის დაცემის დღემდე, იმყოფებოდა (იგი საქართველოში იმყოფებოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც - მ. ბ.), აფხაზეთში ომის დაწყებასთან დაკავშირებით წერს: „თუ ვინ დაიწყო სისხლისღვრა, კვლავ კამათის საკითხად რჩება. არის ფაქტი ვივარაუდოთ, რომ ვლადისლავ არძინბა, დიდი ხანი იყო, რაც თბილისთან ომის დაწყებისთვის ემზადებოდა; მაგალითად, რუსეთის მხრიდან აფხაზეთის იარაღით მომარაგება, სამხედრო-საინფორმაციო სააგენტოსა და სახელმწიფო უშიშროების (კგბ) საქართველოსგან გამოყოფა და შემდეგ რუსეთთან მიერთება. იმ დროს, როცა თენგიზ კიტოვანი სასიცოცხლო ობიექტების დაცვას ცდილობდა, მათ შორის, რკინიგზის გათავისუფლებას კრიმინალებისა და მაროდიორებისაგან, შეიძლება ადვილად ითქვას, რომ ქართული თავდაჯერებულობითა და გადამეტებული სიბრიყვით (უფრო ცინიკურად რომ თქვათ, კონსპირაციული სირთულეების მიმართ ქართული დამოკიდებულებით) იგი ძალიან შორს წავიდა. – აფხაზებმა, არძინბას ოპოზიციონერთა მხრიდან, გაგვაფრთხილეს, არ გადაგვედგა რაიმე სულელური ნაბიჯი, რასაც ასე მოუთმენლად

ელოდა რუსეთის ჯარი, - მითხრა პეტრე მამრაძემ რამდენიმე წლის შემდეგ, შევარდნაძის ადმინისტრაციის უფროსმა, - რუსები მზად არიან მოგვცენ იარაღი, მებრძოლები, მძიმე ტექნიკა და თვით ავიაციაც კი – ასე გვაფრთხილებდნენ აფხაზები. მათ რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, რომ არ გადაგვედგა ეს პროვოკაციული ნაბიჯი, მაგრამ ჩვენ ასე მოვიქეცით და თავი ხაფანგში მოვიმწყვდიეთ. თუკი ეს მართლაც ხაფანგი იყო, მაშინ ეს სიზუსტით გათვლილი თავის მომწყვდევაა“ (გოლცი, 2014:165).

სამწუხაროდ, საქართველოში შექმნილი უაღრესად რთული ვითარება – ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი ქართული საზოგადოება და ორივესთან შეურიგებელი აფხაზი სეპარატისტები, რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა, რომლის დიდი ხნის სურვილს, აფხაზეთის ქართული სივრციდან მოწყვეტა წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. არძინბა და მისი თანამზრახველები, უშუალოდ მოსკოვიდან იმართებოდნენ.

შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საქართველოს მაშინდელი მთავრობა ვალდებული იყო კარგად გაეანალიზებინა, თუ რა გართულებები შეიძლებოდა მოჰყოლოდა აფხაზეთში ჯარის შეყვანას. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ კარგად იცოდა - არძინბა ძმათამკვლელი ომის გასაჩაღებლად საბაბს ეძებდა. რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მთავარი იყო ქართული მხარე პროვოკაციაზე წამოეგო და მისი შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში შეეტყუებინა. საქართველო მსგავსი ომისთვის მზად არ იყო. გაუწვრთნელი, სახელდახელოდ, მოხალისეებისგან შექმნილი შეიარაღებული ფორმირებები, რომელთა მეთაურების უმრავლესობას, რომ არაფერი ვთქვათ რიგით მებრძოლებზე, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თუ რა მიზანს ისახავდა მათი აფხაზეთში შესვლა, წინასწარვე მარცხისთვის განწირული იყო. სახელმწიფო გადატრიალების ტალღაზე, ხელისუფლების სათავეში მოსული **ედუარდ შევარდნაძე,** გადაწყვეტილებებს პოპულიზმისთვის და აჟიტირებული საზოგადოების გულის მოსაგებად უფრო იღებდა, ვიდრე ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა.

1992 -1993 წლებში, აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის. აღნიშნული კონფლიქტი, აგრეთვე, განიხილება, **როგორც რუსეთ-საქართველოს ომი.** რუსეთის, როგორც ომში მონაწილე მხარის აღიარებას, ე. შევარდნაძე სიფრთხილით ეკიდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ამერიკელი ჟურნალისტი – თომას გოლცი წერს: „როცა მას (შევარდნაძეს - მ. ზ.) ვკითხე რუსეთის სავარაუდო მონაწილეობის შესახებ აფხაზეთის კონფლიქტში, მან არჩია ინციდენტი ამოუცნობი მესამე ძალისთვის გადაებრალებინა... და ბოლოს, დავუსვი, ასე ვთქვათ, სავალდებულო, თუმცა გაცვეთილი კითხვა, რაც ყველა დასავლელ ჟურნალისტს დაუსვამს მისთვის: რამ გადააწყვეტინა ედუარდ შევარდნაძეს, ასეთ მაღალ ჩინოსან კომუნისტს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, გამხდარიყო დასავლური ორიენტაციის მედროშე? ეს ოდნავ სხვანაირად ჟღერდა, თუმცა იგი მიმიხვდა, რასაც ვეკითხებოდი: - შევიცვალე, - მითხრა შევარდნაძემ, - დროულად გავაცნობიერე ჩვენი გზის სიმცდარე...“ **(გოლცი, 2014:164).**

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქართული ჯარის გადაადგილების პარალელურად, იმავე 14 აგვისტოს, სეპარატისტული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დადგენილება მიიღო, რომელშიც მომხდარი შეაფასა, როგორც „საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების მიერ სუვერენული აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია“ და 17-45 წლამდე ასაკის მოსახლეობის სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. ამავე დროს, სეპარატისტებმა ვ. არძინბას მეთაურობით, ე. წ. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შექმნეს. 1993 წლის 8 იანვრიდან, ვ. არძინბა აფხაზეთის ე. წ. შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახდა.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვე გაგრძელდა (1992 წლის 14 აგვისტო - 1993 წლის 27 სექტემბერი). **აფხაზეთის კონფლიქტი არ იყო, მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტი – ბრძოლა აფხაზებს და ქართველებს შორის, ეს იყო რუსეთის იმპერიული ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისთვის.** ქართველების წინააღმდეგ მოქმედებდნენ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ძალები, ასევე, რუსეთის მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა. კრიტიკულ მომენტში საქართველო არ აღმოჩნდა ერთიანი. თავი იჩინა სუბიექტურმა ტენდენციებმა და ეროვნულმა

გათიშულობამ. ორად გახლეჩილი ქართული შეიარაღებული ძალები, რომლებიც ერთნაირად მიუღებელი იყო რუსეთის მხრიდან ზურგგამაგრებული აფხაზებისთვის, ომში დამარცხებას ერთმანეთს აბრალებს, რეალურად კი ორივე მხარე თანაბრად არის დამნაშავე ომის წაგებაში. დამარცხების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ შესაფერისი ჯარის არ ქონაც. მეომართა შორის თავგანწირული ქართველი გმირების გვერდით, ასევე, იყვნენ ქურდები და მძარცველები, ადგილი ჰქონდა ოფიცრების და გენერლების არაკომპეტენტურობას, რასაც თან ახლდა საკუთარი და მოწინააღმდეგე ძალების შესაძლებლობათა სათანადოდ შეუფასებლობა. ყოველივე ამას ემატებოდა რუსეთის ხელშეწყობით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, (კერძოდ 1993 წლის სოჭის ხელშეკრულების) სოხუმის და აფხაზეთის სხვა სტრატეგიული ადგილების ფაქტობრივი განიარაღება (**Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict, 2009).**

XX საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ხელისუფლების კონტროლს მიღმა აღმოჩნდნენ. რუსეთი აღნიშნულ პროვინციებს ფორმალურად საქართველოს ნაწილად აღიარებდა და იქ სამშვიდობო ძალები განალაგა.

$3. საქართველოს ხელისუფლების ღონისძიებანი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დასარეგულირებლად

საომარი მოქმედებების შეჩერებისა და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ბრძოლამ დიპლომატიურ მაგიდასთან გადაინაცვლა და ერთმანეთის მიყოლებით ფორმდებოდა შეთანხმებები, ურთიერთგაგების ოქმები, მემორანდუმები. პარალელურად კი მოსახლეობა თანდათანობით უკან დაბრუნებას იწყებდა, აღდგა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები. 1996 წელს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების იმედიც კი გაჩნდა, როდესაც 1996 წლის 17 აპრილს, მხარეთა მიერ პარაფირებულ იქნა მემორანდუმის პროექტი კონფლიქტის სრულმასშ-

ტაბიანი მოგვარების შესახებ. ისტორიამ 1996-2002 წლების მრავალი დოკუმენტი და შეხვედრა შემოგვინახა. ამ წლების მანძილზე პოზიციების დაახლოება მრავალჯერ მოხდა და ექსპერტების შეფასებით ფუნდამენტური გარღვევაც იყო შესაძლებელი **(ზაქარეიშვილი, დარჩიაშვილი, ხაინდრავა, ხიდაშელი, კუბლაშვილი, 2005:48).** განსაკუთრებით იმედის მომცემი შევარდნაძისა და ჩიბიროვის გახშირებული შეხვედრები იყო - 1996 წელს ვლადიკავკაზში, 1997 წელს ჯავაში, 1998 წელს ბორჯომში. სწორედ, ამ შეხვედრების დროს, ნათლად გამოჩნდა პოზიტიური დინამიკა, ვინაიდან მხარეები საუბრობდნენ ყველა თემაზე, მათ შორის დევნილთა დაბრუნებაზე, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, კონფლიქტის ზონაში მყოფი მოსახლეობის უსაფრთხოების ერთობლივ დაცვაზე და სხვა. იმავე 1996 წელს, ერგნეთის ბაზრობა გაიხსნა, რომელიც დასაწყისისათვის ქართული მხარის მიერ მნიშვნელოვანი ფუნქციის, ხალხის დაახლოებისა და ნდობის აღდგენის მექანიზმად აღიქმებოდა.

აფხაზეთის ტრაგედიიდან, ორი წლის მანძილზე, „გაერო"-მ 12 რეზოლუცია მიიღო, რომელთაც გადამწყვეტი როლი ვერ შეასრულეს აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში. საქმე მხოლოდ ეთნოწმენდის ფაქტების დაფიქსირებით, სინანულის გამოთქმით, შემოიფარგლა; ასევე, მხარეების მიმართ სურვილის გამოთქმით, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოაგვარონ. „გაერო"-ს არ მიუღია რაიმე გადამწყვეტი ზომა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, გუდაუთის სეპარატიზმის, ვ. არძინბას და მისი სეპარატისტული რეჟიმის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის ცალსახად დაგმობისთვის. რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ, აცხადებდა, რომ „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას გარკვეულწილად წინ ეღობება, რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში, ამასთან, პირველ რიგში ის გარემოება, რომ საქართველო დასავლეთისკენ უფრო იყურება, ვიდრე რუსეთისკენ" **(„ნეზავისიმაია გაზეტა", 1996).**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 51-ე სესიაზე საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, აგრესიული სეპარატიზმის საშიშროებაზე გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა: „დღესვე მინდა კვლავ მივაპყრო თქვენი ყურადღება ფენომენს, რომელიც

საქართველოსთვის მთავარ დაბრკოლებად იქცა აღორძინების გზაზე. ეს გახლავთ აგრესიული სეპარატიზმი, რომელმაც შეიძლება არარად აქციოს მშვიდობის და სტაბილურობის ყლორტები საქართველოს და მთელ რეგიონში... აგრესიული სეპარატიზმი, ეთნიკურ წმენდას იყენებს მთავარ იარაღად და აქ უნდა მოვიყვანო აფხაზეთის მაგალითი - 3000 ათასი მშვიდობიანი ქართველი მოქალაქე გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან. ათასობით კაცი დახვრეტილია, დამწვარი და ჩამოხრჩობილია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური წმენდა, რომელსაც თან ახლავს მკვლელობანი, დღესაც გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე; უფრო მეტიც, ეთნიკური პრინციპით ქართველი მოსახლეობის დევნა აფხაზეთის დღევანდელ სეპარატისტულ რეჟიმს პოლიტიკის რანგში ჰყავს აყვანილი. ეს უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ. აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინებანი მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც არის... ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს გლობალურ მოვლენასთან, რომლის შესაძლო შედეგები ჯერ-ჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი და ვფიქრობთ, მას წინ უნდა აღვუდგეთ, ყოვლისმომცველი, მკაფიოდ გააზრებული ღონისძიებებით“ **(„საქართველოს რესპუბლიკა, 1996).**

ქართველების ეთნოწმენდის ფაქტი შემდეგში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული 1995, 1997 და 1999 წლების „ეუთო“-ს სამიტებზე ბუდაპეშტში, ლისაბონში და სტამბოლში. აღნიშნული გადაწყვეტილებები რუსეთის მონაწილეობით და თანხმობით იყო მიღებული.

კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, **ნეგატიური პროცესი ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ დე ფაქტო პრეზიდენტად ედუარდ კოკოითის არჩევის, ხოლო საქართველოს მხრიდან, „ნატო“-ს წევრობის შესახებ ოფიციალური განაცხადის გაკეთების შემდეგ იწყება.** 2002 წლის ნატოს პრაღის სამიტზე საქართველოს მიერ ალიანსის წევრობაზე ოფიციალური მიმართვის შემდეგ, უკვე ზაფხულში რუსეთმა დაიწყო აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მოსახლეობისათვის საბჭოთა პასპორტებში სპეციალური შტამპების ჩარტყმა, ხოლო 2003 წლიდან გამარტივებული წესით რუსული საზღვარგარეთის პასპორტების მასობრივი დარიგება. პოლიტიკურ მოსაზრებებთან ერთად, ექსპერტების უმრავლესობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ლოგიკას ე.წ.

„ომის ეკონომიკის“ ფენომენსაც უკავშირებდა, როდესაც დაძაბულობა და კონფრონტაცია უკანონო ბიზნესისათვის (უკანონო იარაღი, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკები, კონტრაბანდა) ნოყიერი ნიადაგი ხდება, როდესაც კონფლიქტში ეკონომიკური ინტერესები ერთვება და მხარეთა შორის ურთიერთობებში დომინანტ პოზიციებს იკავებს, შესაბამისად ჩნდებიან კონფლიქტის შედეგებით მოსარგებლე ჯგუფები, რომლებიც მისი განგრძობითა და „სტატუს კვოს“ შენარჩუნებით არიან დაინტერესებული. ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ომის ეკონომიკის შესახებ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ფაქტორი იყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე კონფლიქტისთვის (**Kukhianidze, A., Kupatadze, A., Gotsiridze R., 2004:45).**

საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, კერძოდ, ე. წ. ვარდებისა და აჭარის რევოლუციების წარმატების შემდეგ, იმ პირობებში, როდესაც საყოფაცხოვრებო დონეზე, კონფლიქტი თითქოსდა ამოწურული იყო, პრობლემად მხოლოდ კოკოითის რეჟიმი ჩანდა, რომელიც ძირითადად, კონტრაბანდით საზრდოობდა და ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი არ ჰქონდა. დაახლოებით ასეთი იყო საქართველოში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის უმრავლესობის დამოკიდებულება ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების მიმართ. 2004 წელს, ქართველი ექპერტების მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, ერგნეთის ბაზრობის ირგვლივ არსებული ვითარება ძალზე საგანგაშო და საქართველოს უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკების შემცველი იყო. გარდა იმისა, რომ ქართული ეკონომიკა უდიდეს ფინანსურ ზარალს იღებდა სხვადასხვა ტიპის ტვირთების უკანონო მიმოსვლის გამო, რომელთა მოცულობაც სხვადასხვა შეფასებებით 200 მილიონი ლარიდან ერთ მილიარდამდე მერყეობდა, სწორედ, ერგნეთის ბაზრობის საშუალებით ხდებოდა ქვეყნაში იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული ნივთების შემოტანა. ერგნეთის ბაზრის დახურვით, ანუ კოკოითის რეჟიმის მასაზრდოებელი ძირითადი წყაროს მოსპობით, და იმავდროულად, „ჰუმანიტარული შტურმით“, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გულის მოგებას და ლოიალობის მოპოვებას შეეცადა. ერგნეთის ბაზრობის დახურვამ, ქვეყანა 2004 წლის ზაფხულის კრიზისამდე და

სისხლისღვრამდე მიიყვანა. საქართველოს მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია: „განახლებულ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო რუსეთი, რუსულმა მედია საშუალებებმა პროპაგანდისტული ომი წამოიწყეს. რეგიონში სასწრაფოდ შემოიყვანეს ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები“ **(საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედრაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესიის შესახებ, 2009:27).** ქართულმა პოლიციამ სტრატეგიული სიმაღლეები დაიკავა, რომელთა დატოვებაც, მთავრობის იმავე ანგარიშის თანახმად, ქართულ მხარეს სასწრაფოდ მოუხდა. „ესკალაციის თავიდან ასაცილებლად ქართული პოლიციის მიერ დაკავებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები „სამშვიდობოებს“ გადაეცა და რეგიონიდან გამოიყვანეს შსს დამატებითი რაზმები“ **(საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, 2004).** აღნიშნული წარუმატებელი კამპანიის პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მოხდა არჩეული ტაქტიკის გადაფასება და იმის გაცნობიერება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას საჭიროებდა.

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გეგმის შემუშავებით იყო დაკავებული. 2004 წლის 22 სექტემბერს, „გაერო“-ს 59-ე გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა დასვა კონფლიქტების ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი. ეს გეგმა ეტაპობრივი იყო და ნდობის აღდგენის პარალელურად, რეგიონის დეკრიმინალიზაციას, დემილიტარიზაციასა და უსაფრთხოების ფართო გარანტიებს მოიცავდა. ამას მოჰყვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის შეხვედრა სოჭში, 2004 წლის ნოემბერში, სადაც ხელი მოეწერა დემილიტარიზაციის შეთანხმებას. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების საჭიროებაზეც. 2005 წლის იანვარში საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა, სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გააჟღერა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, რომლის მიზანიც

საქართველოს მშვიდობიანი გამთლიანება იყო. გეგმაში საუბარია ფართო ავტონომიაზე, საკონსტიტუციო გარანტიებზე, ოსური ენის ოფიციალურ სტატუსზე და რეგიონის რეაბილიტაციის, ასევე, განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის სპეციალური სახსრების გამოყოფაზე. გეგმაში საუბარი იყო კონფლიქტის შედეგად დაკარგული ქონების რესტიტუციაზეც. ამასთანავე, გეგმით გათვალისწინებული იყო ერთობლივი, შერეული ქართულ-ოსური პოლიციური ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. 2005 წლის ივლისში, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისი მზად არის, „სამხრეთ ოსეთს“ მისცეს ყველაზე ფართო ავტონომია, უზრუნველყოს თვითმმართველობის მაღალი ხარისხითა და პრივილეგირებული საგადასახადო და ეკონომიკური რეჟიმებით. **(საქართველოს მთავრობის ინიციატივა „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, 2004).**

საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის უფრო ვრცელი და კონკრეტული ვერსია გამოცხადდა, 2005 წლის დეკემბერში, „ეუთო“-ს ლიუბლიანის მინისტერიალზე, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კონფლიქტის მოგვარების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა წარადგინა. გეგმის მიხედვით გამოიკვეთა მოქმედებათა სამი ეტაპი: 1. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, 2. სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, და 3. „სამხრეთ ოსეთის“ საბოლოო სტატუსის განსაზღვრა.

საქართველოს მხრიდან, საერთაშორისო თანამეგობრობისათვის სამშვიდო გეგმების შეთავაზებამ გარდაუვალი გახადა ოსური მხარის პასუხი. მით უფრო იმ ფონზე, რომ „ეუთო“-ს მინისტერიალზე გეგმა ერთხმად, მათ შორის, **რუსეთის ხელისუფლების თანხმობით მიიღეს.** იმედის მომცემი იყო „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის მიერ პრეზიდენტების, ვ. პუტინისა და მ. სააკაშვილის, აგრეთვე, „ეუთო“-ს წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც ის აქცენტს ერთობლივი სამშვიდობო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე აკეთებდა. ედუარდ კოკოითის შემხვედრი წინადადებები კონფლიქტის დარეგულირების იმავე სამეტაპიან მიდგომას უჭერდა მხარს და

შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, მოქმედებათა ერთიანი გეგმის შემუშავების ინიციატივით გამოდიოდა. კოკოითის წერილი იმდენად ჰგავდა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივებს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა - ზურაბ ნოღაიდელმა, ქართულ მედიას განუცხადა, „ჩვენგან გადაიწერაო“. თუმცა ყველა ამ სამშვიდობო ინიციატივასა და გეგმას ერთი სერიოზული პრობლემა ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება ჩქარობდა და ყოველი ასეთი ინიციატივის რეალიზაცია მეტად მოკლე ვადებით იყო შემოსაზღვრული. მაგალითად, ლუბლიანის მინისტერიალზე გამოცხადებული გეგმის სამივე ეტაპის დასრულება 2006 წლის სექტემბრამდე უნდა მომხადარიყო, რაც ბუნებრივია, მის რეალურ განხორციელებას საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად ასეთი შემჭიდროებული ვადებისა, იგვიანებდა თბილისის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც სამშვიდობო გეგმებში განცხადებულ ინიციატივებს რეალობად აქცევდა. სწორედ, კოკოითის პასუხის შემდეგ, საქართველოს პარლამენტს შეეძლო დაეწყო მოქმედება და შესაბამისი სამშვიდობო ინიციტივების მხარდამჭერი კანონმდებლობის ინიცირება. ერთ-ერთი ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო კანონი ოსური ენის სტატუსის შესახებ, როგორც დაგვიანებული პასუხი ოსი ხალხის მოთხოვნაზე და სიმბოლური ჟესტი ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის, სწორედ, იმ წერტილიდან, სადაც ის შეწყდა. ბუნებრივია, ამგვარ აქტს დასაწყისისათვის, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა და ხელს შეუწყობდა ნდობის აღდგენას. მეორე, ასეთი უნდა ყოფილიყო კანონი ქონების რესტიტუციის შესახებ, რომელსაც მიღებისთანავე საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ოსების უფლებების აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. სამწუ-ხაროდ, ამ კანონის მიღება, 2005 წლის 26 იანვარს, გამოცხადებული სამშვიდობო გეგმიდან, 23 თვის დაგვიანებით, 2006 წლის 29 დეკემბერს მოხდა. თუმცა ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული კანონის რეალიზებისთვის, არც მისი მიღების შემდეგ გადადგმულა. ყველა სამშვიდობო გეგმას არადამაჯერებელს ხდიდა ოფიციალური პირების განცხადებები თბილისში, რომლებიც ხშირად მუქარის ან დამცინავი ტონით ლაპარაკობდნენ „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ და ტერიტორიული მთლიანობის სწრაფი აღდგენის არარეალურ პირობებს დებდნენ. ამგვარი რიტორიკის კულმინაცია იყო

თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში, რომელიც მთელ საქართველოს ახალი, 2007 წლის დადგომის ცხინვალში აღნიშვნას დაჰპირდა.

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“, რომლის საფუძველზეც დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და მისი დროებითი ადმინისტრაცია შეიქმნა. (დროებითი ადმინისტრაციული ერთეული და მისი ადმინისტრაცია შეიქმნა კანონის საფუძველზე გამოცემული ორი აქტის შესაბამისად: 2007 წლის 8 მაისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ და 2007 წლის 10 მაისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“- მ. ბ.) კანონით, სწორედ, დროებით ადმინისტრაციას მიენიჭა მოლაპარაკებებში ყველაზე მწვავე საკითხის – „ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქისთვის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების წარმართვის“ ფუნქცია. გაუგებარია, ვინ უნდა ყოფილიყო მოლაპარაკების ობიექტი, ვის ვისთან უნდა მოელაპარაკა ავტონომიის სტატუსის შესახებ. საქართველოს პარლამეტის დროებითი კომისიის დასკვნაში ამ კითხვაზე პასუხი ირიბადაა გაცემული: „კონფლიქტის მხარედ გამოცხადდა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ლოიალური დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაცია! „დიმიტრი სანაკოევი იწყებს მოლაპარაკებებს საქართველოს ხელისუფლებასთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით“ (**საქართველოს კანონი „ყოფილ სამხრეთ“ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“, 2007**) პრობლემა მთელი სიცხადით ჯერ კიდევ არჩევნების დროს გამოჩნდა, როდესაც ერთსა და იმავე დღეს, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2 არჩევნები და 2 რეფერენდუმი ჩატარდა. ოთხივე შემთხვევაში შედეგი 90 პროცენტს აჭარბებდა. ერთი მხრივ, ამომრჩევლის 99-მა პროცენტმა ხმა მისცა „სამხრეთ ოსეთის“

დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხარეს ამომრჩევლის 95%-მა ხმა საქართველოს ფედერალიზაციას მისცა. ასეთივე, უმრავლესობით აირჩიეს სხვადასხვა მხარეს ედუარდ კოკოითი და დიმიტრი სანაკოევი. პარალელური არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებამ, პირობითი საზღვრის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანების სრული პოლარიზაცია გამოიწვია, რომელიც პოლიტიკური პროცესის შედეგი და საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული დაახლოებისა და თანხმობის ინიციატივების საწინააღმდეგო აღმოჩნდა. 2006 წლის 12 ნოემბერს, განვითარებულმა საარჩევნო ბატალიებმა ნათლად აჩვენა, რომ ყოფილი ოლქის ტერიტორიის ქართულ სოფლებში არჩეული ადმინისტრაცია მორიგი კონფრონტაციისა და დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა. ერთი რამ, რაც ცხადი იყო კონფლიქტის მთელი ისტორიის მანძილზე – საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ოლქის ქართულ სოფლებთან და მოსახლეობასთან პრობლემა არასოდეს ჰქონია. არც საომარი მოქმედებები ყოფილა ეთნიკურ ქართველებს შორის. შესაბამისად, მოლაპარაკება, შეხვედრები, ნდობის აღდგენაზე მუშაობა სწორედ, პირობითი საზღვრის მეორე მხარეს დარჩენილ, ძირითადად ეთნიკურად ოს თანამოქალაქეებთან იყო საჭირო. ხოლო ამ მისიას ქართული სოფლების მიერ არჩეული დროებითი ადმინისტრაცია და მისი ხელმძღვანელი, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ნამდვილად ვერ შეასრულებდა.

ამრიგად, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების მშვიდობიანი გზების ძიების პარალელურად, გარკვეულ შეცდომებს უშვებდა, რაც შემდგომში, კონფლიქტების მოგვარებაზე უარყოფითად აისახა.

თავი III. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის წინაპირობები

$ 1. მიზეზები და წანამძღვრები

თუ XX საუკუმის 90-იან წლებში რუსეთის ხელისუფლება ახერხებდა შენიღბულად ემოქმედა და კონფლიქტი ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ სახელს ატარებდა, 2008 წელს აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პირისპირ რუსეთის შეიარაღებული ძალა იდგა, მხოლოდ ერთი სურვილით - კვლავ დაეჩოქებინა საქართველო და საკუთარი გავლენის სფეროში მოექცია იგი. რუსეთ-საქართველოს

ომის უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გახდა, რომელიც იმ დროისთვის მკვეთრად პროდასავლური იყო და დღემდე ასეა. საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი არის „ნატო"-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია. ფრანგი მკვლევარი - ჟან რადვანი თავის წიგნში სამართლიანად აღნიშნავს: „მოსკოვი კავკასიაში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ცდილობს მოახდინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ვინაიდან ამ ქვეყანას ტრადიციულად, სტრატეგიული ადგილი უჭირავს ამიერკავკასიაში, თურქეთის საზღვართან და წარმოადგენს ერთადერთ გზას დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად" **(Radvanyi, 2003:145).**

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის ესკალაცია, უშუალოდ 2008 წელს არ დაწყებულა. მას წინ უძღოდა მთელი რიგი მოვლენები. როგორც ომის წინა პერიოდის ქრონოლოგიიდან ჩანს, რუსეთის ხელისუფლება, საქართველოში შემოსაჭრელად, ზედმიწევნით ემზადებოდა **(Svante E. Cornell, Johanna Popjanevski, Niklas Nilsson, 2008:3-9).** ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩევლის – ანდრეი ილარიონოვის აზრით, 2008 წლის ომისთვის მზადება, 1999 წელს, ვლადიმერ პუტინის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლიდან დაიწყო. 1999 წლის სექტემბერში, ვლადიმერ პუტინმა, რომელიც 1999 წლის აგვისტოში, რუსეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ცალმხრივად მოხსნა, 1996 წლის 19 იანვარს, დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების მიერ დაწესებული აკრძალვა, რომელიც ჯარის ასაკის მამაკაცებს არ აძლევდა უფლებას, გადაეკვეთათ რუსეთ-საქართველოს საზღვარი, აფხაზეთის ნაწილში, რითაც რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ხელშეკრულება დაარღვია. 2000 წლის ნოემბერში, რუსეთის მთავრობამ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ, საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" მონაკვეთებზე, აფხაზეთსა და ყოფილ „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ცალმხრივად შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთან. დაარღვია არსებული ხელშეკრულება და ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ს უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებიდან. იმავდროულად, გამარტივებული სავიზო რეჟიმი

დაუწესა აფხაზეთს, აჭარას და ცხინვალის რეგიონს. 2002 წლის 6 აგვისტოს, რუსულმა საჰაერო ძალებმა პანკისის ხეობა დაბომბეს. ერთი მოქალაქე მოკლეს და რამდენიმე დაჭრეს. ევროსაბჭოს მისიამ აღნიშნული შემთხვევა გამოიძია და რუსეთის მხრიდან დაბომბვის ფაქტი დაადასტურა. 2002 წლის 7-8 სექტემბერს, რუსეთის ხელისუფლების დავალებით ე. კოკოითი სოხუმში იმყოფებოდა და საქართველოს წინააღმდეგ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან სამხედრო კავშირის ხელშეკრულება გააფორმა. რამდენიმე დღის შემდეგ, 11 სექტემბერს, აშშ-ზე განხორციელებული ტერაქტის წლისთავზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა. მან საქართველო დაახასიათა, როგორც ტერორისტული ქვეყანა და დაიმუქრა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 51-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ძალას გამოიყენებდა. 2002 წლის 22 ნოემბერს, „ნატო“-ს სამიტზე, პრაღაში, საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს „ნატო“-ში შესვლა სურს. 2002 წლის ბოლოს, საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვის მიზნით, რუსეთის დახმარებით, ე. კოკოითიმ, თავდაცვის, უშიშროების და დაზვერვის მინისტრებად რუსი გენერლები დანიშნა. 2002 წლის 25 დეკემბერს, რუსეთის მთავრობამ, კიდევ ერთხელ დაარღვია 1996 წლის დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა გახსნა. 2003 წლის ივლისში, რუსეთმა სოჭიდან სოხუმში გაგზავნა ტურისტული გემი და ამით 1992-1993 წლებიდან, აფხაზეთზე დაწესებული საერთაშორისო ემბარგო დაარღვია. ივლისშივე, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ ცალმხრივად დაარღვია ადრე უკვე შეთანხმებული ხელშეკრულება (ბადენის დოკუმენტი). 2003 წლის 2 ოქტომბერს, რუსეთის თავდაცვის მინისტრი, სერგეი ივანოვი, თავის გამოსვლაში საქართველოს ომით დაემუქრა. მოსკოვში, 2003 წლის 29 ნოემბერს, იგორ ივანოვის, ედუარდ კოკოითის, რაულ ხაჯიმბას და ასლან აბაშიძის შეხვედრაზე, გადაწყდა დაეჩქარებინათ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი აჭარაში, აფხაზეთში და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“. 5 დეკემბერს, რუსეთის მასმედიამ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ათობით ათას პასპორტს ამზადებდა, ამ რეგიონების მოსახლეობისთვის. ოთხი დღის შემდეგ, შემოიღეს

ახალი, უფრო მეტად გამარტივებული სავიზო რეჟიმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის. ამ პერიოდში, 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის 3 მარტის ჩათვლით, აჭარის ლიდერი - ასლან აბაშიძე ოფიციალური ვიზიტით ხუთჯერ იმყოფებოდა მოსკოვში.

ედუარდ კოკოითის თხოვნას, ეცნო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ვლადიმერ პუტინმა სეპარატისტულ რეგიონს სამხედრო დახმარების გაწევით უპასუხა. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა 2003 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში პროდასავლურად განწყობილი ხელისუფლება მოვიდა. ამას მოჰყვა რუსეთის მხრიდან, ქართული პროდუქციის ემბარგო, რამაც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საბოლოოდ დაძაბა. ამას ემატებოდა აფეთქებები ცხინვალის რეგიონის მეზობელ სოფლებში, ასევე, კონფლიქტის ზონაში, ინტენსიური სროლები, რაც უკვე ადგილობრივ მოსახლეობაში გაკვირვებას აღარ იწვევდა. იქაურ მაცხოვრებელთა განცხადებით, აფეთქება ისეთი ბუნებრივი გახდა მათთვის, რომ ხალხი საქმიანობასაც კი არ წყვეტდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე სახლის გვერდით მანქანა აფეთქდებოდა. ყოველივე ამას ემატებოდა, აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაცია. სიტუაციას ძაბავდა, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებები - აფხაზეთის და ყოფილ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სეპარატისტულ ანკლავებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების თაობაზე, ასევე, რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ პირთა განცხადებები, რომ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ტერიტორიებზე, რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს დაიცავდნენ. რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების დამატებითი კონტინგენტის, აფხაზეთში შეყვანა, საქართველოს ხელისუფლების სრული უგულებელყოფის ფონზე, ცალსახად აღიქმებოდა აფხაზეთის, საქართველოს განუყოფელი ნაწილის, ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად. 2004 წლის 11 თებერვალს, მოსკოვში შედგა ვ. პუტინის და მ. სააკაშვილის პირველი შეხვედრა. შეხვედრის დროს, ვ. პუტინმა საქართველოს პრეზიდენტს ურჩია აღარ მოეთხოვა რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა და თავის თანამდებობაზე დაეტოვებინა უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. 2004 წლის 6 მაისს, რუსეთის ფედერაციის საგარეო

საქმეთა მინისტრმა, იგორ ივანოვმა ასლან აბაშიძე თავისი თვითმფრინავით ბათუმიდან მოსკოვში წაიყვანა. სატელეფონო საუბარში, მ. სააკაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ვ. პუტინს იმ წვლილისთვის, რომელიც მან კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტაში შეიტანა. ვ. პუტინმა უპასუხა, რომ რუსეთი არ ჩაერია აჭარაში, მაგრამ ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში ეს არ განმეორდებოდა. აჭარის კრიზისიდან სულ რამდენიმე დღეში, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის მიხედვით, ჯავასთან (იზიუგომში) და ცხინვალში, სამხედრო ბაზები აშენდა. ვლადიკავკაზის სამხედრო აკადემიაში სპეციალური განყოფილება გაიხსნა კადეტებისთვის, ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან, ასევე, ცხინვალის რეგიონში, ათეულობით სამხედრო ინსტრუქტორი გაიგზავნა. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებად რუსი გენერლები დაინიშნა, ამასთანავე, რუსი ოფიცრები იქ სამხედრო სამსახურისთვის გაიგზავნა. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა გაუწვრთნელი, ცუდად ორგანიზებული ოსური ფორმირებების, ძლიერ, რეგულარულ არმიად ჩამოყალიბებას. 2004 წლის 15 ივნისს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულმა ძალებმა სცადეს ხელი შეეშალათ სოფლების: ერედვის, ქურთას და თამარაშენის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისთვის. მეორე დღეს, რუსებმა საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს. 2004 წლის 8 ივლისს, ქართველმა ძალოვანებმა 9 სატვირთო ავტომანქანა დააკავეს, რომლებსაც რუსეთიდან ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა გადაჰქონდათ. სანაცვლოდ, რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის 50 მეომარი განაიარაღეს და ცხინვალის ცენტრში დააჩოქეს. მოსკოვის „ოერტე“-ს სატელევიზიო არხზე, რუსმა ჟურნალისტმა და პოლიტოლოგმა მიხეილ ლეონტიევმა ამაყად განაცხადა, რომ რუსებმა ქართველებს ხაფანგი მოუმზადეს და როგორც ჩანს, ისინი მასში გაებნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო პროვოკაციის ორგანიზებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ დაიცავდა რუსეთის მოქალაქეებს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე. იმავე ღამეს, ოსური საარტილერიო ცეცხლით, სამი ქართველი სამშვიდობო და ერთი პოლიციელი დაიჭრა. ორმხრივი სროლები, 2004 წლის 20 აგვისტომდე, გაგრძელდა და შედეგად 19 ქართველი ჯარისკაცი და 5 ოსი

იქნა მოკლული. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ, ხოლო შემდეგ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადეს, რომ მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ტერიტორიის გარეთ, პრევენციული დარტყმები განახორციელონ. 14 სექტემბერს ააფეთქეს მაღალი ძაბვის ხაზი „ქართლი-2", ხოლო 20 სექტემბერს - „კავკასიონი". აღნიშნულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეს განცხადებები საქართველოს დასაშინებლად იყო გაკეთებული. საქართველოს სპეცდანიშნულების დანაყოფებმა, ოსების დივერსიული ჯგუფი გაანეიტრალეს, რომელმაც აფეთქებები განახორციელა. იმ პერიოდში, აფხაზეთში ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობდა. 11 ოქტომბერს, არჩევნებში სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა და არა მოსკოვის პრეტენდენტმა რაულ ხაჯინბამ. ამ ამბავმა ვ. პუტინის გაღიზიანება გამოიწვია. მან 1 ნოემბერს, ორი დაპირისპირებული მხარე მოსკოვში გამოიძახა. ვ. პუტინმა, ს. ბაღაფშს შედეგების უკან წაღება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. შედეგად, რუსეთის მთავრობამ, აფხაზი სეპარატისტები დასაჯა. 15 ნოემბერს დაიკეტა რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი. 1 დეკემბერს, აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა, ხოლო 2 დეკემბერს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი აიკრძალა. 6 დეკემბერს, რუსეთის ძალოვანი მინისტრებისგან შემდგარმა სპეციალურმა დელეგაციამ სოხუმში გამართულ მოლაპარაკებაზე შეთანხმებას მიაღწია, რომლის ძალით, ბაღაფში და ხაჯიმბა ძალაუფლებას გაინაწილებდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ ძალოვანი მინისტრების დანიშვნის უფლება მოიპოვა. აღნიშნული ფაქტი, ნათლად აჩვენებს, თუ რუსების სახით, აფხაზებს, როგორი გულშემატკივარი ჰყავთ.

2004 წლის 4 სექტემბერს, თითქოს ტერორისტული საშიშროების მომიზეზებით, რუსებმა ლარსის გამშვები პუნქტი დაკეტეს. სამი კვირის შემდეგ, კი სოჭსა და სოხუმს შორის საავტობუსო მიმოსვლა გახსნეს. 2005 წლის 1 თებერვალს, გორის პოლიციის შენობაზე ტერაქტი განხორციელდა, რის შედეგად სამი პოლიციელი დაიღუპა და 17 დაიჭრა, ხოლო შენობა დაინგრა. ხუთთვიანი გამოძიების შედეგად, დადასტურდა, რომ ეს ტერორისტული აქტი ორგანიზებული და განხორციელებული იყო რუსეთის მთავარი სამხედრო სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) მიერ. იმავდროულად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - სერგეი ლავროვმა,

თბილისში ოფიციალური ვიზიტის დროს, უარი თქვა პატივი მიეგო აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცებისთვის, ხოლო 2005 წლის 3-4 აპრილს, მოსკოვში მიიღო აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საგარეო საქმეთა მინისტრები, ისე, თითქოს ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. მეორე დღეს კი, ვ. პუტინმა ბაღაფშს და კოკოითს, თავის სოჭის რეზიდენციაში უმასპინძლა.

2005 წლის 30 მაისს, რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოდან, 2008 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო. ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანის პარალელურად, რუსეთის ხელისუფლება იმავდროულად, აფხაზეთში და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ არსებული ბაზების ლეგალიზაციას და ახალი ბაზების შექმნას ახორციელებდა.

მარტის თვეში საქართველოს მთავრობამ შპიონაჟის გამო, გრუ-ს აგენტები დააპატიმრა და ყოველგვარი გახმაურების გარეშე, რუსეთს გადასცა. საქართველოს ხელისუფლების კეთილ ნებას, რუსეთის მთავრობამ ქართული ღვინის ქვეყანაში იმპორტის აკრძალვით უპასუხა, რასაც მაისში, ბორჯომის და ნაბეღლავის იმპორტის აკრძალვა მოჰყვა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთს ყოველთვის აქვს უფლება პრევენციული დარტყმა განახორციელოს.

ცხინვალის რეგიონში, უკვე არსებული ორი სამხედრო ბაზის მიუხედავად, 2006 წლის მაისში, ჯავადან ორ კილომეტრში, ელბაჩიტაში, რუსებმა ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყეს, რომელიც 2 500 სამხედროზე, ხოლო ოჩამჩირის სამხედრო სასაწყობო მეურნეობა კი 100 000 სამხედროსთვის იყო გათვალისწინებული, აღჭურვილობის, იარაღის და საწვავის მარაგის შესანახად. 2006 წლის დასაწყისისთვის, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“ მიწოდებული სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის და ტყვია-წამლის რაოდენობამ საქართველოს სამხედრო შესაძლებლობებს გადააჭარბა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე რეგიონში 250 000 მოსახლე, ხოლო საქართველში 4.5 მილიონი ცხოვრობდა. 2008 წლის დასაწყისისთვის, აღნიშნულმა რეგიონებმა უფასოდ ორჯერ მეტი სამხედრო აღჭურვილობა მიიღეს, ვიდრე საქართველოს გააჩნდა. 2006 წლის მარტში, კოკოითიმ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით მიმართა, რათა ეცნო

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. 2006 წელს, ერთდროულმა აფეთქებებმა, რუსეთში და ჩრდილო ოსეთში, მწყობრიდან გამოიყვანა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ორი გაზსადენი და მაღალი ძაბვის ხაზები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროენერგიით ამარაგებდა. ეს ყველაფერი მოხდა ცივი ზამთრის პირობებში, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს, როგორც გაზის, ისე ელექტროენერგიის საფასური გადახდილი ჰქონდა.

2006 წლის 31 იანვარს, ჟურნალისტებთან საუბარში ვ. პუტინმა აღნიშნა, რომ „თუ ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვომ შეიძლება მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას, მაშინ რატომ უნდა ვუთხრათ უარი აფხაზებს და „სამხრეთ ოსეთს?“. იმავე დროს, პუტინმა დაავალა სერგეი ლავროვს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული უნივერსალური ფორმულა შეემუშავებინა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვეყნებსაც მიუსადაგებდნენ. მოგვიანებით, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრემიერ მინისტრის მოადგილემ, ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ რეგიონის მოსახლეობის 98%-მა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. 2006 წლის ივლისში, საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობაზე, აფხაზეთის ერთადერთ ნაწილზე, რომელსაც ის 1993 წლიდან აკონტროლებდა, საკუთარი იურისდიქცია აღადგინა.

2006 წლის ოქტომბერში, რუსეთის დამოუკიდებელმა სამხედრო ანალიტიკოსმა პაველ ფელგენგაუერმა გამოთქვა შეშფოთება, რომ რუსეთ-საქართველოს ომი პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. 2007 წლის 11 მარტს, რუსეთის ხელისუფლება პირდაპირ სამხედრო მოქმედებაზე გადავიდა. რუსულმა ვერტმფრენმა, კოდორის ხეობაში, ქართული ადმინისტრაციული შენობები დაბომბა. ხეობის სოფლები ტყვარჩელიდან, რუსული ვერტმფრენებით იბომბებოდა. ყოველივე ამას დიპლომატიის გააქტიურება მოჰყვა. საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ქვეყნის „ნატო“-ში შესვლას. ორი დღის შემდეგ, ამერიკის სენატმა საქართველოს და უკრაინის „ნატო“-ში გაწევრიანებას ხმა მისცა. იმავდროულად, აფხაზეთის ე. წ. პარლამენტმა, რუსეთის ხელისუფლებას კვლავ აღიარების მოთხოვნით მიმართა. 25 მარტს, ორი ქართველი პოლიციელი მოკლეს. გამოძიებამ დაადასტურა, რომ თავდასხმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ მხრიდან განხორციელდა. 7 მაისს, კოკოითიმ თბილისთან ყოველგვარი მოლაპარაკებების შეწყვეტის შესახებ,

განაცხადა, ხოლო რამდენიმე დღეში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ქართული სოფლების სრული ბლოკადა გამოაცხადა. 12 მაისს, რუსეთის საგარეო უწყებამ, კონფლიქტის ზონაში აკრძალული ანტისაჰაერო იარაღის შეტანა საქართველოს დააბრალა. 27 ივნისს, მოულოდნელად დადგენილ განრიგზე ადრე, რუსეთის ხელისუფლებამ ახალქალაქის სამხედრო ბაზის გაყვანა დაასრულა. მეორე დღეს, რუსულმა ჯავშანმანქანებმა ნიქოზი-ავნევის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დაბლოკეს. 13 ივლისს, ვ. პუტინმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით, რუსეთი ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღების ხელშეკრულებიდან გამოვიდა. ამან საშუალება მისცა პუტინს, რომ ჩრდილო კავკასიაში იმ რაოდენობის აღჭურვილობა და სამხედრო ძალა განელაგებინა, რამდენიც დასჭირდებოდა. არსებული ხელშეკრულება უკვე ვეღარ ზღუდავდა რუსეთის სამხედრო შენაერთების თავისუფალ გადაადგილებას და განლაგებას. რუსეთის ხელისუფლებამ, 2006 წელს განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციებით, ვერ შეძლო საქართველოს დასუსტება. იგივე საბაბით, რუსეთის მთავრობამ 2008 წელს, საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

2007 წლის 6 აგვისტოს, რუსულმა თვითმფრინავმა სუ-25, საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია და წითელუბანში რადარი დაბომბა. იმავდროულად, სამხედრო ესკალაცია აფხაზეთშიც გრძელდებოდა. 20-24 აგვისტოს, აფხაზეთის სამხედრო ძალების მანევრები, კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში, რომლის დროსაც ძვირადღირებული ახალი მძიმე აღჭურვილობა, არტილერია, თვითმფრინავები და ვერტმფრენები გამოიყენეს, ყველა არსებული ხელშეკრულების დარღვევით ჩატარდა. 15 ნოემბერს, რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი ბაზების გაყვანა დაასრულა. როგორც ადრე ირწმუნებოდა ამ პროცესს 11 წელი დასჭირდებოდა, რეალურად კი 5 თვე მოანდომეს. პარალელურად, 2007 წლის დეკემბერში, რუსებმა დამატებითი ძალების და აღჭურვილობის განლაგება დაიწყეს აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონში.

2008 წლის ადრეულ გაზაფხულზე რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაციამ პიკს მიაღწია. 2008 წლის 6 მარტს, რუსეთი ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებიდან „აფხაზეთში

(საქართველო) კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“, რაც პრაქტიკულად კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას გულისხმობდა. ამგვარი მოქმედების მთავარი არგუმენტი რუსეთის მხრიდან იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული ინტერესები, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მტკიცებით, აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავლესობას, 2008 წლის გაზაფხულისათვის, უკვე რუსეთის მოქალაქეები, ან უფრო ზუსტად, რუსეთის მოქალაქის პასპორტის მფლობელი პირები შეადგენდნენ. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, რუსეთის მოქმედებას უკიდურესად უარყოფითი შეფასება მისცა და იგი აფხაზეთის სრული მილიტარიზაციის დაწყებად გამოაცხადა. საქართველოში პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა აცხადებდა, რომ „ნატო“-ს ბუქარესტის სამიტის წინ, რუსეთმა მთელ მსოფლიოს მკვეთრი სიგნალი გაუგზავნა. 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების შემდეგ, რუსეთი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და მომდევნო თვეების განმავლობაში რუსულ–ქართული ურთიერთობები კანონებისა და ურთიერთბრალდების შემცველი განცხადებების საინფორმაციო ომში გადაიზარდა. 2008 წლის 21 მარტს, რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა ეღიარებინა. 2008 წლის 16 აპრილს, ვ. პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ პირდაპირი სამართლებრივი კავშირებისა და ურთიერთობების შესახებ. ამავე დეკრეტის შესაბამისად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა გაიხსნა ცხინვალსა და სოხუმში. 16 აპრილის დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ თავისი დამოუკიდებლობის ირიბ დადასტურებად აღიქვა. გადაწყვეტილება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის ევროკავშირმა, „ეუთო“-მ, „ნატო“-მ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ. საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთისაგან აღნიშნული დეკრეტის გაუქმება და ურთიერთობების ნორმალიზაცია, მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

2008 წლის 31 მაისს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ, აფხაზეთში შეიყვანა სარკინიგზო ჯარების ვოლგოგრადის 76-ე შენაერთი 400 სამხედროს შემადგენლობით. მოტივაცია, ამჯერადაც ჰუმანიტარული იყო და სოხუმიდან ოჩამჩირემდე, ომის შედეგად განადგურებული რკინიგზის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. აღნიშნული პროექტი საქართველოსთან შეთანხმებული არ ყოფილა. მეტიც, ქართული მხარე მუდმივად გამოხატავდა შეშფოთებას რკინიგზის რეაბილიტაციის ფაქტის გამო და ეწინააღმდეგებოდა მას, ვინაიდან რკინიგზის რეაბილიტაციას მუდმივად უკავშირებდნენ რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობის ოჩამჩირემდე ტრანსპორტირების, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ჯარებისათვის „საჭიროების შემთხვევაში" გადაადგილების შესაძლებლობის გამარტივებას და, აფხაზეთის სამხედრო პოტენციალის ზრდას. კანონების, დადგენილებებისა და განცხადებების პარალელურად კი სულ უფრო და უფრო იძაბებოდა ვითარება კონფლიქტის ზონებში, იღუპებოდნენ მშვიდობისმყოფლები, პოლიციელები და სამოქალაქო პირები, ნადგურდებოდა ათეულობით ადამიანის საკუთრება.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, 2008 წლის 20 აპრილს, 10:00 საათზე, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოფრენილმა გამანადგურებელმა, გალის რაიონის სოფელ გაგიდის თავზე ქართული უპილოტო საფრენი აპარატი „ჰერმეს-450", ჩამოაგდო. „გაერო"-ს მისიამ, რომელმაც მხარეთა მოთხოვნით დაიწყო ამ საქმის მოკვლევა, 2008 წლის 20 აპრილის ინციდენტთან დაკავშირებით დასკვნაში ცალსახად მიუთითა, რომ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მოსკოვის ხელშეკრულების შესაბამისად, „მხოლოდ დსთ-ს ძალებსა აქვთ მანდატი, განახორციელონ ღონისძიებები ძალების დაშორიშორებისათვის და მეტს არავის. მკაცრად განსაზღვრული სამშვიდობო მანდატის პრინციპების თანახმად, მისიას მიაჩნია, რომ მესამე მხარის – ამ შემთხვევაში რუსეთის მიერ, კონფლიქტის ზონაში განხორციელებული ქმედება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება მოსკოვის ხელშეკრულებას და არღვევს ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს". იმავე დასკვნაში, „გაერო"-ს დამკვირვებელთა მისია ქართულ მხარესაც

მიანიშნებს ხელშეკრულების დარღვევაზე: „რამდენად ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს ქართული მხარის მიზნები, ამგვარი ხასიათის სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, აფხაზური მხარის მიერ განხილულ იქნას, როგორც სამხედრო ოპერაციის დაწყება, განსაკუთრებით ვითარების გამწვავების ფონზე. „ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმს აქვს თავისი პოზიტიური მხარე – ის აჩერებს ომს. თუმცა თან ახლავს შეზღუდვებიც, რაც გულისხმობს მხარეთა შეზღუდვას ისეთი ქმედებების განხორციელებაში, რომელიც მეორე მხარის მიერ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც საფრთხის მატარებელი“ **(Reports: Russia will not Revoke April 16 Decision, 11 July, 2008, Civil Georgia).** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ანგარიშში, „გაერო“-ს დამკვირვებელთა მისია, საქართველოს ხელისუფლებას შეახსენებდა, რომ საქართველოს მხრიდან კონფლიქტის ზონაში უპილოტო თვითმფრინავების გაგზავნა, შესაძლებელია, საერთაშორისო სამართლისათვის ჩაითვალოს სამხედრო ოპერაციად, რაც ეწინააღმდეგება მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულებების პრინციპებს. 2008 წლის 3 ივლისს, ქართული მედია იუწყებოდა, რომ ერედვი–ხეითის შემოვლით გზაზე მოხდა თავდასხმა: „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციის უფროსის, დიმიტრი სანაკოევის ავტომანქანა ნაღმზე აფეთქდა, შემდეგ კი მის კორტეჟს ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიჭრა დაცვის სამი თანამშრომელი“. თავად სანაკოევი უვნებლად გადარჩა. მომხდარი ქართულმა მხარემ ტერორისტული აქტის მცდელობად შეაფასა. სანაკოევზე თავდასხმას წინ უძღოდა იმავე 3 ივლისის დილას, ოსურ სოფელ დმენისის პოლიციის უფროსის, ნოდარ ბიბილოვის აფეთქება. ნოდარ ბიბილოვი ადგილზე გარდაიცვალა. 3 ივლისის, დილას მომხდარ აფეთქებაში „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ თბილისი დაადანაშაულა და მომხდარი ტერაქტად შეაფასა. 2008 წლის 15 ივლისს საქართველოშიც დაიწყო ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები სახელწოდებით: „დაუყოვნებელი პასუხი – 2008“, რომელიც სამ კვირას გაგრძელდა. აღნიშნულ წვრთნებში 1650 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. წვრთნები შერეული იყო და მასში 1000 ამერიკელი, 620 ქართველი და 10-10 უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სომეხი ოფიცერი მონაწილეობდა. შემდგომში ეს წვრთნები რუსული საინფორმაციო სამსახურებისა და

რუსი პოლიტიკოსების მხრიდან, ამერიკის შეერთებული შტატების კონფლიქტში პირდაპირი მონაწილეობის შესახებ ბრალდებებისა და სპეკულაციების მიზეზი გახდა. პარალელურად ხდებოდა კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის პასპორტიზაცია და მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. 2002 წლს, რუსეთის მთავრობამ ჩვეულ ხერხს მიმართა და საქართველო ტერორიზმის ბუდედ გამოაცხადა.

რუსეთის ხელისუფლება მზად იყო ყველა შემხვედრი ნაბიჯი გადაედგა, რათა საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა შეეჩერებინა. 2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე, „ნატო"-მ თავი შეიკავა საქართველოსა და უკრაინისთვის „ნატო"-ს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP-ის) მიცემაზე და ეს საკითხი 2008 წლის დეკემბრისთვის გადადო. სწორედ, 1920 წელს, საქართველოს ერთა ლიგის წევრად მიღებაზე უარის თქმა გახდა, რუსული აგრესიის გააქტიურების მიზეზი, რასაც შედეგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა მოჰყვა. ყოველივე ამან, რუსეთის ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოს წინააღმდეგ მორიგი აგრესიის დასაწყებად.

2008 წლის აპრილ-ივლისში, უკვე ადგილი ჰქონდა დაბალი ინტენსივობის ომს. გაზაფხულზე შეინიშნებოდა დაძაბულობა აფხაზეთის ე. წ. საზღვართან. 2 ივლისს, ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა, მერაბ ქიშმარიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის არმია რუსი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ იყო გაწვრთნილი, ისინი არც ჰაერსაწინააღმდეგო იარაღის ნაკლებობას განიცდიდნენ და ქუთაისამდეც შეეძლოთ მისვლა. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს იმ ფაქტს, რომ რუსული აგრესია, როგორ ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში, გაცილებით ადრე მზადდებოდა. 2008 წლის 4 ივლისს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" დე ფაქტო პრეზიდენტმა ე. კოკოითიმ ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა, თუმცა მოგვიანებით იგი გააუქმა. 7 ივლისს, რუსული აგრესიის განხორციელებამდე ერთი თვით ადრე, რუსეთის ორივე სამშვიდობო ბატალიონმა აფხაზეთში და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" პოზიციების გამაგრება ერთდროულად დაიწყო. იმავე დღეს, აფხაზეთში დამატებითი ანტისაჰაერო კომპლექსები და მძიმე შეიარაღება განლაგდა და ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს

საჰაერო სივრცე დაარღვია. 2008 წლის 15 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს საზღვრებთან, რუსეთის ჯარების ფართომასშტაბიანი წვრთნები „კავკასია-2008“ მიმდინარეობდა. სამხედრო წვრთნებში 8000 ჯარისკაცი და 700 სამხედრო ერთეული მონაწილეობდა. მათ შორის იყო საავიაციო-სადესანტო ქვედანაყოფი, საჰაერო ძალების ქვედანაყოფი, საჰაერო თავდაცვის ნაწილები, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ფლოტი, ფედერალური უსაფრთხოების სამსახური, შინაგანი ჯარები, ფსკოვისა და ნოვოროსიისკის საავიაციო-სადესანტო ქვედანაყოფები. რუსეთის არმიის ჯარისკაცებს შემდეგი მოწოდების პროკლამაციასურიგებდნენ: „ჯარისკაცო, იცნობდე შენს შესაძლო მტერს“. მასში ქართული ჯარის შემადგენლობა და აღჭურვილობა იყო ჩამოთვლილი, როგორც მათი მთავარი სამიზნე. წვრთნების დასრულების შემდეგ, რუსული ჯარის უმეტესი ნაწილი საქართველო-რუსეთის საზღვრის ცხინვალის რეგიონის უშუალო სიახლოვეს განლადა. სამხედრო წვრთნები ღია და აგრესიული პროვოკაცია იყო, რომლის მიღმა რუსეთის იმპერიული მიზნები იმალებოდა. რუსული ჯარის საქართველოს საზღვართან განლაგება ფაქტიურად საქართველოსთან ომის მზადების ბოლო ეტაპი იყო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწის - იგორ კონაშენკოვის განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე წვრთნები გეგმიური იყო. იგი მთიან რეგიონში ტერორისტების აღმოჩენა-განადგურებას და საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის გამაგრებას ითვალისწინებდა. სამხედრო წვრთნების გეგმიურობა რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენჰაუერმაც დაადასტურა, თუმცა მისმა მასშტაბებმა ექსპერტის სამართლიანი შეშფოთება გამოიწვია. 18 ივლისს, რუსული არმიის ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო პოლკმა როკისა და მამისონის უღელტეხილები დაიკავა, ხოლო ვოლგოგრადის დივიზიის სადესანტო პოლკი კრასნოდარის ოლქში განლაგდა. სამი დღის შემდეგ, როკის უღელტეხილზე ფსკოვის საჰაერო-სადესანტო პოლკი ვლადიკავკაზის XIX ქვეითი დივიზიის 135-ე ქვეითმა პოლკმა შეცვალა. 26 ივლისს, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელმა - თეიმურაზ მანსუროვმა, გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გულახდილად განაცხადა, რომ რუსეთის ჯარები საქართველოში საკუთარი

მოქალაქეების დასაცავად შევიდოდნენ. როკის გვირაბის ჩრდილოეთ კარიბჭესთან ტანკები და ჯავშანტექნიკა იდგა, მაგრამ მათი ფუნქცია მარტო იქ დგომა არ იყო. იმავდროულად, ტანკებით დატვირთული სარკინიგზო ვაგონი გალის რაიონში საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ჩავიდა. 2008 წლის 28 ივლისს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს ერთობლივ სამშვიდობო ძალებს და ევროსაბჭოს დამკვირვებლებს. მეორე დღეს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განლაგებული შერეული მოსახლეობის სოფლები დაბომბეს. 30 ივლისს, სოხუმი-ოჩამჩირის რკინიგზის შეკეთება დასრულდა, რაც ხელს უწყობდა რუსული სამხედრო შენაერთების თავისუფალ გადაადგილებას. 2008 წლის 1 აგვისტოს, რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ქართული პოლიციის მანქანა ააფეთქეს, 5 პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. მოგვიანებით რუსი ჟურნალისტებით დატვირთული თვითმფრინავი მოსკოვიდან გამოფრინდა, ხოლო რუსი ჟურნალისტების მეორე ჯგუფი მახაჩკალიდან ცხინვალის რეგიონში გამოემგზავრა. უცხოელ ჟურნალისტებს, უკრაინული სატელევიზიო არხის „ინტერის" ჟურნალისტების გარდა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" შესვლა აუკრძალეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ფაქტი მათ დოკუმენტებში არსებული პრობლემებით ახსნა. რუსმა ჟურნალისტებმა 2 აგვისტოს, დილით, ცხინვალში ჩასვლა დაიწყეს, ხოლო 7 აგვისტოს მათმა რიცხვმა 50-ს მიაღწია. იმავე 2 აგვისტოს, სამხედრო მანევრები „კავკასია 2008" ოფიციალურად დამთავრდა, მაგრამ რუსეთის ჯარს პოზიციები არ დაუტოვებია. იმავე დღეს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე რამდენიმე რეგულარული ჯარის სამხედრო დანაყოფი დამატებით შევიდა. რუსების და ოსების სამშვიდობო ბატალიონების რაოდენობა უკანონოდ გაიზარდა. თითოეულში 530-დან 850 ჯარისკაცამდე, ხოლო ქართულ ბატალიონში, მხოლოდ, 530 სამხედრო იყო. 7 აგვისტოსთვის, ე. წ. „სამხრეთ ოსეთიდან" რუსეთში 20 000 სამოქალაქო პირი იყო ევაკუირებული. ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიზნები და გეგმები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სადავო ტერიტორიების საკითხს, საგრძნობლად გასცდა.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" შინაგან საქმეთა მინისტრმა - მიხეილ მინძაევმა განაცხადა, რომ ოსებმა შეიძლება დამატებით მოითხოვონ საქართველოს ტერიტორიები

ბორჯომის და ბაკურიანის ჩათვლით. ჯერ კიდევ, 5 აგვისტოს, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ არ გამორიცხა საქართველოსთვის მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობა. 2008 წლის 5 აგვისტოს, როკის გვირაბის შესასვლელთან, ჩრდილოეთის მხრიდან, შემდეგი რუსული დანაყოფები განლაგდნენ: 58-ე არმიის XIX დივიზიის - 135-ე და 693-ე ქვეითი მოტორიზებული პოლკები, 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის - 104-ე და 234-ე მოიერიშე საჰაერო-სადესანტო პოლკები, 96-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის - 217-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი და 31-ე სპეციალური საჰაერო-სადესანტო პოლკი. მთლიანად ეს ძალები შედგებოდა 11 693 სამხედრო მოსამსახურისგან, 891 ჯავშანმანქანისგან და 138 საარტილერიო დანადგარისგან. ცხინვალის რეგიონში გაემგზავრნენ დონის კაზაკებისგან შექმნილი რაზმები. რასაკვირველია, ეს ძალები მარტო ოსების დასაცავად არ იყო თავმოყრილი.

2008 წლის 6 აგვისტოს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" შეიარაღებულმა ძალებმა ნაღმსატყორცნებით ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს. დაიბომბა სოფლები: ერედვი, ფრისი, ავნევი, დვანი და ნული. იმავე დღეს, საღამოსთვის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა ჯავაში განლაგდა, ხოლო რუსეთის სამხედრო ოლქის მეთაურები კოდორის ხეობის ქვედა ზონაში. საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან გადაუდებელი სატელეფონო საუბარი მოითხოვა, რათა განემუხტა ვითარება და თავიდან აეცილებინა მისი შემდგომი განვითარება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნდა, რომ პრეზიდენტების საუბრისთვის სიტუაცია არ იყო მზად. ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტაზე საქართველოს პრეზიდენტის წინადადების შემდეგ, ქართულ სოფლებზე თავდასხმებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" დროებითი ადმინისტრაციის შენობა - სოფელ ქურთას პოლიციის სადგური. მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა. საქართველოში განხორციელებული აგრესიის გამართლების მიზნით, რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მისი ძალები საქართველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ, ცხინვალზე ქართული არმიის მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ შეიჭრნენ. სინამდვილეში, ეს იყო წლების

მანძილზე რუსეთის მიერ შემუშავებული გეგმის რეალიზაცია. 29 ივლისს, სეპარატისტები თავს დაესხნენ „ეუთო“-ს მისიის წარმომადგენლებს.

2008 წლის 1 აგვისტოდან მოყოლებული, მრავალ წყაროზე დაყრდნობით, მშვიდობიან მოსახლეობაში, ორივე მხარეს, მსხვერპლი მატულობდა. ქართული მედია ინტენსიურად აშუქებდა კონფლიქტის ზონას და თითქმის ყოველდღე აფეთქებულ მანქანებს, დაჭრილ მშვიდობისმყოფელებსა და დაზარალებულებს აჩვენებდნენ. ფართოდ გაშუქდა ინციდენტები 1, 2 და 3 აგვისტოს. 2008 წლის 2 აგვისტოს, ქართული საინფორმაციო სააგენტო „civil.ge“ იუწყებოდა, რომ სროლების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე და 7 ქართველი დაიჭრა. თუმცა ქართულ ნაციონალურ საინფორმაციო საშუალებებს არაფერი უთქვამთ ოსური მხარის დანაკარგების შესახებ. „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით კი, „ექვსი ადამიანი დაიღუპა და თხუთმეტი დაიჭრა მას შემდეგ, რაც 1 აგვისტოს გვიან ღამით და 2 აგვისტოს გამთენიისას, ქართულმა მხარემ ცეცხლი გახსნა ცხინვალისა და ახლომდებარე ოსური სოფლების მიმართულებით. ქართული მხარის განცხადებით, ქართული სოფლების დაცხრილვის შედეგად შვიდი ადამიანი დაიჭრა, მათ შორის ერთი პოლიციელი“. 2008 წლის 4 აგვისტოს, რუსული გაზეთი „Российская Газета“ წერდა კონფლიქტის ზონაში აგვისტოს პირველი დღეების გართულებების შესახებ. გაზეთი ადასტურებდა „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე 6 ადამიანის მკვლელობას და 13 პირის დაჭრას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დროებითი საპარლამენტო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, დეტალური საინფორმაციო პაკეტი მოამზადა 2008 წლის 6 მარტის შემდეგ კონფლიქტის ზონებში ვითარების ესკალაციის შესახებ. საინფორმაციო მასალაში 31-ე და 32-ე პუნქტები „თავდასხმები ცხინვალის რეგიონში“, სწორედ 1-3 აგვისტოს მოვლენებს შეეხება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცხინვალიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს ავნევსა და ნულს, ასევე, ერგნეთსა და ნიქოზს. ნათქვამია, რომ დაიჭრა ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე და ინფორმაცია ამით სრულდება. იმავდროულად, ინფორმაცია გაავრცელა სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ ვლადიმირ ივანოვმა. მან „ინტერფაქსს“ განუცხადა: „ქართულ

და ოსურ მხარეებს შორის ფიქსირდება სოფლების, ავნევისა და ხეთაგუროვოს მიდამოებში მასირებული სროლები“. 2008 წლის 6 აგვისტოს ინტენსიურ სროლებს დევნილებიც ადასტურებენ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიში, რომელიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა ინტერვიუებს ეყრდნობა ნათქვამია: „სოფელ ავნევიდან დევნილი ტანია ტოსიევა-დურგლიშვილი იხსენებს: „6 აგვისტოს ოსებმა ცეცხლი გაუხსნეს ავნევში განლაგებულ ქართველ მშვიდობისმყოფელებს. ოსურ სოფელ წუნარიდან ისროდნენ უშუალოდ ანძის მიმართულებით. (წუნარი იგივე ხეთაგუროვოა) სროლის შედეგად დაიღუპა ორი მშვიდობისმყოფელი ქართველი ჯარისკაცი და ორიც დაიჭრა. მაშინათვე ქართველმა ჯარისკაცებმა დატოვეს ანძა და გამოიქცნენ. მკვდრები რომ გამოიყვანეს, მე თვითონ დავინახე. ჩემი ბაღის გვერდზე ჩამოატარეს მოკლულები ტაჩკით. დაახლოებით 19 წლის ბავშვები იქნებოდნენ“ **(აგვისტოს ნანგრევებში, 2009:89).** 6 აგვისტოს სროლებს ავნეველი გურგენ დურგლიშვილიც ადასტურებს. ის დილა სოფელ ნულიდან დევნილებსაც ახსოვთ. ადგილობრივი მკვიდრი, რამაზ ცერცვაძე გვიამბობს: „2008 წლის 6 აგვისტოს, გამთენიისას, ოსურმა მხარემ დაიწყო მსხვილკალიბრიანი ჭურვების სროლა სოფლების, ნულისა და ავნევის მიმართულებით. იმ დღეს, დაიბომბა სოფელში მდებარე პოლიციის ქვედანაყოფები და პოლიციელთა სახლები. პოლიციის შენობის გარდა, ჭურვი მოხვდა ნულის მცხოვრების, სიმონ ჟამერაშვილის სახლსაც. დაბომბვა წარმოებდა ოსების მიერ კონტროლირებადი სოფლიდან – ღვერთევიდან, რომელიც სოფელ ნულის ჩრდილოეთით, დაახლოებით კილომეტრ-ნახევარში მდებარეობს. ოსური მხარის შეტევას წინააღმდეგობას უწევდნენ სოფელში მყოფი პოლიციის ქვედანაყოფები. 6 აგვისტოს სოფელ ნულში ქართული ჯარი არ იმყოფებოდა“ **(აგვისტოს ნანგრევებში, 2009:90).**

2008 წლის 21 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, ოთხი დღის შემდეგ, ვ. პუტინი და მ. სააკაშვილი პრეზიდენტების რანგში უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს.

კოსოვოს საკითხმა პიკს 2008 წელს მიაღწია, როდესაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 106 ქვეყნის მიერ იქნა აღიარებული. ამ ფაქტმა რუსი პოლიტიკოსების და ექსპერტების გააქტიურება გამოიწვია. ისინი კოსოვოს კონფლიქტს

საქართველოში არსებულ კონფლიქტთან აიგივებდნენ, რაც არასწორია. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საუკუნეების მანძილზე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველები, ოსები და აფხაზები, ერთი სახელმწიფოს ინტერესებისთვის შეთანხმებულად ებრძოდნენ მტერს, ისტორიულ წარსულში. პრობლემებმა განსაკუთრებით თავი იჩინა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მესამე ძალის – რუსეთის ხელისუფლების წაქეზებით, ისინი აუმხედრდნენ ქართველებს და საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილებად აქციეს. აღსანიშნავია, რომ კოსოვოში ადგილი ჰქონდა ალბანელების გენოციდს, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მსხვერპლი გახდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა. მოხდა ქართველი ერის ეთნოწმენდა, რომელიც რუსეთის მხრიდან, დღემდე პერმანენტულ ხასიათს ატარებს, რაც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არაერთხელ დადასტურდა.

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და ანალიტიკოსი რონალდ ასმუსი 2008 წლის ომის წინ შექმნილ სიტუაციაზე წერს: „მოსკოვმა არაერთხელ გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთისკენ მის სწრაფვას სავალალო შედეგები მოჰყვებოდა და აფხაზეთსა თუ „სამხრეთ ოსეთში“ სეპარატიზმის პრობლემების მოგვარებაც სწორედ, იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, რამდენად გაითვალისწინებდა საქართველო რუსეთის მოთხოვნებს, საქართველო, თავის მხრივ, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ამგვარ ზეწოლას, მაგრამ ამ დროისათვის მოსკოვი, როგორც ჩანს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებასა და „ნატო“-ს მხრიდან საქართველოსთვის გაწევრიანების პირობას მან სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა, რაც უკვე ძალიან წააგავდა ე. წ. მცოცავი ანექსიის სტრატეგიას: რუსეთს უკანონოდ შეჰყავდა იქ ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება და იმ ტიპის ინფრასტრუქტურასაც ქმნიდა, რომ ძალაუნებურად გაფიქრებინებდა - სამხედრო თავდასხმისათვის ემზადებაო. ნუთუ ახლა იმპერია საპასუხო დარტყმას აპირებდა?“ **(ასმუსი, 2010:29).**

7 აგვისტოს ქართულ სოფლებზე თავდასხმებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სეპარატისტები განუწყვეტლად ბომვავდნენ ქართულ სოფლებს: ერედვის, ფრისს, ავნევს, დვანსა და ნულს, ფრონეს ხეობას. ღამით გახსნილი ცეცხლის

საპასუხოდ, ქართულ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია. თუმცა მას შემდეგ რაც სეპარატისტებმა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი-12-მილიმეტრიანი ქვემეხიდან გახსნეს, ქართულმა მხარემაც უპასუხა. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა: რომ მას „არა აქვს დაგეგმილი კონფლიქტის ზონაში საგანგებო ზომების მიღება და დიალოგისათვის მზად არის". საქართველოს საგარეო უწყებამ მოუწოდა რუსეთის მთავრობას სეპარატისტებზე თავისი ზეგავლენა გამოეყენებია და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა აღეკვეთა. ს. ბაღაფშმა ე.წ. უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიიწვია. სხდომა დახურული იყო. რუსეთის ხელისუფლების წარმოგზავნილნა იური პოპოვმა და თემურ იაკობაშვილმა ცხინვალში შეხვედრის გამართვის შესახებ შეთანხმება ვერ შეძლეს. იაკობაშვილი კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა. კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა, ასევე, იური პოპოვიც. ოსი სეპარატისტების მიერ ქართული საგუშაგოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცხრილვა, კვლავ აქტიურად გრძელდებოდა. დაიცხრილა პატარა ლიახვის ხეობა. სეპარატისტებმა სარაბუკის სიმაღლის დაკავება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იაკობაშვილი მარატ კულახმეტოვს, ცხინვალში სამშვიდობოთა შტაბში შეხვდა და თბილისში დაბრუნდა. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ათი ჯარისკაცი დაიღუპა. პრეზიდენტის ბრძანებით ქართულმა მხარემ ცალმხრივი სროლის შეწყვეტა გამოაცხადა. **ფაქტები თვალნათლივ მოწმობს, რომ რუსეთის ხელისუფლება, გაცილებით დიდი ხნით ადრე ემზადებოდა საქართველოში შემოსაჭრელად.**

§2. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, როგორც რუსეთის ევრაზიონისტული პოლიტიკის ნაწილი

საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის, ასევე, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო. მკვლევარი დ. ჯოჯუა აღნიშნავს: „ცხინვალის რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობაც რუსეთისათვის, ასევე არსებითია და საგრძნობლად აღემატება ამ რეგიონის ძალიან მცირე გეოგრაფიულ მოცულობას. აქ

გადის ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთს აკავშირებს თავის მთავარ მოკავშირესთან - სომხეთთან. რეგიონთან უშუალო სიახლოვეს არის, ასევე, საქართველოს სამხედრო გზაც“ (**ჯოჯუა, 2010:80**).

XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტური ბანაკის დაშლისა და სოციალიზმის იდეოლოგიური დამარცხების შემდეგ, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ბევრი ახალი პოლიტიკური ერთეული, რომელთა უმრავლესობამ აღიდგინა დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა და გეზი, ბუნებრივია, დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებისკენ აიღო. მათ შორის იყო საქართველო. საბჭოთა იმპერიის დაშლის მიუხედავად, მისმა სულისჩამდგმელმა – რუსეთის ხელისუფლებამ, მოიწადინა, რაღაც ფორმით მაინც მომხდარიყო მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ძველ მდგომარეობაში შენარჩუნება, რისთვისაც საკუთარი იმპერიული მეთოდეები აამოქმედა. კერძოდ, გაამწვავა ვითარება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რათა საქართველო, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესის მონაწილეა, ამით საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას - მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტები, შედეგად, 2008 წელს, ქართულ მიწა-წყალზე, რუსეთის მორიგი აგრესია მოჰყვა. რუსეთის ხელისუფლების სურვილზე, საკუთარ გავლენაში მოექცია საქართველო, 2008 წლის 16 აგვისტოს, ჟურნალი „The Economist“ წერდა: „ერთ დროს საქართველო მისი იმპერიის მარგა-ლიტი იყო და რუსეთმა ფსიქოლოგიურად ვერასოდეს მიიღო იგი, როგორც სუვერენული სახელმწიფო. საბჭოთა იმპერიის ნოსტალგია, დიდი ხანია, რუსული იდეოლოგიის ლაიტმოტივია“.

2008 წლის აგვისტოს ომამდე 4 თვით ადრე, ქალაქ ბუქარესტში, „ნატო“-ს სამიტი ტარდებოდა, სადაც საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის, ე.წ. MAP-ის (Membership Action Plan) განხილვა უნდა მომხდარიყო. ბუქარესტის სამიტმა, რომელზეც რუსეთის პრეზიდენტი – ვლადიმერ პუტინიც იყო მიწვეული, საქართველოსთვის შედეგი არ გამოიღო და ეს სწორედ, რომ რუსეთის ფაქტორით იყო გამოწვეული. ზემოთქმული დასტურდება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის – ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის სამიტის შემდგომ განცხადებაშიც:

„ნატო“-ს არ გააჩნია მიზეზი საიმისოდ, რომ, ოფიციალური მოსკოვის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, უკრაინისა და საქართველოს ორგანიზაციაში მოწვევით მოახდინოს რუსეთის პროვოცირება“. გერმანულ პოზიციას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ „ნატო“-რუსეთის ურთიერთობები, ისედაც საკმარისად გაფუჭდა ბუქარესტის სამიტამდე, „ნატო“-ს წევრი 19 სახელმწიფოს მიერ, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო, რის გამოც რუსეთის მოკავშირემ ბალკანეთში – სერბეთმა, ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა. ამერიკული „New York Times“, 11 აგვისტოს, იუწყებოდა: „იმ შესაძლებლობების ჩამონათვალი, რომელიც გაბოროტებულმა რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის პრობლემების შესაქმნელად, სირიიდან და კავკასიის მთებიდან გაცილებით შორს მიდის“. 22 აგვიტოს, იგივე გაზეთი კვლავაც გვამცნობდა: „რუსეთი „შეეცადა, საათი უკან დაებრუნებინა, იმ ნიშნულზე, როდესაც მოსკოვს გავლენაში არ ეჯიბრებოდნენ, ე.წ. „ახლო სამეზობლოში“, რამაც განგაშის ზარი ჩამოჰკრა დასავლეთის ლიდერებისათვის“.

რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, ბევრმა ანალიტიკოსმა პირდაპირ იკითხა, ხომ არ იდგა მსოფლიო ახალი ცივი ომის ზღურბლზე. დასავლეთის მედია საშუალებებმა უმალვე დაიწყეს აგვისტოს ომის შედარება ბრეჟნევისეულ „პრაღის გაზაფხულთან“ და ჰიტლერის მიერ 1938 წელს განხორციელებულ ოპერაციებთან. რუსეთის ევრაზიანისტული პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი უახლოესი მეზობლების – უკრაინისა და საქართველოს მოქიშპე ბანაკში („ნატო“) გადასვლა კატასტროფად უნდა შეფასებულიყო. სწორედ, ამიტომ არ დაუშვა ვ. პუტინმა ბუქარესტის სამიტზე, ამ ორი ქვეყნის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. რუსეთმა ისედაც სერიოზული დანაკარგი მიიღო აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ნაწილის „ნატო“-ში გაწევრიანების გამო (9 პოსტ – სოციალისტური ქვეყანა და, ასევე, ყოფილი იუგოსლავიიდან – სლოვენია, ხორვატია და ალბანეთი).

მიიღო რა იმის გარანტია, რომ საქართველო არ გახდებოდა უახლოეს მომავალში „ნატო“-ს წევრი, რუსეთს ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ რეგიონში ფართო მოქმედების საშუალება მიეცა, დარწმუნებული იყო რა იმაში, რომ ამერიკის

ხელისუფლება, საქართველოს დახმარების მოტივით, რუსეთთან მსოფლიო მასშტაბის ომს არ დაიწყებდა. შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლებამ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რეგიონში", პროვოკაცია მოაწყო, რაც ომში გადაიზარდა. ომი, რაღა თქმა უნდა, რუსების გამარჯვებით დასრულდა. 2008 წლის აგვისტოს ომით, რუსეთმა „ერთი გასროლით ორი კურდღელი დაიჭირა": ერთი მხრივ, მან გაიფართოვა თავისი გავლენის სფერო ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის ხარჯზე, რაც მისი ევრაზიანისტული პოლიტიკის ფარგლებში წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება; მეორე მხრივ კი, საქართველოს „ნატო"-ში შესვლის სამომავლო შანსები შეუმცირა, რამდენადაც არც „ნატო"-ს სურს გარისკვა და რუსეთთან კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოს თავის რიგებში მიღება და არც საქართველოს ხელისუფლებას აწყობს, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ორი ისტორიული რეგიონის გარეშე გაწევრიანდეს.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს თავისი ექსპანსიური ისტორიის მანძილზე ერთ–ერთი ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა საერთაშორისო საზოგადოებისგან, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, შეხვდა. თუმცა საეჭვოა, რომ რუსეთის ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ნანობდეს 2008 წლის ომში მონაწილეობის მიღებას, რადგანაც მათთვის, ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო, რათა საქართველო არ დაახლოებოდა „ნატო"-ს და, უარეს შემთხვევაში, არ მომხდარიყო მისი გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში. **ეს გაანულებდა რუსეთის კავკასიური ექსპანსიის შანსებს და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა მის პოზიციებს რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.** ეს კი მისი ევრაზიანისტული პოლიტიკისთვის მიუღებელია. ანუ, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის ომით რუსეთმა მიაღწია იმას, რაც სურდა. 2008 წლის აგვისტოში, რუსული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ, ერთობლივად განხორციელებული აგრესიის მიზანი, ქართული მოსახლეობისგან ცხინვალის რეგიონის გაწმენდა იყო.

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლება მიისწრაფვის, რათა არ დაკარგოს კონტროლი ამიერკავკასიაზე და მის მნიშვნელოვან ნაწილზე - საქართველოზე. საქართველოზე კონტროლის დაკარგვით, ის მთელი კავკასიის რეგიონზე დაკარგავს გავლენას. ამიტომ არის, რომ რუსეთის მთავრობა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების

იგნორირებით ცდილობს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას.

თავი IV. რუსეთ-საქართველოს ომის ქრონოლოგია და შედეგების შეფასება

შეიარაღებული კონფლიქტი ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტებს შორის, 2008 წლის 7 აგვისტოს, დაიწყო. XX საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტის დროს, გამხორციელებული ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდის გამო, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობის უმრავლესობას, ეთნიკური ოსები შეადგენდნენ. მათ 90%-ს რუსული პასპორტები ჰქონდათ, რაც რუსეთმა საბაბად გამოიყენა და ოფიციალურად 8 აგვისტოს ჩაერთო

საბრძოლო ოპერაციებში. რუსეთის ხელისუფლებამ რეგიონში საკუთარი ჯარის ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა ლეგალურად შეიყვანა და საქართველოს სხვა რაიონების დაბომბვაც დაიწყო. რუსების და ოსების გაერთიანებული სამხედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დამბომბეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა კოდორის ხეობაში მეორე ფრონტი გახსნეს და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებზე შეიჭრნენ. „ეუთო"-ს დამკვირვებელთა განცხადებით, ჭურვები ცხინვალზე ყოველი 15-20 წამის ინტერვალით ეცემოდა. ქართული დაზვერვის ცნობით და რამოდენიმე რუსულ წყაროზე დაყრდნობით, სანამ ქართული მხარე იერიშს დაიწყებდა, 58-ე რუსული არმია ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე როკის გვირაბით შემოვიდა. „გაერო"-ს უსაფრთხოების საბჭომ სასწრაფო შეხვედრა გამართა ნიუ-იორკში და სერიოზული შეშფოთება გამოხატა კონფლიქტის ესკალაციის გამო. 8 აგვისტოს, დილით, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო გეგმის შესამუშავებლად. ნახევარ საათში სამი რუსული თვითმფრინავი სუ-24 საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და ქარელის პოლიციის სადგურთან ორი ბომბი ჩამოაგდო, თუმცა მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. რუსეთის წარმომადგენლებმა ეს ფაქტი უარყვეს, თუმცა ფაქტები ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა" დაადასტურა. 8 აგვისტოს, ექვსი რუსული ხომალდიდან ორმა ჩამოყარა სამი ჭურვი გორში, რომელთაგან ერთი ჩამოვარდა სტადიონთან ახლოს, მეორე - გორიჯვარის დაღმართზე და მესამე - საარტილერიო ბრიგადის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქართველოს მთავარსარდლის ბრძანებით, მობილიზებული იქნა ქართული ჯარები, რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისგან თავდასაცავად. საქართველოს ხელისუფლებამ, რუსეთის მთავრობას, ქართული სოფლების დაბომბვის შეწყვეტისკენ მოუწოდა. თავის მხრივ, მან სამსაათიანი ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა, ცხინვალიდან მშვიდობიანი მოქალაქეების უვნებლად

გასასვლელად, თუმცა რუსეთის ჯარების წარმომადგენელმა ცხინვალში, მარატ კულახმეტოვმა, ეს განცხადება უარყო. რუსეთის 58-ე არმიის კოლონამ, რუსული ძალების მისაშველებლად, ცხინვალისაკენ დაიწყო მოძრაობა. ქართული მედიის ცნობით, რუსული კოლონა 150 ტანკისგან, ჯავშანტრანსპორტიორისგან, თვითმავალი ჰაუბიცების და სხვა აღჭურვილობისგან შედგებოდა. რუსული მედიის განცხადებით, ქართული ძალები ცხინვალიდან უკან იხევდნენ და რუსული სუ-24 და სუ-27 თვითმფრინავები ცხინვალის საჰაერო სივრცეს სრულიად აკონტროლებდნენ. მ. კულახმეტოვის განცხადებით, მძიმე არტილერიის გამო, ცხინვალი თითქმის სრულიად დანგრეული იყო. რუსული თვითმფრინავები ინტენსიურად ბომბავდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს. 8 აგვისტოს, რუსულმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ქ. ფოთზე, კერძოდ, ფოთის პორტზე. ოჩამჩირეში განთავსებული რუსეთის 58-ე არმიის კუთვნილი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსიდან, ე. წ. „ტოჩკა-უ“-თი ორი რაკეტა იქნა გაშვებული, რომელიც ფოთის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა. სენაკის სამხედრო ბაზაზე, რუსული ბომბების შედეგად, 13 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და ათზე მეტი დაიჭრა. აშშ-ის საელჩომ საქართველოდან საკუთარი თანამშრომლების ევაკუაცია მოახდინა და ასევე, ყველა ამერიკის მოქალაქეს ქვეყნის დატოვებისაკენ მოუწოდა. 10 აგვისტოს ქართულმა ჯარმა ცხინვალი დატოვა, რუსული არმია კი შეტევას კვლავ აგრძელებდა, მათ გორი დაიკავეს. პარალელურად გრძელდებოდა ქართული ტერიტორიების დაბომბვა, ნადგურდებოდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა. რუსეთმა ჩეჩნეთიდან სპეცბატალიონები - „ვოსტოკი“ და „ზაპადი“ გადმოსხა. პარალელურად, კოდორის ხეობის დაბომბვა გრძელდებოდა. აფხაზურმა ძალებმა სოფლები აჟარა და ჩხალთა აიღეს და კოდორის ხეობის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. აქტიურად გრძელდებოდა კიბერშეტევა ქართულ ვებსაიტებზე. 9 აგვისტოსთვის თითქმის ყველა ქართული ინტერნეტი მიუწვდომელი აღარ იყო. რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა.

2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით, მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტას და

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე, რუსეთის ჯარის ნაწილების დაბრუნების შესახებ, შეთანხმებას მიაღწიეს. 15 აგვისტოს, ქართულმა მხარემ შეთანხმებას თბილისში, ხოლო რუსულმა მხარემ, 16 აგვისტოს, მოსკოვში მოაწერა ხელი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა, თუმცა სროლები მაინც გაგრძელდა. რუსეთმა პირობა დადო, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ჯარს გაიყვანდა, თუმცა პირობა არ შეასრულა. რუსეთის ჯარის ნაწილებმა კონფლიქტური რეგიონების გასწვრივ, ახალგორსა და პერევში ე. წ. ბუფერული ზონები შექმნეს.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" და აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო. საქართველოს მთავრობამ, ეს გადაწყვეტილება ანექსიად და ოკუპაციად შეაფასა და რუსეთი ოკუპანტ ქვეყნად ოფიციალურად გამოაცხადა. სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა არც ერთ წამყვან სახელმწიფოს არ უცვნია და მათი დამოუკიდებლობის საკითხი ფაქტიურად ჰაერშია გამოკიდებული. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით: „სრულუფლებიან სუბიექტად გვევლინება მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად, თვითონ განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს..." **(ლ. ალექსიძე, 2010:33).**

2008 წლის აგვისტოს რუსეული აგრესიის შედეგები მეტად მძიმე აღმოჩნდა ქართველი მოსახლეობისთვის, რომელთაგან ნაწილი საკუთარ მიწა-წყალზე ხელმეორედ იქცა ლტოლვილად. რუსული ოკუპაციის შედეგად დაკარგულ ტერიტორიებზე მდებარე სოფლების რაოდენობამ 116 შეადგინა. აქედან 20 სოფელი შიდა ქართლში, ფრონეს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში შედიოდა. ოკუპირებული იქნა, ასევე ახალგორის რაიონის 72 სოფელი, ასევე 23 სოფელი ზემო აფხაზეთში. რუსეთის ჯარმა დაიკავა, აგრეთვე, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი. ომის შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეები. საკუთარ სამშობლოში ათასობით ადამიანი დევნილად იქცა. 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება, თითქოს, საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით ჩაერთო, მათი მხრიდან, აგრესიულ და დამპყრობლურ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად რუს პოლიტიკოსთა შენიღბული ქმედებებისა, დღეს აშკარაა, რომ

აღნიშნული კონფლიქტები არის არა მხოლოდ დაპირისპირება ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის, არამედ ეს არის რუსეთის იმპერიული ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისთვის. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება XXI საუკუნეშიც იგივე მეთოდებით იბრძვის და არანაირ ანგარიშს არ უწევს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს. ომის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ უშუალოდ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეები.

საქართველოს მოსახლეობამ რუსული აგრესიის წინააღმდეგ საკუთარი პროტესტი ქვეყნის მასშტაბით, ერთიანი ცოცხალი ჯაჭვის შექმნით გამოხატა. რუსული აგრესია დაგმეს და საქართველოსადმი მხარდაჭერა საპროტესტო აქციებით გამოხატეს ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა. ქართველ ხალხს რუს ხალხთან, ისევე როგორც ოსებთან და აფხაზებთან მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კულტურული კავშირები, საერთო ტრადიციები და ნათესაური ურთიერთობები აკავშირებს. 2008 წლის აგვისტოს რუსულმა აგრესიამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს მტრულად და სეპარატისტულად განწყობილი კონფლიქტური რეგიონები, რომ არსებობს ერთი სტრატეგიული და ტაქტიკური მოწინააღმდეგე რუსეთის სახით **(ლ. სარალიძე, 2016: 476).** აგვისტოს ომმა საქართველოს უდიდესი და მრავალმხრივი ზიანი მიაყენა. უპირველეს ყოვლისა, ომმა იმსხვერპლა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ეს აუნაზღაურებელი დანაკარგია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება ომის საბაბად ოსების შევიწროვებას მიიჩნევდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები, სამხედრო ავიაცია აქტიურად ბომბავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას. ომის შედეგად დაიკარგა კოდორის ხეობა, ახალგორი, ოკუპანტებმა დაიკავეს სოფელი პერევი და რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა მტერი თბილისზეც აპირებდა შემოტევას. ყოველივე ეს, ნათლად მეტყველებს რუსეთის ხელისუფლების გრძელვადიან გეგმაზე - საქართველო თავის ორბიტაზე დააბრუნოს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიან შემადგენლობას შეემატა ცხინვალის რეგიონიდან და კოდორიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებული 50 ათასზე მეტი დევნილი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გაურკვეველი

და ბუნდოვანი პერსპექტივით გადაიდო; ქართულმა სახელმწიფომ, კონტროლი დაკარგა კოდორის ხეობაზე; მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა სამხედრო და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურმა ინფრასტრუქტურამ; სერიოზულად დაზარალდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი, რამაც უარყოფითად იმოქმედა უცხოურ ინვესტიციებზეც; შეჩერდა ქვეყნის „ნატო"-ში გაწევრიანების პროცესი.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნისა და ფრონეს ხეობებში, ახალგორში, საერთო ჯამში 148 650 ჰექტარი მიწა დაიკარგა, გარდა ამისა, ოკუპანტებმა „მცოცავი" ანექსიის შედეგად, 55 ჰექტარი მიწის ფართობი მავთულხლართებში მოაქციეს **(ვახტანგიშვილი, 2013).** ომის შედეგები ერთნაირად გასათვალისწინებელი აღმოჩნდა, როგორც ქართული სახელმწიფოსთვის, ასევე, კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებული მხარეებისთვის. ომის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად შეფასდეს:

1. 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ აჩვენა, რომ საქართველოში არის ერთი კონფლიქტი - ესაა კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასთან და ამ კონფლიქტში ეთნიკური აფხაზი და ოსი საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყენებულია საშუალებად, რასაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

2. საქართველოსთვის დადებით გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, კონფლიქტის მოგვარების საქმეში ევროკავშირის ჩართულობის მკვეთრი ზრდა. 2008 წლის სექტემბრიდან, საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ამოქმედებამ საქართველო გარკვეულწილად ევროკავშირის პროექტად აქცია, რასაც ამას საქართველოს ხელისუფლება წლების მანძილზე ცდილობდა. თუმცა, რა თქმა უნდა, არა ომის ფასად.

3. აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ევროკავშირის მიერ ახალი ფართომასშტაბიანი ინიციატივის - „აღმოსავლეთის პარტნიორობის" შემუშავება. საქართველოს (ასევე უკრაინას, მოლდოვას, ბელორუსიას, აზერბაიჯანსა და სომხეთს) ეს ინიციატივა ევროკავშირთან ფართო თანამშრომლობის უნიკალურ შანსს აძლევს. ომმა ასევე ბიძგი მისცა 2009 წლის იანვარში, საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის გაფორმებას. ეს, ალბათ,

საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია.

4. ომის შემდეგ დასავლეთის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ (დაახლოებით 3,5 მლრდ. დოლარი), საქართველოში, მნიშვნელოვნად შეაჩერა გლობალური ეკონომიკური კრიზისის დამანგრეველი ტალღა, რასაც საქართველოს სამეზობლოსა და ბევრ სხვა ქვეყანაშიც დრამატული შედეგები მოჰყვა.

5. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა მეტწილად მიაღწია თავის მიზნებს. კერძოდ, გასულ წლებში, საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ, კრემლმა კვლავ აღიდგინა და გაიძლიერა კიდეც სამხედრო პოზიციები რეგიონში. რუსეთის ხელისუფლების მიერ, სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, რუსეთის ჯარი უკვე „კანონიერად“ დგას აღნიშნულ რეგიონებში, ყველაზე ახლოს თბილისიდან, 40 კილომეტრში, ხოლო სასიცოცხლო საავტომობილო მაგისტრალიდან, სულ რამოდენიმე კილომეტრში.

6. რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ, საპასუხო რეაქციასთან დაკავშირებით, „ნატო“-ს წევრი სახელმწიფოების რიგებში სერიოზული უთანხმოებები წარმოშვა. ესეც რუს ხელისუფალთა წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ალიანსისა და ევროკავშირის რიგებში დისონანსის შეტანა, იყო და არის მათი ერთ-ერთ სტრატეგიული ამოცანა.

7. რუსეთის ხელისუფლებამ, გარკვეულწილად შეარყია საქართველოს, როგორც სტაბილური ქვეყნის, იმიჯი, რაც, კრემლის ანალიტიკოსების აზრით, მნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას და მის ენერგეტიკულ სატრანზიტო ფუნქციას.

8. მართალია, დესტრუქციული გზით, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მაინც აღისრულა თავისი გეოპოლიტიკური ოცნება: 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მთავრობის კაპრიზებს, მსოფლიოში უფრო მეტ ანგარიშს უწევენ.

9. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით, რუსეთმა თავისი მუქარა შეასრულა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის სამაგიერო გადაუხადა დასავლეთს. მაგრამ, დღესაც გაუგებარი რჩება, თუ რატომ უნდა გამხდარიყო საქართველო გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლი.

10. აგვისტოს ომი იყო მკაცრი გზავნილი ურჩი მეზობლებისადმი, უპირველეს ყოვლისა, უკრაინისადმი: ჭკუით, თორემ თქვენც იგივე გელით! უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ თავისი მუქარა „პირნათლად" აღასრულა.

11. რუსეთის ხელისუფლების სამხედრო აქცია, ნაწილობრივ მოტივირებული იყო შიდაპოლიტიკური კონიუნქტურით და გამიზნული იყო ადგილობრივ მომხმარებლებზე - რუსეთის მოსახლეობაზე. ფაქტია, რომ პუტინი-მედვედევის ტანდემის ავტორიტეტი, აგვისტოს ომის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

12. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთი ფაქტობრივად საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. გლობალური ამბიციების მქონე სახელმწიფოს მიერ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარებას, მხოლოდ ისეთმა ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი, როგორიცაა ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ.

13. სამხედრო ინტერვენციამ და შემდგომმა ნაბიჯებმა რუსეთი მსოფლიოს თვალში წარმოაჩინა აგრესიულ და რევიზიონისტულ დერჟავად, რომელსაც ანგარიშს უწევენ უმთავრესად იმიტომ, რომ მას აქვს უხეში ძალა და ენერგორესურსები.

14. ომმა და საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებამ, დამატებითი არასტაბილურობა შესძინა ისეთ მგრძნობიარე რეგიონს, როგორიცაა ჩრდილო კავკასია. თვით ამ რეგიონის ავტონომიური რეგიონების ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ ბოლო წლების მანძილზე ძალადობის მკვეთრი ზრდა, 2008 წლის აგვისტოს შედეგიცაა. თუმცა ამ ძალადობას მრავალი სხვა მიზეზიც აქვს. რუსეთის ძალისმიერი ქმედებით არც დსთ-ის ქვეყნები ჩანან იმდენად დათრგუნულნი, რომ უხმოდ დაემორჩილონ მოსკოვის დიქტაქტს. აღსანიშნავია, რომ ომის შემდეგ, რუსეთში მძიმე ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი კომპონენტი რუსულ-ქართული ომიც იყო.

15. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ განახორციელა საქართველოს ხელისუფლების ცვლილება, თუმცა „ფარული ხელით" დღემდე ცდილობს შეცვალოს საქართველოს ევროინტეგრაციის კურსი, როგორც ეს 1921 წელს, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ მოახერხა. მომავალი სატრანზიტო ენერგეტიკული პროექტების

მარშრუტებში საქართველოს მნიშვნელობა კვლავაც აქტუალურია, ისევე, როგორც მის მიმართ დასავლეთის დაინტერესება.

16. აგვისტოს ომმა, ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტს, სერიოზული ზიანი მიაყენა. გაირკვა, რომ აშშ-ს ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, კრიზისის პერიოდში, დაიცვას პარტნიორი ქვეყანა და რეალური დახმარება აღმოუჩინოს მას აგრესიის მოსაგერიებლად. გაჩნდა იმის განცდა, რომ ომის მსვლელობისას, რუსეთის ხელისუფლებამ, მეტი უნარი გამოიჩინა ოსების დასაცავად, ვიდრე ქართველების მიმართ - ამერიკელებმა. ასეთი განცდის შექმნას რუსებმა მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი. ფოთის პორტიდან ამერიკელი სამხედროებისათვის განკუთვნილი „ჰამერების“ რეკვიზიციის ფაქტს, ომის დღეებში, რუსული ტელეარხები განსაკუთრებული სიამოვნებით აჩვენებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე, რომლის ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან და ბალტიის რეგიონიდან სერიოზულად დაფიქრდნენ, თუ რამდენად დაცულია მათი უსაფრთხოება „ნატო“-ს ფუძემდებლური დოკუმენტის - ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შესაბამისად.

17. აგვისტოს ომის პერიოდში და უშუალოდ ომის შემდეგ, ევროკავშირმა მისთვის საკმაოდ უჩვეულო ოპერატიულობა და ეფექტურობა გამოიჩინა, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე, მათ განხორციელებაში. ნიკოლა სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტმა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა აგვისტოს დრამატულ დღეებში, ხოლო სექტემბერში ევროკავშირმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება უპრეცედენტო სამშვიდობო ოპერაციის - ევროკავშირის მონიტორინგის მისიის - საქართველოში განხორციელების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სარკოზი-მედევედევი-სააკაშვილის შეთანხმება კვლავაც შეუსრულებელი რჩება, რადგან რუსეთი უარზეა, გაიყვანოს ჯარი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. სამწუხაროდ, ევროკავშირმა, ისევე როგორც „ნატო“-მ, სწრაფადვე გადალახა აგვისტოს აგრესიის სინდრომი და სულ რამდენიმე თვეში, რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ჩვეულ რეჟიმს კვლავ დაუბრუნდნენ. დასავლეთის ამგვარი მიმტევებლობა მოსკოვში მწვანე შუქად

აღიქვეს, რაც მათი მხრიდან, მომავალში ანალოგიური მოვლენების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

18. საქართველოს მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებელი იმაზე, თუ რაოდენ პრინციპულად წარმართავენ აშშ, „ნატო“ და ევროკავშირი რუსეთთან ურთიერთობას და რამდენად მტკიცედ და უკომპრომისოდ დაიცავენ ისინი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს.

19. ბოლო 10 წლის მანძილზე, აზერბაიჯანის კეთილდღეობა და ეკონომიკური ურთიერთობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიის გავლით ენერგორესურსების ტრანზიტზე. აგვისტოს ომმა სერიოზულად შეუზღუდა ბაქოს მოსკოვთან მიმართებით მანევრირების საშუალებები და აიძულა იგი, ეფიქრა უფრო ლოიალურ ნაბიჯებზე. აზერბაიჯანისათვის სერიოზულ დილემად იქცა სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების მცდელობები, რასაც, ასევე, აგვისტოს ომმა მისცა ძლიერი იმპულსი.

20. 2008 წლის აგვისტოს ომი, მტკივნეული დარტყმა აღმოჩნდა თურქეთის ხელისუფლებისთვისაც, რადგან, მათი გადასახედიდან, რუსეთის სამხედრო პოზიციების გაძლიერება, უთუოდ გამოიწვევს რეგიონში თურქეთის გავლენის შესუსტებას. ნაწილობრივ, სწორედ, ამით აიხსნება აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე ანკარის აქტიური კონტაქტები მოსკოვთან და კავკასიისათვის ახალი სამშვიდობო პლატფორმის შემუშავება, რომელშიც თურქეთსა და რუსეთს წამყვანი როლები ენიჭებათ. თურქეთის ხელისუფლებისთვის გარკვეულწილად იძულებითი ნაბიჯია სომხეთთან დიპლომატური ურთიერთობების აღდგენაც, რასაც მეტად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ზერბაიჯანში. აგვისტოს ომმა, კვლავ შეახსენა სომხეთის მთავრობას ის გარემოება, რომ გარე სამყაროსთან საქართველოს სატრანზიტო დერეფანი სერიოზული რისკის მატარებელია.

თავი V. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასებისათვის

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ათასობით ქართული ოჯახი იძულებული გახდა საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილიყო. ეთნიკური წმენდა საერთაშორისო სამართალში აღიარებულია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახეობად და გენოციდის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში, სწორედ, გენოციდი და ეთნიკური წმენდა იქცა აგრესიული

სეპარატიზმის ძირითად იარაღად. „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ“, „გაერო“-ს (1948 წ.) კონვენციის თანახმად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად ებრძოლოს გენოციდის ნებისმიერ გამოვლინებას თავისი საზღვრების შიგნით.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველო არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, ყველა საშუალებით, მათ შორის იძულებითი ზომებით, აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ნებისმიერი გამოვლინება, მით უმეტეს, როდესაც ეთნიკური წმენდის ფაქტები დადასტურებულია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი რუსეთს, „საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის“ პრინციპის თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავს დაესხას მეორე სახელწიფოს, რაგინდ სამართლიანიც უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა ძალითაც ასეთი პრევენციული ზომების აუცილებლობა იქნება ნაკარნახევი. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს უფლება, მიიღოს სათანადო ზომები, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, როდესაც ამას უშიშროების საბჭო დაადგენს. ამისათვის „გაერო“-ს წესდება სპეციალურ პროცედურებს ითვალისწინებს, რომელიც წესდების მე-7 თავშია გადმოცემული - „მოქმედება მშვიდობის დარღვევის საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების შემთხვევაში“. ასეთია საერთაშორისო მართლწესრიგის მოთხოვნები.

რუსეთის ხელისუფლებამ ომის დაწყებისთანავე, საკუთარი ქმედებების გასამართლებლად რამდენიმე ძირითადი არგუმენტი შესთავაზა მსოფლიოს. დიმიტრი მედვედევის მიერ 9 აგვისტოს გაკეთებული განცხადების თანახმად, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მოქმედებები მიზანად ისახავდა: 1. შეეჩერებინა საქართველოს აგრესია „სამხრეთ ოსეთის“ წინააღმდეგ; 2. შეეჩერებინა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ქართული მხარის მიერ ჩადენილი სხვა ომის დანაშაულები; 3. დაეცვა რუსეთის მოქალაქეები; 4. დაეცვა „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებლები, 1992 წლის დაგომისის ხელშეკრულების შესაბამისად. შეეჩერებინა საქართველოს აგრესია

„სამხრეთ ოსეთის“ წინააღმდეგ. ერთი შეხედვით, რუსეთის ხელისუფლების ეს არგუმენტი სრულიად ლეგიტიმურად გამოიყურება, თუმცა ცხინვალის რეგიონში, 2008 წლის აგვისტოში, შექმნილი რეალობა რუსეთის ხელისუფლების სიმართლეს და მისი არგუმენტების საფუძვლიანობას, არ ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გამართლებული იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ცხინვალზე შეტევა და ჯარების ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გაგზავნა, საქართველოს არ დაურღვევია **საერთაშორისო სამართლის არც ერთი დებულება, ვინაიდან ცხინვალიც და მისი მიმდებარე ტერიტორიებიც, (მიუხედავად მათზე, ქართული სახელმწიფოს მხრიდან, ეფექტური კონტროლის შესაძლებლობის არ ქონისა) საერთაშორისო სამართლის თანახმად, სწორედ, საქართველოს იურისდიქციას განეკუთვნება.** შესაბამისად, მხოლოდ ქართული ჯარის გადაადგილების გამო, რაიმე ტიპის ჰუმანიტარული, ან „მშვიდობის იძულების“ ღონისძიების დაწყება უცხო სახელმწიფოს მხრიდან, რუსეთის ხელისუფლების არგუმენტად ვერ გამოდგება. ტერმინი „აგრესია“ რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მუდმივად იყენებს, საერთაშორისო სამართალში ძალზე კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია. „გაერო“-ს გენერალურმა ასამბლეამ ნათლად ჩამოაყალიბა აგრესიის განმარტება, როგორც ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

იმის მიუხედავად, თუ რამდენჯერ გამოაცხადა ე. წ. „სამხრეთ ოსეთმა“ საკუთარი დამოუკიდებლობა, 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ეს უკანასკნელი არც ერთი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის, თავად რუსეთის მხრიდანაც, აღიარებული არ ყოფილა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ცხინვალის რეგიონი, საქართველოს ტერიტორიული ერთეულია და შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება შეფასებული, როგორც აგრესია. სწორედ ამიტომ, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, თითქოს „ქართული აგრესიის“ შესაჩერებლად, სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, საკუთარი გადაწყვეტილებების გამართლება, სამართლებრივ არგუმენტად ვერ გამოდგება.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, განხორციელებული ინტერვენციის ერთ-ერთი მიზეზი - თითქოს უნდა შეეჩერებინა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ქართული მხარის მიერ ჩადენილი ომის სხვა დანაშაულები, გაცილებით უფრო სერიოზულია, თუმცა ინტერვენციისათვის სავალდებულო იყო დანაშაულის უტყუარობის დადასტურება, რაც რუსულ მხარეს არ გააჩნდა **(Definition of Agression, United Nations GA Res. 3314, 29th session, December 14, 1974)**.

ქართული მხარის მიერ გენოციდის, ეთნიკური წმენდის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულის ჩადენის დადასტურების შემთხვევაში, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა. რუსეთის მთავრობა, აქტიური პროპაგანდით ცდილობდა, საკუთარი აგრესიული ქმედებების გამართლებას და ომის მძიმე შედეგების ქართველებისთვის გადაბრალებას. „ქართული მხარის მოქმედებები სხვა არაფერია, თუ არა გენოციდი“ - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, 2008 წლის 10 აგვისტოს და საჯაროდ დაავალა რუსეთის შესაბამის უწყებებს გენოციდის დანაშაულის გამოძიება. დიმიტრი მედვედევი არ იყო რუსეთში ერთადერთი, ვინც ათასობით მოკლული ცხინვალელის შესახებ საუბრობდა. 8 აგვისტოს, რუსული გაზეთები იუწყებოდნენ რომ „მშინარე ცხინვალის“ დაბომბვის შედეგად, ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. ხოლო 11 აგვისტოს, „გაერო“-ში რუსეთის ელჩმა - ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთში“ მსხვერპლმა 2000 ადამიანს გადააჭარბა. შესაბამისად, სამშვიდობოების, ისევე როგორც, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის მასობრივ მკვლელობებთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება „მკვლელობისა“ და „გენოციდის“ მუხლებით დაიწყო. რუს ხელისუფალთა გარდა, საქართველოს მხრიდან, მსგავსი დანაშაულის ჩადენაზე სერიოზულად არავინ მსჯელობდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობას, საკუთარი ბრალდების დასადასტურებლად, არავითარი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ომის პირველ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, ქართული შენაერთების მხრიდან, შეტევის პირველ დღეს ცხინვალში 1400-დან 2000-მდე მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვის შესახებ **(Генотсыд: Убийство более двух тысяч мирных граждан не тронуло Запад**, უსაფუძვლო და გაზვიადებული აღმოჩნდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა

და პრემიერ-მინისტრის მხრიდან, საქართველოს გენოციდში დადანაშაულების შემდეგ, ქართველების დანაშაულში სამხილებლად, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ, არაერთი ორაზროვანი განცხადება გაკეთდა, რაც სინამდვილეში, საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახვდა მიზნად. სწორედ, საკუთარი მოქალაქეების დაცვის არგუმენტი, გამოიყენეს „გაერო"-ში რუსეთის ელჩმა - ვიტალი ჩურკინმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა „გაერო"-ს ტრიბუნიდან მოწოდებისას. მათი აზრით, სწორედ, რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის გამო, რუსეთი იძულებული გახდა, ემოქმედა „გაერო"-ს წევრი ქვეყნები მაღალი კონსენსუსით მიღებული პრინციპების - „დაცვის ვალდებულებისა" და „მშვიდობის იძულების" შესაბამისად, რომელიც იმავდროულად, აღიარებულია რუსეთის კონსტიტუციით და მოქმედებას იწყებს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოქალაქეები მაღალი რისკის ქვეშ არიან.

რუსეთის ხელისუფალთა, მსგავსი განცხადებები, საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად იყო გამიზნული. ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთათვის, უკანონო რუსული პასპორტების დარიგება, მკაცრად დაგმო საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რადგან ყველა იქ მცხოვრებს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად ჰქონდა მიღებული და შესაბამისად, რუსეთის კანონის მოთხოვნას მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის ფლობის შესახებ, ვერ აკმაყოფილებდა. სხვადასხვა რუსული წყაროების მიხედვით, თითქოს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე დაახლოებით 100 000-მა პირმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

პასპორტიზაციის საკითხს დეტალურად შეეხო 2008 წელს კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის სპეციალური მისიაც, რომლის საბოლოო დასკვნაში ყველა კითხვაზე ნათელი და კომპეტენტური პასუხია გაცემული: „საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი კავშირი მოქალაქეობის მიღების მსურველსა და მიმღებ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთს, შორის. არ შეიძლება, ეს პროცესი იყოს თვითნებური. ამგვარი ფაქტობრივი კავშირის პირობად შეიძლება გამოდგეს ოჯახური კავშირები, გრძელვადიანი

ბინადრობა, ან გრძელვადიანი საჯარო ან სამხედრო სამსახური მიმღებ ქვეყანაში. ამასთანავე, თავდაპირველი სახელმწიფოს თანხმობა უნდა იყოს სავალდებულო“ (**Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia (2009), September volumes 3**). აღნიშნული წინაპირობების განმარტების შემდეგ, კონფლიქტის ფაქტების დამდგენი მისია აღწერს საქართველოში შექმნილ რეალობას და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებს. ის სრულიად სამართლიანად განმარტავს, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ წინაპირობად ვერ გამოდგება ქართული კანონმდებლობით, სრულიად ლეგიტიმურად დადგენილი წესების გათვალისწინებით. კომისია თავის ანგარიშში ცალსახად ასკვნის: „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, რომლებმაც მოქალაქეობა ნატურა-ლიზაციის წესით მიიღეს, საერთაშორისო სამართლებრივად რუსეთის მოქალაქე არ არის. შესაბამისად, ის პირები, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს, ასეთად რჩებიან, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიუხედავად“ (**Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I:18**). უფრო მეტიც, ევროკავშირის მისიის ანგარიშში, რუსეთის მხრიდან მასობრივი პასპორტიზაციის პოლიტიკა შეფასებულია საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად და მის შიდა საქმეებში ჩარევად. რაც შეეხება, დაგომისის ხელშეკრულებას, სხვა საკითხებთან ერთად, იგი სამშვიდობო ძალების მანდატს განსაზღვრავდა. ხელშეკრულების შესაბამისად, სამშვიდობოთა მანდატი ნათლად არის განსაზღვრული. კერძოდ, ხელი უნდა შეეშალათ და აღეკვეთათ ყოველგვარი სამხედრო მოქმედებები კონფლიქტის ზონაში. ამასთანავე, სამშვიდობოებს მცირედი გადაადგილებაც კი ეკრძალებოდათ კონფლიქტის ზონის გარეთ, რომ არაფერი ვთქვათ, რაიმე ტიპის სამხედრო ოპერაციაზე. მნიშვნელოვანია, რომ თავად სამშვიდობო კონტინგენტი შერეული ხასიათისა იყო და ერთობლივი კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციებს ასრულებდა. სამშვიდობო კონტინგენტი დსთ-ს მანდატით მოქმედებდა, თუმცა აგვისტოს მოვლენების წინ ან შემდეგ, დსთ-ს არავითარი ახალი გადაწყვეტილება

მათ შესახებ არ მიუღია, იქნებოდა ეს მანდატის გაფართოება თუ შემადგენლობის შეცვლა.

სამართლის სპეციალისტი, ანტონ დვორკინი, თავის სტატიაში: „კონფლიქტი საქართველოში და საერთაშორისო სამართალი“ (**Anthony Dworkin, (2009). The Georgia Conflict and International Law, August 26, 2008, for Crimes of War Project),** სწორედ, რუსეთის მხრიდან, შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ მოგვითხრობს. ავტორის აზრით: „შესაძლოა, რუსეთს, მისი სამშვიდობო ვალდებულებების კონტექსტში, ჰქონდა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დაცვის გარკვეული უფლებები, მაგრამ ამ უფლებებით მაღალი ალბათობით, მისი სამშვიდობო ძალები სარგებლობდნენ, რომელთა მანდატიც იყო სამხრეთ ოსეთში მშვიდობის აღდგენა ცეცხლის შეწყვეტის სტატუსის დარღვევის შემთხვევაში. ძალიან საეჭვოა, რომ ეს უფლებამოსილება ვრცელდებოდეს რუსეთის იმ სამხედრო ძალებზე, რომლებიც თავად უშუალოდ არ იყვნენ სამშვიდობო კონტინგენტის ნაწილი“ **(Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I:18).** შესაბამისად, რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის 9 აგვისტოს გამოსვლის ადრესატიც, სადაც ის 1992 წლის ხელშეკრულების დაცვაზე საუბრობდა, მხოლოდ, სამშვიდობოთა ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება დაგომისის ხელშეკრულებას, მის როგორ ფართო ინტერპრეტაციაზეც არ უნდა იყოს საუბარი, 2008 წლის ომის დროს, კონფლიქტის ზონაში გადასროლილი დამატებითი რუსული ძალები, მით უფრო საჰაერო ხომალდები და საზღვაო ფლოტი, სამართლებრივად საქართველოს იურისდიქციაში მყოფი, ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ვერანაირი ქმედების შემაჩერებელ პროპორციულ ძალად ვერ იქნება განხილული.

რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, როგორც კონფლიქტის ზონაში, ასევე, მის გარეთ, ადგილი ჰქონდა ომის სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევას, რაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ხელყოფაში გამოიხატა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს, ადგილი ჰქონდა, ასევე, სიცოცხლის უფლების ხელყოფას, ეთნიკური წმენდას, მოსახლეობის ძარცვას, ქონების განადგურებას, ტყვეების წამებას, მასიური

დაბომბვების შედეგად, ადამიანების სიცოცხლის განზრახ მოსპობას. ცალსახად უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, „დაცვის ვალდებულების“ პრინციპის გამოყენება, საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ყოვლად შეუსაბამოა. ექსპერტების აზრით: „იმის მიუხედავად, თუ სხვა რა ახსნა ჰქონდა რუსეთს საქართველოში სამხედრო ოპერაციის წარმოებისას, დაცვის ვალდებულების პრინციპი ვერ მოხვდება ლეგიტიმურ არგუმენტთა შორის“ **(Law library of congress, document # 2008-01474: Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, 2009:18)**. „დაცვის ვალდებულება“ – ეს არის სუვერენული სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას მოსახლეობა თავისი საზღვრების შიგნით (ხოლო სხვა სახელმწიფოს უფლება აქვს, მას დაეხმაროს). ეს პრინციპი არ გულისხმობს სხვა სახელმწიფოს უფლებას, ინტერვენცია მოახდინოს თავის საზღვრებს მიღმა, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, თავისი მოქალაქეების დასაცავად. წარსულში, როდესაც ეს პრინციპი იყო გამოყენებული, სახელმწიფოები ყოველთვის მოქმედებდნენ თავდაცვის რეჟიმში“.

ევროკავშირის მისიის დასკვნაში, მიუხედავად იმისა, რომ ასევე, კატეგორიულად მინიშნებულია, რომ „არ არსებობს ასეთი მოქმედებების დამშვები სამართლებრივი საფუძვლები“, საკუთარი მოქალაქეების დაცვის ვალდებულების გამოყენების პირობად მითითებულია, რომ სახელმწიფოს მოქმედებები უნდა „შეიზღუდოს და შემოიფარგლოს სამაშველო და ევაკუაციის ღონისძიებებით“. საქართველოს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემთხვევაში, იმავე მისიის დასკვნის საფუძველზე: „რუსეთის მოქმედებების უდიდესმა ნაწილმა გადალახა ეს ზღვარი და ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში გადაიზარდა საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარეთ, წარმოებული იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით“ **(Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia (2009). I:24-25).**

საერთაშორისო სამართალში ნებისმიერ ჰუმანიტარული ინტერვენციისათვის სავალდებულოა, სახელმწიფოები აკმაყოფილებდნენ, სულ მცირე, ოთხ ძირითად პირობას: 1. საფრთხე უნდა იყოს სერიოზული; 2. მოქმედება უნდა ემსახურებოდეს

მხოლოდ პირველადი საფრთხის აღკვეთას; 3. პასუხი უნდა იყოს პროპორციული; 4. ინტერვენციით უნდა დადგეს უფრო მეტი პოზიტიური შედეგი, ვიდრე ზიანი, რომელიც დადგა, ან შესაძლებელია დადასტურდეს, რომ დადგებოდა. თუკი გავითვალისწინებთ ფაქტებს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომმა აჩვენა, სრულიად ნათელი გახდება, რომ საკუთარი პოზიციების დასაცავად, რუსეთის ხელისუფლებამ ვერც ერთი ტესტის ჩაბარება ვერ შეძლო. ომის დროს, საქართველოს ხელისუფლებას, არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არ დაურღვევია.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რუსეთის ხელისუფლების ქმედებების იურიდიულ და სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, ამერიკაში მოღვაწე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ეროვნებით რუსი პიტერ რუდიკი ასეთ დასკვნას აკეთებს: „რუსეთის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ანალიზს, ისევე როგორც იმ „მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციების“ განხილვას, რომელიც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განახორციელა, ერთ დასკვნამდე მივყავართ - არ არსებობს არც ერთი შიდა და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი, რომელიც გაამართლებდა რუსეთის სამხედრო ინტერვენციას საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სეპარატისტული, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას. როგორც ჩანს, ეს ქმედებები განხორციელდა საერთაშორისო სამართლის მთავარი პრინციპებისა და რუსეთის კანონმდებლობის დარღვევით... რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც რეგიონშია განთავსებული, შეიძლება საოკუპაციო ძალად იყოს აღიარებული და რუსეთი შეიძლება იძულებული გახდეს გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან“ (**Roudik, 2010)**.

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, ქართული სახელმწიფოს მიმართ, განხორციელებული შეიარაღებული აგრესია, როგორც ისტორიულად, ასევე, სამართლებრივად, უკანონო იყო.

VI. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

2008 წლის აგვისტოს ომამდე, საქართველოს დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მიზნით, კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საქმეში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი, „ეუთ"-ო, ევროპარლამენტი, „ნატო", „გაერო", ასევე, სხვა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს ხელისუფლებამ, რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების პრიორიტეტულ საშუალებად,

თავიდანვე, მისი დარეგულირების პოლიტიკურ-სამართლებრივი გზა აირჩია. 2008 წლის ომის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა და მხოლოდ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აქვს უფლება, დააკვირდეს მოვლენებს დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საზღვრის მხრიდან. 2009 წლის 15 ივნისს, რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლებით შეაჩერა „გაერო“-ს სადამკვირვებლო მისიის 16 წლიანი მუშაობა საქართველოში, რომლის მიზეზად რეგიონში არსებული ახალი რეალობა დაასახელა. რუსეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ აღარ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

„გაერო“-ს და „ეუთო“-ს საქართველოში ფუნქციონირების შეწყვეტა, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისთვის დიდი დარტყმა იყო. მისიის საქმიანობის შეჩერებამ დიდი ზიანი მიაყენა რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას. საქართველოში განხორციელებული რუსული აგრესიის შემდეგ, ტერმინი - „ოკუპაცია“, ევროკავშირის ლექსიკონში ოფიციალურად დამკვიდრდა.

2008 წელს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე შეცდომად შეაფასა და დასძინა, რომ რუსეთის პასუხი არაპროპორციული იყო. 2009 წლის 1 სექტემბერს, ევროკავშირის საგანგებო სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა პირველი ნაკადი საქართველოში 24 სექტემბერს ჩამოვიდა. 1 ოქტომბერს ევროკავშირის 22-მა წევრმა სახელმწიფომ 200-ზე მეტი დამკვირვებელი გამოგზავნა კონფლიქტის ზონაში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში მუშაობა 2009 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. გადაწყვეტილება მისიის საქართველოში განთავსებაზე 2008 წლის 15 სექტემბერს სარკოზი-მედვედევის 6 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის (12 აგვისტო) და შემდგომი დამატების (8 სექტემბერი) თანახმად მიიღეს. ევროკავშირის მისიის მანდატს ახორციელებს 200-ზე მეტი დამკვირვებელი. მისიის ცენტრალური ოფისი თბილისშია განთავსებული, რეგიონალური საველე ოფისები კი - გორში, ფოთსა და ზუგდიდში. მისიის ბიუჯეტი 35 მილიონ ევროს შეადგენს. მისი მანდატი 12 თვით განისაზღვრება, შემდგომში გაგრძელების შესაძლებლობით. მანდატით გათვალისწინებულია მონიტორინგი

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ყოფნას ქვეყნისთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულად ვერ ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობას რუსეთის მხრიდან დაბლოკვისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის გამო. ამჟამად არსებული მანდატი არ ქმნის მისიის პოლიციურ ან სამშვიდობო ფორმატში გადაზრდის წინაპირობას. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუ მისიას პოლიციური ფუნქციები მიენიჭება.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსული შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო, ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა მნიშვნელოვნად შეფერხდა. ევროსაბჭოს 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციით დაგმობილია ევროსაბჭოს ორ წევრ ქვეყანას შორის ომში ჩართვა, რადგან ორივე ქვეყანას ვალდებულება ჰქონდათ აღებული ყველა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. რეზოლუციაში აღნიშნულია: „იმის გამო, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, გაფრთხილების გარეშე, ქართულმა სამხედროებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყეს, ანუ მოხდა ესკალაციის ახალ საფეხურზე გადასვლა, ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს საომარი მოქმედებების დასაწყისად. მძიმე ტექნიკისა და სამხედრო აღჭურვილობის გაზრდა, მოქალაქეებისათვის სეროიზული საფრთხის შექმნა, საქართველოში შეიარაღებული ძალების არათანაბარი გამოყენება, იყო როგორც საერთაშორისო ნორმების, ასევე საქართველოს ვალდებულების - მოეგვარებინა კონფლიქტი მშვიდობიანად, დარღვევა... ამავე დროს, რუსეთის საპასუხო თავდასხმა, ასევ,ე გრძელვადიანი სამხედრო მოქმედებები ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, იყო პროპორციულობის პრინციპის დარღვევა, ასევე საერთაშორისო სამართლისა და ევროსაბჭოს პრინციპების დარღვევა, რომლის შესრულებაც ევალებოდა რუსეთის ფედერაციას, როგორც საბჭოს ერთ-ერთ წევრს. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის მცდელობა, რამდენადაც მან განახორციელა დარტყმები ქვეყნის ეკონომიკასა და სტარტეგიულ ინფრასტრუქტურაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირდაპირი შეტევა საქართველოს სუვერენიტეტზე, ან რუსეთის

მცდელობა, მეზობელი სახელმწიფო მოექცია თავისი გავლენის ქვეშ, რაც ამავდროულად, იყო ევროსაბჭოს კანონმდებლობის დარღვევა“ **(დიასამიძე, 2009:149).**

ევროკავშირის პოლიტიკას, საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში, განსაზღვრავს ორკომპონენტიანი ხედვა - „არაღიარება“ და „ჩართულობა.“ 2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის პოლიტიკურმა და უსაფრთხოების კომიტეტმა (ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისგან დაკომპლექტებული ორგანო) მიიღო შიდა მოხმარების, არასაჯარო დოკუმენტი „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ევროკავშირის არაღიარების და ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრების შესახებ“. ამ ორი პრინციპიდან პირველი (არაღიარება) არის რეაქცია, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე (ჩართულობა) მოტივირებულია კონფლიქტის რეგიონების „დეიზოლაციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული (ევროპული) ღირებულებების გავრცელებას, ნდობის მშენებლობას, საქართველოს საერთო სივრცესთან მეტ ინტეგრაციას.

ევროპარლამენტმა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ 2008 წლის 5 ივნისს სპეციალური რეზოლუცია მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ხელმძღვანელთა საბჭოს, 1996 წლის 19 იანვრის, გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ხელმომწერ ქვეყნებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის სამხედრო თანამშრომლობა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან.

2008 წლის 1 სექტემბერს, ბრიუსელში, ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე, საბჭოს წევრებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში მომხდარი ღია კონფლიქტის გამო, რომელსაც რუსეთის მხრიდან ძალადობა და არაპროპორციული რეაქცია მოჰყვა. საგანგებო სხდომის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „საქართველოში არსებულმა კრიზისმა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გზის გასაყართან მიიყვანა. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და რუსეთის

ერთმანეთზე დამოკიდებულების და მათ წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გათვალისწინებით, მჭიდრო ურთიერთობებზე უკეთესი არჩევანი არ არსებობს; ეს ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ნდობას და დიალოგს, კანონის უზენაესობის და იმ პრინციპების პატივისცემას, რომლებიც გაეროს ქარტიისა და ეუთოს მიერაა აღიარებული" (www.europa.eu, მოძიებულია 25.09.2015).

ბრიუსელში, 2008 წლის 15-16 სექტემბერს, ევროპის კავშირის საბჭოს, საგარეო საქმეთა საბჭოს 2889-ე შეხვედრაზე, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტის მცდელობის მხარდასაჭერად. საბჭომ მხარი დაუჭირა კონფლიქტის დამოუკიდებელი, საერთაშორისო გამოძიების იდეას. საბჭომ პიერ მორელი დანიშნა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებზე. ევროკავშირის საბჭოს 1 სექტემბრის საგანგებო შეხვედრის დასკვნების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა გაეგზავნა დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში, ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს შესაბამისად, რომელიც განთავსებული იქნებოდა 1 ოქტომბრისათვის, 8 სექტემბრის შეთანხმების პუნქტების შესაბამისად, „ეუთო"-სა და „გაერო"-სთან მჭიდრო კოორდინაციით და „გაერო"-ს დამკვირვებელთა მისიისა და „ეუთო"-ს საერთაშორისო მექანიზმების შესავსებად.

2010 წლის 8 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი ქლინთონმა ვაშინგტონის საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ვერ შეეგუება. 17 სექტემბერს, „ნატო"-ს შტაბ-ბინაში გაიმართა „ნატო"-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე. სხდომაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების, რეინტეგრაციის საკითხები. ამას 5 ოქტომბერს მოჰყვა აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის წლიური შემაჯამებელი შეხვედრა. აშშ-მ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა და რუსეთს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისკენ მოუწოდა. 16 ოქტომბერს „ნატო"-ს საპარლამენტო

ასამბლეამ ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის განდევნა ეთნოწმენდის გზით. 2010 წ. 19-20 ნოემბერს ქ. ლისაბონში ჩატარებულ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მორიგმა სამიტმა, „ნატო"-ს სტრატეგიული კონცეფცია შეიმუშავა, რომლის მიხედვით, ნატო-საქართველოს პარტნიორობის განვითარება დაეფუძნება 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად საქართველო გახდება ალიანსის წევრი სახელმწიფო.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო, 2010 წლის 16 ნოემბერს, „ნატო"-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომლის თანახმად, რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნა შეფასდა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ევროკავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა და დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია.

ევროკავშირი აქტიურად იღწვის, აიძულოს რუსეთის მთავრობა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმება შეასრულოს და გაიყვანოს ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან, სადაც ის ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით იმყოფება. კონფლიქტის გადასაწყვეტად, ევროპის სახელმწიფოები, ორივე მხარეს მშვიდობიანი გზისკენ მიუთითებს. რუსეთის ხელისუფლება არღვევს საერთაშორისო კანონებს და აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. საქართველოს წინააღმდეგ დღესაც აქტიურად მოქმედებს, როგორც რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ძალები, ასევე მძლავრი რუსული პროპაგანდისტული მანქანა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობს დააკნინოს საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია კონფლიქტის დიდი ხნით გაყინვა და უფრო მეტიც, რუსეთი კონფლიქტის ხელშემწყობად და მის ერთ-ერთ მხარედ წარმოჩინდა. რუსული აგრესიის შედეგად, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის სანაცვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ოკუპირებულია რუსეთის 58-ე არმიის მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციები უძლურნი აღმოჩნდნენ, საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრის საქმეში.

ქვეყანაში არსებული რეალური სიტუაცია მცოცავი ანექსიის ფორმას ატარებს. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელდა აგრესია საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, რის შედეგადაც ცხინვალის რეგიონიდან და ზემო აფხაზეთიდან, სეპარატისტებმა და რუსებმა 17. 000 ქართველი საკუთარი მიწა-წყლიდან გამოაძევა და დევნილად აქცია. საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის მიზნით, „ეუთო“-ს მიერ მიღებული რეზოლუციები ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა. საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ცხადი გახდა, რომ კონფლიქტის მოგვარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს რუსეთის ინტერესები კავკასიაში. რუსულ მედიაში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლებამ 3, 25 მილიარდი დოლარი დახარჯა. ამ გზით, სეპარატისტული აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის ფედერაციის გარდა, აღიარეს: ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ, ვანუატუმ და ტუვალუმ. მიუხედავად ევროკავშირის ძალისხმევისა, ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას, პრობლემა კვლავ აქტუალურია, რადგან რუსეთის ხელისუფლება არ ასრულებს მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებს და დღემდე უკანონოდ აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის 20%.

ამჟამად, კონფლიქტების სფეროში ევროკავშირის მთავარ ინსტრუმენტად ჟენევის მოლაპარაკებები მოიაზრება, რომელიც 2008 აგვისტოს ომის შემდეგ ექვსპუნქტიანი შეთანხმებისა და მისი „განსახორციელებელი ზომების“ ფარგლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი გულისხმობს დისკუსიას საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს დელეგაციების, ასევე, აფხაზ და ოს მონაწილეებს შორის სამი თანათავმჯდომარის - ევროკავშირის (სპეციალური წარმომადგენლის), „გაერო“-ს და „ეუთო“-ს ხელშეწყობით. ჟენევის ფორმატი, ძირითადად, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ (მათ შორის, დევნილთა დაბრუნების) საკითხებს განიხილავს. ჟენევის მოლაპარაკებებში დღემდე მონაწილეობს ორი სამუშაო ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი, შესაბამისად, უსაფრთხოების (მაგ. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების, ცეცხლის განუახლებლობის და სხვ.), ხოლო მეორე

ჰუმანიტარულ თემებს (მაგ. ადამიანის უფლებების საკითხები გალში, ჰუმანიტარული საჭიროებები, ჯანდაცვა, ა.შ.) განიხილავს. ჟენევის მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთის სამხედრო ნაწილი სოფელ პერევიდან (სოფელი იმერეთის მხარის საჩხერის მუნიციპალიტეტში, ჭალის თემი) გავიდა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. პერევის საკითხის მოგვარება, რუსულმა მხარემ წლობით გააჯანჯლა, რათა ჟენევის მოლაპარაკებებზე ოფიციალური თბილისის მოთხოვნები, მხოლოდ ამ თემით შემოფარგლულიყო. საჩხერის რაიონის სოფელ პერევს ქართული პოლიცია სრულად აკონტროლებს. სოფელი რუსმა მესაზღვრეებმა 2010 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 18:00 საათისთვის დატოვეს და სოფელ ქარძმანში გადავიდნენ, სადაც რუსული და ოსური დროშები ააფრიალეს. პერევში ქართულ პოლიციასთან ერთად ევროკავშირის დამკვირვებლებიც იმყოფებიან.

2016 წლის 8 სექტემბერს, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 410 ხმით (6-ის წინააღმდეგ) დამტკიცდა საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუცია, რომელიც აღიარებს, რომ რუსეთის მხრიდან, **საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია უკანონოა.** დოკუმენტს მხარს უჭერენ, როგორც რესპუბლიკელი, ასევე, დემოკრატი კონგრესმენები. რეზოლუცია გმობს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას რუსეთის მიერ და მოუწოდებს ოკუპანტ ქვეყანას, დატოვოს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიები. როგორც რეზოლუციის განხილვის პროცესში გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, კონგრესმენები ამ დოკუმენტს განიხილავენ რუსეთისთვის და პირადად პრეზიდენტ პუტინისთვის, გაგზავნილ მნიშვნელოვან სიგნალად. აშშ-ის კონგრესის რეზოლუცია #660, რუსეთს მოიხსენიებს **ოკუპანტ სახელმწიფოდ,** რომელიც იგნორირებას უკეთებს სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებელ არჩევანს და რომელიც რეგიონში გავლენის სფეროების აღდგენისთვის ძალის გამოყენებით იბრძვის. 8 სექტემბერს დამტკიცებული რეზოლუცია კატეგორიულად გმობს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციას, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. ის მოუწოდებს რუსეთს: „უკან წაიღოს საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების

გადაწყვეტილება“ და შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ამავე დროს, კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ის მთავრობას, ერთმნიშვნელოვნად განაცხადოს, რომ შეერთებული შტატები არანაირ გარემოებებში არ აღიარებს რუსეთის ფედერაციის დე იურე თუ დე ფაქტო ძალაუფლებას „საქართველოს რომელიმე ნაწილზე, მის საჰაერო სივრცესა თუ მის ტერიტორიულ წყლებზე – მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე („სამხრეთ ოსეთზე“)“. ამავე დროს, რეზოლუციის მხარდამჭერები ხაზს უსვამენ საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაძლიერების აუცილებლობას; აქ იგულისხმება, როგორც სამხედრო წვრთნები, ასევე, თავდაცვითი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ თავისუფალი, დემოკრატიული და სუვერენული საქართველო, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშემწყობი ქვეყანა – აშშ-ის გრძელვადიან ინტერესებში შედის. კონგრესში დამტკიცებული რეზოლუციის ინიციატორები და თანაავტორები არიან საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეები – რესპუბლიკელი **კონგრესმენი ტედ პო** და დემოკრატი **კონგრესმენი ჯერალდ კონოლი.** კონგრესმენმა პომ, 8 სექტემბრის სხდომაზე, მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესიული პოლიტიკა. მან თქვა, რომ ეს არის შეტევა დემოკრატიულ იდეებზე და რუსეთის პრეზიდენტს, ვ. პუტინს, „ციმბირის ნაპოლეონი“ უწოდა (წყარო: „ამერიკის კონგრესი რუსეთს: დატოვე საქართველოს ტერიტორია“). აღნიშნულ რეზოლუციას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან მასში გამოხატულია აშშ-ის ხელისუფლების ურყევი, მტკიცე პოზიცია, რომ ის არასოდეს შეეგუება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, საქართველოს აღიარებს, მხოლოდ საერთაშორისოდ ცნობილი საზღვრების ფარგლებში და მტკიცედ დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს საერთაშორისო მასშტაბით. დოკუმენტში, ასევე, ხაზგასმულია თანამშრომლობის საჭიროება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში და საქართველო განხილულია, როგორც ამერიკის „გრძელვადიანი ინტერესის ქვეყანა“. მართალია, რუსეთის ხელისუფლება არ ითვალისწინებს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს და ისტორიული წარსულიდან გამომდინარე,

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან შეერთებული შტატების კონგრესის მოწოდებები შეისმინოს და სასწრაფოდ დატოვოს საქართველოს ტერიტორია, მაგრამ, მსგავსი დოკუმენტები სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოს ინტერესების დაცვისთვის.

საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთ გზად კვლავ რჩება მისი მშვიდობიანი გზებით გადაჭრა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით მიღებულ რეზოლუციებს და დადგენილებებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მიერ, უკანონოდ აღიარებულ კონფლიქტურ რეგიონებს საქართველოს ნაწილად მიიჩნევენ და მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

§1. ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისიის (ე. წ. ტალიავინის კომისია) დასკვნა 2008 წლის აგვისტოს ომზე

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის გამოსაძიებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში **შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ჩაუდგა.** კომისიაში, ასევე, შედიოდნენ, ექსპერტები სამხედრო და იურიდიულ საკითხებში. მათ შორის იყვნენ: ფრანგი გენერალი გილეს გალეტი, შვეიცარიელი გენერალი კრისტოფ კეჩკისი, გერმანიიდან ოტო ლუხტერჰანდტი და ენ პეტერსი, კომისიის შემადგენლობაში იყო, ასევე, ბრიტანელი პოლკოვნიკი კრისტოფერ ლანგტონი. კომისიის დასკვნა 2009 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა.

ჰაიდი ტალიავინის კომისიის 1063 გვერდიანი დასკვნა ორივე მხარის, როგორც საქართველოს, ასევე, რუსეთის მიმართ, არათანაბარ შეფასებებს შეიცავს. დასკვნა უცნაურია თავისი ტექნიკით, რადგან მასში თავმოყრილი ემპირიული მასალა არ მთავრდება, საყოველთაოდ აღიარებული მეთოდებით მიღებული, ლოგიკური დასკვნებით. კომისიის მიერ მიღებული დასკვნის არაერთგვაროვანი შეფასების მიუხედავად, იგი შეიცავს მნიშვნელოვან დეტალებს. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის ფაქტების მომძიებელი დამოუკიდებელი მისიის ანგარიშის მიხედვით (ე.წ. ტალიავინის კომისია) შეიარაღებული თავდასხმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ არმიის წინააღმდეგ საქართველომ დაიწყო ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის

მიერ, 2008 წლის 7 აგვისტოს, 23 საათსა და 35 წუთზე, გაცემული ბრძანების მიხედვით. თუმცაღა, ანგარიშში ნახსენებია, რომ „7 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა სპონტანურ მოქმედებებს, რომელთა მიმდინარეობის დროსაც უცნობი იყო, თუ ვინ ვის უკეთებდა პროვოცირებას. იმის გამო, რომ მისიას არ შეუძლია განსაზღვროს, თუ რა ზომამდე ჰქონდა რუსეთს „სამხრეთ ოსეთზე" ეფექტური კონტროლი, რუსეთს ვერ მიეწერება „სამხრეთ ოსეთში" მომხდარი შეიარაღებული თავდასხმა. ჰაიდი ტალიავინის დასკვნაში ომის დამწყებად საქართველო სახელდება, თუმცა იქვე აღნიშნულია: „ქართული მხარის მტკიცება, „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე ქართული მხარის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე რუსული სამხედრო ძალის შემოსვლის შესახებ, დადასტურდა. ქართული მხარის განმარტებით, რუსების მიერ სამხედრო ძალის გაზრდა „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში დაიწყო. გრძელდებოდა აგვისტოშიც და მოიცავდა სამხედრო შენაერთებს, სამედიცინო პერსონალს, კარვებს, ჯავშნიან მანქანებს, ტანკებს, თვითმავალ არტილერიასა და საარტილერიო იარაღს. ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა 6 აგვისტოს ღამით და 7 აგვისტოს საღამოს. რუსული მხარე უარყოფს აღნიშნულ ბრალდებებს. რუსეთის მხარის მიერ კომისიისათვის წარმოდგენილი განმარტებების თანახმად, პირველი რუსული შენაერთები შევიდნენ „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე და რუსულმა საჰაერო ავიაციამ და არტილერიამ დაიწყო შეტევა საქართველოზე, 8 აგვისტოს 14 საათსა და 30 წუთზე, ე. ი. დაუყოვნებლივ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ინტერვენციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან. კომისია საკმარისად არ მიიჩნევს აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუმცა არსებობს მრავალი ჩანაწერი და პუბლიკაცია, მათ შორის რუსული წარმოშობისა, რაც მიუთითებს, რომ რუსეთი წვრთნიდა სამხრეთ ოსურ და აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს 8 აგვისტომდე. ასევე, „სამხრეთ ოსეთში" აგვისტომდეც იყვნენ მოხალისეები და დაქირავებული ძალები რუსეთიდან და კავკასიიდან. აგრეთვე, იქ იმყოფებოდა რუსული შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი, გარდა სამშვიდობო ბატალიონისა. გარდა ამისა, ჩანს, რომ რუსულმა ავიაციამ იერიში საქართველოზე მიიტანა, ჯერ კიდევ 8 აგვისტოს, დილით, ანუ უფრო ადრე, ვიდრე რუსულ

ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობენ გამარჯვებულები ამ კონფლიქტში. ყველა დამარცხდა, არა მხოლოდ სიცოცხლისა და საკუთრების თვალსაზრისით, არამედ მომავალი პერსპექტივებისა და იმედის სფეროში. გარდა დანაკარგისა, პოლიტიკური სიტუაცია არის უფრო რთული, ვიდრე მანამდე იყო. ეს ითქმის არა მხოლოდ, ერთი მხრივ, თბილისსა და მეორე მხრივ, სოხუმსა და ცხინვალს შორის ურთიერთობაზე, სადაც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა ვერ გადაწყვიტა ვერც ერთი მიმდინარე საკითხი. სიტუაცია რეგიონში კვლავ დაძაბულია. ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არის უფრო და უფრო გამწვავებული, როგორც არასდროს. გარდა ადამიანური უბედურებისა, საერთაშორისო საზოგადოებაც არის დამარცხებულებს შორის. საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როგორიცაა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, იგნორირებულ იქნა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები, როგორიცაა ეთნიკური წმენდა, გახდა პოლიტიკური რეალობა“ **(ფრაგმენტები კომისიის დასკვნიდან , www.radiotavisupleba.ge, მოძიებულია 15.08.2015).**

რუსული პასპორტების დარიგებასთან დაკავშირებით დასკვნაში ნათქვამია, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთის მოქალაქედ არ ითვლება. ტალიავინის დასკვნაში აღნიშნულია: „სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გახდნენ საქართველოს მოქალაქეები, რჩებიან საქართველოს მოქალაქეებად, მიუხედავად აღნიშნული პასპორტიზაციისა. ისინი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში და არიან დღესაც, თუ ჩვეულებრივი გზით არ დაკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას. რუსეთის აღნიშნული ქმედებანი ეწინააღმდეგება კეთილმეზობლურ პოლიტიკას და საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, წარმოადგენს ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში“ **(Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia (2009). volumes 3: 164).**

ტალიავინის კომისიის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, 2011 წელს, ევროკავშირმა, კერძოდ კი, ევროპარლამენტმა, გამოსცა მნიშვნელოვანი რეზოლუცია,

რომელიც შეეხებოდა ევროკავშირი - საქართველოს ურთიერთობებს. მოცემულ რეზოლუციაში ღიადაა დაფიქსირებული ევროკავშირის პოზიცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონები არის ოკუპირებული. ევროკავშირის აღნიშნული რეზოლუციის შემდეგ, დღის წესრიგიდან იხსნება საკითხი, თუ ვინ დაიწყო 2008 წლის ომი და ვისი მოწყობილი იყო ომამდელი პროვოკაციები, რამდენადაც რუსეთი მოხსენიებულია ოკუპანტად, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ის უკანონოდ იმყოფება ამ ორ რეგიონში, და არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 2008 წლის 8 ოქტომბერს, ნ. სარკოზიმ ევროპარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: „ცხადია, არის უამრავი ხარვეზი, უამრავი გაურკვეველი მომენტი; უამრავი კომპრომისი იქნა დაშვებული; მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და ევროპას რომ ხმა არ ამოეღო დიალოგის საჭიროებისთვის, ვინ გააკეთებდა ამას?“. 2008 წლის 12 აგვისტოს როდესაც საფრანგეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან ბერნარ კუშნერთან ერთად, ნ. სარკოზი მოსკოვში ჩავიდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე სასაუბროდ, რუსული შეიარაღებული სამხედრო ძალები თბილისიდან მხოლოდ 40 კილომეტრში იმყოფებოდნენ. არსებობდა განსხვავებული აზრები ევროკავშირის სამშვიდობო მცდელობებთან დაკავშირებით. ზოგი მიიჩნევდა, რომ დიალოგს აზრი არ ჰქონდა და სამხედრო აგრესიისთვის ადეკვატური პასუხი უნდა გაეცათ. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა: „ეს იყო სისულელე, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მიაჩნდა, რომ მოსკოვში ჩასვლა არასწორი იყო. ევროპა უნდა იყოს კიდევ ერთი ცივი ომის თანამონაწილე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ცივი თავების შენარჩუნება. ეს იყო პრობლემა, რომელიც გადავლახეთ ჩვენ ამერიკელ მოკავშირეებთან ერთად, რომელთაც ჩათვალეს, რომ ჩვენი მოსკოვში ჩასვლა არასწორი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამერიკელ მოკავშირეებთან ერთად ერთიანი პოზიცია დავიკავეთ. მათი პოზიცია არ ყოფილა იგივე, რაც ჩვენი, მაგრამ შევეცადეთ გვეთანამშრომლა, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს დავპირისპირებოდით. მსოფლიოში დღეს არსებული ვითარების ფონზე არა მგონია, რომ მსოფლიოს სჭირდება კრიზისი ევროპასა და რუსეთს შორის; ეს უპასუხისმგებლო იქნებოდა. ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი იდეები სუვერენიტეტის პატივისცემის თაობაზე,

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის თაობაზე, ადამიანთა უფლებებზე - ეს არის უთანხმოებები მათთან, ვინც რუსეთს მიმართავს, მაგრამ უპასუხისმგებლობა იქნებოდა პირობები შეგვექმნა იმ კონფლიქტისთვის, რომელიც სრულიად არ გვჭირდება“ - განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ **(htt//pwww.ambafrance-ge.org, (მოძიებული 15.09.2015).** მან ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გააკრიტიკა. ნ. სარკოზის აზრით, 8 აგვისტოს ვინმე უნდა გაფრენილიყო მოსკოვსა და თბილისში, რათა ადამიანის უფლებები დაეცვა. ამერიკის პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს მიუღებელი იყო. მაშინ აგვისტოს კრიზისის მოგვარება, ევროკავშირის იმდროინდელმა თავმჯდომარე ქვეყანამ - საფრანგეთმა საკუთარ თავზე აიღო. სარკოზის თქმით, ჯორჯ ბუშს საკუთარი ავტორიტეტის რისკის ქვეშ დაყენების ეშინოდა. მოსკოვში გამგზავრებამდე, ჯ. ბუშმა საფრანგეთის პრეზიდენტს უთხრა: „ნუ წახვალ იქ, მათ (რუსებს) თბილისის აღება უნდათ, მათ მხოლოდ 40 კილომეტრიღა დარჩათ. მათი ქმედებების შესახებ, უბრალოდ საყვედური გამოვთქვათ“**(htt//pwww.ambafrance-ge.org, (მოძიებული 15.09.2015).**

კონფლიქტების დარეგულირებაში არსებული ხარვეზები ამასთანავე ნათლად გვიჩვენებს, რომ ევროპა იძულებულია რუსეთის მიმართ ლოიალური იყოს, რადგან იგი რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. რუსეთის ფედერაცია ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია. ევროკავშირის პრიორიტეტული ამოცანაა ურთიერთპატივისცემის მყარ ნიადაგზე დაფუძნებული სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება რუსეთთან. რუსეთი ევროკავშირის ყველაზე დიდი მეზობელია, რომელიც 2004 და 2007 წლებში ევროკავშირის გაფართოების შედეგად მის კიდევ უფრო ახლო მეზობლად იქცა. ევროპის უშიშროების 2003 წლის სტარატეგიაში ხაზგასმულია, რომ რუსეთი, როგორც გლობალურ ისე რეგიონულ დონეზე, გეოპოლიტიკური და უშიშროების სფეროში მთავარი მოთამაშეა. რუსეთი ასრულებს გადამწყვეტ როლს „გაერო“-ს უშიშროების საბჭოს მუშაობაში, ასევე, ისტორიული განსაკუთრებულობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული კავშირების გამო, ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს იმ რეგიონებში, რომლებიც გარს ეკვრიან რუსეთსა და ევროკავშირს. ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია რუსეთის წილი საერთო ევროპულ კულტურაში.

რუსეთი, აგრეთვე, ენერგომატარებლების უმსხვილესი მიმწოდებელია ევროკავშირში, რომელიც დინამიურად განვითარებადი ბაზარია ევროკავშირის პროდუქციისა და მომსახურებისთვის. თავის მხრივ, ევროკავშირის ბაზარი ძირითადი საექსპორტო ბაზარია რუსეთისთვისაც. ევროკავშირის კომპანიები წარმოადგენენ რუსეთის ძირითად ინვესტორებს.

რუსეთი და ევროკავშირის ყველა ქვეყანა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა („ეუთო") და ევროპის საბჭოს წევრი. ყველა ისინი გამოდიან დემოკრატიის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების, ადამიანის უფლებების, მართლწესრიგისა და საბაზრო ეკონომიკის დაცვისა და პატივისცემისათვის. ეს ღირებულებები ევროკავშირისა და რუსეთის ორმხვრივი თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენენ. ევროკავშირი დაინტერესებულია რუსეთთან თანამშრომლობით, რათა უფრო მყარი გახდეს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა, როგორც რეგიონში, ასევე, მთელს მსოფლიოში. რუსეთი და ევროკავშირი უნდა თანამშრომლობდნენ, რათა წარმატებით შეებრძოლონ უშიშროებისათვის სახიფათო ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ტერორიზმი, დამნაშავეობა, არაკანონიერი იმიგრაცია, ადამიანებით ვაჭრობა და ნარკოტიკები. რუსეთის ფედერაცია უმნიშვნელოვანესი პარტნიორია კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროკავშირი და რუსეთი აწარმოებენ ერთობლივ მუშაობას საკითხების ფართო სპექტრის გარშემო, რომელიც მოიცავს რუსეთის ეკონომიკის მოდერნიზაციას და მის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში, უსაფრთხოების საკითხებს, საერთაშორისო პრობლემებს.

რუსეთი და ევროკავშირი თანამშრომლობენ პოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც შეეხება მთელ მსოფლიოს, როგორიცაა კონფლიქტების მოგვარება ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთში, დასავლეთ ბალკანეთსა და სუდანში, ასევე მასობრივი განადგურების იარაღისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გავრცელების თავიდან აცილება, სიტუაცია ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში. რუსეთის შიდა პროდუქტის 20% ენერგეტიკისა და ლითონ გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის; ევროკავშირი რუსული ენერგეტიკული პროდუქციის უმსხვილესი მომხმარებელია, ევროკავშირზე მოდის რუსული ნავთობის ექსპორტის 63% და გაზის ექსპორტის 65%. ნავთობის

საერთო იმპორტის 30% და საერთო მოხმარების 27% ევროკავშირში რუსულია. რუსეთზე მოდის, აგრეთვე, ევროკავშირში გაზის საერთო იმპორტის 44% და საერთო მოხმარების 24%. **ენერგომატარებლების ექსპორტის სფეროში ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ცხადჰყოფს, თუ რატომ თამაშობს ენერგეტიკის საკითხები ასეთ უმნიშვნელოვანეს როლს ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობაში.**

ჰ. ტალიავინის ხელმძღვანელობით, კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა არის ერთ–ერთი საუკეთესო ნიმუში მსოფლიო პოლიტიკაში ხელოვნური ბალანსის შექმნისა, რაც თავისი შედეგებით უფრო საშიშია, ვიდრე ნებისმიერი ომი საქართველოს ან რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ინარჩუნებს მუდმივ დაძაბულობას და ხელს არ უწყობს, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. გარკვეული დიპლომატიური მოსაზრებების გამო, კომისიის დასკვნა დაბალანსებულია. მიუხედავად ამისა, დასკვნაში ხაზგასმით წერია, რომ ცხინვალის რეგიონში, გარდა მშვიდობისმყოფელებისა, 2008 წლის აგვისტომდეც იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვა შენაერთები, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება კი წლების მანძილზე აიარაღებდა და წვრთნიდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ძალოვან სტრუქტურებს, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსების სამშვიდობო მანდატთან. ტალიავინის კომისიამ გააბათილა რუსეთის ხელისუფლების არგუმენტი - სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა „საკუთარი მოქალაქეების" დასაცავად, ასევე, რუსული ყალბი საპასპორტო პოლიტიკა, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და რუსეთის ხელისუფლების აგრესიული საგარეო პოლიტიკის სამართლებრივ ჭრილში წარმოჩენას ემსახურება. დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ 2008 წლის ომი მოხდა რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც რუსეთის ხელისუფლება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, სეპარატისტებს და სეპარატიზმს იყენებდა.

ტალიავინის კომისიის დასკვნის მიხედვით, ომის თავიდან აცილება საერთაშორისო ჩართულობის გაზრდით და დიპლომატიით, დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან უფრო აქტიური ჩარევის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა აღნიშნულმა ქვეყნებმა, ამ თვალსაზრისით, მზაობა ვერ გამოიჩინეს. ტალიავინის კომისიის დასკვნა, ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის

მიერ ინიცირებული გამოძიება, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო აზრის ჩამოყალიბებისთვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

ნაშრომი - **„რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის",** მსოფლიოს უახლესი ისტორიის უაღრესად აქტუალურ თემას ეხება. მასში ისტორიული დოკუმენტების და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, მოცემულია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ისტორიულ-სამართლებრივი შეფასება. ნაჩვენებია, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები, ის საგარეო-პოლიტიკური მეთოდები, რომლის იმპერიული შინაარსი დღემდე არ შეცვლილა. განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით

დარეგულირების საქმეში. უამრავი სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მეცნიერული ანალიზის შედეგად, დავასკვნით, რომ მიუხედავად 2008 წლის ომის დაწყების გარემოებათა დამდგენი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნისა, რომლის მიხედვითაც, ომის გაჩაღებაში ორივე ქვეყანას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება, რუსეთის ხელისუფლებას 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის არანაირი ისტორიულ-სამართლებრივი ბაზა არ ჰქონდა. რუსეთის მთავრობის მიერ განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკა არანაირ სამართლებრივ ასპექტში არ ჯდება. პასპორტიზაცია, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საერთაშორისო და ასევე, ქართული და თავად რუსული სამართლებრივი ნორმების დარღვევით გატარდა. ამერიკელი მკვლევარი, ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი კრისტოფერ ნატოლი, საქართველოში რუსეთის საპასპორტო პოლიტიკის ანალიზისას დაასკვნის, რომ ეს რუს ხელისუფალთა მხრიდან ეროვნების იარაღად გამოყენების ტოლფასი ქმედება იყო (**Natoli, 2010, 389**). ომის დაწყებას წინ უძღვოდა რუს ხელისუფალთა მხრიდან მუდმივი პროვოკაციები და ინციდენტები. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით, რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტომდე შემოვიდნენ. ომში ქართული მხარის ჩართვასთან დაკავშირებით, ცნობილი პოლიტოლოგი სტივენ ჯონსი წერს: „2008 წლისათვის საქართველოს ხელისუფლებას სულ ორი არჩევანიღა რჩებოდა - გაეწია წინააღმდეგობა ან უკან დაეხია. წლების მანძილზე ორივე პრეზიდენტი, შევარდნაძე და სააკაშვილიც, საოცარ თავშეკავებას იჩენდნენ რუსეთის პროვოკაციებსა და მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებზე. თბილისი მშვიდად მოიქცა რუსეთის მიერ ქართული სოფლების დაბომბვისას სამხრეთ ოსეთში ომამდე ათი წლით ადრე, არ აჰყვა რუსეთის პროვიკაციებს პანკისის ხეობაში 2002 წელს და პოლიციის ძალებით, სწრაფად გაიყვანა ჩეჩენი მებრძოლები იქედან, ხოლო 2004 წელს, სამხრეთ ოსეთთან შეიარაღებული შეტაკების შემდეგ, თითქმის ომის ზღვარზე მყოფმა, უკან დაიხია. მაშინ 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, მაგრამ 7 აგვისტოს დათმობას აზრი აღარ ჰქონდა და სამხრეთ ოსეთიდან ჯარის გამოყვანაც პოლიტიკურად დამღუპველი იქნებოდა სააკაშვილისთვის“ **(Jones, 2012, 390).**

სადისერტაციო ნაშრომში, საარქივო დოკუმენტების და ისტორიული მასალის ანალიზის შედეგად, ხაზგასმულია, რომ სეპარატისტების მხრიდან აგრესია, რომელიც საქართველოში, 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა, ჯერ კიდევ, XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რაც რუსეთიდან იყო მართული. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, 1990-1992 წლებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, მასში რუსეთის ჩარევის შემდეგ, საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის ინიციატორიც საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი იყო, მიღწეულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს, თუმცა კრიმინალური ქმედებები ამის შემდგომაც გრძელდებოდა. დღემდე გრძელდება რუსული ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაცია, ადგილი აქვს „მცოცავ“ ანექსიას, რის გამოც, ათასობით ჰექტარი ქართული მიწა დაიკარგა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც. ყოველივე ეს, უკუდურეს მდგომარეომაში აყენებს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე შევიმუშავეთ **შემდეგი რეკომენდაციები:**

1. საჭიროა რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგის გამონახვა, რასაც ალტერნატივა არა აქვს. 2008 წლის აგვისტოს ომიდან სულ რაღაც ორ თვეში, თვით დიდი სახელმწიფოების ლიდერები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რუსეთთან დიალოგისა და თანამშრომლობის აღდგენის სურვილით გამოვიდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სასარგებლოდ პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პოლიტიკა, მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მიღებული უამრავი მხარდამჭერი რეზოლუციისა, ნაკლებად ეფექტურია. რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ერთ-ერთ გზად პრაგმატული საერთაშორისო პოლიტიკა რჩება, რაც რუსეთთან დიალოგს და პარტნიორულ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად „ნატო“-ში და დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანება რჩება, მაგრამ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ თემით მუდმივად აპელირება დაუშვებელია. საჭიროა გაწონასწორებული, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსი. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წესდებიდან გამომდინარე, ამ ორგანიზაციაში არ მიიღებიან ის ქვეყნები, რომელთაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და დაუფიქსირებელი საზღვრები აქვთ. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყველა საერთაშორისო დონეზე აკეთებს განცხადებას, რომ „ნატო“-ს საზღვრების გაფართოება და საქართველოს ალიანსის შესაძლო წევრობა რუსეთის ფედერაციას ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს უქმნის. სწორედ, რუსეთის ხელისუფლების ეს შიში გახდა ერთ-ერთი სახიფათო წინაპირობა 2008 წლის ომის დასაწყებად. საქართველოს ხელისუფლება, დიდი იმედების მიუხედავად, დაუცველი, პრაქტიკულად პირისპირ აღმოჩნდა, კატასტროფული შედეგების წინაშე, თუმცა მანამდე უკვე, კოსოვოს პრეცენდენტია რსებობდა.

3. თანამედროვე საერთაშორისო რეალობიდან გამომდინარე, რუსეთთან დიალოგი უალტერნატივოა, იმ თვალსაზრისითაც, რომ თვით ამერიკის ადმინისტრაცია და პირადად ჰილარი კლინტონი, თავად არიან რუსეთთან ურთიერთობის განახლებისა და გადატვირთვის პოლიტიკის ხელშემწყობნი. მათ პრიორიტეტს, რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს და არა რუსეთთან პოლიტიკური და ბირთვული კონფრონტაცია. ეს აშშ-ის ხელისუფლების უაღრესად პრაგმატული გადაწყვეტილებაა. ბარაკ ობამას ადმინისტრაციას მემკვიდრეობით ერგო აშშ-ის მონაწილეობა ორ კატასტროფულ ომში - ავღანეთსა და ერაყში, ასევე, ახლო აღმოსავლეთში მოუგვარებელი პალესტნა-ისრაელის კონფლიქტი, ირანის კრიზისი. ყოველივე ამან, გამოკვეთა აშშ-ს ადმინისტრაციის პრიორიტეტი, რაც არის - რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და არა კონფრონტაციის გზა. ასევე მოიქცა ევროკავშირი. ასე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გამოვლინდა მრავალპოლარული მსოფლიო, სადაც რუსეთი ცდილობს ზესახელმწიფოს როლი მოირგოს და დანარჩენი მსოფლიო იძულებული გახადოს, შეეგუოს ამ რეალობას.

აღნიშნული სიტუაციის დაძლევა და სათანადო გზების ძიება, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის, მხოლოდ, დაბალანსებული და გონივრული პოლიტიკით შეიძლება.
4. დასავლეთის სახელმწიფოები უძლურნი აღმოჩნდნენ, როგორც 2008 წლის ომის თავიდან აცილების, ისე, მისი მძიმე შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. საქართველო მათთვის მხოლოდ ნავთობსადენისა და გაზსადენის სარტანზიტო დერეფნად მოიაზრება. სახელისუფლებო წრეებში გაჩნდა იდეა - საქართველოსთვის კავკასიის ისრაელის სტატუსი მიენიჭებინათ. ეს იდეა მუსირებდა ყველა საერთაშორისო დონეზე, შედეგად კი მივიღეთ, საქართველო, არა როგორც კავკასიის ისრაელი, არამედ საქართველო, როგორც კავკასიის პალესტინა. საჭიროა პრაგმატული პოლიტიკის გატარება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი სამხედრო დაპირისპირება და დიალოგის, ასევე, სახალხო დიპლომატიის გზით, აღდგეს დაკარგული ნდობა ოსებთან და აფხაზებთან, რადგან არც ერთ მხარეს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ყველა მათგანს რუსული იმპერიული მანქანა ჩაყლაპვით ემუქრება. ეს თითოეულმა მხარემ უნდა გააცნობიეროს. „ნატო" თავის წესდებით ამბობს, რომ მის შემადგენლობაში მიიღებიან, მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და დაუფიქსირებელი საზღვრები არა აქვთ.
5. ცნობილი ამერიკელი დიპლომატის, მშვიდობის განმტკიცების დარგში, 1973 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის - ჰენრი კისინჯერის (აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977წწ.) აზრით, მსოფლიოში შეუძლებელი არაფერია და არაფერი არ ხდება ისეთი, რაც არ მომხდარა წარსულში და არ მოხდება მომავალში. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ის სისტემა, რომელიც ქვეყანას მოსალოდნელი საფრთხეებისგან დაიხსნის და შესაძლებლობას მისცემს მომავალში, ტერიტორიული საზღვრების ერთიანობისა და მთლიანობის, ასევე, ოსების და აფხაზების ნდობის აღსადგენად. 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ აჩვენა, რომ მხოლოდ დასავლეთის მოკავშირეების იმედად ყოფნა, საქართველოს რეგიონული კონფლიქტების პრობლემას ვერ გადაჭრის.
6. რუსეთ - საქართველოს ომი, ეს არ იყო საქართველო-ოსეთის ან საქართველო - აფხაზეთის ომი. ეს იყო აშშ-სა და რუსეთის კონფრონტაცია საქართველოს

ტერიტორიაზე, რომელიც რაღაც პერიოდით, მათ შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. საჭიროაა, რომ საქართველომ გამოიმუშაოს გონივრული და რეალისტური საგარეო პრინციპები და პრიორიტეტები, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მშვიდობას და სამშვიდობო-სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებას. ამასთან, საჭიროა ქვეყანამ ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში განახორციელოს სვლა ევროპული ინტეგრაციისაკენ და რაც ყველაზე მთავარია, დაიწყოს რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი დიალოგი, რომელიც ხელს შეუწყობს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დარეგულირებას, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს; თუ კი ეს, ამჯერად, პირდაპირი დილოგის გზით ვერ მოხდება, დიალოგი უნდა განხორციელდეს ნებისმიერი შუამავლის მეშვეობით.

7. სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამავდროულად, რთული რეგიონია და საქართველოც მუდმივად გეოპოლიტიკური ძვრების პროცესში იმყოფება. კავკასიაში მოუხსნელად დგას ომისა და მშვიდობის საკითხი და აქ იგულისმება არა მარტო საქართველო, ასევე, სომხეთი და აზერნაიჯანიც, რომელთა შორის სამხედრო კონფრონტაციის განახლებამ შეიძლება სხვა ქვეყნების ჩართულობა და გრძელვადიანი სისხლისღვრა გამოიწვიოს. ამ ვითარებაში კი საქართველო, რომელიც ინტენსიურად მონაწილეობს ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ პროექტებში (ნავთობსადენი, გაზსადენი, აბრეშუმის გზა, სარკინიგზო მაგისტრალი, ევრაზიული დერეფანი და სხვა), ზუსტად უნდა გაიაზროს მისი ფუნქცია. საქართველოს პოლიტიკურმა წრეებმა საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ საქართველოს, გარდა სატრანზიტო ქვეყნისა და ბუნებრივი გეოგრაფიული დერეფნის დატვირთვისა, აქვს უფრო მნიშვნელოვანი გეოცივილიზაციური ფუნქცია. კერძოდ, მას აქვს შანსი, იქცეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მუდმივი დიალოგისა და თანამშრომლობის ტრანსსივრცედ.

8. სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ოსებთან და აფხაზებთან ერთად, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე წარმოუდგენელია. ამის გარეშე, შეუძლებელია საუბარი პრობლემების მოგვარებაზე, დეოკუპაციის საკითხებზე,

ინტერესთა გაცვლაზე. არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ზეწოლა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, დიალოგისა და მოლაპარაკების გარეშე, ინტერესების გაცვლის გარეშე, რაიმე ტიპის ცვლილებებს განახორციელებს, დღევანდელ „სტატუს ქვოს"-თან მიმართებაში. ამას ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უდიდესი ძალისხმევისა და შრომის ფასად უნდა მიაღწიოს. საჭიროა გონივრული, რეალური და ურთიერთინტერესთა გაცვლაზე დაფუძნებული პრაგმატული პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც, უბრალოდ, სამეზობლო პოლიტიკა ჰქვია. დემარშებისა და კონფრონტაციის გზა დამღუპველი გზაა. ერთადერთი გზა ურთიერთმიმართ ნდობის აღდგენის, სიძნელეთა დაძლევის და თანამშრომლობის გზაზე გადის. ამასთან, საქართველოს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების, ასევე, რუსული აგრესიის შემაჩერებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, კვლავ, ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები რჩებიან, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ქვეყნის „ნატო"-ში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება განიხილება. ამას ითხოვს ერთიანი ქართული სახელმწიფოს მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილება, (1922).** ჟურნალი მოამბე, #27:81-84.
2. **ალექსიძე, ლ. (2010).** *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი,* თბილისი: საგამომცემლო სახლი ინოვაცია.
3. **ალექსაია, ს. (2013).** *აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები,* დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.

4. **აგვისტოს ნანგრევებში, არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ (2009).** ნაშრომის შექმნაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ადამიანის უფლებათა ცენტრი „21-ე საუკუნე“, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.
5. **ამერიკის კონგრესი რუსეთს:** დატოვე საქართველოს ტერიტორია, http://www.radiotavisupleba.ge/a/amerikis-kongresis-rezolutsia/27977858.html (მოძიებულია 20.09.2016).
6. **ასმუსი, რ. (2010).** *მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი,* (გ. ჭუმბურიძე, მთარგმნელი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. **ბიბილური, მ. (რედაქტორი), (2012).** *ომის სხვა სახე,* არასამთავრობო ორგანიზაცია„მეგობრობისხიდიქართლოსი“,გორი,http://qartlosi.org/cms/1364146520 (მოძიებულია 5.08.2015).
8. **ბახტაძე, უ. (1968).** *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა,* თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
9. **ბერნდონერი, მ. (1992).** *ცნობები ჩვენი აფხაზეთიდან,* ჟურნალი მებრძოლი საქართველო, პარიზი, # 32 (50): 6-7.
10. **ბლუაშვილი, უ. (2005).** *ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?,* თბილისი: გამომცემლობა ცის ნამი.
11. **ბორჩგრევნიკი, ო., და ეკელოვე-სლიდალი, გ. (2011)** ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიში: *არ შეუძლია? თუ არ უნდა? არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე,* www.humanrights.ge (მოძიებულია 11.08.2016).
12. **გამახარია, ჯ. (1991).** *ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა საქართველო.

13. **გამახარია, ჯ. (2004).** *ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.),* თბილისი: გამომცემლობა ლიკა.
14. **გამახარია, ჯ. (პროექტის ხელმძღვანელი), ახალაძე, ლ., ბარამიძე, მ., ზერაძე, თ., ბითაძე, ლ., გელენავა, ი., გვანცელაძე, თ., გოგია, ბ., ოკუჯავა, კ., ფხაკაძე, გ., ხვისტანი, რ., ხორავა, ბ., და ჯოჯუა, დ. (2007).** *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე.* თბილისი: ინტელექტი.
15. **გასვიანი, გ., და გასვიანი, თ. (2005).** *აფხაზეთის ომი,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
16. **გელაშვილი, გ. (2011).** *2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება,* გორი: გამომცემლობა ქართლი.
17. **გამყრელიძე, ბ. (1997).** *ოსთა მიგრაციული და ეთნოსოციალური პროცესები კავკასიაში,* კრებული: `საქართველო ევროპა-ამერიკა~, #2: 25-31.
18. **გოლცი, თ. (2014).** *საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში.* (გ. ქოიავა, მთარგმნელი). თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.
19. **გრიგოლია, თ. (2009).** *ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველო,* სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, ბათუმი, ტ. 3: 240-247.
20. **გაბედავა, მ. (2009).** *რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი,* თბილისი: გამომცემლობა ნეკერი.
21. **გამისონია, ნ., და პერტაია, დ. (2009).** *რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.**დაუშვილი, ა. (2013).** *ფიცი მწამს - ბოლო მაკვირვებს!... რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბილისი, 2010, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) გამოცემის გამო“,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
22. **დადგენილება #30, (1921).** ჟურნალი მოამბე (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველკვირეული ორგანო), #15, თბილისი, გვ.14-15.

23. **დიასამიძე, თ. (2004).** *აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული,* თბილისი: რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი.
24. **ვადაჭკორია, შ. (2009).** *ოსების 1918 წლის აჯანყებების თავისებურებები და ოსი სეპარატისტების განიარაღების მცდელობის ასახვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში,* ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (6):106-133.
25. **ვახტანგიშვილი, ს. (2013, 11 ოქტომბერი).** *მცოცავი ოკუპაციის შედეგად 55 ჰექტარი მიწა მავთულხლართებში მოექცა,* გაზეთი ახალი თაობა, გვ. 3.
26. **ზაქარეიშვილი, პ., დარჩიაშვილი, დ., ხაინდრავა, ი., ხიდაშელი, თ., კუბლაშვილი, პ., გოგია, ი. ჯორბენაძე, ო., შერგელაშვილი, თ., მირზიაშვილი, ტოკლიკიშვილი გ., და მაისაშვილი, გ. (2005).** *ქართულ - ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ,* თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.
27. **თოიძე, ლ. (1990).** *25 თებერვლის შემდეგ,* თბილისი: მეცნიერება.
28. **თოიძე, ლ. (1991).** *როგორ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი,* თბილისი: მეცნიერება.
29. **თოიძე, ლ. (1999).** *საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები),* თბილისი: მეცნიერება.
30. **თოფჩიშვილი, რ. (1997).** *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები,* თბილისი: ლომისი.
31. **თოფჩიშვილი, რ. (2009).** *ოსთა საქართველოში განსახლებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემები,* კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XI: 5-12.
32. **თორია, მ. (2009).** *იდენტობის ძიების და ეთნიკური მობილიზაციის როლი XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაციაში,* კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XI: 113-125.

33. **ითონიშვილი, ვ. (1995)**. *ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა ლეგია.

34. **კვესელავა, ი. (1999).** *`საქართველო XX საუკუნის 70-80-იან წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა)",* დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.

35. **კოსტავა, მ. (1990. 27 თებერვალი).** *ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში,* გაზეთი საქართველო, გვ. 4.

36. **კერესელიძე, ლ. (2009).** *როგორ გვაცლიდნენ აფხაზეთს,* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალი საარქივო მოამბე, სპეცნომერი-აფხაზეთი, #6: 4-29.

37. **კვარაცხელია ბ. (2012).** *რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში და საერთაშორისო თანამეგობრობა,* თბილისი: უნივერსალი.

38. **ლაცუზბაია, დ., ყოლბაია, ვ., გელანტია, რ., და ჭახრაკია, თ. (1999).** *აფხაზეთის ლაბირინთი,* თბილისი: გამომცემლობა არხატი.

39. **მჭედლიძე, გ. (1999).** *ისტორია უდისტანციოდ,* ქუთაისი: სტამბის საგამომცემლო ცენტრი.

40. **მამუკელაშვილი, ე. (2013).** *ცივი აგვისტო (წიგნი პირველი -აფხაზეთი (1992-1993 წწ.),* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

41. **მამუკელაშვილი, ე. (2013).** *ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა),* წიგნი მეორე - ცხინვალი (2008), თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

42. **მალაშხია, შ. (2011).** *კონფლიქტების ანატომია,* თბილისი: გამომცემლობა ფორმა.

43. **მამრაძე, პ. (2012).** *ავანტიურა 08.08.08,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა.

44. **მაცაბერიძე მ. (2014).** კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი. სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა, თემა 6, თსუ: თბილისი.

45. პაპასქირი, ზ. (2007). *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი 2, 1917-1993,* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა.
46. პავლიაშვილი, დ. (1998). *„შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა,* თბილისი: გამომცემლობა ირმისა.
47. პერტაია, დ. (2011). *აგვისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
48. ქიდკოვი, ს. (2011, 15 დეკემბერი). ინტერვიუ ს. ბაღაფშთან, *ბაღაფშის 4 დღე – უცნობი დეტალები აფხაზეთის ომის პირველი დღეებიდან,* კვირის პალიტრა“, #16, გვ. 2.
49. რუსეთის პატრიარქი ალექსი II. (1991, 5 თებერვალი). *Еще раз о силе слов,* გაზ.ეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, გვ. 3.
50. სახაროვი, ა. (1989, ივლისი). *თავისუფლების ხარისხი,* ჟურნალი ოგონიოკი, #32: 3-4.
51. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებისა და დამატებების შესახებ, (თბილისი, 18 ნოემბერი, 1989 წელი). (1990). საქართველოს სსრ საბჭოს უწყებები, #11: 16-35, თბილისი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, #15: 303-308.
52. საქართველოს მთავრობის ინიციატივა „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მშვიდობიანდარეგულირებასთანდაკავშირებით,http://207.218.249.154/geo/article.php?id=9252 (მოძიებულია 07.05.2016).
53. საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედრაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესიის შესახებ. (2009). www.parliament.ge (მოძიებულია 15.07.2015).
54. საქართველოს საგარეო პოლიტიკა, იდეალები და ინტერესები. (1996, 11 იანვარი). ნეზავისიმაია გაზეტა, გვ. 3.

55. **საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭო** – (1938-1989 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ეწოდებოდა, ხოლო 1989-1990 წლებში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო) საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო, ეწეოდა უმაღლეს საკანონმდებლო საქმიანობას, მონაწილეობას იღებდა აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს – მინისტრთა კაბინეტის (1990 წლამდე მინისტრთა საბჭოს) ფორმირებაში, ირჩევდა უმაღლეს სასამართლოს და კონტროლს უწევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას. უზენაესი საბჭოს ადგილსამყოფელი იყო ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #8. უზენაესი საბჭოს წინამორბედი იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც 1922-1938 წლებში მოქმედებდა. 1995 წლიდან, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ის საქართველოს პარლამენტმა ჩაანაცვლა. 1990 წლის 28 ოქტომბერს, პირველად საქართველოს სსრ ისტორიაში, უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგად საქართველოში კომუნისტური პარტიის მმართველობა დასრულდა. უზენაესმა საბჭომ რეალურად შეიძინა წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია და დამოუკიდებლად დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება. უზენაესმა საბჭომ ფუნქციონირება 1991 წლის ბოლოს შეწყვიტა, საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების გამო და 1994 წლამდე დევნილობაში განაგრძობდა მოღვაწეობას. 1992 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებაში მოვიდა სამხედრო საბჭო, რომელმაც შეაჩერა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის მოქმედება და კანონგარეშე გამოაცხადა უზენაესი საბჭო, აღადგინა რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ, 1921 წელს, მიღებული კონსტიტუცია.
56. **„სუსლოვის სული“, „L’âme de Souslov“.** (2003, 1 **იანვარი**). ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“ (La Géorgie Combattante), (ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო), პარიზი, # 32 (50): 13-14.
57. **სონღულაშვილი, ა.** (1993). *ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე,* მაცნე, ისტორიის სერია, #1: 35-41.

58. **სონღულაშვილი, ა. (2009).** *ეთნოკონფლიქტები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში,* საისტორიო ალმანახი კლიო, #4: 28-32.
59. **სონღულაშვილი, ა.** (2009). *სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
60. **სონღულაშვილი, ა. (2007).** *აფხაზი თუ აფსუა?,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
61. **სარალიძე, ლ. (2008).** *ცხინვალის რეგიონის ისტორიიდან,* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #2: 220-229.
62. **სარალიძე, ლ. (2009).** *საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან,* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #2 (6): 145-160.
63. **სარალიძე, ლ. (2010).** *ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.)",* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7): 132-168.
64. **სარალიძე, ლ. (2010).** *ევროკავშირი და საქართველო (კონფლიქტების მოგვარების ევროპული გზა),* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #2 (8): 257-275.
65. **სარალიძე, ლ. (2012).** *საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან (2008 წლის ოქტომბერი-2012 წწ.),* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #1 (11): 90-114.
66. **სარალიძე, ლ. (2015).** *საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან,* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #1 (16): 48-70.
67. **ტალიავინის კომისიის დასკვნა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში. (2009, 13 აგვისტო),** კვირის პალიტრა, **www.kvirispalitra.ge/politic/878-daskvna.html** (მოძიებულია 8.09.2015).

68. ფრაგმენტები კომისიის დასკვნიდან - „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში“, საიტზე: www.radiotavisupleba.ge (მოძიებულია 15.08.2015
69. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (1991). თბილისი: ცოდნა.
70. ქირია, ზ. (2005). *ოსთა საკითხი და ქართული სინამდვილე 1921-1940,* თბილისი: გამომცემლობა ხატულა.
71. ქარაია, რ. (2013, 3-4 აგვისტო). *რატომ ცდილობენ რუსები საქართველოსთვის კომანის ველისის წართმევას,* #182 (6183), გაზეთი ახალი თაობა. გვ. 3.
72. ქოქრაშვილი, ხ. (2011). *ნატო-საქართველოს ურთიერთობის ძირითადი მომენტები,* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #2 (10):265-272.
73. ყარყარაშვილი, გ. (2009). *ეს ჩვენი სამშობლო იწვის,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
74. ყალიჩავა, კ. (2016). *რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში,* თბილისი: მერიდიანი.
75. ყოლბაია, ვ. (1999). *აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები (1989-1999 წწ.*), ნაწილი I, თბილისი.
76. შარაძე, გ. (2003). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია,* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება მეცნიერება.
77. შველიძე, დ. (2012). *გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული),* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
78. შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992 წწ.,* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.
79. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (1921, 10 სექტემბერი). დადგენილება #30, ჟურნალი მოამბე, #15: 14.
80. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 10, ფურც. 121.
81. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 48, ფურც. 12-13).

82. შაშკინი, დ. *რუსეთი გააჩერა ქართულმა ჯარმა, საერთაშორისო მხარდაჭერამ და აშშ-ს მიერ გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა,* http://news.ge/ge/news/story/147396-ruseti-gaachera-qartulma-jarma-saertashoriso-mkhardacheram-da-ashsh-s-mier-gadadgmulma-konkretulma-nabijebma.
(მოძიებულია 08. 05. 2016).
83. ჩიქოვანი, გ. (1998). *დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის,* კრებული საქართველო, #2: 17-22.
84. ჩიქავა, ი. (2000). *საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრაში,* კრებული საქართველო-ევროპა-ამერიკა, IV:83-90.
85. ციხისთავი, ნ. (2010). *ომი სამართალი მშვიდობა, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი,* თბილისი: HRP.
86. ჭუმბურიძე, დ. (2010). *რუსული კოლონიზაცია აფხაზეთში და დასახლება პარნაუთი,* კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7): 49-63.
87. ხუნდაძე, მ. (1929). *საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით,* ჟურნალი კავკასიონი, პარიზი, #1-2: 5-7.
88. ხოჯევანიშვილი, გ. (2016). *„გაყინული“ კონფლიქტები და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია,* დისერტაცია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
89. ჯოჯუა, დ. (2007). აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ., წიგნში: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი,* თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.
90. ჯოჯუა, დ. (2010). *რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები,* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი
91. ჯანელიძე, ო. (2008). *როგორ იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ახალი საარქივო მასალა),* ჟურნალი ანალები, #3: 562-570.
92. ჯანელიძე, ო. (2013). *ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა საარი.

93. ჯალაბაძე, ნ., ჯანიაშვილი, ლ., მღებრიშვილი, ლ., და ფირცხალავა, ე. (2015). *ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა,* თბილისი: მერიდიანი.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

94. **Astrov, A. (2011).** *The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order,* Ashgate.
95. **Astrov, A. (2011).** *Great Power Management Without Great Powers? The Russian-Georgian War of 2008 and Global Police/Political Order In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order,* Ashgate.
96. **Asmus, R. D. & Holbrooke, R. (2009).** (*Black Sea Watershed,* Washington Post,August11,2008,http://www.wasingtonpost.com/wpdyn/content/article/2008/08/10/AR/2008081001870html (მოძიებულია 30.09.2009).
97. **Asmus, R. D. (2010)** *A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West,* Palgrave: Macmillan.
98. **Blank, S. (2009).** *From Neglect to Duress, The West and the Georgian CrisisBefore the 2008 War*. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E.Cornell and S. Frederick Starr, NY–London: Central Asia-Caucasus Institute. Armonk.
99. **Black, J. L. (2013).** *The Russian Presidency of Dimitry Medvedev, 2008-12. The Next Step Foeward or Merely a Time Out?,* Routledge.
100. **Cohen A. & R. Hamilton, E. (2011).** *The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications,* Strategic Studies Institute, June, p. 99-105.
101. **Cornell S. E. (2008).** Johanna Popjanevski, Niklas Nilsson, *Russia's War in Georgia: Causes and Implications for Georgia and the World,* Massachusetts, Washington, p. 3-9.
102. **Cornell, S. E. & Starr, F. (2009).** *The Guns of August 2008,* Central Asia-Caucasus Institute, NY - London: Armonk.

103. **Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict**. **(2009).** published by the Danish Association for Research on the Caucasus, at www.caucasus.dk (მოძიებულია 15.06.2016).

104. **Christoph, H. Stefes & Julie, A. George. (2010).** *The Battles after the Battle: Interna-tional Law and the Russia-Georgia Conflict. In: Conflict in the Caucasus.Implications for International Legal Order,* Edited by James A. Green & Christopher P. M. Waters, New York: Palgrave Macmillan.

105. **Dworkin, A. (2009).** *The Georgia Conflict and International Law, August 26, 2008,* for Crimes of War Project), Definition of Agression. (1974).

106. United Nations GA Res. 3314, 29th session, December 14, **www.un-documents.net/a29r3314.htm** (მოძიებულია 10.08.2016).

107. **Felgenhauer, P. (2009).** *After August 7: The Escalation of the Russia-GeorgiaWar*. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S.Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

108. **Georgia Condemns Duma's Call for S. Ossetia, Abkhaz Recognition, 24 March, 2008,** Civil Georgia, at http://www.civil.ge/eng/article.php?id=17433; Russia Moves toLegalizeTieswithAbkhazia, S.Ossetia,16April,2008,CivilGeorgia,http://www.civil.ge/eng/article.php?id=17638, (მოძიებულია 28.07.2016).

109. **Goltz., T. (2009).** *The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos*. – In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell & S. Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute NY-London:Armonk.

110. **Green, J. A. & Waters C. P. (2010).** *Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order,* New York: Palgrave Macmillan.

111. **Independent International** Fact-Finding Mission on the conflict in Georgia **(2009).** September, volumes 3.

112. **Ilarionov, A. (2009).** *The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008.* In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell & S.Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

113. **Green, J. A. (2010).** *Passportisation, Peacekeepers and Proportionality: The Russian Claim of the Protection of Nationals Abroad in Self-Defence.* In:Conflict in

the Caucasus. Implications for International Legal Order. Editedby James A. Green and Christopher P. M. Waters, New York: Palgrave Macmillan.

114. **Goble, P. A. (2009).** *Defining Victory and Defeat*, In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S.Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

115. **Haas, M. (2010).** *Russia's Foreign Security Policy in the 21st Century. Putin,Medvedev and Beyond.* Routledge.

116. **Jafarova, E. (2015).** *Conflict Resolution in South Caucasus. Challenges to international Efforts*, New York, London: Lexington Books.

117. **Kernen B. & Sussex, M. (2012).** *The Russo-Georgian War,* In: Conflict in the Former USSR , New York: Edited by Matthew Sussex, Cambridge University Press.

118. **Kukhianidze, A. Kupatadze, A. Gotsiridze R. (2004).** *Smugguling through Abkhazia and Tskhinvali region of Georgia*, Tbilisi: published by American University, Transnational Crime and Corruption Center Georgia Office.

119. **Kogan, E. (2013).** *Russian-Georgian Relations and the Reaction from the European Union*, Tbilisi:Georgian Foundation for Strategic and International Studies, **gfsis.org/library/opinion-paper** (მოძიებულია 12.03.2015).

120. **Kakachia, K. & Cecire, M. (2013).** *Georgian Foreing Policy. The Quest for Sustainable Security,* Konrad-Adenauer Stiftung.

121. **Lucas, E. (2008).** *The New Cold War Putin's Russia and the Threat to the West,* Palgrave: Macnillan.

122. **Law library of congress (2008)** document # 2008-01474: *Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia*, by Peter Roudik, Chief, Easter Law Devision, September 12, Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia,volumeI,**https://www.foreignaffairs.com/.../2008-05.../congress-w** (მოძიებულია11.03.2014).

123. **Membership Action Plan (MAP) -** წევრობის სამოქმედო გეგმა, „ნატო"-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის შემუშავებული პროგრამა, რომლის ფლობაც „ნატო"-ს წევრობის ტოლფასი არ არის. ვაშინგტონის სამიტის გადაწყვეტილებით, MAP - ის პროგრამა 1999 წლიდან ფუნქციონირებს. MAP - ის პროცესი მოიცავს მონაწილე ქვეყნებისთვის

პოლიტიკური, ასევე, ტექნიკური რჩევების მიცემას. მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან, ყოველწლიური ანგარიში წარადგინონ სხვადასხვა კატეგორიებში: პოლიტიკურ-ეკონომიკურ, თავდაცვის, რესურსების მართვისა და სასამართლო რეფორმის საკითხებში. აღნიშნული სფეროების განვითარება მათ მომავალ წევრობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

124. **Mendras, M. (2012).** *Russian Politics: The Paradox of a weak State*, New York: Columbia University Press.

125. **North Atlantic Treaty Organisation (NATO)** - ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსაგან შემდგარი სახელმწიფო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის მიზანს, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს. ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელწიფოების დაცვის მიზნით, 1949 წლის 4 აპრილს, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დაარსდა.

126. **Nilsson, N. (2009).** *Georgia's Rose Revolution: The Break with the Past.* In:The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. FrederickStarr. Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

127. **Natoli, K. (2010).** *Weaponizing Nationality: An Analysis of Russia's Passport Policy in Georgia,* Boston University School of Law, International Law Journal, volume 28, Summer, Issue 2: 389-414.

128. **Peimani, H. (2009).** *Conflict and Security in Central Asia and Caucasus,* ASC-CLIO, LLC.

129. **Papkova, I. (2011).** *Great Power Misalignment: The United States and the Russo-Georgian Conflict,* In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate,.

130. **Popjanevski, J. (2009).** *.From Sukhumi to Tskhinvali: The Path to War in Georgia.* In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Comell and S.Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

131. **Roudik, P. (2010).** *Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia* http://www.loc.gov/law/help/russian-georgia-war.php(მომიებულია25.05.2016).

132. **Rice, C. (2011).** *No Higher Honor. A Memoirof My Years in Washington*, New York: Crown Publichers.

133. ***Report of the International** Fact-Finding mission on the conflict in Georgia*, volume I, Anthony Dworkin, *The Georgia Conflict and International Law,* August 26, 2008, for Crimes of War Project, http://www.crimesofwar.org/onnews/news-georgia.html(მომიებულია 17.06.2016).

134. ***Reports: Russia** will not Revoke April 16 Decision, 11 July, 2008*, Civil Georgia, at http://www.civil.ge/ eng/article.php?id=18753 73 Increase in Troops by Russia in Abkhazia „not Wise" – Solana 29 April, 2008, Civil Georgia, http:// www.civil.ge/eng/article.php?id=17724 74, (მომიებულია 10.03.2016).

135. **Smith, David J. (2009).** *The Saakashvili Administration's Reaction to Russian Policies Before the 2008 War*. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E.Cornell and S. Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.

136. **Sherr, J. (2009).** *The Implications of the Russia-Georgia War for European Security.* In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S.Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London.

137. **Sussex, M. (2012).** *Conflict in the Former USSR,* New York: Cambridge University Press.

138. **Sussex, M. (2012).** *Conclusions: The Future of conflict in the former USSR*, In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. New York: Cambridge University Press.

139. **Sakwa, R. (2012).** *Great Powers and Small Wars in the Caucasus,* In: Conflictin the Former USSR, Edited by Matthew Sussex, New York: Cambridge University Press.

140. **Stephan Jones (2012).** *A political History Sinse Independence,* London-New York.

141. **Thomas, D. C. (2001).** *The Helsinki effect international norms Human Rights and the Demise of Communism,* The United States of America: Published by Princeton University Press.

142. **Waal, T. (2010).** *The Caucasus. An Introduction,* New York: Oxford University Press.

143. **Breault, Y., Jolicoeur, P., & Levesque, J. (2003).** *La Russie et son ex-empire, reconfiguration geopolitique de l'ancien espace Sovietique* (რუსეთი და და მისი ყოფილი სამფლობელოები, პოსტსაბჭოთა სივრცის ხელახალი გადანაწილება), Paris: Presse de Sciences Po.

144. **Radvanyi, J. (2003).** *les Etats postsoviétiques, identités en construction, transformations politiques, trajectoires économiques,* Paris: Armand Colin.

145. **Thual, F. (2001).** *Le Caucase: Armeni, Azerbaidjan, Dagestan, Georgie, Tchetchenie* (კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი, საქართველო, ჩეჩნეთი), Paris: Dominos, Flammarion.

146. **Бгажба, О. Х., & Лакоба, С. З. (2006).** *История Абхазии. С древнейших времён до наших дней,* 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми.

147. **Бебия, Е. (1998).** *Люди из брони: к истории становления абхазских бронетанковых войск,* Сухум: Абхгосиздат.

148. **Генотсыд: Убийство более двух тысяч мирных граждан не тронуло Западю (2008, 11 август),** Российская газета,Цетральный выпуск №4725, стр.3.

149. ***Газпром» поднимет цены на газ для стран СНГ** и Балтии до* $300-400, http://www.esco-ecosys.narod.ru/2008_5/art020.htm (მოძიებულია 07.01.2016).

150. **Дзидзоев, В. Д. & Дзугаев. (2007).** К. Г. *Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений,* Цхинвали: Владикавказский институт управления.

151. Единение „Айдгылара", (1989. 25 октября), # 1, стр. 3.

152. Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов (1990, № 43,24), Литературная газета, Тбилиси, стр. 11.

153. **Конфликты в Абхазии и Южной Осетии. Документы 1989-2006 гг., (2008).**(Приложение к „Кавказскому Сборнику", Выпуск № 1,Составление и ко мментарии М. А. Волхонский, В. А.Захаров, Н. Ю. Силаев, Москва: Русская панорама.

154. **Конституция Союза Советских Республик Европы и Азии (проект А. Д. Сахарова). (1989).** Новое время, пер. изд., спец. вып.), № 52: 26-27. ა. სახაროვი

(1921-1989 წწ.), საბჭოთა ფიზიკოსი, დისიდენტი და ადამიანთა უფლებების დამცველი, 1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. ა. სახაროვმა საბჭოთა კავშირის „ახალი კონსტიტუცია" შეიმუშავა. 1989 წლის 8 ივნისს, საბჭოთა კავშირის დეპუტატთა პირველმა ყრილობამ, საკონსტიტუციო კომისია შექმნა, რომლის ერთ-ერთი წევრი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ა. სახაროვი იყო. მისი საკონსტიტუციო იდეა, საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების „ევროპულ-აზიური კავშირის" შექმნას ითვალისწინებდა. პროექტის მიხედვით, აუცილებელი იყო იმპერიის ძალადობრივი გზით გაერთიანების უარყოფა, სუვერენიტეტი, ხალხის თვითგამორკვევა. კონფედერაციის ერთ-ერთ იდეას, სახაროვი ასე განიხილავს: „...უნდა დავიწყოთ იმპერიის სტრუქტურის მთლიანი დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება მოგვარდეს ეროვნული პრობლემები მცირე იმპერიებში, რომლებიც არსებითად, საკავშირო რესპუბლიკებს წარმოადგენენ – მაგალითად, საქართველო, რომელიც შეიცავს აფხაზეთს, ოსეთს და სხვა ეროვნულ წარმონაქმნებს...". ა. სახაროვმა, 1989 წლის 27 ნოემბერს, კონსტიტუციის პროექტი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარუდგინა. იმავე წლის 14 დეკემბერს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

155. **Лакоба, С. (2001).** *Абхазия де факто или Грузия де юре*?, Сухуми: Саппоро.

156. **Медоев, Д. (2014).** *Южная Осетия и политика Росии в закавказе*, Москва: Канон.

157. **Надареишвили, Т. (1998).** *Геноцид в Абхазии*, Тбилиси: Самшобло.

158. **На юге Осетии и снег горел (2006**). (ოსეთის სამხრეთში თოვლიც კი იწვოდა), по материалам периодической печати в четырех томах, Том I, Цхинвал: Южная Алания.

159. **О поиске причин, динамики, путей урегулирования и возможных направлениях развития Грузино-Осетинского конфликта (Анализ и рекомендации независимых экспертов Грузинской и Осетинской сторон), (2006).** Отчеты, анализ, рекомендации, №2, Владикавказ: Клуб Гражданское общество (РЮО).

160. **Содружество Независимых Государств – СНГ** (დსთ) - ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება (ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესახებ

161. **Червонная, С. (1993).** *Абхазия-1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917- 1992),* Москва: Мосгорпечать.

162. **Южная Осетия, хроника событий грузинской агрессии 1988-1992, *South Ossetia, chronicle of event of the Georgian agrression 1988-1992.*** (1996). (Составители: Б.Е.Чочиев и М.К.Джиоев. Рецензент: К.П. Пухаев. Печатается по Постановлению Президиума Верховного Совета Республики Южная Осетия). Цхинвал: Государственный комитет по делам национальностей и миграции РЮО.

დანართი

ზვიად გამსახურდიას პასუხი ანდრეი სახაროვისადმი აფხაზეთის და სამაჩაბლოს შესახებ. (ჟურნალ „ოგონიოკში" (#32, 1989 წ.) დაიბეჭდა ანდრეი სახაროვის ინტერვიუ, სადაც ის მოდიფიცირებული საბჭოთა კავშირისთვის განახლებულ ერთობას მოითხოვდა. აი რას სთავაზობდა ის ყოფილ რესპუბლიკებს:

„მე ვიძლევი კონფედერაციის წინადადებას. ყველა რესპუბლიკას - მოკავშირესაც და ავტონომიურსაც, ავტონომიურ ოლქებს, ნაციონალურ ოკრუგებს უნდა მიეცეთ თანაბარი უფლება, ამჟამინდელი ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნებით. ყველა მათგანმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. მათი სუვერენიტეტი მინიმალურად უნდა იქნეს შეზღუდული ერთობლივი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საკითხებით...

დანარჩენში ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და ასე უნდა მოაწერონ ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას... უნდა დავიწყოთ იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება ნაციონალური პრობლემის გადაჭრა მცირე იმპერიებში, როგორებადაც არსებითად გვევლინებიან რესპუბლიკები - მაგალითად, საქართველო, რომლის შემადგენლობაშიც მოქცეული არიან აფხაზეთი, ოსეთი და სხვა წარმონაქმნები. თუკი საქართველოთი დავიწყებთ და რსფსრ-ში იგივეს არ გავაკეთებთ, წარმოიქმნება დიდი სირთულეები, ხოლო თუ კონფედერაციად გადაკეთება მოხდება მთელ უზარმაზარ ქვეყნებში, საქმე გაიოლდება...“

ზვიად გამსახურდიას პასუხი ანდრეი სახაროვს. (ზ. გამსახურდიას პასუხი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“ დაიბეჭდა, სათაურით: „ობიექტურობის ხარისხი - ღია წერილი ანდრეი სახაროვს“). ზ. გამსახურდია წერს: „თქვენ ჩაერთეთ ანტიქართულ კამპანიაში და საქართველო გამოაცხადეთ „იმპერიად“, რომელმაც თითქოსდა თავის შემადგენლობაში გაიერთიანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები („ოგონიოკი“ #31). სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, რატომღაც ყოველთვის ავლენდით განსაცვიფრებელ გაუთვითცნობიერებლობას კავკასიის ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხებში. მაგალითად, 1973 წელს თქვენი ეგიდით გამომავალმა არაოფიციალური თვითგამოცემის ჟურნალმა „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკამ“ („Хроника текущих событий“) გამოაქვეყნა წერილი: „თურქ-მესხთა მოძრაობა სამშობლოში დასაბრუნებლად“. არადა „თურქი მესხები“, ისევე არ არსებობენ ბუნებაში, როგორც შოტლანდიელი ჩინელები. ეს ტერმინი მოგონილია ქართველ მუსულმანთა წრის გაუნათლებელი, ბნელი ადამიანების მიერ, რომლებიც ვერ არჩევენ რელიგიასა და ეროვნებას ერთმანეთისგან - თავს თვლიან თურქებად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუსულმანები არიან. მაგრამ თქვენ, მეცნიერი, აკადემიკოსი ხომ უნდა გრძნობდეთ ამ განსხვავებას, ან დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მაინც ჩაგეხედათ (იხ. სტატია მესხების შესახებ). ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ჩვენ წარმოგიდგენთ, თქვენ და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფს, ცნობას მესხების, როგორც ქართული ტომის თაობაზე, მომზადებული მიკლუხო-მაკლაის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ, რის შედეგადაც შეიქმნა მოსკოვის ჰელსინკის

ჯგუფის ცნობილი დოკუმენტი „მესხთა მდგომარეობის შესახებ“. ახლა კი თქვენ იგივეს აგრძელებთ. თქვენ მიერ „ოგონიოკში“ გაკეთებული განცხადებით დაამტკიცეთ, რომ არ იცით ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობა და არც ის, თუ რა მიმართება გააჩნია მას ტერმინ „საქართველოსთან“. რათა არ შევაწყინოთ თავი სხვადასხვა ისტორიკოსების ნაშრომთა ციტირებით, კვლავ დავეყრდნობი დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო ადგილობრივი ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბება. აფხაზეთი მაშინ კოლხიდის, ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა“. ასე რომ, როგორც ხედავთ, აფხაზეთი ძველთაგანვე საქართველოს ნაწილი იყო. კიდევ მეტი აფხაზეთად იწოდებოდა დასავლეთ საქართველო, ზოგჯერ მთელი საქართველოც, როგორც, მაგალითად, ნიზამი განჯელის ცნობილ პოემა „ისკანდერ ნამეში“ (XII ს.), სადაც აფხაზეთის (საქართველოს) დედაქალაქად დასახელებულია ტფილისი. ასე რომ, აფხაზეთი საქართველოს მეორე სახელია, ისევე როგორც ალბიონი - მეორე სახელია ინგლისის. თუმცაღა ახლანდელ დროში „აფხაზებს“ არასწორად უწოდებენ ჩერქეზთა მონათესავე აფსუათა ჩრდიოლოეთ-კავკასიურ, ადიღეურ ტომს, რომელიც XVII საუკუნიდან იპყრობს ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, ახდენს იქ მცხოვრებ ქართველთა ასიმილირებას და მკვიდრდება იქ. (იხ. აკად. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. 8, ქართულ ენაზე). აი, ვის უწოდებენ დღეს აფხაზებს, როგორც ეგვიპტელ არაბებს - ეგვიპტელებს, ან პალესტინელ არაბებს - პალესტინელებს. ყოველივე ეს არის ისტორიისა და ეტიმოლოგიის ანბანი, რასაც დღეს აყალბებენ მოსკოველი და აფსუელი ცრუ მეცნიერები, საქართველოსგან მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მოწყვეტის საძრახისი მიზნით; და დღეს თქვენ ბანს აძლევთ იმ ფალსიფიკატორებსა და იმპერიალისტებს, რომელთაც გუშინ ამხილებდით სხვა დანაშაულებისათვის. რა გაეწყობა, რაკი თქვენ ერწმუნეთ მითს, რომლის მიხედვითაც ქართველები არიან აფხაზეთის დამპყრობნი, რადგან ის საქართველოს ფარგლებში მოუქცევიათ, გირჩევთ ერთხელ, როდესაც სოხუმში იქნებით დასასვენებლად, მცირედი ექსკურსია მოაწყოთ მდინარე ბესლეთის ხეობაში (ჭანბას ქუჩაზე), სადაც ნახავთ XII საუკუნეში თამარ მეფის მიერ აგებულ ხიდს. იქ არის ფილა შემდეგი წარწერით: „ხიდზე

შემორჩენილია ქართული წარწერა მთავრული ასოებით, მაგრამ სიტყვა „ქართული“ წაშლილია, დარჩენილია მხოლოდ სიტყვა „წარწერა“. საკითხავია ვინ წაშალა? ეტყობა იმათთაგანმა, ვინც ამტკიცებს, რომ აფხაზეთი არასდროს საქართველო არ ყოფილა და ქართველმა იმპერიალისტებმა აფხაზეთი ხელში ჩაიგდეს... XX საუკუნეში! აი, როგორ ადამიანებს აქვთ თქვენზე ზეგავლენა! რაც შეეხება ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“, კვლავ მოგვიწევს თქვენი გადამისამართება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისაკენ: „თანამედროვე ოსების წინაპრები არიან ალანები, რომლებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში... ხოლო XIII საუკუნეში, მონღოლ-თათართა შემოსევის შედეგად, რომლებმაც სამომთაბარეოდ ხელსაყრელი ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები დაიპყრეს, ოსებმა XIII საუკუნის შუახანებიდან დაიწყეს შემოსახლება ცენტრალური კავკასიის (ანუ საქართველოს - ზ. გ.) მთებში“. ასე რომ, როგორც ხედავთ, არც ოსები და არც აფსუები (აფხაზები) არ არიან ქართულ მიწაზე აბორიგენები. ისინი აქ ჩამოგვისახლდნენ, როგორც არაბები ეგვიპტეში და ისრაელის ისტორიულ ტერიტორიებზე. ყველაფერი ეს არის ისტორიისა და გეოგრაფიის ანბანური ჭეშმარიტება. პირად საუბარში თქვენ ჩემთვის, როგორც ფილოლოგისთვის, არაერთგზის მოგიციათ შენიშვნა ატომური ფიზიკის დარგში. ახლა კი ჩემი ჯერია გამხილოთ ჩემი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის უცოდინრობაში. თანაც თქვენ არასოდეს დაგიგმიათ ისრაელი პალესტინელთა წინააღმდეგ მოქმედებისთვის, არ გიწოდებიათ მისთვის „დამპყრობელი“ და „იმპერიალისტი“, რაც უსამართლობა იქნებოდა. მაშ, რა დააშავა თქვენს წინაშე პატარა საქართველომ, საბჭოთა კავშირის ყველაზე შევიწროვებულმა და დისკრიმინირებულმა ხალხმა?“.

ევროსტრუქტურების მიერ მიღებული რეზოლუციები, 2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით (დოკუმენტები აღებულია რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის საიტიდან **www.rrc.ge** მოძიებულია 15.07.2016)

ევროპარლამენტი

2008 წლის 5 ივნისი

საქართველოს შესახებ მიღებული წინა რეზოლუციების, სახელდობრ, 2006 წლის 26 ოქტომბრის და 2007 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციების გათვალისწინებით, 2007 წლის 15 ნოემბერს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) გააქტიურებისა და 2008 წლის 17 იანვარს სამხრეთ კავკასიის საკითხებზე ევროკავშირის უფრო ეფექტური პოლიტიკისა და შავი ზღვის რეგიონალური პოლიტიკის განსაზღვრის რეზოლუციების გათვალისწინებით, ევროგაერთიანებასა და მის წევრ ქვეყნებს, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის 1999 წლის 1 ივლისს ძალაში შესული ხელშეკრულების შესაბამისად, 2006 წლის 14 ნოემბერს, ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს მიერ დამტკიცებული ესპ-ს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, შესაბამისად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, 2008 წლის 15 აპრილს, მიღებული 1808 (2008) რეზოლუციის, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ახანგრძლივებს გაეროს დამკვირვებელთა (UNOMIG) მანდატს 2008 წლის 15 ოქტომბრამდე, - ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ 2008 წლის 28-30 აპრილს მიღებული რეკომენდაციების თანახმად,

- გათვალისწინებით ევროკავშირის საბჭოს სლოვენიელი თავმჯდომარის მიერ ევროკავშირის სახელით, 2008 წლის 18 აპრილსა და 2 მაისს, გამოთქმული დეკლარაციებისა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ესკალაციის შესახებ, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის, 2008 წლის 22 მაისის, წინასწარი შედეგებისა და დასკვნების თაობაზე გაკეთებული განცხადების შესაბამისად, გაეროს დამკვირვებელთა მისიის მიერ, 2008 წლის 26, მაისს ქართული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ წარმოებული გამოძიების თანახმად, 2008 წლის 26 მაისს, ზოგადი საკითხებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით, საკუთარი რეგლამენტის 103 (4)-ე წესის შესაბამისად:

ა. ვითვალისწინებით რა, რომ ევროკავშირი რჩება მომხრედ საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების და მხარს უჭერს აუცილობელ

პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებსა და ზომებს სოლიდური და კომპეტენტური დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ეფექტური და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, აგრეთვე, კორუფციასთან ბრძოლის მცდელობას და ამგვარად, მშვიდობიანი და კეთილდღეობის მქონე საქართველოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სტაბილურობას რეგიონსა და დანარჩენ ევროპაში.

ბ. მხედველობაში მიღებით იმ ფაქტის, რომ რუსეთის სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, მიეცათ დავალება დაამკვიდრონ ოფიციალური ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან;

გ. ვიღებთ რა მხედველობაში იმ ფაქტს, რომ რუსეთის ფედერაცია გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ხელმძღვანელთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვითაც ხელმომწერ ქვეყნებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის სამხედრო თანამშრომლობა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან;

დ. ვითვალისწინებთ რა, რომ 2008 წლის მაისში, რუსეთმა ცალმხრივად მოახდინა დამატებითი საჯარისო ნაწილების განთავსება, შეიყვანა მძიმე არტილერია აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო მისიის ეგიდით და განაცხადა საკუთარი განზრახვის შესახებ დააწესოს 15 საკონტოლო გამშვები პუნქტი ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებაზე; ვიღებთ რა მხედველობაში რუსეთის წარმომადგენლების განცხადებას, რომ შესაძლოა გაიზარდოს საჯარისო ფორმირებების რაოდენობა „სამხრეთ ოსეთში“ განთავსებულ რუსულ ბატალიონში;

ე. ვითვალისწინებთ რა, რომ 2008 წლის 20 აპრილს, ქართული მზვერავი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოგდებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე; ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გაეროს დამკვირვებელთა მისიის მიერ ინციდენტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი ჩამოგდებული იყო რუსული თვითმფრინავის მიერ; ვითვალისწინებთ რა, რომ ამ მოხსენების შესაბამისად საქართველომ უნდა შეწყვიტოს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავების გაშვება აფხაზეთის მიმართულებით,

ვ. ავღნიშნავთ რა იმ ფაქტს, რომ 2007 წლის ოქტომბრიდან არ შემდგარა მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრები გაეროს ეგიდით ქართველ და აფხაზ წამომადგენლებს შორის; ვითვალისწინებთ რა იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა ახალი შემოთავაზებები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე, რომლებშიც გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის უმაღლეს დონეზე ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობა, ვეტოს უფლების მინიჭება აფხაზეთის კანონმდებლობასთან დაკავშირებით და ფართო ფედერალიზმის, შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების უზრუნველყოფა;

ზ. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საქართველომ გადადგა ოფიციალური ნაბიჯები, რომლებიც მოუწოდებს არსებული სამშვიდობო ფორმატის გადახედვას ან აფხაზეთში, ამჟამად, განთავსებული რუსული სამშვიდობო კონტინგენტის ჩანაცვლებას;

თ. ვითვალისწინებთ რა, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის 15 მაისს მიიღო რეზოლუცია A/RH/62/249, რომელიც აღიარებს „ეთნიკური კუთვნილების განურჩევლად, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისა და მათი შთამომავლების“ უფლებას დაბრუნდნენ აფხაზეთში და ხაზგასმით აღნიშნავს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების, აღნიშნული „ეთნიკური წმენდის“ მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების ჩათვლით, საკუთრების უფლების შენარჩუნების მნიშვნელობას;

ი. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში შეწყვიტეს ორმხრივი მოლაპარაკებები მოსკოვთან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით, გამოთქვამენ რა პროტესტს რუსეთის გადაწყვეტილების მიმართებაში გააქტიუროს თანამშრომლობა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან; ვითვალისწინებთ რა, რომ გრძელდება რუსეთის ემბარგო ქართულ ღვინოსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე;

კ. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 2008 წლის 5 იანვარს, საქართველოში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა პლებისციტი; ვითვალისწინებთ რა, რომ 2008 წლის 2-4 აპრილს

ბუქარესტში ჩატარებულ ნატო-ს სამიტზე საქართველოს არ შესთავაზეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, არამედ გამოითქვა პოლიტიკური ნება გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე;

ლ. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რომელიც მათ აძლევთ საშუალებას ისარგებლონ ევროკავშირ-რუსეთის სავიზო ხელშეწყობის შესახებ შეთანხმებით, მნიშვნელოვნად უარეს სიტუაციაში აყენებს საქართველოს მოქალაქეებს, რადგანაც მსგავსი ხელშეკრულება, ჯერჯერობით, არ არის გაფორმებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის;

მ. ვითვალისწინებთ რა, რომ მიუხედავად გაწეული მცდელობისა, საქართველოში, არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის მიერ იდენტიფიცირებული იყო ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას დროთა განმავლობაში;

ევროპარლამენტი:

1. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას აფხაზეთში სიტუაციის ესკალაციის გამო და მოუწოდებს ყველა მხარეს თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სიტუაციის შემდგომი გამწვავება; მოუწოდებს საერთაშორისო ძალისხმევის განახლებისაკენ მხარეების დიალოგის რეჟიმში დასაბრუნებლად და სამშვიდობო პროცესის განსაახლებლად გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი გადაწყვეტის მიღწევის მიზნით;

2. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის განცხადების თაობაზე, რომ ის დაამყარებს ოფიციალურ ურთიერთობას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ინსტიტუტებთან; ამ მიმართებით, გმობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ 2008 წლის 31 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად გააგზავნოს საკუთარი ძალები აფხაზეთში რკინიგზისა და საგზაო ინფრასტრუქტურის აღსადგენად ამ სეპარატისტულ რეგიონში;

3. ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას **საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ**

საზღვრებში და მოუწოდებს რუსეთს შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უშლის საერთაშორისო სამშვიდობო ძალისხმევას, რომელშიც მონაწილეობს რუსეთიც;

4. მხარს უჭერს ძალისხმევას, რომელიც მიმდინარეობს სიტუაციის განსამუხტავად საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (სსუს) უმაღლეს წარმომადგენელს, პრეზიდენტ სააკაშვილსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ვიქტოროვიჩ ლავროვის მოლაპარაკებების მეშვეობით; მოუწოდებს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში გამონახოს გზები ყველა შესაბამის მხარეს შორის დიალოგის წარსამართავად და შეეცადოს აღადგინოს ურთიერთნდობის ხარისხი;

5. **მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ გამოიყვანოს თავისი დამატებითი საჯარისო ნაწილები აფხაზეთიდან;** მიიჩნევს, რომ უნდა გადაიხედოს არსებული სამშვიდობო ფორმატი, **რადგანაც რუსეთის სამშვიდობოებმა დაკარგეს მიუკერძოებელი და ნეიტრალური სამშვიდობო ძალების ფუნქცია** და მოუწოდებს **ევროპას უფრო აქტიური ჩართულობისაკენ ამ გაყინულ კონფლიქტებში სამშვიდობო პროცესში წინსვლის მიზნით;**

6. მოუწოდებს საბჭოს გააქტიუროს საერთაშორისო ჩართულობა კონფლიქტის ზონაში და გააგზავნოს იქ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სასაზღვრო მისია; გამოიყენოს ის დადებითი გამოცდილება, რაც მიღებულია მოლოდოვისა და უკრაინის საზღვარზე დნესტრიისპირეთის მონაკვეთზე ევროკავშირის სასაზღვრო მხარდაჭერის მისიიდან და ითვალისწინებს რა, რომ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ უფრო აქტიური როლის შესრულება გაერო-ს სადამკვირვებლო მისიაში, მოწუოდებს გაერო-ს გააფართოვოს თავისი მანდატი და გაზარდოს რესურსები გაერო-ს დამკვირვებელთა მისიასთან მიმართებით;

7. მოუწოდებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ საქართველოს მთავრობის წინადადებებს ახალი ალტერნატიული მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ფორმატების შესახებ, რომლებიც შეეხება რეალურად დამოუკიდებელი სამშვიდობო ძალების შექმნას;

8. მოუწოდებს, ამ მიმართებით, საბჭოსა და კომისიას ხაზგასმით აღნიშნოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხები თავის რუს კოლეგებთან შეხვედრაზე, ევროკავშირ-რუსეთის მომავალ სამიტზე და ახალი პარტნიორული ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დროს და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას არ შეუქმნას პერსპექტივაში დაბრკოლებები ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სასაზღვრო მისიას რეგიონში, ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო სამშვიდობო ოპერაციებში ჩართულობის გათვალისწინებით;

9. მოუწოდებს გაერო-ს მხრიდან ჩატარდეს გამოძიება და შემოწმება იმისა, თუ რამდენად სრულად ხორციელდება გაერო-ს უშიშორების საბჭოს ყველა შესაბამისი რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში ყველა აქტორის მიერ და არის თუ არა აღნიშნულ ტერიტორიაზე მძიმე შეიარაღება;

10. ითვალისწინებს, 2008 წლის 21 მაისის, საპარლამენტო არჩევნების შედეგებსა და არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, მთლიანობაში არჩევნების დღე იყო მშვიდი, შეფასებულია დადებითად და იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ იყო მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი;

11. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია შემდგომი ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და უნდა გადაჭრილ იყოს საარჩევნო პროცესის დროს დაფიქსირებული პრობლემები, რაც გამოიწვია ეუთო-სა და ევროპის საბჭოს სტანდარტების არასრულყოფილმა განხორციელებამ, აგრეთვე, აუცილებელია საქართველოს დემოკრატიული მიღწევების დახვეწა და კონსოლიდირება; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას განიხილოს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჩივარი გამჭვირვალედ და არ დაიშუროს ძალისხმევა, რათა შემდგომ გაიზარდოს ნდობა და რწმენა საარჩევნო პროცესის მიმართ;

12. მოუწოდებს საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას პატივი სცენ კანონის უზენაესობას, იყვნენ მზად კონსტრუქციული დიალოგისა და კომპრომისისაკენ და თავი შეიკავონ ქართული საზოგადოების შემდგომი პოლარიზებისაგან; მიიჩნევს, რომ ნდობის ნაკლებობა მთავრობასა და ოპოზიციურ

პარტიებს შორის წარმოადგნეს დაბრკოლებას შემდგომი დემოკრატიული განვითარებისათვის და მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას გამოამჟღავნონ პოლიტიკური კულტურა პარლამენტში მიმდინარე დებატების განმავლობაში და აწარმოონ კონსტრუქციული დიალოგი საქართველოს არამდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდასაჭერად და გასამყარებლად;

13. მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინტენსიური ბაზისის მეშვეობით;

14.მოუწოდებს საბჭოს და კომისიას დააჩქარონ მოლაპარაკებების დაწყება ევროკავშირ-საქართველოს სავიზო რეჟიმთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ გაფორმდეს სავიზიო ხელშეწყობის ხელშეკრულება საქართველოსთან ახლო მომავალში და ამგავრად, უზრუნველყოფილ იყოს საქართველოს მოქალაქეების მიმართ თანასწორი მოპყრობა, რათა ისინი არ იმყოფებოდნენ უარეს პირობებში იმ მოქალაქეებთან შედარებით, რომლებსაც სეპარატისტულ რეგიონებში აქვთ რუსული პასპორტები;

15. მიესალმება, 2008 წლის 18 თებერვალს, მიღებულ საბჭოს დასკვნას ევროპის სამეზობლო პლიტიკასთან მიმართებით, რომ აუცილებელია მოლაპარაკებების დაწყება ფართო და მასშტაბური თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე და მოუწოდებს კომისიას შეეცადოს სწრაფად შეთანხმდეს ამ საკითხებზე საქართველოს მისწრაფებების გათვალისწინებითა და მოლაპარაკებებში წევრი ქვეყნების ჩართვის მეშვეობით; გამოთქვამს იმედს, რომ ამ საკითხზე იქნება მიღწეული შემდგომი პროგრესი საფრანგეთის თავმჯდომარეობის პერიოდში;

16. მიესალმება სამართლიანობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ევროკავშირ-საქართველოს ქვეკომიტეტის შექმნას, რათა დაჩქარდეს ორმხრივი დიალოგი და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება;

17. იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო სრულად გამოიყენებს დამატებით ფინანსურ შესაძლებლობებს, გათვალისწინებულს სამეზობლო ინვესტიციების ხელშეწყობით, კონკრეტულად ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვით პროექტებში და მოუწოდებს კომისიას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება განათლებას, დემოკრატიულ აღმშენებლობასა და სოციალურ სფეროს;

18. მოუწოდებს ასამბლეის პრეზიდენტს გადაუგზავნოს ეს რეზოლუცია საბჭოს, კომისიას და წევრ ქვეყნებს, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, ეუთოს, ევროპის საბჭოს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტსა და პარლამენტს.

ევროკავშირის სახელმწიფო მეთაურთა საგანგებო საბჭოს სხდომის შედეგები.

ბრიუსელი, 2008 წლის 1 სექტემბერი.

1. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო ძალზე შეშფოთებულია საქართველოში მომხდარი **ღია კონფლიქტით, რომელსაც რუსეთის მხრიდან ძალადობა და საფრთხის არაპროპორციული რეაქცია მოყვა.** კონფლიქტმა დიდი უბედურება მოუტანა ორივე მხარეს. ამ ტიპის სამხედრო ქმედებას შედეგი არ მოაქვს და ის მიუღებელია. ევროკავშირის საბჭო გულისტკივილს გამოთქვამს ადამიანების დაღუპვისა და იმ უბედურების გამო, რომელიც მოსახლეობას თავს დაატყდა; აგრეთვე, დიდი რაოდენობის გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და კონფლიქტით მიყენებული მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამო.

2. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მკაცრად გმობს რუსეთის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიუღებელია და ამიტომ, ევროკავშირი მოუწოდებს სხვა ქვეყნებს არ აღიარონ გამოცხადებული დამოუკიდებლობა და სთხოვს ევროკომისიას, შეისწავლოს მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები. ევროკავშირი თვლის, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობის, სუვერენობის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო კანონმდებლობით, ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის შესახებ ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტით და გაერ-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით.

3. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **საერთაშორისო კანონმდებლობის, კეთილმეზობლობის და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით, ევროპის ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება თვითონ აირჩიოს თავისი საგარეო პოლიტიკა და ის ალიანსები, რომლებშიც**

მას შესვლა სურს. სრულიად კანონიერია, აგრეთვე, ყოველი მათგანის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინება, თუკი დაცული იქნება სახელმწიფოთა სუვერენობის, ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებულობის ფუნდამენტური პრინციპები.

4. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მოხარულია, რომ 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული ექვს პუნქტიანი შეთანხმების შედეგად, შეწყდა ცეცხლი, გაუმჯობესდა დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და გაყვანილ იქნა რუსეთის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ გეგმის განხორციელება უნდა დასრულდეს. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მოუწოდებს მხარეებს, გააგრძელონ მათ მიერ ხელმოწერილი შეთანხმების სრულად და კეთილსინდისიერად შესრულება. **სამხედრო ძალები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაბრუნებიან ძალადობის დაწყებამდე დაკავებულ ადგილებს, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდნენ მათ.** დაზარალებულთათვის დახმარების გაწევასთან ერთად, დღეს არსებული გადაუდებელი ამოცანა არის საერთაშორისო მონიტორინგის მისიის მუშაობის დასრულება. ევროკავშირი მზადაა მიიღოს მასში მონაწილეობა, რაც ითვალისწინებს „სამხრეთ ოსეთის" მიმდებარე ზონაში არსებული რუსეთის დამატებითი უსაფრთხოების ზომების ჩანაცვლებას. ასევე, სწრაფად უნდა დაიწყოს შეთანხმების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომლებიც შეეხება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში" უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

5. ევროკავშირი მზადაა მონაწილეობა მიიღოს, ადგილზე მონაწილეობის ჩავლით, საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიან და გრძელვადიან მოგვარებაზე მიმართული ნებისმიერი ძალისხმევის მხარდაჭერაში. ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ „სამხრეთ ოსეთში" ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის გაძლიერებაში დ გააგზავნიან დამკვირვებლებს და მნიშვნელოვან მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას გაუწევენ მას. ევროკავშირმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ გაგზავნოს ადგილზე ფაქტების დამდგენი მისია, რომლის მიზანია დახმარება გასწიოს ინფორმაციის მოპოვებასა და იმ პირობების განსაზღვრაში, რომლებიც საშუალებას მისცემს ევროკავშირს უფრო

აქტიურად ჩაერთოს ადგილზე, „ევროპის უსაფრხოების და თავდაცვის პოლიტიკის“ ფარგლებში. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო, სთხოვს ევროკავშირის საბჭოს შესაბამის ორგანოებს, ჩაატარონ ყველანაირი მოსამზადებელი სამუშაო, რათა, საბჭომ შეძლოს ზემოხსენებული დამკვირვებელთა მისიის შესახებ სავარაუდო გადაწყვეტილების მიღება, 2008 წლის 15 სექტემბრისათვის, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და ეუთო-სა და გაერო-სთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამისათვის, ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო სთხოვს ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეს (საფრანგეთის პრეზიდენტი) და საბჭოს გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს (ხავიერ სოლანა), დაამყარონ აუცილებელი კონტაქტები და აწარმოონ მოლაპარაკებები.

6. ევროკავშირმა უკვე უზრუნველყო გადაუდებელი დახმარების მიწოდება; ის მზადაა, დახმარება გასწიოს აღდგენით სამუშაოებში საქართველოში, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის რეგიონების ჩათვლით. ევროკავშირი მზადაა მხარი დაუჭიროს ნდობის აღდგენაზე მიმართულ ღონისძიებებს და რეგიონულ თანამშრომლობას. ევროკავშირს გადაწყვეტილი აქვს, აგრეთვე, საქართველოსთან ურთიერთობების გააქტიურება, სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და თავისუფალი ვაჭრობის ფართო არეალის შესაძლო შექმნის საშუალებით, როგორც კი ამისათვის აუცილებელი პირობები იქნება დაკმაყოფილებული. ევროკავშირი გამოდის ინიციატივით უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება დახმარების გაწევა აღდგენით სამუშაოებში და სთხოვს ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიას, დაიწყონ მოსამზადებელი სამუშაოები კონფერენციის ჩასატარებლად.

7. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო შეწუხებულია იმით, რომ არსებულ კრიზს მთელს რეგიონზე აქვს გავლენა. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ სწორედ ახლა არის დრო რეგიონული თანამშრომლობის განსაკუთრებული მხარდაჭერისა და აღმოსავლელ მეზობლებთან თანამშრომლობის გააქტიურებისა, განსაკუთრებით „სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში, „შავი ზღვის სინერგიის“ ინიციატივის შემდგომი განვითარების და „ევროკავშირის პარტნიორობა აღმოსავლეთთან“ შემუშავების გზით, რომლის მიღებას ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო,

2009 წლის მარტში, აპირებს. ამ მიზნის მისაღწევად, ის თხოვნით მიმართავს ევროკომისიას, წარმოადგინოს წინადადებები 2008 წლის დეკემბერში. ამ კონტექსტში, ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო ხაზს უსვამს ევროკავშირსა და უკრაინას შორის 9 სექტემბერს დაგეგმილი სამიტის მნიშვნელობას.

8. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საქართველოში არსებული კრიზისის საკითხში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ და ავალებს ევროკავშირის საბჭოს, ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები.

9. ახლახანს განვითარებულმა მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ ევროპამ უნდა გააქტიუროს ძალისხმევა ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო სთხოვს ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიასთან თანამშრომლობით, განიხილოს ყველა ის ინიციატივა, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად უნდა განხორციელდეს, განსაკუთრებით ენერგიის წყაროების დივერსიფიცირების და მოწოდების გზებთან დაკავშირებით.

10. საქართველოში არსებულმა კრიზისმა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გზის გასაყართან მიიყვანა. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ერთმანეთზე დამოკიდებულების და მათ წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გათვალისწინებით, მჭიდრო ურთიერთობებზე უკეთესი არჩევანი არ არსებობს; ეს ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ნდობას და დიალოგს, კანონის უზენაესობის და იმ პრინციპების პატივისცემას, რომლებიც გაერო-ს ქარტიისა და ეუთო-ს მიერაა აღიარებული. სწორედ, ამიტომ დავიწყეთ ჩვენ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ახალი ჩარჩო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები შარშან ივლისში.

11. მოვუწოდებთ რუსეთს, შემოგვიერთდეს და ერთად გავაკეთოთ ეს უმნიშვნელოვანესი არჩევანი საერთო ინტერესების, ურთიერთგაგების და თანამშრომლობის სასარგებლოდ. დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორედ, რუსეთის ინტერესებშია, რომ მან არ მოახდინოს საკუთარი თავის იზოლირება ევროპისგან. ევროკავშირი, თავის მხრივ, ამჟღავნებს სურვილს პარტნიორობისა და

თანამშრომლობისა იმ პრინციპებისა და ფასეულობების გათვალისწინებით, რომლებსაც ის ეფუძნება. ჩვენ ველით, რომ რუსეთი გამოიჩენს პასუხისმგებლობას და დაიცავს თავის თავზე აღებულ ყველა ვალდებულებას. ევროკავშირი არის და იქნება ფხიზლად. სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო სთხოვს ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიას დაკვირვებით და სიღრმისეულად შეაფასონ სიტუაცია და ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებული თანამშრომლობის ასპექტები. ეს შეფასება უნდა დაიწყოს დღეს და გაგრძელდეს და 2008 წლის 14 ნოემბერს, ნიცაში დაგეგმილი სამიტის მზადების მთელი პერიოდის განმავლობაში. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო უფლებამოსილებას აძლევს მის თავმჯდომარეს, გააგრძელოს დისკუსიები ექვს პუნქტიანი შეთანხმების სრულ შესრულებამდე. ამ მიზნით, ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე (საფრანგეთის პრეზიდენტი), ევროკომისიის პრეზიდენტთან (ხოსე მანუელ ბაროზო) და უმაღლეს წარმომადგენელთან (ხავიერ სოლანა) ერთად 8 სექტემბერს, მოსკოვში გაემგზავრება. შეიარაღებული ძალების 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებამდე, (ევროკავშირთან) პარტნიორობის შესახებ შეთანხმების თაობაზე შეხვედრები და მოლაპარაკებები გადადებულია.

ევროპის კავშირის საბჭო, საგარეო საქმეთა საბჭოს 2889-ე შეხვედრა. საბჭოს დასკვნები საქართველოს საკითხზე.

ბრიუსელი, 2008 წლის 15-16 სექტემბერი

საბჭომ მიიღო შემდეგი დასკვნები:

1. საბჭო მიესალმება შეთანხმებას 12 აგვისტოს გეგმის განხორციელების შესახებ, რომელიც გაფორმებული იყო მოსკოვსა და თბილისში, ევროკავშირის შუამდგომლობით, 8 სექტემბერს. ეს შეთანხმება უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების სრულ უკან დახევას იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, 10 დღის ვადაში, ამ ზონებში საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებიდან, მათ შორის, ევროკავშირის 200

დამკვირვებლის განთავსებიდან, რაც უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2008 წლის 1 ოქტომბრისათვის.

2. 1 სექტემბერს მიღებულ საბჭოს დასკვნებთან მიმართებით, საბჭო მოუწოდებს მხარეებს სრულად განახორციელონ ეს შეთანხმება, ისევე როგორც, 12 აგვისტოს შეთანხმება და ყოველივე ამის რეალიზაცია მოახდინოს ეფექტურად და კეთილსინდისიერად, განსაზღვრული დროის მონაკვეთში, რუსეთის შეიარაღებული ძალების გასვლისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების საკუთარ ბაზებზე დაბრუნების ჩათვლით.

3. საბჭო აღნიშნავს, რომ ევროკავშირი მზად არის კრიზისის მოგვარებაში სრულფასოვანი როლის შესასრულებლად, ადგილობრივი და სამომავლოდ საერთაშორისო დისკუსიებისა და მათი მომზადების ჩათვლით და საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტის მცდელობის მხარდასაჭერად. საბჭო მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით და გრძელვადიანად მოგვარება საქართველოში უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სამართლის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის საბოლოო აქტითა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს გათვალისწინებული დამოუკიდებლობის, სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრულ დაცვას. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, საბჭო გმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება ამ პრინციპებზე დაფუძნებულ გადაწყვეტას.

4. საბჭო მხარს უჭერს საქართველოში არსებული კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების იდეას.

5. საბჭომ გადაწყვიტა დანიშნოს ბატონი პიერ მორელი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებზე.

6. ევროკავშირის საბჭოს 1 სექტემბრის საგანგებო შეხვედრის დასკვნების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა გაეგზავნა დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში, ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს შესაბამისად, რომელიც განთავსებული იქნება 1 ოქტომბრისათვის, 8 სექტემბრის შეთანხმების პუნქტების შესაბამისად, ეუთო-სა და გაერო-სთან მჭიდრო

კოორდინაციით და გაერო-ს დამკვირვებელთა მისიისა და ეუთო-ს საერთაშორისო მექანიზმების შესავსებად. საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს წევრი სახელმწიფოების წვლილს, რომელიც გამოიხატება 1 ოქტომბრისათვის მინიმუმ 200 დამკვირვებლის განთავსებაში.

7. საბჭო მოუწოდებს კომისიას აქტიურად და სწრაფად მოემზადოს დონორების კონფერენციისათვის საქართველოს ეკონომიკის აღდგენის და განვითარების ხელშესაწყობად და იძულებით გადაადგილებული პირების დასაბრუნებლად და ჩაატაროს ეს ღონისძიება შემდეგ თვეს ბრიუსელში საყოველთაო მოთხოვნების შეფასების მიზნით. საბჭო ითვალისწინებს კომისიის წინადადებას საქართველოსათვის ფინანსური დახმარების მობილიზაციის მიზნით, რომელიც შესაძლოა გაუტოლდეს 500 მილიონ ევროს 2008-2010 წ.წ. პერიოდისთვის და შესაბამისობაში იქნება ფინანსურ პერსპექტივებთან. საბჭო აგრეთვე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მოამზადონ მნიშვნელოვანი წვლილი, ფინანსური დახმარების სახით, შემდგომი კონფერენციისათვის. ის მიესალმება კომისიის მზაობას ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის გამყარების მიზნით, კონკრეტულად სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან მუშაობის დაჩქარების კუთხით.

სარჩევი

	შესავალი	**1 - 9**
თავი I.	**საკითხის ისტორიოგრაფია**	**10-66**
თავი II.	**საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1992-2008 წლებში**	**67-121**
§1.	რუსეთის ინტერესები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში	**67-82**
§2.	რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ცხინვალის რეგიონთან და აფხაზეთთან მიმართებაში 1992-2008 წლებში	**82-112**
§3.	საქართველოს ხელისუფლების ღონისძიებანი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დასარეგულირებლად	**113-121**
თავი III.	**2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს**	

	ომის წინაპირობები	**122-144**
§1.	მიზეზები და წანამძღვრები	**122-140**
§2.	2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, როგორც რუსეთის ევრაზიონისტული პოლიტიკის ნაწილი	**141-144**
თავი IV.	**რუსეთ-საქართველოს ომის ქრონოლოგია და შედეგების შეფასება**	**145-154**
თავი V.	**რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასებისათვის**	**155-163**
თავი VI.	**საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ**	**164-179**
§1.	ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისიის (ე. წ. ტალიავინის კომისია) დასკვნა 2008 წლის აგვისტოს ომზე	**172-179**
	დასკვნა და რეკომენდაციები	**180-185**
	გამოყენებული ლიტერატურა	**186-202**
	დანართი	**203-219**
	სარჩევი	**220**